ჟურნალ „ეკონომიკის“ ბიბლიოთეკა

პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი

ეკონომიკსი
(სახელმძღვანელო)
ძირითადი შინაარსი

რედაქტორები: ეკონომიკურ მეცნიერებათა
კანდიდატები, დოცენტები:
იგორ კრავცოვი,
გონდო ზარნაძე

გამომცემლობა
„ეკონომიკა და სამართალი“
თბილისი — 1992

65.9
ს 243

„ეკონომიკსში“ ბუნებრივი წყობის იდეის საფუძველზე გაანალიზებულია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებანი, ნაჩვენებია ამ უკანასკნელის გამოვლინების კონკრეტული ფორმები (მსოფლიო ბაზარი, ფასი, კაპიტალი, ხელფასი, მოგება, რენტა და ა. შ.).

წინამდებარე სახელმძღვანელოს რეფერატული შინაარსი საბაზრო ეკონომიკის (მიკრო და მაკრო ეკონომიკა) თეორიულ საფუძველთა ქართულ ენაზე სისტემატიზებული გადმოცემის პირველი და ერთადერთი ცდაა, რომელიც განკუთვნილია, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. იგი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია სამეწარმეო-კომერციულ საქმიანობაში ჩაბმით.

კოოპერატივი „სტილისტი“

© მთარგმნელები: გ. გოშაძე, თ. დემეტრაშვილი, 1992.

Э—0601000000—685 / М-602(08)—92 ბრძ.-

ISBN 5-505-01661-8

შემოკლებათა განმარტება

აშფ — ამერიკის შრომის ფედერაცია
გ — გადასახადები და ტრანსფერტი
დ — დოლარი
ეეპ — ერთობლივი ეროვნული პროდუქტი
ემ — ერთობლივი მიწოდება
ემთ — ერთობლივი მოთხოვნა
ი — ინვესტიციები
მ — მოხმარება
მხ — სამთავრობო ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე
პშ — პირადი შემოსავალი
ზმდ — ზღვრული მიდრეკილება დაგროვებისაკენ
ზმმ — ზღვრული მიდრეკილება მოხმარებისაკენ
სფი — სამომხმარებლო ფასების ინდექსი
სპკ — საწარმოო პროფკავშირების კონგრესი
წეკ — წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა
წეპ — წმინდა ეროვნული პროდუქტი
ფსს — ფედერალური სარეზერვო სისტემა
EQ — ელასტიკურობის კოეფიციენტი
M — ფული
P — ფასების საშუალო დონე
Q — რეალური ერთობლივი ეროვნული პროდუქტი
გშტ3 — გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

ყველა წიგნს, მათ შორის სახელმძღვანელოსაც თავისი სიცოცხლე, თავისი თეორიულ-მემკვიდრეობითი ხელწერა აქვს.

„ეკონომიკსიც“ გამონაკლისი როდია. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გამოცემულმა ამ სახელმძღვანელომ თორმეტჯერ იხილა მზის სინათლე. ბოლო გამოცემამდე მისი ერთადერთი ავტორი პ. სამუელსონი[1] იყო. ბოლო, მეთორმეტე გამოცემის მომზადებაში კი პ. სამუელსონთან ერთად მონაწილეობდა ვ. ნორდჰაუსიც[2].

ეკონომიკური პროფილის აქამდე ცნობილ სახელმძღვანელოთა შორის „ეკონომიკსი“ ერთადერთია, რომელშიც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური საფუძვლები ეკონომიკური აზრის განვითარების პროცესთან ლოგიკურ-ისტორიულ კავშირშია განხილული. ამით სახელმძღვანელოს ავტორები ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის, ცალკეული სკოლებისა და ეპოქების მიხედვით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების განსაკუთრებით ეფექტიან სინთეზს აღწევენ. მოვლენებისადმი ამ ზოგადმეთოდოლოგიური მიდგომის სათავე ფიზიოკრატებისა და ა. სმიტის ბუნებრივი წესრიგის იდეაში უნდა ვეძიოთ. ცხადია, ამავე ღირსებამ განაპირობა ათეული წლების მანძილზე დასავლეთის ცივილიზებული საზოგადოებრიობის შეუნელებელი ინტერესი სახელმძღვანელოსადმი.

იყო დრო, როდესაც არამარქსისტულობა ჩვენს ეკონომი-

---

[1] პოლ ა. სამუელსონი — მასაჩუსეტის (აშშ) ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის დამაარსებელი. მან განათლება ჩიკაგოსა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში მიიღო. პირველი ამერიკელია, რომელსაც ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატობა მიენიჭა (1970 წ.). იგი მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად სხვადასხვა დროს აშშ-ის კონგრესის, მთავრობისა და კერძო დაწესებულებების ეკონომიკური მრჩეველი იყო.

[2] ვილიამ დ. ნორდჰაუსი — ერთ-ერთი განსაკუთრებით თვალსაჩინო თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტი. დაამთავრა იენის უნივერსიტეტი. ამჟამადაც ამ უნივერსიტეტში მუშაობს პროფესორად. არის სამეცნიერო კვლევის კოულოვის ფონდის წევრი. ვ. ნორდჰაუსი კარტერის პრეზიდენტობის პერიოდში მიწვეული იყო მის ეკონომიკურ კონსულტანტად.

კურ ლიტერატურაში (ფილოსოფიურშიც და ა. შ.) არამეცნიერულობასთან იყო გაიგივებული. კლასობრივი პოზიციებიდან ვაკრიტიკებდით და ხელაღებით უარვყოფდით ყოველივე იმ პოზიტიურს, შემოქმედებით სიახლეს, რასაც დასავლეთის ეკონომისტები საწარმოო ძალთა განვითარების, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების, ღირებულებისა და საგებლიანობის, ინფლაციის, სამრეწველო ციკლის მოძრაობის და ა. შ. საკითხების დამუშავების დროს გვთავაზობდნენ. ვებრძოდით კაპიტალიზმსა და განზრახ, დაჟინებით თვალს ვარიდებდით მის წიაღში ბუნებრივი წყობის კანონზომიერებათა საფუძველზე მიმდინარე თვითგანახლების პროცესებს.

რა გამოვიდა აქედან? ჩვენი სატკივარი დაგვავიწყდა და თანდათანობით ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ წინააღმდეგობებში ყელამდე ჩაფლული აღმოვჩნდით.

დრო არ ითმენს. ჩვენვე უნდა მივხედოთ ჩვენ თავს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გზით მოვიპოვეთ ცივილიზებულ, რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას მოითხოვს. ეს ობიექტური აუცილებლობაა. ამ საქმეში მთავარი სიტყვა ახალ ეკონომიურ აზროვნებას ეკუთვნის.

აი, რატომ ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს პ. სამუელსონისა და ვ. ნორდჰაუსის სახელმძღვანელოს — „ეკონომიკისს" რეფერატულ შინაარსს[3].

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ეს „ეკონომიკისს" ნახევარწლიანი ან წლიანი კურსის შესავალია. როცა რამდენიმე ათეული წლის წინ ის პირველად გამოქვეყნდა, ჯონ კენეტ გელბრეიტმა შენიშნა, რომ მომავალი თაობა ეკონომიკსს ამ ნაშრომით შეისწავლისო. ორ ათეულ ენაზე თარგმნილი და რამდენიმე მილიონი ეგზემპლიარის საერთო ტირაჟით გამოცემული მეთორმეტე გამოცემა იმის

[3] სახელმძღვანელოს რეფერატული შინაარსი დაიბეჭდა ჟურნალ „ეკონომიჩესკიე ნაუკის" 1990 წლის ნომრებში, საიდანაც ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა ჟურნალ „ეკონომიკის" 1990 წლის № 7—11 და 1991 წლის № 1—7 ნომრებში. რეფერატი ქართულად თარგმნეს პროფესორებმა: გ. გოშაძემ და თ. დემეტრაშვილმა.

დასტურია, რომ ეს წინასწარმეტყველება რეალობასთან ახლოა.

მეცნიერება ცოცხალი და განვითარებადი ორგანიზმია. დადგა დრო, რომ სხვადასხვა თაობის მეცნიერთა თანამშრომლობა ემყარებოდეს კოლექტიურ შრომას. ჩვენ ორივე ვადასტურებთ ამას ეკონომიკისის თანამედროვე მიმართულების ახალი სინთეზის შექმნით. ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ კონკურენციაში მყოფ ეკონომიკისის ყველა სკოლას: პოსტკეინსურ ეკლექტიზმს: მონეტარიზმს; რაციონალურ ლოდინს; ჩიკაგოს ლიბერტარიანიზმს; მარქსიზმს; რადიკალურ ეკონომიკას.

წინანდებურად ჩვენი მიზანია ნათლად, საინტერესოდ და თანამედროვე დონეზე ავხსნათ ეკონომიკისის პრინციპები და განვმარტოთ ამერიკისა და მსოფლიოს ეკონომიკური სისტემების განვითარების ძირითადი ფაქტორები.

მთავარი ცვლილებები მეთორმეტე გამოცემაში

ეკონომიკისი ევოლუციური მეცნიერებაა. იგი იცვლება საზოგადოების, მისი ეკონომიკის განვითარების მიხედვით. ეს ასახულია ახალი გამოცემის ყველა თავში.

დაწვრილებითაა გადასინჯული და დახვეწილია თავები მაკროეკონომიკის შესახებ. 80-იან წლებში ინფლაციის, უმუშევრობის, სარგებლის განაკვეთისა და ბიუჯეტის დეფიციტის დონე მაღალი იყო, მონეტარიზმი განვითარდა. მაკროეკონომიკისადმი ჩვენი მიდგომა გულისხმობს იმას, რომ სტუდენტებმა გაიგონ 80-იანი წლების მაკროეკონომიკის პრობლემები. ამის მიხედვით მოხდა რამდენიმე ძირეული ცვლილება.

1. ერთობლივი მიწოდებისა და მოთხოვნის, როგორც ფასებისა და წარმოების საერთო მოძრაობის, ცენტრალური რგოლის გაგებაში შეტანილია ბრუნვა. მთლიანობაშია გაერთიანებული სხვადასხვა მეცნიერული სკოლები — კეინსური, კლასიკური, მონეტარიზმი, რაციონალური ლოდინის, მაკროეკონომიკის გააზრების თანამედროვე ძირითადი მიმართულებანი.

2. სტუდენტებს შეუძლიათ მარტივად გაარკვიონ უმუშევ-

რობის ბუნებრივი პროცესების სიძნელეები: რატომ იზრდება ის უკანასკნელ წლებში და რით შეიძლება მისი შემცირება. ამასთან ინფლაციის ანალიზი ძლიერ დაუახლოვდა დღევანდელ მიდგომას.

3. თავებში მონეტარული თეორიებისა და პოლიტიკის შესახებ ფართოდაა წარმოდგენილი ფინანსური ინსტიტუტების სტრუქტურა და მათ მიერ გამოყენებული რეგულირების მეთოდები.

4. გათვალისწინებულია მაკროეკონომიკის რაციონალური ლოდინის სრული შესავალი ანალიზი. არაეფექტიანი პოლიტიკის თეორემები, ლუკასის კრიტიკა, შემთხვევები ფიქსირებული წესებისათვის — რაციონალური ლოდინის მაკროეკონომიკის კრიტიკასთან ერთად გაჩნდა ცალკეულ „აპენდიქსში".

5. მეჩვიდმეტე თავში ახსნილია, თუ რატომაა ფართო დისკუსიის საგანი სამთავრობო დეფიციტისა და ვალის როლი. ამასთან განხილულია ციკლური და სტრუქტურული ბიუჯეტები, სამთავრობო დავალიანების ზრდის გზები.

მიკროეკონომიკისადმი მიძღვნილ თავებში ძირითადად გადასინჯულია საკვანძო იდეები მათი უფრო ნათლად გაგებისათვის:

1. ახალ გამოცემაში ახლებურადაა გაანალიზებული ეფექტიანობა. უფრო ღრმადაა განხილული სამომხმარებლო გაუნაწილებელი მოგების საკითხები. კაპიტალის გაადგილების ეფექტიანობა გაანალიზებულია როგორც ტრადიციული ინსტრუმენტების საშუალებით, ასევე იმ ახლებური მიდგომით, რომელიც ორიენტირებულია მომგებიანობის საზღვრით შესაძლებლობებზე.

2. დაემატა ახალი განყოფილება გარემომცველი სამყაროსა და ბუნებრივი მონოპოლიების მართვის პრობლემების შესახებ. მასში მიმოხილულია დისკუსია ეკონომიკური რეგულირების მიზეზების შესახებ, რომელიც მიტაცების თეორიასთან ერთად მოიცავს დერეგულირების მოძრაობის ანალიზსაც.

3. გაფართოებულადაა მოცემული სამრეწველო ორგანიზებულ ეკონომიკაში ახალი პროცესების საბაზრო სტრუქტურის ანალიზი. ოლიგოპოლიის თეორია ასეთად იხილავს დომინირებულ ფირმებსაც. ახალი ნაშრომი რაციონალური შეზ-

ღუდულობისა და შუმპეტერის ჰიპოთეზის შესახებ შევსებულია მონოპოლიების ანალიზით. დაემატა განყოფილება თამაშთა თეორიის შესახებ — წონასწორობის შესავალი კონცეფცია.

4. რადგან უკანასკნელ ათწლეულში ანტიტრესტულმა თეორიამ და პოლიტიკამ რევოლუციური ხასიათი მიიღო, სახელმძღვანელოში ჩართულია ჩიკაგოს სკოლის მასალებიც.

5. თანამედროვე მეცნიერული აზრის მიღწევებისა და არსებული დასაბუთების შესაბამისად დაზუსტებულია იმ თავების შინაარსი, სადაც ვეხებით, შემოსავლების განაწილებისა და ფასწარმოქმნის ფაქტორებს.

კ ურ ს ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს წ ე ს ი. მასწავლებელთა 40 პროცენტი, რომლებიც ამ წიგნს იყენებენ, მაკროეკონომიკასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ მიკროეკონომიკას, სხვები — პირიქით. ორივე მიდგომა მართლზომიერია.

მკითხველისადმი ავტორების მიმართვაში ნათქვამია, რომ ამ წიგნის მეთერთმეტე გამოცემას 40 წლის მანძილზე მრავალი სტუდენტი იყენებდა. ისინი ახალ გამოცემასაც ასევე კარგად გამოიყენებენ.

რა თქმა უნდა, სტუდენტი ერთი წიგნით ვერ გახდება ექსპერტი ეკონომიკაში. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის არც აპირებს კარიერის შექმნას ეკონომიკაში. მკითხველის ძირითადი მიზანია მიიღოს ცოდნა ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძვლებში. ეს ახსოვთ ავტორებს და ამიტომ აანალიზებენ ეკონომიკის გულს, მის არსს. პ. სამუელსონი და ვ. ნორდჰაუსი სტუდენტებს პირდაპირ მიმართავენ შემდეგი სიტყვებით: მე-12 გამოცემის გადამუშავებისას ჩვენ მხედველობაში გვყავდა ერთი პერსონა — ეს თ ქ ვ ე ნ ხ ა რ თ დ ა მ წ ყ ე ბ ო ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ო. ყოველ გვერდზე ჩვენ ვაყენებთ კითხვას: რა არის ისეთი საჭირო მასალებსა და ცნებებში, რაც უნდა იცოდნენ ადამიანებმა XXI საუკუნეში? რომელი ეკონომიკური ინსტიტუტები უფრო სასარგებლო იქნება ბიზნესში მოღვაწეობის დამწყები კაცებისა და ქალებისათვის? ამ გვერდებზე გადმოცემულია თანამედროვე ეკონომიკური აზრის საგანძურისა და ამ თემაზე კამათის ობიექტური მიმოხილვა. თქვენ შეხვდებით ისეთი ინტელექტუალური გიგანტების აზრს, როგორიცაა ადამ სმიტი და კარლ

მარქსი, ჯონ მეინარდ კეინსი და მილტონ ფრიდმანი, ჯეიმს ტობინი და რობერტ ლუკასი.

გაზეთებში თქვენ შეიძლება წაიკითხოთ ისეთი მოვლენების შესახებ, როგორიცაა ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ), ინფლაცია, უმუშევრობა, სარგებლის განაკვეთი, საგაჭრო დეფიციტი, ეკონომიკური დისკრიმინაცია ან შრომითი კავშირები. ყოველი ამ თემათაგანი აქ გულდასმითაა გაშოკვლეული.

ი კ ი თ ხ ე თ ა ქ ტ ი უ რ ა დ! შეეკითხეთ თქვენ თავს: „რატომაა ეს მნიშვნელოვანი?“ ანდა — „რა წარმოადგენს ამ პოზიციის მაგალითს?“ თეორიებისა და მაგალითების შესახებ ეკამათეთ თქვენს ამხანაგებს. კარგი საკვების მსგავსად ეკონომიკსი მეტად დაგასაჩუქრებთ თუ თქვენ განსაკუთრებული გემოვნებით, გულმოდგინეთ „გადაღეჭავთ“ ყოველ ულუფას. თქვენ გაგიმარჯოთ! ჩვენ შეგნატრით თქვენ, რომელნიც პირველად მიეშურებით ეკონომიკის მღელვარე საძყაროს შესასწავლად (გამოსაკვლევად). ის გვაღელვებს, რომ ამის განცდა ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელაა შესაძლებელი.

ამრიგად, თუ თქვენ შეუდექით, შეგვიძლია გითხრათ: შეგარგოთ!

ნაწილი I. ზოგადი დებულებები

თ ა ვ ი 1

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რ ა ა რ ი ს ე კ ო ნ ო მ ი კ ს ი. ეკონომიკსი, როგორც სასწავლო დისციპლინა, მხოლოდ ორი საუკუნისაა. 1776 წ. ა. სმიტმა გამოაქვეყნა თავისი წიგნი „ხალხთა სიმდიდრე“. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. 150 წლის მანძილზე, რომელიც აშორებს მის გამოქვეყნებასა და ჯ. კეინსის წიგნის „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორიის“ გამოცემას (1936), ეკონომიკურმა მეცნიერებამ მრავალი ეტაპი გაიარა. სადღაც შუა გზაზე აღმოცენდა მარქსის მიერ კაპიტალიზმის კრიტიკა — „კაპიტალი“ (1867). მილიარდზე მეტი ადამიანი, მსოფლიოს მოსახლეობის მესამედი, ცხოვრობს იმ

ქვეყნებში, სადაც „კაპიტალი“ ეკონომიკურ სახარებას წარმოადგენს.

ტერმინ „ეკონომიკასთან“ პირველი გაცნობისთანავე ადამიანებს სურთ გაიგონ მისი მოკლე განმარტება. მოვიტანთ რამდენიმე ცნობილ განსაზღვრებას: ეკონომიკსი მეცნიერებაა წარმოებასა და გაცვლაში ადამიანების საქმიანობის თაობაზე; ეკონომიკსი სწავლობს ეკონომიკური ცხოვრების მოძრაობას — ფასების, წარმოების, უმუშევრობის განვითარების ტენდენციებს. ამ მოვლენების შესწავლის კვალობაზე ეკონომიკსი ეხმარება იმ პოლიტიკის შემუშავებაში, რომლის მეშვეობითაც მთავრობას შეუძლია იმოქმედოს ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ეკონომიკსი — არჩევანის მეცნიერებაა. იგი სწავლობს, თუ როგორ ირჩევენ ადამიანები შეზღუდულ საწარმოო რესურსებს (მიწა, შრომა, მოწყობილობები, ტექნიკური ცოდნა) სხვადასხვა სახის საქონლის წარმოებისათვის და საზოგადოების სხვადასხვა წევრებს შორის მის განაწილებას; ამრიგად, ეკონომიკსი სწავლობს, თუ როგორ წყვეტს ადამიანი მოხმარებისა და წარმოების ორგანიზაციის პრობლემებს; ეკონომიკსი სწავლობს ფულს, სარგებლის ნორმას, კაპიტალსა და სიმდიდრეს.

დღეს ეკონომისტები ალბათ შეთანხმებულნი არიან განმარტებაში, რომელიც დაახლოებით ასეთია: ეკონომიკსი არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ ადამიანები და საზოგადოება როგორ ირჩევენ იმ დეფიციტური რესურსების გამოყენების წესს, რომელთაც შეიძლება მრავალმიზნიანი დანიშნულება ჰქონდეთ, რათა აწარმოონ სხვადასხვა საქონელი და გაანაწილონ ის ამჟამად და მომავალში საზოგადოების სხვადასხვა ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის.

ზომის სისტემა ეკონომიკსში. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკსი საზოგადოების ცხოვრების მრავალ საკითხს ეხება. უფრო მეტიც, ეკონომიკსი უკავშირდება ისეთი მოვლენების ცვლილებებს, როგორიცაა უმუშევრობა, ფასები, შემოსავლები და ა. შ.

ეკონომიკსის ერთ-ერთ პრინციპულად მნიშვნელოვან ცნე-

ბას წარმოადგენს ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ). ეს ყველაზე უფრო შემაჯამებელი გამზომია იმ საქონლისა და მომსახურებისა, რომლის წარმოებაც ქვეყანას შეუძლია. მეტწილად ეეპ საზოგადოების ცხოვრების დონის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების მდგომარეობის მაჩვენებელია.

ცხოვრების ხარისხი. ეეპ თანაბრად ასახავს როგორც წარმოებული რაკეტების, ასევე ხორბლის რაოდენობასაც, ე. ი. რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ხარისხის გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ეეპ-ის კორექტირება თანამედროვე ქალაქის ნეგატიური ნიშნების — გაჭუჭყიანებული ჰაერის და ჭარბმოსახლეობის მასში ასახვით (მისი არსებული სიდიდიდან სათანადო ხარჯების გამოკლებით). ამასთან ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ მოქალაქეებს თავისუფალი დრო, რომელსაც საოჯახო მეურნეობაში იყენებენ. ასეთ შესწორებებს გვთავაზობენ ეკონომისტები. რათა ეეპ-ში მოხდეს ნედლეულის ძლიერ დიდი ადგილის კორექტირება. შეიძლება შევთავაზოთ ეკონომიკური ცხოვრების დონის ისეთი გამზომი, როგორიცაა წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა (New economic Welfare).

ეკონომიკსი ესაზღვრება სხვა ეკონომიკურ დისციპლინებს. პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგია და ანტროპოლოგია — ეს ის საზოგადოებრივი მეცნიერებებია, რომელთა საგანიც კავშირშია ეკონომიკსთან. ასეთი კავშირი განსაკუთრებით მჭიდროა ისტორიასთან. გავიხსენოთ როგორ შეუწყო ხელი ორთქმავლებისა და რკინიგზების ერამ აიოვას ფერმერებს და დააზარალა ვერმონტისა და ოქსფორდშირის ფერმერები და დაეხმარა ლონდონის მცხოვრებლებს. თავისთავად ჯერ კიდევ სამოქალაქო ომამდე აშშ-ში წარმოქმნილი ეკონომიკური პირობების გამო რატომ არ მოისპო მონობა? ჰიტლერის ხელისუფლების განმტკიცებას 20-იანი წლების გერმანიაში ხელი შეუწყო თუ არა ჰიპერინფლაციამ, რაც გამოიწვია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაზე დაკისრებულმა ძლიერ მკაცრმა რეპარაციებმა?

ეკონომიკური გამოკვლევები და პოლიტიკა. ჩვენს დროში ეკონომიკსი გამოიყენება, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ აღწეროს და ახსნას წარმოების, ინფლაციის, შემოსავლების მოძრაობა; მეორეც, ეკონომიკური ქცევის დასასაბუთებლად. ორივე შემთხვევაში ჩვენ ჯერ საქმე გვაქვს პოზიტიურ ეკონომიკასთან, ხოლო შემდეგ ნორმატიულთან.

პოზიტიური ეკონომიკსი აღწერს ფაქტებს, ურთიერთობებს ეკონომიკსის სფეროში. მაგალითად, როგორია უმუშევრობის დონე დღეს? რა გავლენას ახდენს მაღალი უმუშევრობა ინფლაციის დონეზე?

ნორმატიული ეკონომიკსი მოიცავს მატერიალურ და ღირებულებით შეფასებებს. მაგალითად: როგორია ინფლაციის დასაშვები ნორმა? დაბეგვრის სისტემის მეშვეობით უნდა გადაიქაჩოს თუ არა ფული საზოგადოების ღარიბი ფენების სასარგებლოდ? როგორ უნდა გაიზარდოს თავდაცვის ხარჯები — წლიურად 3,5 თუ 10 პროცენტით? მსგავს კითხვებზე პასუხი ნაკარნახევია პოლიტიკური არჩევანით. ეკონომისტებს შორის ძირითადი უთანხმოება სწორედ ამ სფეროშია. ისინი უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მთავარი მაკროეკონომიკური პრობლემების დაყენებითა და გადაწყვეტით. შეთანხმება უმეტეს წილად ფულისა და ბაზრების მაკროეკონომიკურ თეორიებშია გარანტირებული. მაგრამ ეკონომიკის მეტად ფართო წრის პოლიტიკური და მორალურ-ეთნიკური პრობლემების თაობაზე ეკონომისტების მოსაზრებანი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ეკონომიკსის მეთოდოლოგია. როგორ ვითარდება ეკონომიკური მეცნიერება? როგორ მოძრაობს ის მონაცემების უდიდესი რაოდენობიდან იმ თეორიებისა და ეკონომიკური კანონებისაკენ, რომლებსაც ემყარებიან ჩვენი პოლიტიკური ლიდერები? ეკონომიკური მეცნიერება ევოლუციურად ვითარდება, სწავლობს მონაცემებს, ავითარებს ჰიპოთეზებს, ამოწმებს მათ და ზოგჯერ აღწევს ეკონომიკსის პრაქტიკასთან რთულ ერთიანობას. მსგავს სახელმძღვანელოებში არის ცდა დადგენილი ჭეშმარიტება შეუერთდეს დღევანდელ წინააღმდეგობებს. ერთი ან ორი ათწლეულის შემდეგ კი ფაქტები უარყოფს ძველ თეორიებს და მეცნიერებაც იძენს შემდგომი განვითარების იმპულსს.

სხვა თანაბარი გარემოებანი. ეკონომიკის სამყარო მეტად რთულია. მასში მილიონობით ადამიანი და ფირმა, ათასობით ფასი და დარგებია. ეკონომიკური კანონზომიერების გამოვლენის შესაძლებელი გზაა მაკონტროლებელი ექსპერიმენტი, რომელშიც ყველა მოვლენა, გარდა შესასწავლისა, უცვლელადაა მიღებული.

მთელი და ნაწილი. შედგენის შეცდომა. თქვენ თუ შეგიმჩნევიათ ფეხბურთის გულშემატკივრები კრიტიკული მომენტის კარგად დანახვისათვის როგორ ცდილობენ ადგნენ, მაგრამ ყველა რომ ადგეს, კარგად ვეღარავინ დაინახავს. ასეთი ქცევა გამოწვეულია იმით, რასაც ლოგიკაში ნაწილისა და მთელის თანაფარდობის შეცდომა ეწოდება. მისი არსი შემდეგშია: რაც სწორია ნაწილისათვის, მხოლოდ ამ მიზეზის გამოა სწორი მთელისათვისაც.

განუსაზღვრელობა ეკონომიკურ ცხოვრებაში. საუკუნეზე მეტი ხნის წინ ფრანგმა მათემატიკოსმა ლაპლასმა დაამტკიცა, რომ გამოთვლისათვის საჭირო საკმარისი მონაცემებისა და დროის არსებობისას ჩვენ შევძლებთ აწმყოს მსგავსად მომავლის ნათლად განჭვრეტასაც. დღეს გაურკვევლობის ეპოქაში, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ასე არაა. სრული წინასწარმეტყველება არ არსებობს თვით ისეთ ზუსტ მეცნიერებაშიც კი, როგორიცაა ფიზიკა. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ეკონომიკური იყო იმ ინსტრუმენტების განვითარების საქმიანობის ცენტრში, რომლებიც ხსნიდნენ თუ რამდენად შეუძლებელია ადამიანური მოქმედებების წინასწარმეტყველება. ამ ღვაწლის შედეგად ჩვენ ამჟამად მეტი ვიცით პოკერის თამაშის სტრატეგიის შესახებ, ან უკეთესად როგორ ვიმოქმედოთ საფონდო ბირჟაზე, გამალებული შეიარაღების შემთხვევაშიც კი.

თავი 2

ეკონომიკის ორგანიზაციის ძირითადი პროგლემები

ა. ეკონომიკური ორგანიზაციის პროგლემები

ყოველი საზოგადოება, იქნება ეს სრული კოლექტივიზირებული კომუნისტური საზოგადოება, სამხრეთის კუნძულების ტომები, განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფო, საიდუმლო თემი ან თვით ფუტკრის ნაყარიც კი, აწყდება სამ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ პრობლემას.

1. **რა** საქონელი უნდა აწარმოონ და რამდენი რაოდენო-

ბით? როდის უნდა იწარმოოს ის? უნდა გამოუშვათ მეტი კვების პროდუქტები და ცოტა ტანსაცმელი, თუ პირიქით? ხორბალი და ყურძენი წელს და ბერმის, თუ დღეს ხორბალი და ყურძნის დამმუშავებელი საწარმო, ხოლო მომავალ წელს — პური, ყურძნის ჯემი.

2. **როგორ** უნდა ვაწარმოოთ ეს პროდუქტები? ვინ, რომელი რესურსებიდან, როგორი ტექნოლოგიით? რა გზით უნდა მივიღოთ ელექტროობა—ნავთისა და ქვანახშირიდან, თუ ჰიდროსადგურებითა და ბირთვული რეაქტორებით? ხელოსნურ თუ მასობრივ წარმოებაში? მსხვილ, კერძო კორპორაციებში თუ სახელმწიფო ფირმებში? თუ საჭიროა ყველა სახეობა, მაშინ თითოეული მათგანი რა რაოდენობითაა გასათვალისწინებელი?

3. **ვისთვისაა** წარმოებული პროდუქტი? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ გავყოთ ეროვნული პროდუქტი ცალკეულ ინდივიდებსა და ოჯახებს შორის? უნდა იყოს თუ არა ისეთი საზოგადოება, სადაც ცოტაა მდიდრები და ბევრი ღარიბები? ან ისეთი, სადაც პროდუქტის წილი ყველასათვის თანაბარია? პრიორიტეტი მიეცეს კუნთებს თუ ინტელექტს? კარგად უნდა იკვებებოდეს ზარმაცი თუ არა?

ეს სამი პრობლემა ძირითადია ყველა ეკონომიკური სისტემისათვის. მაგრამ მათი გადაწყვეტა სხვადასხვაგვარად ხდება.

დანახარჯები და გამოშვება. ჩვენ განვსაზღვრეთ მეურნეობის სამი მთავარი ამოცანა. სასარგებლო იქნებოდა მათი ეკონომიკურ ენაზე გადმოტანა. ხშირად ამბობენ, რომ პროცესებს გააჩნიათ დანახარჯები და გამოშვება.

დანახარჯები ან წარმოების ფაქტორები წარმოადგენს წარმოების პროცესში ფირმების მიერ გამოყენებულ საქონელსა და მომსახურებას. დანახარჯები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: მიწა (და სხვა ბუნებრივი რესურსები), შრომა და კაპიტალი.

ტრადიციები, ინსტინქტი, ბრძანება და ბაზარი. პრიმიტიულ საზოგადოებაში ტრადიციები განსაზღვრავს ქცევას. „რა“, „როგორ“ და „ვისთვის“ იწარმოოს ეს განისაზღვრება თაობიდან თაობაზე გადმოცემული ტრადიციებით. სხვა ექსტრემალური ვარიანტია — მბრძანებლური ეკონომიკა, სადაც

სახელმწიფო იღებს ყველა გადაწყვეტილებას წარმოებისა და განაწილების შესახებ. ამასთან სახელმწიფო შეიძლება იყოს როგორც დიქტატორული, ასევე დემოკრატიული. სხვაგვარი ვარიანტია — კაპიტალისტური საწარმოების ეკონომიკა ან საბაზრო ეკონომიკა. მასში თვით ფასების, ბაზრების, მოგების და ზარალის სისტემა განსაზღვრავს: „რა", „როგორ", „ვისთვის". ფირმები იმ საქონელს აწარმოებენ, რომელთაც მეტი მოგება მოაქვთ (რა?); იყენებენ იმ წარმოების საშუალებებს, რომლებიც ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვენ (როგორ?); მოხმარება განისაზღვრება ხელფასით, შემოსავლით (ვისთვის?).

ცხადია, არცერთი ამ სისტემათაგანი არ ვითარდება წმინდა სახით. სხვადასხვა საზოგადოებები წარმოადგენენ ბაზრის, ბრძანებების და ტრადიციების ელემენტებთან შერეულ ეკონომიკას. ასპროცენტიანი საბაზრო ეკონომიკა არასოდეს არ ყოფილა (თუმცა ინგლისი XIX საუკუნეში მიუახლოვდა მას). დღეს აშშ-ში სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური თამაშების წესების განმტკიცებაში, განათლების განვითარებაში, პოლიციის შენახვაში, ბიზნესის რეგულირებაში, მაგრამ ქვეყანაში გადაწყვეტილებათა დიდი რაოდენობა ემყარება ბაზრისა და იქ ფასწარმოქმნის სიტუაციას.

ბ. ყველა საზოგადოებისათვის საჭირო ტექნოლოგიური ალტერნატივები

საზოგადოების საწარმოო შესაძლებლობების ზღვარი. ჩვენ ვიხილავთ საფუძველწარმომქმნელ ეკონომიკურ ფაქტს: სხვადასხვა ნაწარმის შექმნისათვის აუცილებელი რესურსების შეზღუდულობა საზოგადოებას აიძულებს არჩევანი მოახდინოს შედარებით მეტ-ნაკლებად დეფიციტურ საქონლებს შორის.

ვივარაუდოთ, რომ ყველა რესურსი გამოყენებულია ცხიმის წარმოებისათვის. დავუშვათ, მაქსიმალურად შესაძლებელი წარმოება ამ შემთხვევაში შეფასებულია 5 მლნ გირვანქით. სხვა უკიდურეს სიტუაციაში რესურსების 100% მიმართულია ქვემეხების წარმოებისათვის. მისი მაქსიმალური სიმძლავრე 15 ათასი ცალია. ეს ორი უკიდურესი შესაძლებლობაა, მათ შორის კი სხვა მრავალია.

თუ ჩვენ გვსურს უარი ვთქვათ ცხიმის გარკვეულ რაოდენობაზე, მაშინ შევძლებთ გვქონდეს ქვემეხების განსაზღვრული რაოდენობა. ამრიგად, ცხიმის ტრანფორმირება ხდება ქვემეხებში არაფიზიკურად, არამედ რესურსების გადაჯგუფების გზით.

მთლიანად დატვირთულმა ეკონომიკამ ერთი სახის საქონლის წარმოების დროს უნდა შეამციროს რომელიღაც სხვა. შენაცვლება — ეს ცხოვრების კანონია ეკონომიკაში სრული დასაქმებისას. საწარმოო შესაძლებლობების ზღვარი ასახავს საზოგადოების არჩევანს.

ეფექტიანობა ეკონომიკის მთავარი საზრუნავია. ეფექტიანობა ნიშნავს უდანაკარგობას. ჩვენი მაგალითის მიხედვით ეკონომიკა ეფექტიანად ფუნქციონირებს იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ ერთი სახის პროდუქტის წარმოების გადიდებას, მეორის წარმოების შეუმცირებლად, ე. ი. ეკონომიკა საწარმოო შესაძლებლობების ზღვარზეა. თუმცა საზოგადოება ყოველთვის არ იმყოფება ამ ზღვარზე.

უმუშევრობა და უშედეგობა. დროდადრო ისეთი სიტუაცია ყალიბდება, როცა ფართოდაა გავრცელებული სიმძლავრეებისა და რესურსების დაუტვირთაობა: სახეზეა დაუსაქმებელი მუშები, დაუტვირთავი ფაბრიკები და მიწები. ამ საზღვრებში ჩვენ შეგვიძლია გავზარდოთ ცხიმის წარმოება, ქვემეხების წარმოების შეუმცირებლად. აშშ-მა როგორ მოახერხა, რომ 1940 წ. შემდეგ „დემოკრატიის დასაყრდენად" იქცა და თავისი ცხოვრების დონე აამაღლა? მნიშვნელოვანწილად უმუშევრობის მკვეთრად შემცირებით და შესაძლებლობების საზღვრებთან მიახლოებით. სხვა სიტუაციაა რუსეთში. იქ არ იყო უმუშევრობა და დაუტვირთაობა. იგი იმყოფებოდა თავისი შესაძლებლობების დაბალ დონეზე. ამიტომ მას მოძრაობა მოუხდა „საზღვრის გასწვრივ", ე. ი. წარმოების გადაყვანა სამოქალაქოდან სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე.

თავისუფალი რესურსები იმის ერთადერთი მიზეზი არ არის, რომ ქვეყანა მოექცეს ზღვარის შიგნით. თუ მეურნეობა ეფექტიანადაა ორგანიზებული, მას შეუძლია შორს იყოს ამ ზღვრიდან. ეს ჩვენ შევნიშნეთ პოლონეთში 1981-1982 წწ.

საყოველთაო გაფიცვების შემდეგ. ნაკლებად დრამატული, მაგრამ არანაკლებ საშიშია მონოპოლიების ბატონობის ან არაეფექტიანი რეგულირების სიტუაცია, ასევე მბრძანებლური ეკონომიკის ბატონობა იმ განკარგულებებით, რომელსაც გამოსცემენ არაკომპეტენტური ბიუროკრატები.

შემოსავლიანობის შემცირების კანონი. ეს კანონი ურთიერთობას ამყარებს არა ორ საწარმოს შორის (როგორც ქვემეხი და ცხიმი), არამედ დანახარჯებსა (მაგალითად, შრომასა) და შედეგებს (მაგალითად, სიმინდს) შორის.

უფრო ზუსტად, შემოსავლიანობის შემცირების კანონი მიეკუთვნება შემცირებად დამატებით წარმოებას, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ სხვადასხვა დანახარჯების (მაგალითად, შრომის) თანაბარი დამატებითი რაოდენობის მიერთებით მეორე რესურსის (მაგალითად, მიწის) ფიქსირებულ რაოდენობაზე.

მუდმივი შემოსავლიანობა. რატომ გამოიყურება კლებადი შემოსავლიანობის კანონი დამაჯერებლად? ხშირად ჩვენ ვხედავთ, რომ თუ დავამატებთ მიწასაც და შრომასაც, ე. ი. არც ერთი რესურსთაგანი არ იქნება ფიქსირებული და ამის შედეგად გაიზრდება დაბანდებების მასშტაბები, მაშინ წარმოებაც ასევე გაიზრდება პროპორციულად და მისი ნამატიც არ შემცირდება. ასეთი სიტუაცია ცნობილია, როგორც „მუდმივი შემოსავლიანობა". რატომ უნდა შემცირდეს წარმოების ნამატი, თუ დანახარჯების ყველა სახეობაზე სხვა სახეობის დანახარჯის მუდმივი რაოდენობა მოდის? მოკლედ რომ ვთქვათ, საქმე ეხება წარმოების მასშტაბების ისეთ დაბალანსებულ ზრდას, რომლის დროსაც დანახარჯის ყველა სახეობა იზრდება თანაბარი პროპორციით.

მზარდი შემოსავლიანობა. დავუშვათ, რომ ჩვენ მარტივად ვაფართოებთ საწარმოს მასშტაბებს, ე. ი. ყველა მის ფაქტორს ვზრდით ერთდროულად და ერთნაირი პროპორციით. სამრეწველო პროცესში დანახარჯების გაორკეცებით თქვენ შესძლებთ ფაბრიკა მართოთ სხვა, უფრო ეფექტიანი წესით და ამრიგად წარმოება გაიზრდება ორჯერ და მეტად ამ მოვლენას მზარდი შემოსავლიანობა ეწოდა როგორც აღვნიშ-

ნეთ, კლებადი შემოსავლიანობის კანონის დროს ზოგიერთი ფაქტორი იცვლება, სხვების უცვლელობისას. მაშასადამე, შემოსავლიანობის ზრდის შემთხვევები არასოდეს არ ეწინააღმდეგება კლებადი შემოსავლიანობის კანონს.

მზარდ შემოსავლიანობას ხშირად უკავშირებენ მასობრივ წარმოებას, როცა გამოიყენება: 1. ადამიანის ან ცხოველის ენერგიის ხარჯვასთან დაუკავშირებელი რესურსები; 2. ავტომატიზაცია; 3. ურთიერთშემცვლელი დეტალების სტანდარტიზაცია; 4. რთული პროცესების მარტივ ოპერაციებად დაყოფა; 5. სპეციალიზაცია და შრომის დანაწილება; 6. კომპიუტერული ტექნიკა.

მზარდი შემოსავლიანობის ფაქტორის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ, თუ რატომ აწარმოებენ მსხვილი კომპანიები მრავალ პროდუქტს, რომელსაც ჩვენ ვყიდულობთ.

თავი 3

ფასების მექანიზმი შერეულ ეკონომიკაში

ა. ძირითადი ეკონომიკური პრობლემების საბაზრო გადაწყვეტა

საბაზრო, მბრძანებლური და შერეული ეკონომიკები. ჩვენ ვნახეთ ეკონომიკის ორგანიზაციის ორი ძირითადი მოდელი: დაფუძნებული საბაზრო მექანიზმზე და მბრძანებლურ მექანიზმზე.

საბაზრო მექანიზმი მეურნეობის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ეკონომიკის სამი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ინდივიდუალური მომხმარებლები და მწარმოებლები ბაზრის საშუალებით ერთმანეთზე ზემოქმედებენ. მბრძანებლური ეკონომიკის დროს რესურსების კონცენტრაციას განსაზღვრავს მთავრობა, რომელიც ინდივიდებს და ფირმებს სახელმწიფო გეგმების შესრულებას უბრძანებს.

დღეს არც ერთი ამ სახეობათაგანი არ ასახავს წმინდა სახით ამერიკის რეალურ ეკონომიკურ სისტემას. იგი წარმოადგენს „შერეულ ეკონომიკას“, სადაც კერძო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ახორციელებენ ეკონომიკურ კონტროლს: კერძო სისტემა — უხილავი წარმმართველი საბაზრო მექანიზმის საშუალებით, საზოგადოებრივი ინსტიტუტები — ადმინისტრაციული რეგულირებით და საგადასახადო სტიმულებით.

ძირითადი ეკონომიკური პრობლემების საბაზრო გადაწყვეტა. საბაზრო მექანიზმში არც ინდივიდები და არც ორგანიზაციები წინასწარი ჩანაფიქრით არ ცდილობენ ეკონომიკური პრობლემების ტრიადის — „რა“, „როგორ“, „ვისთვის“ გადაწყვეტას. მწარმოებლები და მომხმარებლები მხოლოდ ბაზარზე ხვდებიან და ფასებსა და წარმოების მოცულობას განსაზღვრავენ.

ამ ფაქტის შესაფასებლად ისეთი ქალაქი ავიღოთ, როგორიც ნიუ-იორკია. გარედან საქონლის ნაკადის გარეშე ის მუდმივად შიმშილის პირას იქნებოდა. 50 შტატიდან, დედამიწის ყველაზე უშორესი კუთხეებიდან არ წყდება საქონლის ნაკადი. ამრიგად, 10 მლნ მცხოვრებს შეუძლია ღამე მშვიდად იძინოს და არ ჰქონდეს მომაკვდინებელი შიში იმ სამეურნეო პროცესების კრახის შესაძლებლობის გამო, რომელზეც დამოკიდებულია ქალაქის არსებობა. გასაკვირია, რომ მთელი ეს საქმიანი აქტიურობა არ საჭიროებს რაიმე კორექტირებას ან მითითებებს ზემოდან.

ქაოსი კი არა, ეკონომიკური წესრიგი. უშუალოდ განხილვის დროს ჩანს, რომ საბაზრო სისტემა ქაოსისა და ანარქიის სისტემა არ არის, მასში გარკვეული წესრიგია. საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ფასების სისტემისა და ბაზრების მეშვეობით ადამიანებისა და ფირმების კოორდინაციის შეგნებული გამოყენების გამომუშავებულ მექანიზმს. ცენტრალიზებული ინტელექტის გარეშე იგი წყვეტს იმ პრობლემებს, რომლებსაც დღეს ვერ წყვეტენ ყველაზე მძლავრი ელექტროგამომთვლელი მანქანები. მას არავინ არ აპროექტებს. ის მხოლოდ ვითარდება, იცვლება, როგორც ადამიანთა საზოგადოება, მაგრამ იგი წყვეტს ყოველი საზოგადოებისათვის უპირველეს ამოცანას — სიცოცხლისუნარიანობას.

საბაზრო მექანიზმი. როგორ მუშაობს საბაზრო მექანიზმი ავტომატურად? აქ მთავარია გავიგოთ, რომ ფასებისა და განაწილების შესახებ ძირითადი გადაწყვეტილებები ბაზარზე მიიღება. ბაზარზე ჩვენ ვხედავთ პროცესს, რომლის მეშვეობით პროდუქტების გამყიდველები და მყიდველები ურთიერთზემოქმედებენ ფასებისა და პროდუქტების რაოდენობის განსაზღვრის დროს.

საბაზრო სისტემაში ყველაფერს აქვს თავისი ფასი: ყოველ საქონელს, ყოველ მომსახურებას, თვით ადამიანის სხვადასხვა სახის შრომასაც კი აქვს ფასი, რომელსაც ხელფასის დონე ეწოდება. ყოველი ჩვენთაგანი გაყიდვით ღებულობს შემოსავალს და მას იყენებს იმის საყიდლად, რაც მას სურს. თუ რომელიმე პროდუქტი (დავუშვათ, ხორბალი) მყიდველებს მეტი სჭირდებათ, ისინი მეტს იყიდიან, გამყიდველები კი ხორბალს გააძვირებენ, რათა მოახდინონ მიწოდების შეზღუდვის ნორმირება, ხოლო მაღალი ფასები მათ აიძულებს მეტი ხორბალი აწარმოონ. მეორე მხრივ: რა მოხდება თუ საქონელი (დაუშვათ, ჩაი) იმაზე მეტია, ვიდრე ადამიანებს სურთ მისი ყიდვა? გამყიდველები იმით შეშფოთებულნი, თუ როგორ მოიცილონ ჩაის მარაგი, შეამცირებენ მასზე ფასს. თუ ჩაიზე დაბალი ფასები იქნება, ადამიანები მას მეტს იყიდიან, ხოლო მწარმოებლები მას ადრინდელი ოდენობით აღარ გამოუშვებენ. ამრიგად, გამყიდველებსა და მყიდველებს შორის აღდგება თანაფარდობა. იგივეა დამახასიათებელი წარმოების ფაქტორების — მიწის, შრომის, კაპიტალის — ბაზრისათვის.

სამი პრობლემის გადაწყვეტა. თუ ჩვენ ავიღებთ ყველა სხვადასხვა ბაზარს ერთობლიობაში, შემოწმებისა და შეცდომების გზით მივიღებთ ფასებისა და წარმოების წონასწორობის უზრუნველმყოფელ ფართო სისტემას. მყიდველებსა და გამყიდველებს (მოთხოვნასა და მიწოდებას) შორის შეთანხმებით თითოეულ ამ ბაზარზე ეკონომიკა ერთდროულად წყვეტს ყველა ამ პრობლემას.

პირველი მათგანი — „რა ვაწარმოოთ“ — განისაზღვრება მომხმარებლის დოლარის ხმის მიცემით (არა ერთ, ორ ან ოთხ წელიწადში ერთხელ საარჩევნო უბანზე, არამედ ყოველდღე), ამა თუ იმ საქონლის შერჩევით ყიდვით.

მეორე — „როგორ ვაწარმოოთ“ — განისაზღვრება სხვა-

დასხვა მწარმებლებს შორის კონკურენციით. ფასწარმოქმნის კონკურენციაში გამარჯვების და მოგების გადიდების ერთადერთი გზა მწარმოებლისათვის არის წარმოების უფრო ეფექტიანი მეთოდების გამოყენებით ხარჯების შენარჩუნება მინიმალურ დონეზე.

მესამე — „ვისთვის ვაწარმოოთ“ — განპირობებულია წარმოების ფაქტორების ბაზრებზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით. ეს ბაზრები განსაზღვრავენ ხელფასის, რენტის, სარგებლის და მოგების დონეს, ე. ი. იმ წყაროებს, რომელთაგანაც ყალიბდება ადამიანების შემოსავლები.

ვინ მართავს? შეგვიძლია ვთქვათ ვინ დგას საბაზრო ეკონომიკის სათავეში? როგორც ვნახეთ, მას მართავს ორი მონარქი: მომხმარებელი და ტექნიკის დონე. მომხმარებლები უშუალოდ, თავისი გემოვნების შესაბამისად (უკანასკნელი მეღავნდება დოლარის ხმის მიცემის გზით), განსაზღვრავენ საით წარიმართოს საზოგადოების რესურსები. მაგრამ ტექნიკის დონე მნიშვნელოვნად ზღუდავს მომხმარებელს. ეკონომიკას არ შეუძლია თავისი საწარმოო შესაძლებლობების ფარგლებიდან გამოხტომა. მომხმარებლის ხმა თავისთავად არ განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა იწარმოოს. მოთხოვნა აწყდება განსაზღვრულ მიწოდებას. მწარმოებლები ტოვებენ არარენტაბელურ დარგებს და მაღალმომგებიანი დარგების ერთმანეთთან შერევით აწესებენ თავის ფასებს წარმოების ხარჯების საფუძველზე. ამრიგად, წარმოების ორგანიზატორების გადაწყვეტილება ხარჯებისა და მიწოდების შესახებ, სამომხმარებლო მოთხოვნილებასთან ერთად, გვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რა იწარმოოს. საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაში მეტად მნიშვნელოვანია მოგების როლი .მოგება განსაზღვრავს წახალისებასაც და დასჯასაც. სამეურნეო საქმიანობისათვის. მოგება .აიძულებს ფირმებს დამკვიდრდნენ იმ სფეროში, რომელთა საქონელზეც მომხმარებლის მეტი მოთხოვნაა და დატოვონ ის სფეროები, სადაც ეს მოთხოვნა უმცირესია, ასევე გამოიყენონ წარმოების უფრო ეფექტიანი ტექნოლოგია.

სახელმწიფოს სამი ფუნქცია. სახელმწიფოს როლის შესახებ მსჯელობის დროს ჩვენ საერთოდ ვამბობთ, რომ ის ადგენს საქმიანობის წესებს. მაგრამ რაა მისი ფუნქციები? ეს ფუნქციებია: ეფექტიანობა, სამართლიანობა და სტაბილურობა. სახელმწიფოს საქმიანობის ეფექტიანობა მდგომარეობს ბაზრის ისეთი „შეცდომების" გამოსწორებაში, როგორიცაა, მაგალითად, მონოპოლია. სამართლიანობის დაცვის მიზნით სახელმწიფოებრივი პროგრამები ითვალისწინებენ შემოსავლის გადანაწილებას ღარიბებისა და უღარიბესთა სასარგებლოდ. მასტაბილირებელი პოლიტიკა მდგომარეობს საქმიანი ციკლის რეგულირებაში, უმუშევრობისა და ინფლაციის შეკავებაში, ეკონომიკური ზრდის ხელის შეწყობაში. განვიხილოთ ეს ფუნქციები.

ეფექტიანობა. თანამედროვე ეკონომიკა ხშირად ზარალდება საბაზრო კონიუნქტურის განსაზღვრის დროს დაშვებული შეცდომებისაგან. ასეთი სახის შეცდომების კონკრეტული მაგალითები მრავალია, ნებისმიერ შემთხვევაში ეს შეცდომები განაპირობებს წარმოებისა და მოხმარების არაეფექტიანობას და სწორედ აქ არის სახელმწიფოს საქმიანობის ასპარეზი ამ ავადმყოფობის შესასწავლად. მაგრამ ეკონომიკური ავადმყოფობის სამკურნალოდ სახელმწიფოს როლის განვითარების დროს ჩვენ უნდა ველოდოთ „სახელმწიფო შეცდომებს", ე. ი. ისეთ სიტუაციას, როდესაც უკვე თვით სახელმწიფო იწვევს ავადმყოფობას ან ამწვავებს მას.

არასრულყოფილი კონკურენცია. სერიოზული საშიშროება იმალება მონოპოლიასა და არასრულყოფილ კონკურენციაში. სრულყოფილი კონკურენცია ითვალისწინებს საკმაო რაოდენობის მწარმოებლებს, რათა არც ერთ ფირმას არ შეეძლოს განსაზღვროს საქონლის ფასი. „არასრულყოფილი კონკურენცია" წარმოიშობა მაშინ, როცა რომელიმე კონკურენტს შეუძლია იმოქმედოს ფასზე. რეალურად თითქმის ყველა მფლობელი, შესაძლოა გარდა მილიონობით ფერმერისა, ჩაბმულნი იყვნენ არათავისუფალ კონკურენციაში.

ეკონომიკური ცხოვრება შედგება კონკურენციისა და მონოპოლიის ელემენტებისაგან. უმეტესობას შეესაბამება არა-

თავისუფალი კონკურენციის მოდელი. მაგრამ თუ ფირმას შეუძლია ფასზე იმოქმედოს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ფასს კარნახობს. მხედველობაში მისაღებია საქონელშემცვლელი და ფირმების ხელმძღვანელები, მუშებიც მრავალმნიშვნელოვნად ეკიდებიან კონკურენციას. ჩვენ ყველას გვიყვარს იგი მაშინ, როცა ის აფართოებს ბაზარს. მაგრამ ჩვენ კონკურენციას არაპატიოსნად ვთვლით, თუ ის ამცირებს ჩვენს მოგებას. როდესაც მონოპოლიათა ძალა მნიშვნელოვანი ხდება, ჩვენ ვამჩნევთ მაღალ ფასებს, მიწოდებისა და მოთხოვნის შეუსაბამობას, ზემოგებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი რეკლამისათვის ან კანონმდებლების მოსასყიდადაც კი.

სახელმწიფო არ ითვალისწინებს მონოპოლიას გარდუვალად. ჯერ კიდევ 1890 წლიდან აშშ-ის მთავრობა იყენებს ანტიტრესტულ კანონებსა და ეკონომიკურ რეგულირებას ჩვენი არასრულყოფილი საბაზრო სისტემის გასაუმჯობესებლად.

გარე მიზეზები. სხვა გზა, რომელზე გავლითაც გახთავისუფლებული საბაზრო მექანიზმი წარმოშობს არაეფექტიან წარმოებას, დაკავშირებულია გარე ფაქტორებთან. ბაზრის მიღმა მრავალი ურთიერთკავშირი წარმოიქმნება. მაგალითად, ფირმა ისეთ დეფიციტურ რესურსს იყენებს, როგორიცაა სუფთა ჰაერი ან წყალი და არ ანაზღაურებს იმ ხარჯებს, რომელსაც აუცილებლად წარმოშობს მათი გამოყენება.

საზოგადოებრივი სიკეთე. ფირმების ფუჭი ხარჯების თავიდან აცილება შეიძლება, რეგულირების საშუალებით, მაგრამ ის საკმარისი არ არის იმ საქონლის წარმოების შესანარჩუნებლად, რომელსაც მთელი საზოგადოება იყენებს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ეკონომიკურ საქმიანობასთან, რომლის გადაცემაც კერძო საწარმოებისათვის შეუძლებელია. მაგალითებად შეიძლება გამოდგეს თავდაცვისუნარიანობის, შინაგანი წესრიგის, გზატკეცილების მშენებლობის, მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა.

გადასახადები. ჩვენ დროში სახელმწიფო ხარჯების დიდი რაოდენობა გადასახადებიდან იფარება. ესაა რეგულირების მნიშვნელოვანი ფორმა: თითოეული ჩვენთაგანი წარმოადგენს საგადასახადო კანონების სუბიექტს.

სამართლიანობა. მოდით წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკა

ფუნქციონირებს ასპროცენტიანი ეფექტიანობით, მაგრამ ბევრი მას მაინც არ ჩათვლის იდეალურად. რატომ? მდიდარი მეპატრონის კატას შეუძლია დალიოს რძე, რომელიც აუცილებელია ღარიბი ოჯახის ბავშვისათვის, რათა ის ჯანმრთელი იყოს. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ცუდად მუშაობს მიწოდება დ მოთხოვნა. საბაზრო მექანიზმმა თავისი საქმე გააკეთა — საქონელი გაუგზავნა მას, რომელმაც ხმა მისცა მას ფულით. ფასების მექანიზმის დამცველებმა და კრიტიკოსებმა უნდა აღიარონ, რომ ეფექტიანი საბაზრო სისტემა აკვლავაწარმოებს არსებით უთანაბრობას. თუ ქვეყანა ხარჯავს მეტ პროდუქტს ცხოველებისათვის, ვიდრე ღარიბების განათლებისათვის, ეს არა ბაზრის, არამედ შემოსავლების განაწილების დეფექტია. სახელმწიფოს შეუძლია ამ სიტუაციის შეცვლა გადანაწილების პოლიტიკის საშუალებით, რომელიც ვლინდება უპირველესად პროგრესულ დაბეგვრაში; მეორეც, შემოსავლების შენარჩუნებაში (მოხუცების, შრომისუუნარობის, მრავალშვილიანების დახმარება, უმუშევრების დაზღვევა და ა. შ.).

რას დაუმატებს ამას ეკონომისტი? დიახ, იგი ვერ შეძლებს განსაზღვროს შემოსავლის რა ნაწილი უნდა გადაეცეს ღარიბ ოჯახებს, მაგრამ გააანალიზებს სხვადასხვა გადანაწილებითი სისტემების ეკონომიკურ ხარჯებსა და სარგებლიანობას. ეკონომისტები აანალიზებენ: იწვევს თუ არა სხვადასხვა გადანაწილებითი ღონისძიებები საზოგადოებრივ დანაკარგებს, როგორი შეიძლება იყოს კომპენსაციის წესები.

სტაბილურობა. ეფექტიანობისა და სამართლიანობის გარდა სახელმწიფო ჩართულია ეკონომიკური სტაბილურობის დაცვის მაკროეკონომიკურ ფუნქციაში. დღეს ჯ. კეინსის ღვაწლის, მისი მიმდევრებისა და კრიტიკოსების წყალობით ჩვენ უკეთ გვაქვს წარმოდგენილი, როგორ ვაკონტროლოთ ეკონომიკური ციკლის აღმასვლა და დაცემა. ახლა ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო ფინანსური და საგადასახადო პოლიტიკის ფრთხილი გამოყენების შედეგად შესაძლებელია ზემოქმედება წარმოების, დასაქმების, ინფლაციის დონეზე.

სახელმწიფოს საქმიანობის სამი სახის მიმოხილვა გვიჩვენებს, თუ აშშ-ს 1980-იან წლებში რატომ უწოდებენ „შერეული ეკონომიკის“ ქვეყანას. საბაზრო მექანიზმი განსაზღვრავს

ფასებსა და წარმოებას მრავალ სფეროში მაშინ, როდესაც სახელმწიფო აწესრიგებს ბაზარს დაბეგვრის, ხარჯების, რეგულირების საშუალებით. ორივე მხარე — ბაზარი და სახელმწიფო — არსებითია. ეკონომიკის მართვა ერთის ან მეორის გარეშე იგივეა, რაც ტაშის დაკვრა ერთი ხელით.

3. კაპიტალი, შრომის დანაწილება და ფული

აღსანიშნავია თანამედროვე საზოგადოების სამი მნიშვნელოვანი თავისებურება:

— თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგია ეყრდნობა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს, ე. ი. მსხვილი ფაბრიკების საწარმოო მოწყობილობის, მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების საწყობებისათვის სულ უფრო მეტი რაოდენობით გამოყენებას.

— დღევანდელი ეკონომიკური სისტემა ხასიათდება ს პ ე ც ი ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ა და შ რ ო მ ი ს დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს სულ უფრო მზარდი დონით;

— ჩვენი სისტემა სულ უფრო მეტად აფართოებს ფ უ ლ ი ს გამოყენების სფეროს.

კაპიტალი. ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ საქონელი იქმნება შრომის დახარჯვისა და მიწის შედეგად. კაპიტალი წარმოადგენს სხვა სახის ფაქტორს, ის პირველადი ფაქტორებისაგან იმით განსხვავდება, რომ არის ხარჯების ნაწილი და ამავე დროს წარმოადგენს შრომის პროდუქტს.

კაპიტალი და დრო. მეხუთე განყოფილებაში ჩვენ ვნახავთ, რომ სარგებელი წარმოადგენს შრომისა და მიწის ფასს. რადგანაც სარგებლის განაკვეთი არის სარგებელი გარკვეული დროისათვის ,ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ კაპიტალისა და დროის განსაკუთრებულ ურთიერთობას. ჩვენ ვნახავთ: კაპიტალის არსია ის, რომ იგი არაპირდაპირი გზით დროის დაზოგავ მეთოდებს მოიცავს.

ზრდა მიმდინარე მოხმარების ხარჯზე. ეკონომიკური აქტივობის ძირითადი ნაწილი მიმართულია მომავლისაკენ. ყოველთვის, როცა ვაშენებთ ახალ ფაბრიკას, ვზრდით კომპიუტერების რაოდენობას, წლების რიცხვს ან სწავლების ხარისხს, ვაჩქარებთ გამოკვლევათა ვადებს — ჩვენ ვზრდით ეკონომიკის მომავალ ნაყოფიერებას. ჩვენი მიმდინარე ცხოვ-

რების დონე წარსულში დაბანდებულის შედეგია.

კაპიტალი და კერძო საკუთრება. კაპიტალი აუცილებელია ნებისმიერი ეკონომიკისათვის, რადგან ზრდის მწარმოებლურობას. ეს მართებულია საბჭოთა კომუნიზმისათვისაც და ამერიკული კაპიტალიზმისათვისაც, მაგრამ არის მეტად მნიშვნელოვანი განსხვავებაც. ის, რაც ამერიკული სისტემისათვის გამონაკლისია (წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება), კომუნისტური საზოგადოებისათვის წარმოადგენს წესს. აქ შემოსავალი კაპიტალიდან სახელმწიფოს ეკუთვნის და არა უშუალოდ ინდივიდს. სახელმწიფო განსაზღვრავს, როგორ უნდა განაწილდეს ეს შემოსავალი. ჩვენს სისტემაში ინდივიდუალური კაპიტალისტი ფლობს სარგებელს, დივიდენდს, მოგებას, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მესაკუთრის უფლება ინდივიდისათვის შეფარდებითი და შეზღუდულია. საზოგადოება განსაზღვრავს, რა შეიძლება გადაეცეს მემკვიდრეობით, აწესებს გადასახადებს და ა. შ.

სპეციალიზაცია, გაცვლა, შრომის დანაწილება. ფუნქციის სპეციალიზაცია თითოეულ ადამიანს ან რეგიონს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენოს თავისი უპირატესობა, თავისი სპეციფიკა წესებსა ან რესურსებში. ჯერ კიდევ პირველყოფილი ეკონომიკის დროს ადამიანები გაერკვნენ შრომის დანაწილების მთელ სიკეთეში, იმაში, რომ უკეთესია ერთმა თევზი დაიჭიროს, სხვებმა ინადირონ, შემდეგ კი გაცვალონ თავიანთი შრომის შედეგები. სპეციალიზაციისაგან მიღებული შრომის ნაყოფიერების ზრდის ილუსტრაციისათვის ადამ სმიტს მოპყავს ნემსების წარმოების კლასიკური მაგალითი.

ისევე როგორც მზისა და ღვინის სიჭარბე, სპეციალიზაციის სიჭარბეც მავნეა. პირველი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად ეფექტიანობისა, სპეციალიზაციას შეუძლია მუშაობა მონოტონური და უაზრო გახადოს. გავიხსენოთ ჩარლი ჩაპლინის ფილმი „ახალი დროება". სპეციალიზაცია ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ განვითარებას. მეორე პრობლემა, რომელსაც სპეციალიზაცია იწვევს — ურთიერთდამოკიდებულებაა. დღეს მრავალი მუშა აწარმოებს რთულ საბოლოო პროდუქტს, მაგალითად, ფორდის ამკრებ კონვეიერზე ჭანჭიკს უჭერს. ამის სანაცვლოდ მუშას შეუძლია იყიდოს საქონელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ამგვარად,

სპეციალიზაცია იწვევს საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულებას.

ფულის გამოყენება. კაპიტალთან და სპეციალიზაციასთან ერთად, ფული წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების მესამე ნიშანს. ფულის გამოყენების გარეშე ჩვენი სპეციალიზაცია და გაცვლა წარმოუდგენელია. პრიმიტიულ ეკონომიკაში შესაძლებელია საქონელთა პირდაპირი გაცვლა. მაგრამ, დღევანდელი გაცვლა ყველა ეკონომიკაში — კაპიტალისტურსა თუ კომუნისტურში — გაშუალებულია ფულით. რა არის ფული? ესაა გაცვლის საშუალება, საკვებისა და კინოს, მანქანებისა და სწავლისათვის გადახდის საშუალება. ესაა ვალიუტა და ანგარიშები. საოჯახო მეურნეობაში ფული მიმოიქცევა საქონელთა მოძრაობის საპირისპიროდ.

თავი 4

მოთხოვნისა და მიწოდების ელემენტარული საფუძვლები. საბაზრო მექანიზმი

ჩვენი ამოცანაა გავაანალიზოთ, როგორ ხდება საბაზრო სისტემის პირობებში ფულით ხმის მიცემა. ამ მიზნით განვიხილოთ მოთხოვნისა და მიწოდების თეორია. მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი სიტუაცია: თქვენ დილით იღვიძებთ დაუოკებელი სურვილით — იყიდოთ ახალი სტერეოსისტემა. ამასთან, თქვენ ალბათ არც კი გიფიქრიათ: „ახლა მე წავალ საარჩევნო უბანში და ხმას მივცემ იმ სენატორს ან პრეზიდენტს, რომელიც მე მისი შეძენის უკეთეს პირობებს შემიქმნის". ან კიდევ ასეთი მაგალითი: თუ როგორ შეუძლია ჩვენს სურვილს კარტოფილის ხორცით შეცვლა? უკანასკნელ ასწლეულში ადამიანთა კვების ჩვევებში ნამდვილი რევოლუცია მოხდა. თუ სწავლობთ გასული საუკუნის ანგარიშებს, თქვენ იქ ბევრ კარტოფილს, შვრიას, შაქარსა და ლუდს ნახავთ. დღეს კი ოჯახებს აქვთ ბევრი ხორცი, შაქარი და პარკოსნები. რით უნდა აიხსნას ეს რევოლუცია. ის მოხდა გემოვნებისა და ტექნოლოგიის შეცვლის შედეგად, რაც გამოიწვია მიწოდებისა და მოთხოვნის ძალებმა.

მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზი. დავიწყოთ მოთხოვნით. საერთოდ ცნობილია, რომ ნაყიდი საქონლის რაოდენობა დამოკიდებულია მათ ფასზე. რაც უფრო მაღალია ფასი, მით უფრო ნაკლები რაოდენობის საქონელს ყიდულობს ხალხი და პირიქით.

ამგვარად, დროის რაღაც მონაკვეთში არსებობს განსაზღვრული ურთიერთობა საქონლის საბაზრო ფასსა და მასზე მოთხოვნის ფულად გამოხატულებას შორის. ამ ურთიერთობას უწოდებენ „მოთხოვნის გრაფიკს“ ანუ „მოთხოვნის მრუდს“. ასეთი მრუდი თუ გამოვსახავთ მას გრაფიკულად, მიდის ქვევით — ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, სადაც ვერტიკალური ღერძი ფასისაა, ხოლო ჰორიზონტალური — მოთხოვნის, რაც განპირობებულია კლებადი მოთხოვნის კანონით. ამ კანონის მიხედვით, თუ ფასები საქონელზე იზრდება (სხვა თანაბარ პირობებში), მაშინ მოთხოვნა მცირდება. თუ მწარმოებლები გადაწყვეტენ დღეს აწარმოონ საქონელი ბაზრისათვის მეტი, ვიდრე გუშინ, მაშინ მათი ნამეტი რაოდენობა შეიძლება მხოლოდ უფრო დაბალი ფასით გაიყიდოს.

აღსანიშნავია, რომ მარტო ფასები არ განსაზღვრავს ნაყიდი საქონლის რაოდენობას. გარდა ამისა, არსებობს ოთხი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი: პირველი (ეს მთავარი ფაქტორია), მყიდველების საშუალო შემოსავალი; მეორე, ბაზრის სიდიდე; მესამე, ფასი და სხვა საქონლის სარგებლიანობა, კერძოდ, საქონელ-სუბსტიტუტები; დაბოლოს, გარდა ამ ობიექტური ფაქტორებისა, არის სუბიექტური გემოვნება და უპირატესობის მინიჭება.

მოთხოვნის მრუდი დროდადრო იცვლება. ის მხოლოდ სახელმძღვანელოებშია უცვლელი. ასეთი მდგომარეობის მიზეზი კი ფასგარეშე ფაქტორებშია. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ აშშ-ში ავტომობილებზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი გაზრდა 1950—1985 წლებში. რა არის ამის მიზეზი? პირველი: ორჯერ გაიზარდა შემოსავალი, რამაც გაზარდა მოთხოვნა; მეორე, თითქმის 1,5-ჯერ გაიზარდა მოზარდთა რაოდენობა, რამაც გაზარდა პოტენციური მძღოლების არმია; მესამე, ტრანსპორტის ალტერნატიული სახეების (ავტობუსი,

ტროლეიბუსი, მატარებელი) ხელმისაწვდომობის საერთო შემცირება.

ახლა თქვენი ყურადღება უნდა გავამახვილოთ მიწოდებაზე. „მიწოდების გრაფიკი", ან „მიწოდების მრუდი" გვიჩვენებს თანაფარდობას საბაზრო ფასებსა და საქონელთა რაოდენობას შორის, რომელსაც მისაწოდებლად ამზადებენ საქონელმწარმოებლები.

მოთხოვნის დაცემადი მრუდის საწინააღმდეგოდ მიწოდების მრუდი ჩვეულებრივად წამოიწევა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. რა ფაქტორები ზემოქმედებს მიწოდების მრუდეზე? საქონელს აწარმოებენ ფირმები. კონკურენციაში მყოფი ფირმები ამას აკეთებენ არა ალტრუისტული მოსაზრებებით, არამედ მოგებისათვის. ისინი აწარმოებენ მეტ ხორბალს, თუ მასზე ფასები იზრდება, იმიტომ, რომ მათთვის ეს ხელსაყრელია, და პირიქით. ამგვარად, მთავარი ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს მიწოდებაზე, წარმოების ხარჯებია. რას შეუძლია შესცვალოს ისინი და შესაბამისად დაძრას მიწოდების მრუდი? ტექნიკურ პროგრესს. ახალი სათესი მასალები, უფრო ეფექტური ტრაქტორი, თესლბრუნვის უკეთესი კომპიუტერული პროგრამა — ყოველივე ეს შესაძლებლობას აძლევს ფერმერ სმიტს შეამციროს წარმოების ხარჯები და შეცვალოს თავისი საქონლის მიწოდება. საწარმოო ხარჯები — გრძელვადიანი ზემოქმედების მთავარი ელემენტია მიწოდების მრუდზე, მაგრამ მასთან ერთად არსებობენ სხვებიც. მაგალითად, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია, ეს იმოქმედებს ფასების ზრდაზე წარმოების ნებისმიერი დონის პირობებში. ზოგიერთ შემთხვევაში ფასის ცვლილება მოცემულ საქონელზე გაპირობებულია ფასების მოძრაობით სხვა საქონლებზე.

მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა. მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზის საფუძველზე ვარკვევთ, როგორ განისაზღვრება საბაზრო ფასი. ჩვენ ვხედავთ, რომ საბაზრო ფასების წონასწორობა დგინდება ისეთი ფასებისა და საქონელთა რაოდენობის დროს, როდესაც დაბალანსებულია ბაზარზე მომქმედი ძალები, ე. ი. მაშინ, როდესაც რა რაოდენობითაც უნდათ ყიდვა მყიდველებს შეესაბამება რა რაოდე-

ნობითაც, უნდათ გაყიდვა გამყიდველებს. და როდესაც აღარ არის ფასებისა და საქონელთა რაოდენობის შეცვლის ტენდენცია. წონასწორობის ფასი, ეს ისეთი დონის ფასია, რომლის დროსაც მიწოდება შეესაბამება მოთხოვნას. კონკურენციულ ბაზარზე წონასწორობის ფასი მდებარეობს მოთხოვნისა და მიწოდების მრუდეების გადაკვეთის წერტილში.

სამი დაბრკოლება. შევჩერდეთ სამ მომენტზე, რომელმაც ჩააფიქრა სტუდენტების არა ერთი თაობა. პირველი დაკავშირებულია იმასთან, რომ ვხაზავთ რა მოთხოვნისა და მიწოდების მრუდებს, ჩვენ ვვარაუდობთ სხვა ფაქტორების უცვლელობას. მეორე დაკავშირებულია განსხვავებასთან მრუდის მოძრაობასა და მრუდზე მოძრაობას შორის. მესამე — იმასთან, თუ მოთხოვნა და მიწოდება რომელი აზრით არიან ტოლნი წონასწორობის წერტილში.

„სხვა თანაბარ პირობებში“. ხორბალზე მოთხოვნის მრუდის გამოსახვისას ჩვენ ვცვლით მის ფასს და ვუყურებთ რა მოსდის გასაყიდი საქონლის რაოდენობას დროის იმ მონაკვეთში, როდესაც სხვა ფაქტორები არ იცვლება, ჩვენ ვტოვებთ ადრინდულად ოჯახის შემოსავალს, ფასებს შემცვლელ-საქონლებზე. რატომ? იმიტომ, რომ არ შეგვიძლია ჩავატაროთ ლაბორატორიული ექსპერიმენტი და რომელიმე კონკრეტული ფაქტორის ეფექტის დასადგენად ჩვენ აბსტრაგირება უნდა მოვახდინოთ სხვებისაგან.

მოძრაობა მრუდზე და თვით მრუდის მოძრაობა. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ერთიმეორეში არ ავურიოთ მოთხოვნის გაზრდა (რაც იწვევს მოთხოვნის მრუდის ადგილიდან დაძვრას) და ნაყიდების გადიდება (როგორც ფასების დაცემასთან დაკავშირებული მოძრაობის შედეგი მოთხოვნის მრუდზე).

ცუდი მოსავალი ფასებს გაზრდის, რადგან მიწოდების მრუდის დაძვრა მაღლა ასწევს ხორბლის წონასწორობის ფასს. უფრო მაღალი წონასწორობის ფასი შეამცირებს მოთხოვნის დონეს, რადგან მოხმარება გადაინაცვლებს დაცემადი მოთხოვნის მრუდის გასწვრივ. მაგრამ მასში არავითარი ძვრა არ მოხდება, რადგან ობიექტური საფუძველი არ გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ფასი დაეცემა მოთხოვნის შემცირების შედეგად.

წონასწორობის აზრი. მესამე დაბრკოლება შეიძლება ასე გამოვხატოთ: „რა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა განსაზღვრავს წონასწორობის ფასს? საქონელთა გარკვეულ რაოდენობას ხომ ყიდის ერთი, იგივეს ხომ სხვა ყიდულობს. რაოდენობანი ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს ფასისაგან დამოუკიდებლად". პასუხი ასეთია: „გადაკვეთის წერტილში ემთხვევა რა რაოდენობის ყიდვასაც მოისურვებს მომხმარებელი, ხოლო მწარმოებელი — გაყიდვას. და მხოლოდ ასეთი ფასის დროს, როდესაც ეს ყიდვისა და გაყიდვის სასურველი გეგმები ერთიმეორეს ემთხვევა, ფასს შეცვლის ტენდენცია არა აქვს".

რას იწვევს მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა? საერთო წონასწორობას. საქონლები ნაწილდება მათ შესაძლო მომხმარებლებს შორის. ვინ აკეთებს ამას? საგეგმო ორგანო? კანონმდებელი? არა. საბაზრო ფასწარმოქმნის მექანიზმი.

საბაზრო მექანიზმი წყვეტს პრობლემებს „რა", „როგორ" და „ვისთვის" აწარმოო, ამასთან ერთდროულად ბევრი ურთიერთდაკავშირებული ბაზრისათვის, რადგანაც აღიარებს იმას, რომ მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები განსაზღვრავს ფასებსა და საქონლის რაოდენობას. ფასების წონასწორობის ეს ურთიერთდამოკიდებულება ბაზრის საერთო წონასწორობაა, რასაც მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავს.

მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები ბაზრის იდეალური სურათია. ისინი სრულად ვერ აღწერენ, რა ხდება თითოეულ კონკრეტულ მომენტში, კონკრეტულ ბაზარზე. საჭირო არ არის ვილაპარაკოთ, რომ აბსოლუტურად წმიდა კონკურენციის მოთხოვნა ისევე ძნელია შესრულდეს, როგორც აბსოლუტური ვაკუუმის მოთხოვნა ფიზიკაში. ჩვენ ქვემოთ, IV ნაწილში დავინახავთ, თუ როგორ ერევა მონოპოლიის ელემენტები ზევით აღწერილი მოდელის ფუნქციონირებაში.

ნაწილი II. მაკროეკონომიკა: წარმოებისა და ფასების მერყეობა

თავი 5

მაკროეკონომიკის მიმოხილვა: ერთობლივი მიწოდება და ერთობლივი მოთხოვნა

მიკროეკონომიკა წარმოდგენას იძლევა ინდივიდუალური ფასებისა და სხვა ანალოგიური სიდიდის დონეთა მოძრაობის შესახებ, მაგალითად, თუ როგორ იზრდება მარცვლეულის ფასი, ხოლო ბამბისა — ეცემა. მიკროეკონომიკას საქმე აქვს კავშირთა რთულ სისტემასთან, რომელიც საბაზრო მექანიზმად არის ცნობილი.

მაკროეკონომიკა კი დაკავშირებულია ერთ მთლიან ეკონომიკასთან, ეკონომიკურ ცხოვრებასთან ფართო პლანით. ეს არის მოძღვრება წარმოების, დასაქმების, უმუშევრობისა და ფასების ეროვნული დონის შესახებ.

მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა ურთიერთზემოქმედებენ. როგორც ფსიქოლოგიის ელემენტერალური ცოდნის გარეშე ვერ გავიგებთ ბრბოს ქცევას, ასევე მიწოდებისა და მოთხოვნის მიკრომექანიზმის არსის აუხსნელად ვერ გავაანალიზებთ ეკონომიკის მაკრომოძრაობას.

ა. მაკროეკონომიკური პროგლემები

დღეს მაკროეკონომიკის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. მაკროეკონომიკური მოვლენები უმთავრეს როლს ასრულებს ერის მიღწევებსა და მარცხში. ერმა თავის ეკონომიკურ მდგომარეობაზე შეიძლება იმოქმედოს ეკონომიკური პოლიტიკით (ხარჯები, გადასახადები, მათი ცვალებადობა, ფულის გადახდა და მიმოქცევა). მაკროეკონომიკის ირგვლივ კამათი პოლიტიკური პარტიების ან მათი კანდიდატების პლატფორმებში განსაზღვრული დებულებებისა და დასკვნების სახით აისახება.

მაკროეკონომიკის მიზნები და ინსტრუმენტები. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნები და ინსტრუმენტებია:

მიზნები	ინსტრუმენტები
წარმოების მოცულობა:	**ფისკალური პოლიტიკა:**
როგორც ფაქტობრივი, ისე შეფარდებითი პოტენციალის მაღალი დონე	სამთავრობო შემოსავლები
ზრდის მაღალი ტემპები	საგადასახადო სისტემა
დასაქმება:	**ფულადი პოლიტიკა:**
დასაქმების მაღალი დონე.	ფულის მიწოდებაზე კონტროლი სარგებლის განაკვეთის საშუალებით
დაბალი იძულებითი უმუშევრობა	**შემოსავლების რეგულირების პოლიტიკა:**
ფასების სტაბილური დონე თავისუფალ ბაზარზე, საგარეო ბალანსი.	ხელფასისა და ფასების თავისუფალი დადგენიდან დეკრეტულ კონტროლამდე.
ექსპორტისა და იმპორტის წონასწორობა	**საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა:**
გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია.	სავაჭრო პოლიტიკა
	გაცვლითი კურსის რეგულირება.

მიზნები. დავიწყოთ წარმოების მოცულობით, რომელიც ამჟამად ეკონომიკური ზრდის ძირითადი მაჩვენებელია. ქვეყანაში ბევრია მომგებიანი საქონლის მწარმოებელი და მომსახურების გაწევის სწრაფი ზრდის უნარის მქონე საწარმო. წარმოების მოცულობის მრავალი მაჩვენებელი არსებობს, მაგრამ უფრო სრულყოფილი, ყოვლისმომცველია ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ემპ).

ზრდის ტენდენციის განსასაზღვრავად გამოიყენება წარმოების პოტენციური მოცულობა, რომელიც გამოხატავს მის შესაძლებელ მაქსიმუმს. წარმოების პოტენციური მოცულობა მიიღწევა დასაქმების ზრდით, ასევე ინფლაციის გადიდებით. უმუშევრობის მაღალი დონის დროს ინფლაცია მცირდება. ამასთან არსებობს უმუშევრობის პრო-

ცენტის ზღვარი, რასაც მისი „ბუნებრივი“ დონე ეწოდება. დღეს ეს მაჩვენებელი სამუშაო ძალის თითქმის 6 პროცენტს მოიცავს. თუ უმუშევრობა ამ ზღვარს ქვემოთ დაეცა, ინფლაცია ძლიერდება. ჩვენ წარმოების პოტენციურ მოცულობად ვთვლით რეალური ᲔᲔᲠ-ის იმ დონეს, რომელიც უმუშევრობის ბუნებრივ დონეს შეესაბამება.

წარმოების პოტენციურ მოცულობასა და ფაქტიურ ᲔᲔᲠ-ს შორის განსხვავება არის ᲔᲔᲠ-ის დეფიციტი, რომელიც გამოხატავს საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას, რაც დაიკარგა დასაქმების მაღალი პოტენციალის ქვემოთ ეკონომიკური განვითარების დაცემით.

ამასთან აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების პოტენციური მოცულობა არ გამოხატავს ეკონომიკური სიმძლავრეების ფიზიკურ ზღვარს, ხოლო ᲔᲔᲠ-ის დეფიციტი ცუდი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი როდია

დასაქმება და უმუშევრობა. ადამიანებს სურთ ჰქონდეთ კარგი სამუშაო კარგი ხელფასით და იმის შესაძლებლობა, რომ ადვილად იშოვონ ასეთი სამუშაო. მაღალი დასაქმების მიღწევა მხოლოდ ეკონომიკურ მიზანს როდი ისახავს. იძულებითი უმუშევრობა ოჯახში ფინანსურ სიძნელეებთან ერთად იწვევს ეკონომიკურ სტრესს, რასაც ფსიქოლოგიურ და სოციალურ ურთიერთობებში თან ახლავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დანაკარგები.

ფასები და ინფლაცია. თავისუფალ ბაზარზე სტაბილური ფასების შენარჩუნება განაპირობებს ნულთან მიახლოებულ ინფლაციის დონეს. „თავისუფალი ბაზრის“ მხარდაჭერა აშშ-ში პოლიტიკური კონცეფციების საბაზრო მოთხოვნაა. ფასების ერთობლივი დონის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი), რომელიც შემდეგნაირად გაიანგარიშება:

სამომხმარებლო ფასების

$$\text{სფი}\% = \frac{\text{სფი (მიმდინარე წლის)} - \text{სფი (გასული წლის)}}{\text{სფი (გასული წლის)}}$$

სტაბილური ფასების შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტის დროს ნათელია, რომ ერთი მხრივ, სასურველი არ არის

აბსოლუტურად მკაცრი ფასების დაწესება, როგორც ეს ხდება კომუნისტურ ქვეყნებში, მეორე მხრივ, როცა ეკონომიკა უბრუნდება ნატურალურ საქონელმიმოქცევას, მეტად მნიშვნელოვანია ჰიპერინფლაციის თავიდან აშორება.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. საგარეო დისბალანსი სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემაა, რომელიც, პირველ რიგში, ეხება „ღია ეკონომიკას", ისეთს, როგორიც დამახასიათებელია, მაგალითად, კანადისათვის, ბრიტანეთისათვის ან ნიდერლანდებისათვის. აქ საგარეო დეფიციტის შემცირება ცენტრალური ეკონომიკური პრობლემაა.

ინსტრუმენტები. ფისკალური პოლიტიკა. მაკროეკონომიკური ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი მთავარია სამთავრობო ხარჯები და გადასახადები, რომლებიც ფისკალური პოლიტიკის ელემენტებია. სამთავრობო ხარჯები ერთობლივი ხარჯების განმსაზღვრელია, რომლის ზეგავლენითაც ხდება რეალური ᲔᲗᲐ-ის მოკლევადიანი რყევა.

საგადასახადო სისტემა. მაკროეკონომიკაში ორგვარ როლს ასრულებს: ჯერ ერთი, გადასახადები ამცირებს მოსახლეობის შემოსავლებს. ყოველგვარი გადასახადი აქვეითებს სამომხმარებლო ხარჯებს, რაც, თავის მხრივ, ერთობლივი მოთხოვნისა და წარმოებული ᲔᲗᲐ-ის შემცირებას იწვევს. მეორეც, გადასახადებს შეუძლია გავლენა იქონიოს წარმოების მოცულობის პოტენციურ დონეზე. მაგალითად, 1981 წ. რეიგანის ადმინისტრაციამ ახალ დარგებში ინვესტიციებიდან შემოსავლებზე გადასახადები შეამცირა, რამაც გაზარდა მეწარმეთა კაპიტალდაბანდება წარმოებაში, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და პოტენციურად გადიდდა ᲔᲗᲐ.

ფული. მაკროეკონომიკის მეორე მთავარი ინსტრუმენტია ფულადი პოლიტიკა. ფულის მასის მატების დაჩქარება ან შენელება ზრდის ან ამცირებს სარგებლის განაკვეთს, ხელს უწყობს ან აბრკოლებს ინვესტიციებს განივთებულს შენობებში, მიწაში, მოწყობილობებში და ა. შ. „ძვირფასი ფულის" პერიოდებში სარგებლის მაღალი დონე ამცირებს ᲔᲗᲐ-ს და ანელებს ინფლაციას.

შემოსავლების პოლიტიკა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის მესამე მიმართულებას შეიძლება ვუწოდოთ „ხელფასი —

ფასის“ პოლიტიკა. როცა ინფლაციაზე კონტროლი პოლიტიკის მთავარ მიზნად იქცევა, მთავრობა პოულობს სტაბილური ფასების გარანტირების გზებს. ინფლაციის შენელების ტრადიციული საშუალებები იყო ფულის მიწოდების ზრდის და სამთავრობო ხარჯების შეზღუდვა. ასეთი ნაბიჯები ამცირებს რეალურ ეეპ-ს, ხელფასისა და ინფლაციის დონეს.

60-70-იანი წლების მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით ეს სტრატეგია ძალიან ძვირია, იგი ინფლაციის მხოლოდ რამდენიმე პუნქტით შემცირებისათვისაც კი მილიარდობით ხარჯებს მოითხოვს. ამიტომ შემოსავლების პოლიტიკა — მაკროეკონომიკის ინსტრუმენტი — დღემდე მეტად გაცხოველებულ კამათს იწვევს.

საგარეო კავშირები. ეს მიმართულება მოიცავს ინსტრუმენტების ისეთ ფართო ნაკრებს, როგორიცაა: გაცვლითი კურსის მართვა, კონტროლის განმტკიცება საგარეო ვაჭრობაზე, ტარიფებზე და სუბსიდიებზე, საგარეო ვაჭრობის სტაბილიზაციის მიზნით თვით უმუშევრობის სტიმულირებასაც კი.

ინსტრუმენტები და მიზნები პრაქტიკაში. ეკონომიკურად განვითარებული ყოველი ქვეყნის მთავრობა უნდა ფლობდეს მაკროეკონომიკის ინსტრუმენტებს, ზუსტად განსაზღვრავდეს მის მიზნებს. მაკროეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს ალტერნატიული მიზნების არჩევას. ერს არ შეუძლია ერთდროულად უზრუნველყოს მოხმარების მაღალი დონე და სწრაფი ეკონომიკური ზრდა. ინფლაცია შეიძლება შემცირდეს მაღალი უმუშევრობის და წარმოების დაბალი ტემპების პერიოდებში, ან „ხელფასი-ფასის“ პოლიტიკის მეშვეობით თავისუფალი ბაზრის მოქმედებაში სახელმწიფოს ჩარევით. ყოველგვარ მაკროეკონომიკურ სიტუაციაში ურთულესია სწორი არჩევანის გაკეთება ინფლაციასა და უმუშევრობას შორის.

ბ. ერთობლივი მიწოდება და ერთობლივი მოთხოვნა

ერთობლივი მიწოდება (ემ). განპირობებულია პროდუქციის გამოშვების იმ მოცულობით, რომელსაც მეწარმენი აწარმოებენ და ყიდიან საწარმოო სიმძლავრეებისა და დანახარჯებზე ჩვეულებრივი ფასების დაწესებით. მეწარმეთა მიზანია წარმოების პოტენციური მოცულობის მიღწევა. ამიტომ

ერთობლივი მიწოდება მჭიდრო კავშირშია წარმოების პოტენციურ მოცულობასთან. რა ახდენს გავლენას უკანასკნელზე და რას წარმოადგენს ემ? ემ განისაზღვრება საწარმოო დანახარჯების (მათ შორის უფრო მნიშვნელოვანია შრომა და კაპიტალი) სიდიდით და ამ დანახარჯების მწარმოებლურობით (საზოგადოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონე).

ერთობლივი მოთხოვნა (ემთ). ემთ-ის მართვის ფაქტორებია ფასების დონე, მოსახლეობის შემოსავალი, მისი განზრახვა მომავალში, ასევე გადასახადები, სახელმწიფო შესყიდვები ანუ ფულის მიწოდება.

ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მრუდები. წარმოვიდგინოთ გრაფიკი, რომლის ვერტიკალურ ღერძზე გამოცალკევებულია სფი-ით გაზომილი ფასების საერთო დონე, ჰორიზონტალურზე — რეალური ეეპ-ით წარმოდგენილი წარმოების საერთო მოცულობა.

მარცხნიდან მარჯვნივ დაშვებული ხაზი — ემთ მრუდია. მარცხნიდან მარჯვნივ ამართული — ემ მრუდია. ემთ-ის და ემ-ის თანაფარდობა განსაზღვრავს მოცემულ პერიოდში ჩამოყალიბებულ ეეპ-ის და სფი-ის რეალურ დონეს. საერთო წონასწორობა მიიღწევა ემთ-ს და ემ-ს გადაკვეთის წერტილებში და ნიშნავს, რომ გამყიდველები და მყიდველები დაკმაყოფილებულნი არიან, ე. ი. ფასების დონე ისეთია, რომ მყიდველები მზად არიან იყიდონ სწორედ იმდენი, რამდენის წარმოებაც და გაყიდვაც შეუძლიათ გამყიდველებს.

ემეთ-ის და ემ-ის მრუდეთა დახრილობა. ზემოაღნიშნულ მრუდებს რატომ გააჩნიათ დახრილობა? დავიწყოთ ემთ მრუდით. მისი ქვევით დახრილობა გვიჩვენებს, რომ ხარჯების მოცულობა იზრდება, თუ ფასების საერთო დონე ეცემა; ფასების დაბალი დონე იწვევს საერთო მოხმარების ამაღლებას.

დღეისათვის ემთ მრუდის ზუსტი სახე მაკროეკონომიკის სპეციალისტების ინტენსიური განსჯის საგანია. მათი უმეტესობის მოსაზრებით, ძლიერ ხანგრძლივ პერიოდებში ეს მრუდი ზუსტ ვერტიკალურ ხაზად იქცევა. მაგრამ ხანმოკლე და საშუალო პერიოდებისათვის იგი მიმართულია ზევით სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

ერთობლივი მიწოდება გრძელვადიან და მოკლევადიან ასპექტებში. მრუდი ემ მოკლევადიან პერიოდებში, ჩვეულებ-

რივ წლის მანძილზე, მდორედ იწევს ზევით და უჩვენებს, რომ მოთხოვნილების ზრდის დროს ფირმებიც ზრდიან ფასებს და წარმოების მოცულობას. ეს იმიტომ ხდება, რომ არსებობს დანახარჯების დროებით ფიქსირებული ელემენტები — ხელფასი, რენტა და ა. შ. ამ დროებით ფიქსირებული დანახარჯებიდან უმნიშვნელოვანესია ხელფასი. ფირმების უმეტესობას შრომით კავშირებთან გრძელვადიანი შეთანხმებები აქვს. ასეთი შეთანხმებები ჩვეულებრივ იდება სამი წლის ვადით და ფასების ცვლილებების შესაბამისი კორექტირებით ზუსტად განსაზღვრავს ხელფასის ზომას. ამრიგად, თუ მომხმარებლები (მეწარმენი) მოითხოვენ მეტ მანქანებს, სატვირთო ავტომობილებს ან სხვა საქონელს, ფირმები თავის მხრივ რეაგირებას მოახდენენ ფასების გადიდებით, მიიღებენ მაღალ მოგებას და მეტ პროდუქციას აწარმოებენ.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, თუ მოკლევადიან პერიოდში მრუდი ემ ზევით იწევს, მაშინ გრძელვადიან პერიოდში იგი ვერტიკალური იქნება, რადგან ერთხელ ფიქსირებული ხელფასი მალე ავა ზევით და რეაგირებას მოახდენს ფასების ზრდაზე. ამრიგად, მრუდი ემ გრძელვადიან პერიოდში მიიღებს პოტენციალის ტოლი წარმოების მოცულობის ვერტიკალური წრფის სახეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანახარჯებზე თავდაპირველი პერიოდის მსგავსი ფასების წინაშე აღმოჩენისას ფირმები კარგავენ წარმოების მოცულობის ზრდის სტიმულს და ემ მრუდი ვერტიკალური ხაზის სახეს ღებულობს.

წარმოების მოცულობა მოკლე და გრძელვადიან ასპექტებში. ამ პერიოდებში წარმოების მოცულობის განსაზღვრისათვის ემთ მრუდის ფორმას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ვადების გაგრძელების მიხედვით წარმოების მოცულობა უახლოვდება პოტენციურს, ხოლო მისი მოკლევადიანი მოძრაობა ძირითადად ხარჯებში აისახება.

გრძელვადიან პერიოდებში ერთობლივი მოთხოვნილება წარმოების რეალური მოცულობის ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა. თუ ხაზი ემთ ვერტიკალურია, წარმოების რეალური მოცულობა განისაზღვრება მხოლოდ წარმოების პოტენციური მოცულობის დონით. ერთობლივი მოთხოვნა ცვლის ფასების დონეს, მაგრამ არა წარმოების რეალური მოცულობის დონეს.

ეკონომიკური პოლიტიკა. თანამედროვე ეკონომიკაზე მოქმედი მაკროეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა იმ „დარტყმების“ ხასიათის განსაზღვრა, რომლებიც ამოძრავებენ ემ და ემთ მრუდების შესაბამის ღონისძიებათა შემუშავებაში.

თავი 6

ეროვნული პროდუქტის გაზომვა. ეკონომიკური დაბანდებების კრიტერიუმები

რეალური და ნომინალური ეეპ. „დეფლაცია“ ფასების ინდექსის მეშვეობით. ეეპ-ის გასაზომად იყენებენ საბაზრო ფასებს, მაგრამ ეს ჰგავს რეზინის სახაზავით გაზომვას, რადგან ინფლაცია ფასებს სულ მეტად და მეტად ზრდის. ასეთი ელასტიური სახაზავით გაზომვისას დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად იყენებენ ფასების ინდექსს, რომელიც შეწონილი ფასებია. ფასების ინდექსი „ამცირებს“ მიმდინარე ანუ „ნომინალურ“ ეეპ-ს და მას „რეალურ“ ეეპ-ად გადააქცევს.

ნომინალური ეეპ-ის რეალურ ეეპ-თან შეფარდება წარმოადგენს „ეეპ-ის ფასს“, რომელსაც „ეეპ-ის დეფლიატორი“ ეწოდება.

ეროვნული პროდუქტის ორი საზომი: საქონლის ნაკადი და შემოსავლების ნაკადი. „პროდუქციის ნაკადის“ მეთოდი. ყოველწლიურად საზოგადოება მოიხმარს საბოლოო საქონლისა და მომსახურების ფართო ნაკრებს. საბოლოო პროდუქციაზე მომხმარებელთა მიერ დახარჯული დოლარების ჯამი გვიჩვენებს გამარტივებულ საერთო ეეპ-ს. ამრიგად, ეეპ განისაზღვრება, როგორც ერის მიერ წარმოებული საბოლოო პროდუქციის ნაკადის საერთო ფულადი შეფასება. ეეპ მოიცავს სახელმწიფოს ხარჯს საქონელსა და მომსახურებაზე და კერძო ინვესტიციებს.

„შემოსავლების ანუ დანახარჯების ნაკადის“ მეთოდი. მეორე მეთოდი შესაძლებლობას იძლევა ეეპ განვიხილოთ იმ შემოსავლების (ხელფასი, სარგებელი, რენტა, მოგება) მიხედვით, რომელიც საზოგადოების მიერ საბოლოო პროდუქტის წარმოებისათვის დანახარჯებს წარმოადგენს (ასეთი გა-

მარტივებული მოდელის დაკონკრეტებისათვის მასში უნდა შეგიდეს ასევე გადასახადები და მთავრობის ტრანსფერტული სტატიები).

ორი მეთოდის ტოლფასობა. ეეპ, ერთი მხრივ, შეიძლება გაიზომოს, როგორც საბოლოო პროდუქციის ნაკადი, მაგრამ, მეორე მხრივ, სტატისტიკისათვის მოსახერხებელია მისი გაზომვა პროდუქციის წარმოების დანახარჯების (ან შემოსავლების) საშუალებით. თუ მოგებას განვსაზღვრავთ, როგორც დანახარჯებზე გარდამეტს, მაშინ ორივე მეთოდი ერთი და იგივე შედეგს მოგვცემს.

„ორმაგი ანგარიშის" პრობლემა. როგორც ვიცით, ეეპ წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების შედეგია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „შუალედი საქონელი", ე. ი. ისეთი პროდუქტი, რომელიც გამოიყენება სხვა საქონლის წარმოებისათვის, ანგარიშში არ ჩაერთვება. „შუალედი საქონელი" იმ ბლოკის შიგნით იმყოფება, რომელსაც ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ „მეწარმენი" („ბიზნესი"). ამ საქონელს მომხმარებელი არასოდეს არ ყიდულობს და ამრიგად, იგი ემპ-ში არ შედის, როგორც საბოლოო პროდუქცია.

„დამატებითი ღირებულება" წარმოადგენს სხვაობას ფირმების მიერ რეალიზებული საქონლისა და სხვა ფირმებისაგან შეძენილი მასალებისა და მომსახურების ფასს შორის.

ეროვნული ანგარიშების დეტალები

1. ეროვნული ანგარიშების მიმოხილვა

პროდუქციის ნაკადის გაანგარიშების მეთოდი	შემოსავლების ნაკადების გაანგარიშების მეთოდი
ეეპ-ის კომპონენტები	შემოსავლები, დანახარჯები, როგორც ეეპ-ის წყაროები
მოხმარება	ხელფასი
ერთობლივი შინაგანი ინვესტიციები	სარგებელი და სხვა ქონებრივი შემოსავლები (საკუთრებაზე)
მთავრობა	არაპირდაპირი გადასახადები
წმინდა ექსპორტი	საამორტიზაციო ანარიცხები
ტოლია: ეეპ	მოგება
მინუს ამორტიზაციის ანარიცხები	ტოლია: ეეპ
ტოლია: წეპ (წმინდა ეროვნული პროდუქტი)	მინუს საამორტიზაციო ხარჯები
	ტოლია: წეპ

ინვესტიციები და კაპიტალდაბანდებები. ინვესტიციები (ანუ კაპიტალდაბანდებები) შედგება წლის მანძილზე წარმოებული სახლებისაგან, ფაბრიკებისაგან, სატვირთო მანქანებისა და ინვენტარისაგან. ეკონომისტებისათვის ინვენსტიციები ყოველთვის ნიშნავს ფიზიკურ, რეალურ კაპიტალდაბანდებებს. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი ინვესტიციებს უწოდებს ჩვეულებრივ ცვლილებებს თავის ანგარიშებში, აქციების ყიდვაში ან დამზოგველი ანგარიშების გახსნაში.

თუ ადამიანები საზოგადოებრივი საწარმოო შესაძლებლობების ნაწილის კაპიტალდაბანდებებისათვის გამოყენებას ამჯობინებენ მის მოხმარებას, სტატისტიკა ამას თვლის წარმოების მოცულობად და ეეპ-ში შეაქვს. მაშასადამე, ჩვენ უნდა დავაზუსტოთ ჩვენი განმარტება.

ეეპ წარმოადგენს მთელი საბოლოო პროდუქციის ჯამს, სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებასთან ერთად მასში შედის ერთობლივი ინვესტიციებიც.

წმინდა და ერთობლივი ინვესტიციები მოიცავს წლის განმავლობაში აშენებულ ყველა ფაბრიკასა და სახლს, წარმოებულ მანქანას, თუნდაც ის ძველი კაპიტალის შესაცვლელად იყოს ნაყიდი.

წმინდა ინვესტიციები ყოველთვის კაპიტალის დაბანდების შესაბამისია (ერთობლივი ინვესტიციები გაცვეთილი კაპიტალის — საამორტიზაციო ანარიცხების, გამოკლებით).

ეეპ-დან წეპ-მდე. ერთობლივი ინვესტიციების უფრო ზუსტი განსაზღვრა შეიძლება თვით საამორტიზაციო ანარიცხების შეფასების გარეშეც. ამ მიზეზის გამო მთავრობა ამჯობინებს ჯერ გაიანგარიშოს ეეპ, ხოლო შემდეგ წეპ. როგორ შეიძლება გამოვაცალკეოთ წეპ ეეპ-დან?

ეეპ განისაზღვრება, როგორც საბოლოო პროდუქციის ჯამი: ეს არის სამომხმარებლო საქონელი პლუს ერთობლივი ინვესტიციები (როგორც შემდეგ ვნახავთ), სამთავრობო შესყიდვები. წეპ მოიცავს მხოლოდ მოხმარებას, სამთავრობო შესყიდვებს პლუს წმინდა ინვესტიციები.

სამთავრობო ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე. ამ მომენტამდე, მომხმარებლის შესახებ მსჯელობის დროს ჩვენ გამოვრიცხავდით მათ შორის ყველაზე უმსხვილესს — ფედე-

რალურ მთავრობას და ადგილობრივ ორგანოებს. ჩვენ ისინიც კერძო მომხმარებლებთან ერთად უნდა ჩავრთოთ ანგარიშში, როგორ გავაკეთოთ ეს? აშშ-ს და გეო-ს შემოსავლების სტატისტიკოსებთან გარკვეული კამათის შემდეგ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ყველაზე მარტივი მეთოდი — ნაკადების მეთოდი: მოხმარება (მ); ერთობლივი კერძო ინვესტიციები (ი); ყველა სამთავრობო ხარჯი საქონელსა და მომსახურებაზე (მხ) ანუ მ+ი+მხ.

ტრანსფერტული გადასახდელების გამორიცხვა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სამთავრობო გადასახდელების ყოველი დოლარი შეუერთდება ეეპ-ს? დაბეჯითებით, არა. თუ თქვენ მთავრობისაგან მიიღეთ სოციალური დაზღვევის ჩეკი, ჩვენ მას მივაკუთვნებთ გადასახდელებს, მაგრამ ეეპ-ში არ შევიტანთ, რატომ? იმიტომ, რომ ასეთი გადასახდელები არ არის სამთავრობო ხარჯები ამ წლის საქონელსა და მომსახურებაზე. ისინი წარმოადგენენ ტ რ ა ნ ს ფ ე რ ტ უ ლ ს, გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ შ ე მ ო ს ა ვ ლ ე ბ ს, რომელიც სულ სხვა საფუძველზე აღმოცენდება, ვიდრე ანაზღაურება სამუშაოებისათვის ან სხვა მიმდინარე მომსახურებისათვის.

მხ-ით გაზომილი ეროვნული ანგარიში არ უნდა აურიოთ მთავრობის ოფიციალურ ბიუჯეტთან. როცა სახელმწიფო ხაზინა ანგარიშობს თავის ხარჯს, ის ითვალისწინებს საქონლისა და მომსახურების ხარჯს ტრანსფერტულთან ერთად.

გადასახადების ანალიზი. პროდუქციის ნაკადის ანგარიშის მეთოდი გამორიცხავს გადასახადებს, მაგრამ როგორ მოვექცეთ შემოსავლების გაანგარიშების მეთოდს, სადაც გადასახადების გათვალისწინება აუცილებელია? საქმე ისაა, რომ როცა მე სახელმწიფოს ვუხდი საშემოსავლო გადასახადს, მე ვაძლევ ჩემი ხელფასის ნაწილს და ის წარმოადგენს „შემოსავლების“ სისტემის კომპონენტს. ეს ეხება აგრეთვე სხვა პირდაპირ გადასახადებსაც. მაგალითად, გადასახადს სარგებელზე, რენტასა და მოგებაზე.

არაპირდაპირი გადასახადები კი, რომელსაც იხდიან მრეწველები და ვაჭრები, ამონაგები თანხიდან საქონლის ღირებულებაში შედის.

იმპორტი და ექსპორტი. აშშ-ს აქვს ღია ეკონომიკა. ის აწარმოებს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის ექს-

პორტს. ჩვენ პირობით შეგვაქვს ეროვნულ ანგარიშებში წმინდა პროდუქტი, როგორც ინვესტიციების ნაწილი და აი რატომ. თუ ერს აქვს ექსპორტის დადებითი სალდო (უცხოელებს მიაყიდის მეტს, ვიდრე ყიდულობს), მაშინ ამგვარად ის ახორციელებს ინვესტიციურ დაბანდებას (წმინდა ექსპორტის ღირებულება) საზღვარგარეთ. ასეთ კომპონენტს ეწოდება „წმინდა უცხოური ინვესტიციები". ჩვენ ვაერთიანებთ წმინდა უცხოურ ინვესტიციებს საშინაო ინვესტიციებთან საერთო ინვესტიციების (ი) მისაღებად.

ᲔᲗᲐ (ᲬᲔᲗᲐ) ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲛ�პᲝᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲛᲘ: 1. ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲮᲐᲠᲯᲘᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡᲐᲓᲐᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲖᲔ; 2. ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲯᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲦᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲡ; 3. ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲮᲐᲠᲯᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ (ᲞᲨ). ᲞᲨ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ, Ე. Ი. ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲢᲖᲔ. ᲞᲨ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲐᲘᲠᲐᲓ: „ᲬᲔᲗᲐ-Ს ᲒᲐᲛᲝᲐᲙᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲘ, ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲨ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲡ.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ (ᲞᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ) ჩვენ ვღებულობთ პერსონალური გადასახადების გამოცალკევებით პირადი შემოსავლისაგან. განაწილებადი შემოსავალი კი ნამდვილად ხვდება საზოგადოების ხელში შემდგომი განაწილების მიზნით.

ᲔᲗᲐ-ᲓᲐᲜ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ (ᲬᲔᲙ)

ᲔᲗᲐ არ იძლევა ეკონომიკური კეთილდღეობის დამაკმაყოფილებელ სურათს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მოიცავს რიგ ისეთ ელემენტს, რომელიც უშუალოდ არ ასახავს ინდივიდუალურ კეთილდღეობას; მეორეც, იმის გამო, რომ კეთილდღეო-

ბის მთავარი ელემენტები გვერდავლილია. მაშასადამე, ეეპ არის ერის ნამდვილი კეთილდღეობის არასრულყოფილი მაჩვენებელი. მაგრამ როგორც წინათ ვნახეთ, ეეპ-ის შედგენილობა შეიძლება გამოვიყენოთ სრულყოფილი მაჩვენებლის — „წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობის“ (წეკ) მისაღებად.

პლუსები: დასვენების მაგალითი. დაუშვათ, თქვენი გამდიდრების გამო გადაწყვიტეთ ნაკლები საათები იმუშაოთ, ხოლო ფიზიკური კმაყოფილება მიიღოთ დასვენებისაგან. მაშინ ეეპ შემცირდება, თუნდაც იზრდებოდეს კეთილდღეობა. დასვენებით მიღებული ფიზიკური კმაყოფილების კორექტირებისათვის დადებითად უნდა შესწორდეს ეეპ, წეკ-ის მისაღებად.

მინუსები. ჩრდილოვანი ეკონომიკა. უკანასკნელ ხანებში მრავალი ეკონომისტი წერს ჩრდილოვანი ეკონომიკის ფეთქებადი ზრდის შესახებ. არსებობს მისი ღია აქტივობის ორი ტიპი: პირველის საქმიანობას უკუჩვენება აქვს (ნარკოტიკებით ვაჭრობა, დაქირავებული მკვლელების მომსახურებით სარგებლობა). მეორე, ლეგალური, მაგრამ არარეგისტრირებული დაუბეგრავი საქმიანობაა (დაუშვათ, ხუროს მუშაობა, რომელიც აშენებს დადგენილი წესით არარეგისტრირებულ გარაჟს).

საერთოდ ეროვნული ანგარიშები გამორიცხავს არალეგალურ საქმიანობას ეროვნული პროდუქტის შემქმნელი სამუშაოების თანრიგიდან. მაგალითად, კოკაინით ვაჭრობა არ შევა არც ეეპ-ში და არც წეკ-ში.

თ ა ვ ი 7

მოხმარება და ინვესტიციები

ამ და მომდევნო თავებში განხილული ინსტრუმენტები ქმნის ინტელექტუალურ ბირთვს, რომელსაც „კეინსური ეკონომიკა“ ეწოდება.

შეგახსენებთ, რომ მოხმარება არის მოსახლეობის ხარჯი საქონელსა და მომსახურებაზე, ეს ეეპ-ის ელემენტია, რომელიც უკანასკნელ ათწლეულში მოიცავს საერთო ხარჯის 65 პროცენტს.

ჩვენი კვლევის ანალიზურ ინსტრუმენტს წარმოადგენს მოხმარების ფუნქცია, რომელიც, ჩვენი აზრით, არის საერთო სამომხმარებლო ხარჯის შეფარდება საკუთარი შემოსავლის დონესთან.

მოსახლეობის ხარჯის სტრუქტურა. არ არსებობს ორი ისეთი ოჯახი, რომელიც თავის ფულს აბსოლუტურად ერთნაირად ხარჯავდეს. შემოსავლების სხვადასხვა დონის მოსახლეობის ხარჯის სქემები ატარებს „ქცევის ხარისხობრივი სქემების" სახეს. მათ ეწოდება „ენგელის კანონები", XIX საუკუნის პრუსიელი სტატისტიკოსის ერნსტ ენგელის სახელის მიხედვით.

რას გვიჩვენებენ ისინი? ღარიბმა ოჯახებმა უდავოა მეტი უნდა დახარჯოს სიცოცხლისათვის აუცილებელ საშუალებებზე — საკვებსა და ბინაზე. შემოსავლების ზრდის მიხედვით ხარჯები უმეტესად „საკვებისათვის" მატულობს. ადამიანები მეტი რაოდენობით იძენენ სასურსათო საქონელს და თანაც უკეთესი ხარისხისას.

მაგრამ მაინც არსებობს იმ ფულადი სახრსების ზღვარი, რაც დაიხარჯება საკვებზე შემოსავლების ზრდასთან ერთად. შემოსავლების ზრდის შესაბამისად მცირდება საკვებზე ხარჯების წილი. ასეთი ზრდითვე სტაბილიზდება აგრეთვე მოსახლეობის უმეტესობის დანახარჯების წილიც ბინაზე.

ხარჯი ჩასაცმელზე, გასართობებსა და ავტომობილზე, საერთოდ ძვირადღირებულ საგნებზე იზრდება შემოსავალთან შედარებით მეტი პროპორციით.

მოხმარება, დანაზოგი და შემოსავალი. იმის დასადგენად, თუ დანაზოგი და ინვესტიციები როგორ განსაზღვრავს ეროვნული წარმოებისა და დასაქმების დონეს, ჩვენ დეტალურად უნდა განვიხილოთ: მოხმარების ფუნქცია (მოხმარებისა და შემოსავლის თანაფარდობა მოძრაობაში) და დანაზოგის ფუნ-

ქცია (დანაზოგისა და შემოსავლის თანაფარდობა მოძრაობაში).

მოხმარების ფუნქცია. წარმოვიდგინოთ გრაფიკი, სადაც ჰორიზონტალური ღერძი წარმოადგენს საკუთარ შემოსავალს, ვერტიკალური კი — მოსახლეობის ხარჯს. ხაზი, რომელიც გავლებულია ასეთ გრაფიკზე 45° კუთხით, მოხმარების დონის მაჩვენებელია. იგი ადასტურებს, რომ საკუთარი შემოსავლის დონე ყოველ ასეთ ოჯახში იძლევა ზარალის გარეშე ცხოვრების შესაძლებლობას (13 ათასი დოლარი 1984 წ.). მოხმარების ზრდა შემოსავალზე არის „დანაზოგის წმინდა მოხმარება".

თუ მოხმარების ფუნქცია 45°-ის ხაზის ზევითაა, ოჯახები მოიხმარენ დანაზოგს. თუ ორი ხაზი შეხვდა 45° ზევით გავლებულ წერტილში, ეს ასახავს ისეთ სიტუაციას, როცა ოჯახები ხარჯებს ძლივს ფარავენ. თუ ფუნქცია იმყოფება ხაზის 45°-ის ქვევით, ოჯახებს აქვთ პოზიტიური წმინდა დანაზოგი. დანაზოგის მოხმარების ან თვით დანაზოგის ჯამი განიზომება ორ მრუდს შორის ვერტიკალზე არსებული დისტანციით.

დანაზოგის ფუნქცია. გრაფიკულად ეს ფუნქცია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ჰორიზონტალური ხაზი გამოხატავს საკუთარ შემოსავალს, ვერტიკალური კი — დანაზოგს (წმინდას) დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობით. ეს ფუნქცია წარმოებულია წინა გრაფიკიდან და წარმოადგენს დისტანციას მოხმარების ფუნქციასა და 45°-ის კუთხით გავლებულ ხაზს შორის. დანაზოგის არარსებობა ნაჩვენებია ჰორიზონტალური ხაზის ნულოვანის ქვევით, დადებითი დანაზოგი — მის ზევით.

ზღვრული მიდრეკილება დაზოგვისაკენ. მომდევნო თავში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმ დამატებით თანხაზე, რომლის დახარჯვა ადამიანებს შეუძლიათ მოხმარებისათვის დამატებითი დოლარის მიღების შემთხვევაში. ეკონომისტებს აქ აინტერესებთ მოვლენა, რომელსაც ისინი უწოდებენ „ზღვრულ მიდრეკილებას მოხმარებისაკენ", ანუ ზმმ.

სიტყვა „ზღვრული" აქ გამოიყენება „დამატებითის" მნიშვნელობით, ზღვრული ღირებულება შემდგომ განმარტებული იქნება, როგორც დამატებით წარმოებული პროდუქციის ერთეულის დამატებითი ღირებულება, ზღვრული სარგებლიანობა — როგორც დამატებითი სარგებლიანობა მოხმარებულ ერ-

თეულზე, ზღვრული შემოსავალი — როგორც დამატებითი შემოსავალი რეალიზებული საქონლის (მომსახურების) ერთეულზე და ა. შ.

როგორ გავიანგარიშოთ ზღვრული მიდრეკილება მოხმარებისაკენ? დაუშვათ, თუ შემოსავალი იზრდება 1000 დოლარით (13 ათასი დოლარიდან 14 ათასამდე), მაშინ ბევრით გაიზრდება თუ არა მოხმარება? მოხმარება გაიზრდება 13 ათასი დოლარიდან 13850 დოლარამდე, ანუ 850 დოლარით (150 იქცა დანაზოგად). ამრიგად, დამატებითმა მოთხოვნილებამ შეადგინა დამატებითი შემოსავალი — 85 პროცენტი. ყოველი დამატებითი დოლარი შემოსავლიდან 85 ცენტი მოიხმარება, ხოლო 15 ცენტი დაიზოგება.

ზღვრული მიდრეკილება მოხმარებისაკენ, როგორც გეომეტრიული დახრილობა. ზმმ გრაფიკზე ასახულია მოხმარების ფუნქციის დახრილობა. მკვეთრი დახრილობა შეესაბამება მაღალ ზმმ-ს, დამრეცი დახრილობა — დაბალ ზმმ-ს.

ზღვრული მიდრეკილება დაზოგვისაკენ (ზმდ). ზმმ-თან ერთად მიაბიჯებს აგრეთვე მისი ანარეკლი ზმდ. იგი განისაზღვრება როგორც ყოველი დამატებითი დოლარის შემოსავლის ნაწილი, რომელიც გადადის დამატებით დანაზოგში.

მოხმარება ერისათვის. საკუთარი შემოსავალი. შემოსავალი ეს ეროვნული მოხმარების ცენტრალური ფაქტორია. მოხმარება და საკუთრივ შემოსავალი მჭიდრო კავშირში არიან. თუ ავაგებთ მოხმარებისა და შემოსავლის მრუდებს, დავინახავთ, როგორ ახლოს არიან ისინი 1929 წლიდან 1984 წლამდე. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს აღინიშნა მათი დაშორება, რაც გამოიწვია იძულებითმა დაზოგვამ და წარმოებული საქონლის მცირე რაოდენობამ.

მუდმივი შემოსავალი ანუ შემოსავალი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. დამტკიცებულია, რომ მომხმარებელი შემოსავლის მიღების დროს ითვალისწინებს გრძელვადიან პერსპექტივას. ამ პერსპექტივას ეწოდება მუდმივი შემოსავალი ანუ შემოსავალი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე და შეესაბამება შემოსავლის იმ დონეს, რომელსაც ადამიანი იღებს საშუალოდ კარგი თუ ცუდი „ეკონომიკური ამინდის" პირობებში. სასიცოცხლო ციკლის მოდელის კონცეფცია დაამუშავა

ფრანკო მოდილიანმა, ხოლო ზუდმიკი შემოსავლის თეორია — მ. ფრიდმანმა.

სიმდიდრე. ორი მომხმარებლიდან, რომელთა გამომუშავება წლიურად 25 ათასი დოლარია, ერთს ბანკში აქვს 100 ათასი. ასეთ მომხმარებელს გაკოტრების არ ეშინია და მეტს იყიდის. ამას „სიმდიდრის ეფექტი" ეწოდება.

სხვა ზემოქმედებანი. დროდადრო ეკონომისტები აღნიშნავენ დაზოგვისა და მოხმარების დეტერმინატებს. მაგალითად, უკანასკნელ ათწლეულებში დასახელებულია მიზეზები: დიდი გადასახადი და მცირე სარგებელი დანაზოგზე. პრეზიდენტ რ. რეიგანის ეკონომიკური კონსულტანტების საბჭოს თავმჯდომარემ მ. ფელდსტეინმა დაამუშავა თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ სოციალური დაზღვევის სისტემა ამცირებს ინდივიდუალურ დანაზოგს, რადგან ორიენტაციას იღებენ სამთავრობო პენსიაზე.

მოხმარების ეროვნული ფუნქცია. შეიძლება აიგოს დიაგრამა, რომლის ყოველ წერტილში ასახულია წლიური მოხმარებისა და შემოსავლის დონე რამდენიმე წლისათვის. ამ წერტილებზე გავლებული ხაზი არის „მოხმარების ემპირიული ფუნქცია". ამ ფუნქციის ღრმა ანალიზიდან ჩანს, რომ შემოსავლის ყოველი დოლარიდან ამერიკელები ზოგავენ 7 ცენტს და მოიხმარენ 93 ცენტს.

ბ. ინვესტიციების არასტაბილურობა

კერძო პირთა ხარჯების მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია ინვესტიციები, რომელიც მაკროეკონომიკაში ორგვარ როლს ასრულებს. პირველი, რადგან იგი გვევლინება როგორც ხარჯების კომპონენტი, ინვესტიციების მკვეთრმა ცვლილებამ შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ერთობლივ მოთხოვნაზე, და ამრიგად, წარმოებისა და დასაქმების დონეზე. მეორე, ინვესტიციები იწვევს კაპიტალის დაგროვებას. საწარმოო სიმძლავრეების გაფართოება განაპირობებს წარმოების მოცულობის პოტენციურ გადიდებას და ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საერთო ინვესტიციების 70% საშუალოდ

შეადგენდა ინვესტიციებს სამრეწველო საწარმოებსა და მოწყობილობებზე.

ინვესტიციის არსის გასარკვევად მნიშვნელოვანია სამი ელემენტი: შემოსავლები, დანახარჯები და ლოდინი.

შემოსავლები. ინვესტიციები დამოკიდებულია წარმოების ანუ ᲔᲔᲞ მოცულობის დონეზე, ე. ი. შემოსავლების დონეზე, რომლის გენერირება მოხდება საერთო ეკონომიკურ აქტივობაში.

დანახარჯები. მეწარმენი და სახლების მყიდველნი ხშირად ინვესტირებისათვის სასესხო ფონდებით იხდიან. მათზე ფასს განსაზღვრავს სარგებლის განაკვეთი და ნასესხები საშუალებები. სარგებლის განაკვეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკაში: იგი გავლენას ახდენს საინვესტიციო დანახარჯებზე და ამის გამო როგორც თვით მისი, ასევე ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. მეორე აქტიური ძალა, რომელიც ინვესტიციების ღირებულებით მხარეზე ზემოქმედებს, გადასახადებია. ფედერალურ მთავრობას აქვს ინვესტიციებზე ზემოქმედი საგადასახადო ზედამხედველობის ფართო შესაძლებლობა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეპრესანტს წარმოადგენს გადასახადები კორპორაციების შემოსავლებზე. მთავრობა კომპანიებს ასტიმულებს ინვესტიციური საგადასახადო კრედიტით, რომელიც დაინერგა პრეზიდენტ კენედის დროს და კომპანიებს აძლევს ათპროცენტიან კრედიტს შესყიდული მოწყობილობების ყოველ ახალ ნაწილზე.

შევაჯამოთ ინვესტირების მოტივები. მეწარმენი ინვესტირებენ შემოსავლების მიღების მიზნით, ამიტომ გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ დამოკიდებულია: ა. ახალი ინვენსტიციებით წარმოებული პროდუქციის მოთხოვნაზე; ბ. იმ სარგებლის განაკვეთსა და გადასახადებზე, რომლებსაც გავლენა აქვთ ეკონომიკის პროგნოზული შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბებული მრეწველობის ინვესტიციებსა და ლოდინზე.

სარგებლის რეალური და ნომინალური განაკვეთი. სარგებლის რეალური განაკვეთი ის თანხაა, რომელსაც სესხის ამღებნი იხდიან რეალური საქონლისა და მომსახურებისათვის. იგი უდრის ნომინალურ ანუ ფულად სარგებელს მინუს ინფლაციის პროცენტი. როგორ გავლენას ახდენს ეს ინვესტირებაზე? მომავალი მოგება მეტი იქნება საწყისი პერიოდის მო-

გებაზე, და ამრიგად, ინფლაციის გაძლიერების მიხედვით გაიზრდება ინვესტიციის ღირებულება დოლარებით. ამიტომ ინვესტიციების შეფასების დროს იყენებენ ტერმინს — „რეალური ინვესტიციები", ე. ი. ინვესტიციები გამოხატული უცვლელ ფასებში.

დაზოგვისა და ინვესტიციების მოტივების დაშორება. მოხმარებისა და ინვესტიციების თანამედროვე თეორიების განხილვის საფუძველზე შეიძლება ხაზგასმით აღვნიშნოთ: თანამედროვე კომპლექსურ ეკონომიკაში დაზოგვისა და ინვესტიციების სასურველი დონე ავტომატურად არ თანაბრდება. რატომ? იმიტომ, რომ ორივეს ჩვეულებრივ ახორციელებენ სხვადასხვა ადამიანები და სხვადასხვა მიზეზები. ამიტომაც ბაზრებს არ შეუძლიათ დაზოგვისა და ინვესტიციების სწრაფი კოორდინირება.

თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკა იმის გარანტიას არ იძლევა, რომ იარსებებს ინვესტიციისა და სხვა ხარჯის აუცილებელი რაოდენობა დასაქმების სრული გარანტიისათვის. წლებისა და ათწლეულების მანძილზე შეიძლება დეფლაციისა და გაკოტრებისაკენ მიმავალი ინვესტიციებისა და სხვა ხარჯის ეშმაკირების ტენდენციის შენარჩუნება და პირიქით.

თავი 8

ა. წარმოების მოცულობის განსაზღვრის თეორია

„მოვიდა დრო შევეხოთ თანამედროვეობის ცენტრალურ ეკონომიკურ დრამას — შეძლებს თუ არა კაპიტალისტური ეკონომიკა სტაბილური ფასებით სრულ დასაქმებას მიაღწიოს? თუ ის განწირულია ინფლაციისა და დაცემის ხელახალი ციკლებისათვის? მოცემული შემდგომი თავები ეძღვნება ამ ცენტრალურ პრობლემას", — ასე იწყება სახელმძღვანელოს მერვე თავი.

წარმოების მოცულობის კლასიკური და კეინსური მეთოდების განსაზღვრა

თანამედროვე მაკროეკონომიკა მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას. ერთ-ერთ მათგანს კლასიკურს უწოდებენ. მასში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონკურენციული ბაზრის ფასებით რეგულირებას. ეკონომიკურ აზროვნებაში კლასიკური მეთოდი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დომინირდება. მისი პოპულარობა დაეცა 30-იან წლებში, როდესაც უმუშევრობამ მაღალ დონეს მიაღწია (აშშ-ში — 25 პროც.). 1970—1980 წწ. ის ხელახლა გავრცელდა. კლასიკურ მიმართულებას მეორე დარტყმა მიაყენა.

კეინსურ და კლასიკურ მეთოდებს შორის ძირეულ განსხვავებას გამოხატავს კეინსის თეზისი: ფასი და ხელფასი მოუქნელია, წმინდა ბაზარი არ არსებობს, რადგან ხელფასი და ფასები ნელა (და არა სწრაფად, როგორც კლასიკურ ვარიანტშია) მოძრაობს წერტილისაკენ, სადაც მოთხოვნა და მიწოდება ერთიმეორეს უტოლდება.

კლასიკური მოდელი. კლასიკური მაკროეკონომიკური მიდგომის ილუსტრირება შეიძლება ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის დიაგრამით. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ისეთნაირადაა განლაგებული, რომ მარცხნიდან მარჯვნისაკენ ეშვება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი მიწოდების კლასიკური მრუდი ვერტიკალურია. კლასიკური მეთოდის მომხრეები თვლიან, რომ ფასები და ხელფასი (დოლარებში) აბსოლუტურად მოქნილია, ე. ი. ფასების დონე ზევით ან ქვევით მოძრაობს და ასე ბალანსირდება. ასეთ შემთხვევაში ფირმები წარმოების მოცულობას არ ცვლის, ხოლო (ᲔᲛ) მრუდი ვერტიკალურია.

პოლიტიკური შედეგები. აღნიშნულ თეზისს ორი მნიშვნელოვანი შედეგის მოცემა შეუძლია: პირველი, იძულებითი გამოუყენებელი რესურსებისაგან რაიმე მაკროეკონომიკური დანაკარგები არ წარმოიშვება. ნიშნავს თუ არა ეს, რომ უმუშევრობა არ წარმოიშობა. რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ის ეკონომიკის „კლასიკურ სამყაროდ“ ორგანიზაციის გზით შეესაძლოა ეფექტიანიც იყოს. ამ „სამყაროში“, ავტომობილის

სათადარიგო ბორბლების მსგავსად, უმუშევრები შეიძლება მაღალპროდუქტიული „დამზოგველი ნაწილის“, ე. ი. მუშების დანაკლისის შესავსებად მუდამ მზად იყვნენ. კლასიკური მიდგომის მეორე ელემენტი უფრო საოცარია — მაკროეკონომიკას არ შეუძლია იმოქმედოს უმუშევრობის დონესა და წარმოების მოცულობაზე, მაკროეკონომიკური პოლიტიკა ზემოქმედებს მხოლოდ ფასების დონეზე.

სხვა სიტყვებით, ᲔᲛᲗ-ის მრუდის მოძრაობის შეცვლა იწვევს ფასების შემცირებას, ხოლო წარმოების მოცულობა და დასაქმება იმავე დონეზე რჩება. სინამდვილეში, სრული დასაქმების აღსადგენად ფასები მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს.

დიდი დაყოფა. განსხვავება ორ სკოლას შორის მოკლევადიანი პერიოდისათვის ხელფასისა და ფასების მოქნილობის შესახებ განსხვავებულ შეხედულებამდე დაიყვანება. „კლასიკური“ ეკონომისტები მათ საკმაოდ მოქნილად თვლიან და შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ფასების ცვლილებების შემდეგ ეკონომიკა სწრაფად დაუბრუნდა სრული დასაქმების მდგომარეობას. ჩვენ მალე დავინახავთ იმას, რომ კეინსელებისა და ძირითადი თანამედროვე მიმდინარეობის მომხრეები მაკროეკონომიკაში ეჭვობდენ ფასების საკმაოდ სწრაფ მოძრაობას არა მხოლოდ ერთი თვის, არამედ ერთი, ორი, სამი წლის მანძილზეც კი.

კეინსური რევოლუცია. 30-იანი წლების ეკონომისტები ანალიზის დროს უგულვებელყოფენ უმუშევართა დიდი არმიის არსებობის ფაქტს. კლასიკურ მაკროეკონომიკურ თეორიას არ შეეძლო დაესახა მასიური უმუშევრობის შემცირების გზები. ჯ. კეინსი თვლიდა, რომ მაკროეკონომიკური რეგულირება ხარჯების რეგულირების მეოხებით ხორციელდება და ამ დროს შემოსავალი უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე მოქნილი ხელფასის და ფასების რეგულირების დახმარებით.

ფასებისა და ხელფასის სიმტკიცის წყაროები. ასეთი სიმტკიცის ძირითადი მიზეზია ის, რომ მუშათა უმრავლესობას ჩვეულებრივად სამწლიანი კონტრაქტები აქვს, რაც ცხოვრების ღირებულების ცვლილებებს ითვალისწინებს. მთავრობა არეგულირებს მრავალ ფასს: სატელეფონო, ელექტროობის, გაზის, ნავთობის, სატვირთო მანქანების, რკინიგზის ტრანს-

პორტის მომსახურებაზე და ა. შ. ისინი ფიქსირებულნი არიან არა სამუდამოდ, არამედ გარკვეული პერიოდისათვის — რამდენიმე თვიდან ერთ წლამდე.

დეპრესიის კეინსურ მოდელში, სადაც ფასები და ხელფასი ფიქსირებულია, EMT განსაზღვრავს წარმოების მოცულობას. ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ეს მრუდი მკვეთრად დაქანებულია „დეპრესიულ კეინსურ რეგიონში", რომელიც წარმოების პოტენციური მოცულობის დონის დაბლა მდებარეობს. EM დამრეცი მრუდი იმას ნიშნავს, რომ ხელფასი და ფასები აბსოლუტურად მტკიცეა და არიან უმუშევრები. თუ EMT მრუდი მარჯვნივ მოძრაობს, წარმოების რეალური მოცულობის დონე იზრდება. ამ შემთხვევაში ცვლილებები ფასების დონეში EMT ზრდის კვალობაზე არ ხდება. აღსანიშნავია, რომ ლაპარაკი სრულყოფილ მტკიცე ფასებზე, რა თქმა უნდა, მეტად კატეგორიული იქნებოდა.

მოულოდნელი შედეგები. ორი განსხვავება კლასიკური მოდელისაგან: პირველი, აშშ-ის ან გერმანიის მსგავს თანამედროვე ეკონომიკას შეუძლია მასიური უმუშევრობაც კი არეგულიროს. თუ EMT გადაკვეთს EM შორის გრაფიკის მარცხენა მხარეს, წარმოების მოცულობა შორს იქნება პოტენციალურისაგან. ამგვარად, კეინსის მიხედვით, უმუშევრობა შეიძლება იყოს ხანგრძლივი, კაპიტალისტური ეკონომიკისათვის მუდმივად დამახასიათებელი და არ არსებობს ისეთი ავტომატური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა EEპ სწრაფ დაბრუნებას მის პოტენციურ დონემდე. მეორე, სამთავრობო აქტიური მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ეკონომიკას შეუძლია დაბალი დასაქმების წონასწორობის მდგომარეობიდან გამოვიდეს. მაგალითად, ფულის მიწოდების ან სამთავრობო ხარჯების ზრდა განაპირობებს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რომელიც აიძულებს EMT იმოძრაოს მარჯვნივ. ამის შედეგად წარმოების მოცულობა გაიზრდება, ხოლო სხვაობა რეალურ და პოტენციალურ EEპ შორის შემცირდება.

თეორია და პოლიტიკა. რომელი თეორიაა სწორი? როგორც ვხედავთ, აქ მოტანილი ორივე ვარიანტი გამარტივებულია, შენიშვნის გარეშე არცერთი მათგანის მიღება არ შეიძლება. კარგი მაკროეკონომიკური მართვის ხელოვნებაა თი-

თოეული ამ პარადიგმის ძალისა და სისუსტის გათვალისწინება. ადრინდელ კეინსელებში გავრცელებული შეხედულება ᲔᲛ ჰორიზონტალურობის შესახებ დიდხანს სერიოზულად არ იყო აღიარებული.

ბ. წარმოების მოცულობის განსაზღვრა: მულტიპლიკატორის მოდელი

აქ ჩვენ ვიწყებთ იმ მოდელის ანალიზს, რომელსაც მულტიპლიკატორის კეინსური მოდელი ეწოდება. ამ მოდელში წარმოების ეროვნული მოცულობა გრაფიკზე მოძრაობს ზევით და ქვევით ᲔᲛᲗ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ზემოქმედებით. ᲔᲛ მრუდი პასიურია; აქ იგულისხმება, რომ მრეწველები იღწვიან, ფიქსირებული ფასებით აწარმოონ და გაყიდონ ის, რასაც მომხმარებლები, მთავრობა და სხვა მრეწველები იყიდიან.

მოხმარებისა და ინვესტიციების მეშვეობით წარმოების მოცულობის განსაზღვრა. თუ მოხმარების ფუნქციას ინვესტიციის ფუნქციას დავუმატებთ, მივიღებთ საერთო მოხმარების ფუნქციას, რომელიც ასახავს წარმოების თითოეული მოცემული სიდიდისათვის მომხმარებლებისა და მრეწველების სასურველი ხარჯების დონეს. ეკონომიკა გაწონასწორებულია იმ წერტილში, სადაც მ+ი მრუდი გადაკვეთავს 45° ხაზს. ეს ხაზი გადის თანაბარ მანძილზე როგორც ვერტიკალური ხაზიდან (საერთო ხარჯები), ასევე ჰორიზონტალურიდანაც (ᲔᲔᲯ), ამიტომ ხაზის ნებისმიერ წერტილში, რომელიც მიდის 45° კუთხით, მოხმარებისა და საინვესტიციო ხარჯების საერთო ჯამი უტოლდება წარმოებისა და შემოსავლის მოცულობის საერთო დონეს.

რეგულირების მექანიზმი. თუ ხარჯების მ+ი ხაზი გაივლის 45° დონეზე განლაგებულ ხაზს ზევით, დასაგეგმავი ხარჯები მ+ი მეტი იქნება წარმოების დასაგეგმავ მოცულობაზე. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებლები წარმოების მეტ მოცულობას მოითხოვენ. ასეთი დისბალანსის დროს, მაგალითად, ავტოდილერები და ფეხსაცმლით მოვაჭრენი რეაგირებას მოახდენენ თავიანთი შეკვეთების გაზრდით. მწარმოებლები მუშებს შვებულებიდან გამოიძახებენ და გაზრდიან წარმოებას.

მულტიპლიკატორი — თანამედროვე მაკროეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი თეორიაა. აქ აღწერილ კეინსური მულტიპლიკატორის მოდელში, კერძო ინვესტიციების გადიდება იწვევს წარმოებისა და დასაქმების მოცულობის გაზრდას. ინვესტიციების შემცირება კი უკუზემოქმედებს ზემოაღნიშნულ მაჩვენებლებზე.

კეინსური პოზიციებიდან წარმოების მოცულობის განსაზღვრა გვიჩვენებს, რომ ინვესტიციების წანამატი გაზრდის ეეპ-ს გაფართოებულ ანუ მულტიფიცირებულ თანხას თავდაპირველ ნამატზე მეტად. წარმოების ამ გაზრდილი მოცულობის ზემოქმედების ეფექტს „მულტიპლიკატორს" უწოდებენ. სიტყვა „მულტიპლიკატორი" გამოიყენება, როგორც რიცხობრივი კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს ინვესტიციის თითოეული ერთეულის ზემოქმედების შედეგად წარმოების მოცულობის გაზრდის სიდიდეს. მაგალითად, თუ ეს უკანასკნელი უდრის 100 მლრდ დოლარს, ხოლო ინვესტიციის ზემოქმედების შედეგად გაზრდილი წარმოების მოცულობა — 300 მლრდ დოლარს, მაშინ მულტიპლიკატორი უდრის 3.

მულტიპლიკატორი დღევანდელ მაკროეკონომიკაში. სინამდვილეში, თუ მულტიპლიკატორი ზემოქმედებს სისტემაზე მნიშვნელოვნად ზედმეტი სიმძლავრეებითა და უმუშევრობით, მაშინ საერთო სარჯის გაზრდა ქვეყანაში გამოიწვევს წარმოების რეალური მოცულობის გადიდებას. თუ რეალური წარმოება აჭარბებს თავის პოტენციურ მოცულობას, მაშინ ხარჯის მომატება რეალური წარმოების მოცულობის უმნიშვნელო გაზრდისას გამოიწვევს ფასების ამაღლებას.

ძირეული შეზღუდვა. მულტიპლიკატორის, როგორც რეალური მექანიზმის, მოდელი ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეზღუდვას, სრული დასაქმების რეგიონებში არ შეიძლება ჩამოყალიბებული მიდგომის გამოყენება.

თავი 9

ფისკალური პოლიტიკა თეორიასა და პრაქტიკაში

ა. ფისკალური პოლიტიკა მულტიპლიკატორის მოდელში

ფისკალური პოლიტიკა და წარმოების მოცულობის განსაზღვრა. ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებია სამთავრობო ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე (მხ) და გადასახადები ან ტრანსფერტები (ბ).

მთავრობის ძალისხმევა. შეგახსენებთ, რომ ეეპ უდრის განაწილებულ (საკუთრივ) შემოსავალს პლუს გადასახადი. განვიხილოთ როგორ ზემოქმედებს გადასახადები მოხმარების ფუნქციაზე (ამასთან მხედველობაშია მიღებული მოხმარების ფუნქცია გადასახადებით, რაც უდრის 0, ამ დროს ეეპ უდრის საკუთრივ შემოსავალს). გადასახადების თითოეული დოლარი მრუდს ამოძრავებს მარჯვნივ და ქვევით. მარჯვნივ მოძრაობა ქვევით მოძრაობას ნიშნავს. მაგრამ ქვევით მოძრაობა ნაკლებია, ვიდრე მარჯვნივ მოძრაობა. რატომ? იმიტომ, რომ ქვევით მოძრაობა ტოლია მარჯვნივ მოძრაობისა სმ^{3} სიდიდით. ამგვარად, თუ სმმ ტოლია $^{2}/_{3}$, მოძრაობა ქვევით უდრის ჰორიზონტალური მოძრაობის $^{2}/_{3}$-ჯერ მეტს, ე. ი. ვერტიკალური მოძრაობა რაოდენობრივად ტოლია ჰორიზონტალური მოძრაობის $^{2}/_{3}$.

ამგვარად, მთავრობის ხარჯები გრაფიკზე არის ვერტიკალური დისტანცია მ+ი და მ+ი+მხ ხაზებს შორის.

საგადასახადო სისტემა და მოხმარების მრუდის მოძრაობა. ახლა მივმართოთ გადასახადების დეპრესიულ ზემოქმედებას ეეპ წონასწორობაზე. დამატებითი გადასახადები განაპირობებს განაწილებული (საკუთრივ) შემოსავლის შემცირებას, რაც სამომხმარებლო ხარჯების დაქვეითებას ნიშნავს. თუ ინვესტიციები და მთავრობის ხარჯები ძველებურად რჩება, მაშინ სამომხმარებლო ხარჯების კლება შეამცირებს ეეპ და დასაქმებას. ამგვარად, კეინსურ მოდელში, თუ წარმოების მოცულობა პოტენციალურზე ნაკლებია, გადასახადების გაზრდა მთავრობის სტაბილური ხარჯების პირობებში შემდგომში შეამცირებს წარმოების მოცულობას პოტენციურთან შედარებით.

ფისკალური პოლიტიკის მულტიპლიკატორები. მ+ი და მ+მხ ბრუდებს შორის მსგავსება წარმოშობს აზრს, რომ სამთავრობო ხარჯები, ისევე როგორც ინვესტიციები, ზემოქმედებს წარმოების მოცულობაზე. ეს სრული სიმართლეა.

სამთავრობო ხარჯების მულტიპლიკატორი—ესაა ეეპ ზრდა სამთავრობო ხარჯებში, რომელიც გამოწვეულია საქონელსა და მომსახურებაზე ერთდოლარიანი ზრდით. მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორი ტოლია კერძო ინვესტიციების მულტიპლიკატორისა, რაც ზემოთ იყო განხილული. რამდენადაც ორი მულტიპლიკატორი ტოლია, შემდგომში ჩვენ მათ ვუწოდებთ ხარჯების მულტიპლიკატორებს. მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ამ ცხენს შეუძლია ირბინოს სხვადასხვა მიმართულებით: თუ მთავრობის ხარჯები ეცემა, ხოლო საგადასახადო და სხვა ზეგავლენანი ძველებურად რჩება, ეეპ დაიწყებს შემცირებას.

ამრიგად, საქონელსა და მომსახურებაზე სამთავრობო ხარჯებს გადამწყვეტი გავლენა აქვს წარმოების მოცულობისა და დასაქმების დონეზე. კვინსურ მოდელში თუ მხ მაღალია, წარმოების მოცულობის შემაჯამებელი დონე ხარჯის მულტიპლიკატორების ტოლ თანხაზე მაღალი იქნება. ამრიგად, მხ შეუძლია იქცეს ისეთ ძალად, რომელიც სამრეწველო ციკლის პერიოდებში მოახდენს ეეპ მოძრაობის სტაბილიზაციას.

საგადასახადო სისტემის ზეგავლენა. ბუნებრივია, გადასახადები ზეგავლენას ახდენს ეეპ წონასწორობაზე, მაგრამ ყურადღებით იყავით: საგადასახადო მულტიპლიკატორი მოქმედებს ნაკლებად ინტენსიური შემცირების მიმართულებით, ვიდრე ხარჯების მულტიპლიკატორები გაზრდის მიმართულებით.

მულტიპლიკატორების უტოლობა. მაშინ, როდესაც სამხედრო ხარჯების 1 მლრდ დოლარით ზრდა აამაღლებს მ+ი+მხ ხაზს 1 მლრდ დოლარით, 1 მლრდ საგადასახადო ზრდა ქვევით დასწევს ã+ი+ მხ ხაზს მხოლოდ $^2/_3$ მლრდ (თუ სმმ უდრის $^2/_3$). ასეთი სხვაობა იმითაა განპირობებული, რომ

საგადასახადო მულტიპლიკატორი ნაკლებია, ვიდრე ხარჯების მულტიპლიკატორი სმმ ტოლი სიდიდით.

მომშირნეობის პარადოქსები. პრეზიდენტ რეიგანის დროს განხორციელებულმა გადასახადების შემცირებამ დანაზოგის გაზრდის საშუალების როლი ითამაშა. მაგრამ თუ ისინი გრაფიკში ერთი ერთეულით გადაინაცვლებენ, მაშინ წარმოება შემცირდება სამი ერთეულით (ვერტიკალური ხაზი 3-ჯერ ნაკლებია ჰორიზონტალურზე).

პარადოქსული გადაწყვეტა. შეეცდებით მიუკერძოებლად გადავწყვიტოთ პარადოქსი, რაშიც დაგვეხმარება ორი მოსაზრება: პირველი — ეკონომიკაში კერძო კეთილგონიერება შეიძლება გამოდგეს განუსჯელ გადაწყვეტილებად. ეს ნიშნავს, რომ თითოეულის მონდომება გაზარდოს დანაზოგი უკვე აღწერილ პირობებში, არ გამოიწვევს მთელი ხალხის დანაზოგის გაზრდას. მომშირნეობის პარადოქსის გარკვევის მეორე მომენტი შემდეგში მდგომარეობს: არის თუ არა ეკონომიკა დეპრესიის დონეზე (კლასიკური მოდელის დროს სრული დასაქმება ყოველთვის უზრუნველყოფილია). ამგვარად, ეროვნული პროდუქტის დიდი ნაწილი გაიღება მიმდინარე მოხმარებისათვის, მცირე ნაწილი კი — კაპიტალდაბანდებისათვის. სწორედ ასევე, თუ ადამიანები ბევრს დაზოგავენ, მაშინ სრული დასაქმების პერიოდებში წარმოების მოცულობის დიდი ნაწილი შესაძლოა გამოყენებულ იქნას ინვესტიციებისათვის.

დაცემის დროს დაიზოგოს თუ არა მეტი? თანამედროვე ეკონომისტები (ან პოლიტიკოსები) რატომ გამოდიან დანაზოგის გადიდების მომხრეებად იმ დროს, როდესაც დიდი მასებია დაუსაქმებელი? კონგრესსა და რეიგანის ადმინისტრაციას მთელი ძალისხმევით უნდა ეზრუნათ საკერებელი დაედოთ სოციალური უზრუნველყოფის სისტემისათვის? ხომ იყო ეჭვები, რომ სოციალური უზრუნველყოფის უხვი შემოსავლები შესამჩნევად შეამცირებდა დანაზოგს? პასუხი იმის მიხედვით გაიცემა, თუ სად მდებარეობს ეკონომიკა მოცემულ მომენტში: კლასიკურთან, თუ დეპრესიულ კეინსურ პოლუსთან ახლოს.

კლასიკური მიდგომის დროს ფასები მოძრავია და ემ მრუდი ძლიერ დაქანებული. ასეთ შემთხვევაში დაზოგვის

ზრდა ემთ მრუდს ქვევით დაწევს, დატოვებს რა უცვლელად წარმოების მოცულობას და დასაქმებას. შეგახსენებთ, რომ კლასიკურ ვარიანტში დაზოგვის ზრდა არ შეამცირებს წარმოების მოცულობას, მაგრამ იმ პირობით თუ დიდი ინვესტიციები იქნება. კეინსური პოზიციებიდან ემ მრუდს აქვს დამრეცი სახე და ემთ მოძრაობა მარცხნივ წარმოების მოცულობას ამცირებს.

ამგვარად, პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც მომჭირნეობას იცავენ დაცემის პერიოდში, არ არიან დაინტერესებულნი უმუშევრობით. ისინი იზიარებენ კლასიკურ შეხედულებებს. ეკონომისტები კი, რომლებსაც სურთ მოხმარების წახალისება ღრმა დაცემის დროს, არ უნდა იყვნენ ინვესტიციების წინააღმდეგნი.

8. ფისკალური პოლიტიკა მოკმედებაში

ამ თავის დასაწყისში მოცემულ მარტივ ანალიტიკურ კონსტრუქციებს შეუძლია ენთუზიასტები იმაში დაარწმუნოს, რომ ფისკალურ პოლიტიკაში აღმოჩენილია ფილოსოფიური ქვა — უნივერსალური რეცეპტი იმათთვის, ვისაც სამრეწველო ციკლის მოთოკვა უნდა. თუ უმუშევრობა მკვეთრად მატულობს, ვზრდით სამთავრობო ხარჯებს ან ვასუსტებთ საგადასახადო წნეხს. თუ ინფლაცია იზრდება, ვათანაბრებთ ან ვუმატებთ მხ. კეინსური მულტიპლიკატორების ასეთ მარტივ სამყაროში მაკროეკონომიკური მენეჯერების ცხოვრება მართლაც იოლი იქნება. ასეთი რამ შეიძლება დაეჯერებინათ 20 წლის წინათ. დღეისათვის კი მხარს არავინ არ უჭერს ასეთ გულუბრყვილო ოპტიმისტურ შეხედულებებს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დაიმარხოს სამრეწველო ციკლი ისტორიის მატიანეში. სამრეწველო ციკლი ჯერ კიდევ რეალობაა. ფისკალურ პოლიტიკას არ ამოუძირკვავს ის, ამის ახსნა ორნაირად შეიძლება.

პირველი, როგორც ჩვენ დავინახავთ, ფისკალური პოლიტიკის პრაქტიკა არ ემთხვევა თეორიას. მეორე, მულტიპლიკატორების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ოპტიმალური ფისკალური პოლიტიკის მიგნება არც თუ ისე იოლია.

ავტომატური სტაბილიზატორები და დისკრეციული პოლიტიკა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ შეგექმნებოდათ აზრი, რომ ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკას მხოლოდ იმ შემთხვევაში ასტიმულირებს, თუ მთავრობა თანადროულად აუღებს ალღოს ტენდენციას და სწრაფად მიიღებს გადაწყვეტილებას.

თანამედროვე ფისკალურ სისტემას აქვს მძლავრი, შინაგანად მისთვის დამახასიათებელი, ავტომატურად მასტაბილიზებელი თვისება.

ავტომატური სტაბილიზატორები. რა არის ეს მისტიკური სტაბილიზატორები? მათ რიცხვს მიეკუთვნება, პირველი, ავტომატური ცვლილებები საგადასახადო შემოსავლებში. ჩვენი საგადასახადო სისტემა მოიცავს პროგრესულ პირად და კორპორაციულ გადასახადებს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ როგორც კი შემოსავლები დაიწყებს დაცემას მანამდე, ვიდრე კონგრესი მოახდენდეს ცვლილებებს საგადასახადო განაკვეთებში, მთავრობის საგადასახადო შემოსავლები შემცირდება. მაშასადამე, თანამედროვე საგადასახადო სისტემა მძლავრი რთული სტაბილიზატორია.

მეორე, ასეთი სტაბილიზატორია უმუშევართა დაზღვევა და სხვა ტრანსფერტები. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე შეიქმნა უმუშევართა დაზღვევის კარგად დამუშავებული სისტემა. სამუშაოდაკარგულები იღებენ დახმარებას; როგორც კი ისინი ხელახლა დაიწყებენ მუშაობას, დახმარება უწყდებათ. ამგვარად, ამ სისტემას თითქოსდა გადააქვს ფულადი სახსრები ეკონომიკაში ან ეკონომიკიდან, მოქმედებს რა ანტიციკლურად, მასტაბილიზებელად. და რა თქმა უნდა, არის სხვა სტაბილიზატორებიც, მაგრამ მთავარი მაინც აქ დასახელებულია.

ავტომატური სტაბილიზატორების შეზღუდვები. რთული სტაბილიზატორები ესაა „თავდაცვის პირველი ხაზი", მაგრამ სრული სტაბილიზაციისათვის ისიც არ არის საკმარისი. გადასახადების ავტომატური ტენდენცია, რომ გამორიყოს ეეპ ნაწილი თითოეული დამატებითი დოლარიდან, იწვევს მულტიპლიკატორის ზომის შემცირებას.

დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა. დისკრეციულ ფისკალური პოლიტიკის სპეციფიკური იარაღია პროგრამები, რომლებიც აამოქმედებენ კონკრეტულ სამთავრობო ღონის-

ძიებებს: საზოგადოებრივი სამუშაოების განვითარებას და ხარჯების სხვა პროგრამებს, სახელმწიფო დასაქმების პროექტებს, ტრანსფერტული ხარჯების პროგრამებს, გადასახადების განაკვეთებს.

80-იანი წლების შუახანების ამერიკული ეკონომიკის ანალიზი მოწმობს, რომ დღეს ფისკალური პოლიტიკა შედარებით სუსტ როლს ასრულებს სტაბილიზაციაში, ვიდრე ფულადი პოლიტიკის უფრო მოძრავი ინსტრუმენტები, რომელთა მნიშვნელობაც იზრდება.

თავი 10

ერთობლივი მიწოდება და სამრეწველო ციკლი

მეათე თავიდან მოყოლებული ჩვენი ინტერესების წრე ფართოვდება. ჩვენ უფრო გულდასმით უნდა შევისწავლოთ ერთობლივი მიწოდების განმსაზღვრელი მომენტები. რა ძალები აკავშირებს ათწლეულების მანძილზე წარმოების პოტენციური მოცულობის თანდათანობით ზრდას? როგორ მოქმედებს ერთობლივ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის (ოუკენის კანონის საშუალებით) ურთიერთობა უმუშევრობის დონეზე? რა არის მიწოდების პოლიტიკა და როგორ მოქმედებს იგი ეკონომიკაზე? მეორე ნაწილში ჩვენ ვეხებით იგივე მომენტის ემპირიულ მხარეებს: როგორ მერყეობს ეეპ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე? შეიძლება თუ არა თავიდან ავიცილოთ განვითარების ციკლურობა?

ჩვენ იქიდან გამოვდივართ, რომ უწყვეტი მერყეობა (აყვავება, რომელსაც ცვლის პანიკა ან კრახი; ეკონომიკური ზრდა, რომელსაც ცვლის დაცემა) უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების განუყოფელი დამახასიათებელი ნიშანია.

ა. მიწოდება. ერთობლივი მიწოდების დეტერმინანტები

ჯერ მოკლედ დავახასიათოთ ერთობლივი მიწოდების დეტერმინატები. პირველი, მას უნდა მივაკუთვნოთ წარმოების მოცულობა, რადგან ემ მოცულობა მკვეთრად იზრდება მა-

ში, როცა წარმოება აღემატება პოტენციურ დონეს. მეორე, ეს წარმოების ხარჯებია. მისი ზრდა ადიდებს ერთობლივი მიწოდების ფასს, ამასთან განსაკუთრებით მკვეთრად იმ შემთხვევაში, თუ წარმოება გამოდის პოტენციური დონის ჩარჩოებიდან.

რაც შეეხება წარმოების პოტენციური დონის ზრდის წყაროებს, ისიც ორია. პირველი, წარმოების (კაპიტალი, შრომა, მიწა) და ხარჯების ზრდა; მეორე, ტექნოლოგიის გაუმჯობესება (ეფექტიანობა). თითოეულის გავლენა შეიძლება შეფასდეს რაოდენობრივად წარმოების პოტენციურ დონეზე. დამახასიათებელია, რომ პოტენციური დონე სტაბილურია რამდენიმე წლის მანძილზე, მისი მკვეთრი ცვლილება იშვიათად ხდება.

თვით სამრეწველო ციკლების მიზეზი მიწოდების ან ერთობლივი მოთხოვნის მოძრაობაში იმალება. დავუშვათ: ინვესტიციების (ანუ სახელმწიფო ხარჯის) შემცირების შედეგად ეკონომიკა წონასწორობის წერტილიდან გამოვიდა. ერთობლივი მოთხოვნა მკვეთრად მცირდება. მისი ასეთი დაცემის დროს ერთობლივი მიწოდება პრაქტიკულად უცვლელი რჩება. ეკონომიკა პოულობს წონასწორობის მეორე წერტილს: ეცემა გამოშვებაც და ფასებიც. ბუმის დროს კი საწინააღმდეგო ტენდენცია ყალიბდება — იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, დიდდება გამოშვება (უახლოვდება პოტენციურ ეეპ, ან აჭარბებს მას), იზრდება (ინფლაციის პირობებში) ფასები.

ოუკენის კანონი. ემპირიულად დადგენილია, რომ ეეპ-ის ყოველი 2 პროცენტით შემცირებისას (პოტენციურ დონესთან შეფარდებით) უმუშევრობის მაჩვენებელი 1 პროცენტით იზრდება. მაგალითად, თუ ეეპ 100% პოტენციური დონიდან 48%-მდე შემცირდება, მაშინ უმუშევრობა 6-დან 7 პროცენტამდე გაიზრდება. ოუკენის კანონი ამტკიცებს, რომ ციკლების უმეტესობა მოთხოვნის ციკლებია, ამიტომ თუ მოცემული ციკლის მსვლელობაში გამოშვება ეცემა, მაშინ მას თან სდევს უმუშევრობის ზრდა.

მიწოდების ეკონომიკური თეორია. უკანასკნელ წლებში მოთხოვნის ეკონომიკურ თეორიას აკრიტიკებენ. ალტერნატივის სახით მუშავდება მიწოდების თეორია (და ეკონომიკური პოლიტიკა). მისი მთავარი ნიშნებია: 1. კეინსის დოქ-

ტრინის უარყოფა, ე. ი. მოკლევადიანი ეკონომიკური სტაბილიზაციიდან საშუალოვადიანზე გადასვლა. ამასთან ეკონომიკის მუდმივი ზუსტი „გამართვა“ არ ხორციელდება. ეკონომიკაში წამყვანი ხდება ნეოკლასიკური მიდგომა, მიმდინარეობს დერეგულირება. მაგრამ მსგავსი პოლიტიკის საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ ცნობილი არ არის; 2. აქცენტი მიწოდების გადიდების ღონისძიებებზე, მაგრამ შეფასების მიხედვით გამოშვების პოტენციური ზრდის მექანიზმი ნელა მოძრაობს; 3. გადასახადების შემცირება, დაგროვებისა და შრომის ისეთი სტიმულირება, რომელიც საბოლოო ანგარიშით გაზრდის გამოშვებას. მაგრამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გადასახადების შემცირება გავლენას ახდენს უპირატესად ერთობლივ მოთხოვნაზე და არა მიწოდებაზე.

ბ. სამრეწველო ციკლები

XX საუკუნის ციკლებს საერთო ნიშნები აქვს: პიკი და კრიზისი მობრუნების წერტილებია, წარმოების დაცემა და გაფართოება კი ციკლის ფაზის მთავარი არსია. დამახასიათებელია, რომ ციკლების სურათი მუდმივი არ არის, ის მთაგრეხილის მსგავსად ხან ზევით მიიწევს, ხან კი ეცემა.

ციკლის ფაზების მთავარი მახასიათებლები. დაცემის დროს: 1. დასაწყისში ისპობა მარაგები, შემდეგ მცირდება საწარმოო ინვესტიციები; 2. ეცემა მოთხოვნა შრომაზე; 3. ეცემა ან შენელდება საქონლის ფასების ზრდა; 4. შეიმჩნევა მოგებათა მკვეთრი შემცირება, კლებულობს მოთხოვნა კრედიტზე, ეცემა სარგებლის განაკვეთი. აღმავლობა დაცემის სარკისებრი ასახვაა; აქ ყოველივე აღნიშნული საწინააღმდეგო მიმართულებით წარიმართება: იზრდება სარგებელი, მოგება, ფასები...

სამრეწველო ციკლების თეორია: ეკონომიკური ციკლების თეორიისათვის დამახასიათებელია ორნაირი მიდგომა: სამრეწველო ციკლი განხილულია ან როგორც ეკონომიკურ სისტემაზე გარეგნული გავლენა, ან როგორც მისი შინაგანი მახასიათებელი. პირველი მიდგომის მაგალითია ციკლების პოლიტიკური შინაარსი. ციკლი და მისი ფაზები იცვლება ადმინისტრაციის არჩევისა და გადარჩევის რითმის მიხედვით.

ამით განისაზღვრება ეკონომიკაზე ადმინისტრაციის ზემოქმედების ხასიათი და ინტენსივობა. ამის მაგალითია აშშ-ში ნიქსონისა და რეიგანის მმართველობის წლები.

საშინაო და საგარეო მოდელების სინთეზი. ეკონომისტთა უმეტესობა კრიზისების საშინაო და საგარეო მიზეზებს ერთობლიობაში განიხილავს: საგარეო ზემოქმედებანი (ომი, დემობილიზაცია) რეალიზდება ეკონომიკურ კანონზომიერებათა იმ მონაცემების შესაბამისად, რომელთაც გარკვეული სიმყარე აქვს. ციკლის მთავარი დეტერმინატი — კაპიტალდაბანდება დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე (უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები, მოსახლეობის ზრდა მსოფლიოში). მეორე მხრივ, ახალი ინვესტიციებიდან შემოსავლის დონე განპირობებულია ასევე შესაბამისი ქვეყნების ეკონომიკის მდგომარეობით, ე. ი. იმავე ციკლით. ოპტიმისტური პერსპექტივა ასტიმულირებს ინვესტიციების ზრდას, და პირიქით.

აქსელერატორის პრინციპი — ეს ინვისტიციების განმსაზღვრელი ფაქტორების თეორიის ელემენტია. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: საზოგადოებისათვის აუცილებელი კაპიტალის მოცულობა დამოკიდებულია წარმოების დონეზე. გაყიდვები უნდა გაიზარდოს უცვლელი სიჩქარით, რათა ინვესტიციების მოცულობა არ დაეცეს. პრინციპი მოქმედებს ორივე მიმართულებით. ამრიგად, აქსელერატორი გვევლინება ეკონომიკური სტაბილურობის ძლიერ ფაქტორად: წარმოების მოცულობის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს უფრო არსებითი ცვლილებები ინვესტიციებში.

მულტიპლიკატორის და აქსელერატორის ურთიერთდამოკიდებულება ასეთია: მანქანათმშენებელი კომპლექსის წარმოების შემცირება კვებისა და საფეიქრო მრეწველობაში შემოსავლებსა და დანახარჯებს ამცირებს; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ამუხრუჭებს საფეიქრო მრეწველობის გაყიდვათა ზრდას, რაც მთლიანობაში ამცირებს ინვესტიციებს. იქმნება ჯადოსნური წრე, სადაც აქსელერატორი და მულტიპლიკატორი წარმოშობს კუმულიატორულ დაცემას, აღმავლობას, ბუმს და კრიზისს. ფაზიდან ფაზაზე გადასვლა ხდება ავტომატურად, ამასთან ეკონომიკური ზრდის ოდნავი შენელებაც კი (ეს კი გარდუვალია) აქსელერატორის მეშვეობით წარმოშობს დაცემას და ა. შ..

თავი 11

უმუშევრობა

უმუშევრობა — თანამედროვე საზოგადოების ცენტრალური პრობლემაა. უმუშევრობის მაღალი დონე ნიშნავს რესურსების ნაწილობრივ გამოყენებას და მოსახლეობის დაბალ შემოსავლებს. ეს ამწვავებს სოციალურ სიტუაციებს, ოჯახურ ურთიერთობებს და ამასთან საზოგადოებაში ემოციურ დაძაბულობას ზრდის.

ეკონომიკური და სოციალური გავლენა. ოუკენის კანონის მიხედვით მაღალ უმუშევრობას ადგილი აქვს ისეთ პერიოდებში, როცა ეშპ მის პოტენციალზე დაბალია, როცა სახეზეა ავტომანქანების, საკვების და ა. შ. გარკვეული რაოდენობის ნაკლებ წარმოება. უმუშევრობის პერიოდის ეკონომიკური დანაკარგები გაცილებით მეტია ტარიფების ან ქვოტების მონოპოლიზაციასთან დაკავშირებულ დანაკარგებთან შედარებით. იგი 70-80-იან წლებში 1 ტრილიონ დოლარს უდრიდა. აღვნიშნავთ, რომ იძულებული დაუსაქმებლობა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ზნეობაზე, მის ფსიქიკაზე. სამუშაოს დაკარგვა — ფსიქიკური ტრავმაა, რომელიც მხოლოდ ახლობლის სიკვდილით ან დაპატიმრებით გამოწვეულ სტრესს თუ შეედრება.

უმუშევრობის გაზომვა. სტატისტიკის მიხედვით დასაქმებული ის ადამიანია, რომელსაც სამუშაო აქვს. უმუშევარი კი ის არის, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ან ეძებს მას. სტატისტიკას სამუშაო ძალის შემადგენლობაში არ შეყავს მოსახლეობის ნაწილი. (მოსწავლეები, პენსიონერები, დიასახლისები და სხვ. პირები). მსგავსი მიდგომა სამართლიანადაა გაკრიტიკებული, რადგან იმედგაცრუებული მუშები, რომლებიც უკვე აღარ ეძებენ სამუშაოს, აღრიცხულ უმუშევართა არმიის მიღმა რჩებიან. 1981-1982 წწ. კრიზისის პერიოდში ასეთი იყო 1,8 მლნ ადამიანი. ასევე ოფიციალურად არ აღირიცხება თანამდებობით დაქვეითებულნი ან არასრული სამუშაო დღით მომუშავენი, მათი რიცხვი 1982 წ. 2 მლნ უდრიდა. მაგრამ ოფიციალური სტატისტიკა სწორია იმ თვალსაზრისით, რომ

ძნელია იმის დადგენა, თუ სამუშაოს მაძიებელთა შორის ვინ დაკარგა იმედი და უმიზეზოდ ვის არ უნდა მუშაობა.

ნებაყოფლობითი უმუშევრობა აღმოცენდება იმის გამო, რომ მუშებს არ სურთ შეთავაზებულ ხელფასზე მუშაობა, მაგრამ თუ ანაზღაურებას მოუმატებენ, იმუშავებენ. ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანები არჩევენ უმუშევრობას, ვიდრე დაბალნაყოფიერ და მცირეხელფასიან შრომას. ეს გასაგებია ერის ერთობლივი ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმიზაციის პოზიციებიდან. და თუ შრომის ბაზარზე აბსოლუტურად მოქნილი ფასებია (ხელფასი), მაშინ ისეთი უმუშევრობა, რაც ახასიათებდა 30-იანი წლების დასაწყისს (გამორიცხული იყო შრომითი მოწყობის შესაძლებლობა ყველაზე დაბალი ხელფასითაც კი), უბრალოდ შეუძლებელია.

იძულებითი უმუშევრობა წარმოიქმნება შრომის მოუქნელი ფასის პირობებში ფიქსირებული ხელფასის არსებობის დროს. მაგალითად, თუ ხელფასი მეტად მაღალია საბაზრო წონასწორობის პოზიციებიდან, მაგრამ ის მაინც არ ეცემა, მაშინ შრომის მიწოდება ჭარბია და მხოლოდ მუშათა ნაწილი ღებულობს ადგილს, დანარჩენი იძულებით უმუშევრები აღმოჩნდებიან. ხელფასის ფიქსირების მიზეზია მოლაპარაკება მუდმივი ხელფასის შესახებ დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის (ხელფასი ყოველდღე არ გადისინჯება, ხოლო პროფკავშირების კოლექტიური ხელშეკრულებები კომპანიებთან გადაისინჯება რამდენიმე წელში ერთხელ).

სამუშაო ძალის ბაზარი. დასაქმება ყველა დემოკრატიულ ჯგუფში მცირდება დაცემის დროს. 1973—1982 წწ. ყველა ჯგუფში უმუშევრობა 2-ჯერ გაიზარდა, ზანგები უმუშევრობისაგან ორჯერ მეტად იტანჯებიან, ვიდრე თეთრკანიანები, ქალები კი კაცებზე მეტად. უმუშევრობის ხანგრძლივობა სხვადასხვაა. მაგალითად, აშშ-ში, 1973 წ. ბუმის პერიოდში უმუშევართა 25 პროც. 14 კვირაზე მეტი ხნით არ იყო დასაქმებული. დაცემის პერიოდში კი ხანგრძლივი უმუშევრობა სერიოზული სოციალური პრობლემაა. მაგალითად, აშშ-ში 1973-დან 1982 წლამდე ექვს თვეზე მეტი ხნით დაუსაქმებელ უმუშევართა რაოდენობა დაახლოებით რვაჯერ გაიზარდა. ევროპაში 80-იანი წლების დასაწყისში უმუშევართა საერთო რაოდენობის 50 პროცენტს ხანგრძლივი პერიოდის განმავ-

ლობაში სამუშაო არ ჰქონდა. აღსანიშნავია, -რომ უმუშევრობა გარკვეულწილად განპირობებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლით, სამუშაო ძალთა რიგებში პირველად შესვლით და ა. შ. მაგრამ უმუშევრობის მთავარი მიზეზი სამუშაოს დაკარგვაა. დაცემის დროს იზრდება სამუშაოს დამკარგავთა რიცხვი, ახალი სამუშაოს პოვნას კი დიდი დრო სჭირდება.

უმუშევრობის სამი სახეობა: ჩვენ განვასხვავებთ უმუშევრობის სამ სახეს:

1. ფრიქციულ უმუშევრობას განაპირობებს მოსახლეობის ერთი რეგიონიდან მეორეში, ერთი პროფესიიდან მეორეში მუდმივი მოძრაობა და ასევე თვით ცხოვრების ეტაპები (სწავლა, მუშაობა, ქალებისათვის ბავშვების მოვლა, პენსია). ფრიქციული უმუშევრობა სრული დასაქმების დროსაც კი არსებობს. პროფესიიდან პროფესიისაკენ და უკეთესი სამუშაოს ძებნის მოძრაობის ძალით ფრიქციულ უმუშევრობას ხშირად იხილავენ როგორც ნებაყოფლობითს; 2. სტრუქტურულ უმუშევრობას იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როცა სამუშაო ძალის მიწოდება და მასზე მოთხოვნა ერთმანეთს არ ემთხვევა. ამასთან თანაფარდობა ამ მაჩვენებლებს შორის სხვადასხვა სახის შრომისათვის, ეკონომიკის სხვადასხვა რეგიონსა და სექტორში სხვადასხვაა. სამუშაო ძალის ძლიერ მოქნილ ფასებს შეუძლია დისბალანსების ლიკვიდაცია. მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, ის საკმაოდ მყარადაა ფიქსირებული. 3. ციკლური უმუშევრობა წარმოიშობა ყველა დარგში, სფეროსა და რეგიონში სამუშაო ძალაზე დაბალი მოთხოვნით. მაგალითად, 1982 წ. დაცემის დროს აშშ-ს 50 შტატიდან 48 შტატში უმუშევრობის დონე გაიზარდა. მხოლოდ ციკლური უმუშევრობა მოწმობს სამუშაო ძალის ბაზრის მდგომარეობის გაუარესებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდთა უმუშევრობა ატარებს უპირატესად ფრიქციულ ხასიათს. მოზარდები ხშირად იცვლიან სამუშაო ადგილს. მათი ერთ ადგილზე მუშაობის ხანგრძლივობა 12-ჯერ ნაკლებია მოზრდილებთან შედარებით. სრულწლოვანობის მიღწევის დროს ისინი უკვე სტაბილურად არიან დასაქმებულნი. უმუშევრობის დონის განსხვავება დამოკიდებულია აგრეთვე რასობრივ თავისებუ-

რებებზე. მაგალითად, სრულწლოვანი მუშა-ზანგისათვის ეს მაჩვენებელი ორჯერ მეტია, ვიდრე თეთრკანიანისათვის.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე. ეს ისეთი დონეა, რომლის დროსაც ფასებისა და ხელფასის ამამაღლებელი და შემამცირებელი ფაქტორები წონასწორობაში იმყოფება. ინფლაციის მაღალი დონით დამძიმებულ თანამედროვე ეკონომიკაში უმუშევრობის ბუნებრივი დონე წარმოდგენილია როგორც უკიდურესად დაბალი (დასაშვები). იგივე განსაზღვრავს დასაქმების უმაღლეს დონეს და შეესაბამება პოტენციურ გამოშვებას. თუ დასაქმება მაღალი იქნება, ხოლო გამოშვება მეტი, მაშინ აღმოცენდება ინფლაციური სპირალი.

უმუშევრობის ბუნებრივი ნორმა ნულს ზევითაა, რადგან ამა თუ იმ ფორმით იგი ყოველთვის არსებობს (ფრიქციული ან სტრუქტურული). უმუშევრობის ბუნებრივი დონე აუცილებელია, რადგან აჩერებს ინფლაციას. აშშ-თვის 80-იან წლებში უმუშევრობის ბუნებრივი დონე შეადგენდა 6—7 %. სხვა მრავალ ქვეყანასთან შედარებით ეს უფრო მაღალია. ეს იმით აიხსნება, რომ აშშ-ში სამუშაო ძალა უფრო მეტად მობილურია და ამიტომ სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას სწრაფად არ შეუძლია ერთმანეთის შესაბამისი გახდეს.

აღვნიშნავთ, რომ 60-იანი წლების დასაწყისში უმუშევრობის დონე აშშ-ში 4% შეადგენდა; 80-იან წლებში კი, როგორც უკვე ითქვა, — 6—7%. ასეთი ზრდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი ტენდენციაა. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: სამუშაო ძალის შემადგენლობაში სულ უფრო აქტიურად ერთვებიან მოზარდები, ქალები, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები (მოსახლეობის ამ ფენებს შორის უმუშევრობის პროცენტი მაღალია, ვიდრე მამრობითი სქესის მოზრდილ თეთრკანიან მუშებთან).

ზემოაღნიშნული მიზეზების გარდა, დასაქმებაზე მოქმედებს ეკონომიკური პოლიტიკა. 26 კვირის განმავლობაში უმუშევრები სახელმწიფო დაზღვევის ფორმით იღებენ წინანდელი ხელფასის 50 პროცენტს და თავისუფლდებიან გადასახადებისაგან, რაც წინანდელი ხელფასის 60-70 პროცენტის ეკვივალენტურია. ბუნებრივია, ასეთი ვითარების გამო მუშე-

ბი უფრო მომთხოვნი და აუჩქარებელნი არიან ახალი სამუშაოს არჩევის დროს, გაურბიან დაბალხელფასიან თანამდებობებს.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე გაიზარდა ასევე 70-80-იანი წლების სტრუქტურული უმუშევრობის გაძლიერების გამო (საავტომობილო, ფოლადის მრეწველობის კრიზისი, ნავთობკრიზისი, ბუმი ელექტრონულ მრეწველობაში). ამრიგად, შედარებით დიდი დრო დასჭირდა შრომის მიწოდებისა და მოთხოვნის დამთხვევას.

შრომის ბუნებრივი დონის შემცირების პერსპექტივა დაკავშირებულია სტრუქტურული კრიზისების შესუსტების შესაძლებლობასთან და სამუშაო ძალის გარდუვალ დაბერებასთან.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე არსებითად არ გვევლინება ასეთად, ის ოპტიმალური არ არის. ჯერ კიდევ ვერავინ ვერ დაამტკიცა, რომ ეკონომიკისათვის უფრო მომგებიანია მუშის დაუსაქმებლობა, ვიდრე ამ მუშის მიერ წარმოებული პროდუქცია. პირიქით, ფაქტები მოწმობს, რომ გამოშვების მაღალი დონის დროს ᲔᲔᲞ არსებითად იზრდება პოტენციურ ᲔᲔᲞ-თან შედარებით უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე ქვევით დაცემის შესაბამისად. ამრიგად, ბუნებრივი დონე ოპტიმალურზე მაღალია. მხოლოდ უკანასკნელის მიღწევით ხდება ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. მაგრამ მსგავსი მაქსიმიზაცია ინფლაციის ზომაგადაცილებულ ზრდამდე მიგვიყვანდა. ჯერ კიდევ ვერ მოიძებნა ისეთი ეკონომისტი, რომელიც გამონახავდა ეკონომიკისათვის უმუშევრობის ბუნებრივი დონის 1-2 პროცენტით უმტკივნეულოდ შემცირების ნერხს.

დასკვნის სახით ჩამოვთვალოთ ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობდა უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირებას: დასაქმებულობის შესაძლებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაუმჯობესება; დეფიციტური სპეციალობების მიხედვით პროფესიული მომზადების სრულყოფა; უმუშევართა სახელმწიფოებრივი დაცვის დონის შემცირება; საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარება.

თ ა ვ ი 12

ინფლაცია: დეფლაცია და დანახარჯი

რა არის ინფლაცია? ინფლაცია ვითარდება ფასებისა და დანახარჯის საერთო დონის ზრდის პირობებში. იგულისხმება ფასების ზრდა პურზე, გაზზე, ავტომობილებზე, ხელფასის გადიდება, მიწის ფასის და საერთოდ ძირითად საქონელზე ფასების ზრდა. **დეფლაციის** ცნებაში იგულისხმება ფასებისა და დანახარჯის საერთო დაცემა. აღსანიშნავია, რომ ინფლაცია არ არის ფასების ინდექსებით გაზომილი ფასების საერთო ზრდის თანაბარმნიშვნელოვანი. სამომხმარებლო ფასების ინდექსი ზომავს სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების „კალათის" ღირებულებას. მათგან მთავარია საკვები, ჩასაცმელი, ბინის გადასახადი, სათბობი, ტრანსპორტი და სამედიცინო მომსახურება. ჩამოთვლილი სიკეთიდან თითოეული ფასდება მისი ეკონომიკური მნიშვნელობის მიხედვით. არსებობს სხვა იშვიათად გამოსაყენებელი ინდექსებიც: 1. მწარმოებლის საბითუმო ფასების ინდექსი; 2. ეეპ დეფლატორი, ე. ი. ნომინალური ეეპ შეფარდება რეალურთან. ასეთი ინდექსი სამომხმარებლო ფასების ინდექსებთან შედარებით უფრო უნივერსალურია, რადგან ზომავს არა მარტო სამომხმარებლო, არამედ ყველა სხვა ფასსაც.

ინფლაციის სამი სახეობა. ზომიერი ინფლაციის დროს ფასები ნელა იზრდება (წელიწადში 10%-ზე ნაკლები), ფულის ღირებულება შენარჩუნებულია. ადგილი არა აქვს ნომინალურ ფასებში კონტრაქტებზე ხელის მოწერის რისკს. ჭენებადი ინფლაციის დროს ფასები წლიურად 20-დან 200 პროცენტამდე იზრდება. კონტრაქტების უმეტესობა ბიჯაჭვულია ფასების ზრდასთან ან უცხოურ ვალუტასთან (მაგალითად, აშშ-ს დოლართან). ფული იწყებს სწრაფ მატერიალიზაციას საქონელში და უკვე აღარ ასესხებენ სარგებლის ჩვეულებრივი განაკვეთით. ჰ ი პ ე რ ი ნ ფ ლ ა ც ი ი ს დროს მიმოქცევაში მყოფი ფული და ფასები ასტრონომიული ტემპებით იზრდება. ფასებისა და ხელფასის დაშორება კატასტროფული ხდება. საზოგადოების საუკეთესოდ უზრუნველყოფილი ფენების კეთილდღეობაც კი ინგრევა.

ზომიერი ინფლაციის ჭენებად და შემდეგ ჰიპერინფლაციამდე გაძლიერება გარდაუვალი არ არის. ჰიპერინფლაცია მეტად იშვიათი მოვლენაა, ეს, სამწუხაროდ, არ ითქმის ჭენებადი ინფლაციის შესახებ. უკანასკნელი ხანგრძლივი უმუშევრობის პერიოდების ანალოგიურია, დროდადრო თავს ატყდება მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებსაც კი (საფრანგეთი, იტალია, ინგლისი). მაგრამ ისეთი განვითარებული ქვეყნებისათვის, როგორიც აშშ, მთავარი ტენდენციაა ზომიერი ინფლაცია. სახელმწიფო ჩარევით (ფულადი, ფისკალური) იქმნება ინფლაციის შეკავების შესაძლებლობა ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებში.

ინფლაციის შედეგები. ინფლაციის დროს ფასები და ხელფასი სხვადასხვა ტემპებით მოძრაობს, ამიტომ: 1. შემოსავლები და სიმდიდრე გადანაწილდება სხვადასხვა კლასებს შორის; 2. შეიმჩნევა შეფარდებითი ფასების და სხვადასხვა საქონლის გამოშვების მოცულობის ან (ზოგჯერ) მთელი ეკონომიკის მასშტაბით გამოშვებისა და დასაქმების სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობა. ინფლაცია შემოსავლებს გადაანაწილებს იმათგან, ვისაც აქტივები აქვს სარგებლის ფიქსირებული და ნომინალური დონით იმათ სასარგებლოდ, ვინც იხდის დავალიანებას სარგებლის ფიქსირებული ნომინალური განაკვეთით. ამის მაგალითია სარგებლის გადახდა ბინების მშენებლობისათვის. დეფლაციის შემთხვევაში ადგილი აქვს უკუფაქტს.

ინფლაცია ეკონომიკაზე მოქმედებს აგრეთვე ორი მიმართულებით: იგი აისახება წარმოების საერთო მოცულობაში (მაკროეკონომიკური ეფექტი) და რესურსების გაადგილებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობაში (მიკროეკონომიკური ეფექტი).

პირველი მიმართულებისათვის დამახასიათებელია, რომ ინფლაცია ძლიერდება მაღალი დასაქმებისა და წარმოების მოცულობის პერიოდებში, და პირიქით, ინფლაციის შემცირება ეხამება წარმოების დაცემას და უმუშევრობის ზრდას. მაგრამ როგორც თანამედროვე მაკროეკონომიკა მოწმობს, ინფლაციასა, წამოების მოცულობის დონესა და უმუშევრობას შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს.

ინფლაციის მიკროეკონომიკური შედეგები ნაღდი ფულის

გაუფასურებით წარმოიშობა. მაგალითად, აშშ-ში ნაღდი ფულის მფლობელებმა 1980 წ. მიიღეს 12,4 პროცენტით ნაკლები რეალური შემოსავალი (აღნიშნულ წელს ინფლაციის დონე 12,4 პროც. უდრიდა). გარდა ამისა, ინფლაციის პერიოდებში გრძელვადიანი ფასები დანახარჯებსა და საქონელზე (შრომითი კონტრაქტები, სახელმწიფო საწარმოების პროდუქცია) დიდად დასცილდა ფასების საერთო დონეს. ინფლაციის შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ზომიერ ინფლაციას მძიმე ეკონომიკური შედეგები არ სდევს. ინფლაციის შიში ხელს უშლის ზოგიერთ ეკონომისტს ეძებოს ეკონომიკური არასტაბილურობის უფრო ღრმა საფუძველი (კლასობრივი კონფლიქტები, უსამართლოდ განაწილებული შემოსავლები და ა. შ.).

ინფლაციური დანახარჯების ანალიზი. ინფლაციის დანახარჯების ანალიზისათვის იგი ორი პოზიციიდან განვიხილოთ. დავადგინოთ, პირველი, დაბალანსებულია იგი თუ არა (ე. ი. იზრდება თუ არა ფასები ზომიერად და სტაბილურად, თუ „მიხტის" ზევით). მეორე, ეკონომიკა ადაპტირებულია თუ არა ინფლაციასთან. დავიწყოთ ბ ა ლ ა ნ ს ი რ ე ბ უ ლ ი ი ნ ფ ლ ა ც ი ი თ, რომელთანაც ადაპტირებულია ეკონომიკა. ამ შემთხვევაში ყოველწლიური ფასების ზრდას, დავუშვათ 10 პროცენტით, შეესაბამება ფასების გადიდება საკვებზე, ჩასაცმელზე, ასევე იზრდება სარგებლის განაკვეთიც. ამრიგად, სიტუაცია იმის ანალოგიურია, როგორც სტაბილური ფასების დროს. მსგავსი ინფლაცია არაფერს არ ცვლის ეკონომიკაში.

რაც შეეხება დ ა უ ბ ა ლ ა ნ ს ე ბ ე ლ ი ნ ფ ლ ა ც ი ა ს, მისგან პირველ რიგში ზარალდება ფულის მიმოქცევა და გადასახადებით დაბეგვრა. მაგალითად, რამდენადაც ვალუტა ფულის ფორმაა, რომელსაც სარგებლის განაკვეთი არა აქვს, ინფლაციის 10 პროცენტით ზრდის პირობებში რეალური სარგებლის განაკვეთი ვალუტაზე იმავე 10 პროცენტით დაეცემა. ეს ეხება ყველა იმ აქტივს, რომელსაც ფიქსირებული ფულადი (ნომინალური) სარგებლის განაკვეთი აქვს; გარდა ამისა, ინფლაციის ზრდა მოსახლეობას აიძულებს დახარჯოს დამატებითი რესურსები ნაღდი ფულის მოცულობის შესამცირებლად პირად საბანკო ანგარიშზე. მაგრამ ინფლაციის ზრდა გადასახადებით პროგრესულად დაბეგვრის დროს ხელს

უწყობს მოსახლეობიდან სახსების ამოღების გადიდებას. ინფლაცია ართულებს თვით შემოსავლების (ნომინალურის და რეალურის) გაზომვას. ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შესძლეს შემოსავლების კორექტირება ინფლაციის ზრდის კვალობაზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფასების სწრაფი ზრდა მომხმარებელს საშუალებას არ აძლევს დროულად აიღოს ორიენტაცია ინფორმაციის ნაკად'მი ფასების შესახებ და მაშასადამე, ეკონომიკის საერთო მდგომარეობის შესახებაც.

ახლა გადავხედოთ დაუბალანსებელ ინფლაციას, რომელთანაც ეკონომიკა ადაპტირებული არ არის. 1979 წ. ენერგომატარებლებზე ფასები მოულოდნელად 12 პროცენტით გაიზარდა, ხელფასი კი 3 პროცენტით შემცირდა. ნავთობის მომხმარებლების რეალური შემოსავალი დაეცა, ნავთობკომპანიების აქციები მკვეთრად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ინფლაციის დანახარჯი თვით ინფლაციამ არ წარმოშვა; სოციალური უთანხმოება გამოიწვია არა ფასების საერთო დონის ცვლილებამ, არამედ ნავთობზე ფასების გადიდებამ. ინფლაცია მთლიანად რომ შეჩერებულიყო, ნავთობზე ფასების ზრდა მაინც იმოქმედებდა მისი მომხმარებლების მდგომარეობაზე. ეკონომიკასთან ადაპტირებულ დაბალანსებულ ინფლაციას დანახარჯი არა აქვს. დაუბალანსებელი ინფლაცია, რომელიც ადაპტირებული არ არის ეკონომიკასთან, წარმოშობს შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებას.

რაც შეეხება ინფლაციასთან დაკავშირებულ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებებს, ის ვლინდება რეალური გამოშვების ზრდის შეზღუდვაში და უმუშევრობის გაძლიერებაში ან (ზოგჯერ) ფასებზე და ხელფასზე კონტროლის დაწესებით. შედეგი — სტაგნაციის ავადმყოფური პერიოდი. შემდეგი თავი გვიჩვენებს როგორი შეიძლება იყოს ანტიინფლაციური პოლიტიკით განპირობებული გამოშვებისა და დასაქმების რაობენობრივი დანაკარგები.

თავი 13

ინფლაცია: მიზეზები და მკურნალობის საშუალებები. ინფლაციის ალტერნატიული წყაროები

ინფლაციის ინერტიულობა. ინფლაცია ჰგავს მძინარე ძაღლს, რომელსაც არ ეხებიან. ინფლაციის ასეთი მდგომარეობის დროს ფასების ზრდის ტემპი როგორც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის, ისე მიკროეკონომიკურ დონეზე, მუდმივია. ნომინალური ᲔᲔᲠ იზრდება ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით, რეალური ᲔᲔᲠ ზრდის შეუცვლელად. ინფლაციის მატების ტემპს, რომელიც ნაწინასწარმეტყველებია და გათვალისწინებულია ფორმალურ და არაფორმალურ ეკონომიკურ შეთანხმებებში, ეწოდება ინერტიული ანუ მოსალოდნელი. მსგავსი ინფლაცია შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ისე, რომ არავის არ ავნოს.

დარტყმები ინფლაციაზე. მოთხოვნის ინფლაცია. ინფლაციური სიტუაცია უარესდება ორგვარი ეკონომიკური მოვლენის ზემოქმედებით. პირველი, როცა მოთხოვნა იზრდება შიწოდებაზე მეტად, ჩნდება ჭარბი ფულადი სახსრები, იზრდება ფასები. ასეთი სიტუაციის დროს დასაქმება სრულია, რადგან მაქსიმალურად გამოყენებულია საწარმოო სიმძლავრეები. მეორე, ინფლაციური სიტუაცია უარესდება, როცა იზრდება დანახარჯი, სხვადასხვა მიზეზების გამო იზრდება ნედლეულის ღირებულება და ხელფასი. ამის შედეგად კი ფასები ისევ მაღლა იწევს.

ფასების დონე და ინფლაციის დონე. ჩვენ ვაიგივებდით ფასების ზრდას და ინფლაციას. მაგრამ ამ მოვლენებს შორის არსებობს განსხვავება. ფასების შეზღუდვის სახელმწიფო პოლიტიკა ამუხრუჭებს ინფლაციას. ასეთ შემთხვევაშიც კი ეს უკანასკნელი შეიძლება გაიზარდოს, თუ ასევე დანახარჯიც გადიდდება. წარმოების ზრდის მოცულობის შეზღუდვითაც კი სახელმწიფო ვერ შეაჩერებს ინფლაციას, რადგან ფასის დონე მაინც მაღალი იქნება წინამავალ პერიოდთან შედარებით. ეგრეთწოდებულ სტაგნაციას იმ შემთხვევაში აქვს ადგილი თუ დანახარჯის ზრდაზე მოქმედებს ინერციული ფაქტორები. წარმოების ისეთ დაცემას, რომლის დროსაც გა-

მოშვების მოცულობა არსებითად დაქვეითებულია პოტენციურთან შედარებით, არ შეუძლია ფასების ზრდის შეჩერება.

ფილიპსის მრუდი. უმუშევრობის, ინფლაციის, ფასების ზრდის წლიურ ტემპებსა და ხელფასის ზრდას შორის თანაფარდობა ილუსტრირებულია ფილიპსის მრუდით. ეს მრუდი გამოხატავს კანონზომიერებას: უმუშევრობის დონის დაცემას თან სდევს ფასებისა და ხელფასის ზრდა. მრუდის აგების საფუძველია ეგრეთწოდებული ინფლაციის კომპრომისული თეორია, რომლის არსია დაამტკიცოს, რომ ერს შეუძლია ინფლაციის ტემპის დაჩქარების ხარჯზე შეამციროს უმუშევრობის დონე.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ფილიპსის მრუდი გამოიყენება მხოლოდ დროის მოკლე პერიოდებისათვის, რადგან ხანგრძლივ პერიოდებში უმუშევრობის დაბალი დონე მაინც იწვევს ინფლაციის ზრდას, რამდენადაც ეს დამოკიდებულია პროფკავშირების პოზიციებსა და ფირმებზე, როგორც მონოპოლისტებზე. ისტორია გვიჩვენებს, რომ ფილიპსის მრუდი გამოიყენება მხოლოდ ინერციული ინფლაციის დროს, რომლის ტემპი მუდმივია. მაგრამ თუ მოულოდნელად ეკონომიკური შერყევა მოხდა (ფასების ზრდა ენერგომატარებლებზე და სხვ.), მაშინ ინფლაციის ტემპიც ასევე მოულოდნელად გაიზრდება. მოულოდნელი შერყევის მომენტიდან დაწყებული ინფლაციას ზრდის სტაბილურად სწრაფი ტემპი აქვს, სიტუაცია სტაბილიზირდება მორიგ შერყევამდე ა. შ. ამრიგად, ინფლაციის ტემპი იზრდება. ამის მაგალითია ორი ეკონომიკური შერყევა (ნავთობკრიზისი 1973 და 1979 წწ.), რამაც ინფლაციის ტემპი ჯერ 7 პროცენტამდე და შემდეგ 9 პროცენტამდე გაზარდა. ამის შედეგად ფილიპსის მრუდმა ზევით გადაინაცვლა.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე. გრძელვადიან პერიოდში ბუნებრივი დონის ქვევით (ეკონომიკური ბუმის პერიოდში) უმუშევრობის შემცირების დროს იზრდება დანახარჯი, ჩქარდება ინფლაციის ტემპი. ადამიანები ითვალისწინებენ ინფლაციის ახალ დონეს, იგი ფიქსირდება კონტრაქტებში. შესაბამისად ძლიერდება ინერციული ინფლაციის ტემპი. მერედამერე ბუმის შემდეგ აქსელერატორები (ან სახელმწიფო პო-

ლიტიკა) ანელებენ ეკონომიკური ზრდის სწრაფ ტემპებს. ეკონომიკური განვითარების შეჩერება უმუშევრობის დონეს ბუნებრივამდე ზრდის; მაგრამ ინფლაცია არ მცირდება, რადგან იგი ინერციულად იქცევა. ინფლაციის ტემპი განუხრელად იზრდება.

ეკონომიკური დაცემის შემთხვევაში უმუშევრობა ბუნებრივ დონეზე მაღლა აღმოჩნდება, და ზემოთ აღნიშნული პრინციპები უკუთანამიმდევრობით იწყებს განვითარებას. ამის შედეგად ინფლაციის დონე ეცემა. ამრიგად, გრძელვადიან პერიოდში ინფლაციის სტაბილური დონე შესაძლებელია მხოლოდ უმუშევრობის ბუნებრივი დონის დროს.

მკვდარია თუ არა ფილიპსის მრუდი? აღსანიშნავია, რომ ფილიპსის მრუდის მარტივი და სტაბილური თეორია დაძველდა. მის ნაცვლად შემოვიდა ზემოთ აღწერილი ბუნებრივი დონის თეორია. 1979 წლიდან ეს თეორია მეტად ეფექტიანად გამოიყენებოდა აშშ-ში („რეიგანეკონომიკა") და დიდ ბრიტანეთში (მ. ტეტჩერის მთავრობის პოლიტიკა). ეკონომიკურმა დაცემებმა ამ ქვეყნებში ინფლაციის ტემპების შემცირება გამოიწვია.

ლიკვიდაცია თუ ადაპტაცია? ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით მთავარია შემდეგი: რადიკალური ღონისძიებებით მოვახდინოთ ინფლაციის ლიკვიდაცია თუ მასთან ადაპტაცია. ამ დილემას სხვადასხვა ქვეყანა თავისებურად წყვეტს. აშშ და დიდი ბრიტანეთი აქტიურად ებრძიან ინფლაციას, სხვა სახელმწიფოები ამუშავებენ ადაპტაციურ ღონისძიებათა (ინდექსაცია და სხვ.) კომპლექსს. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველთვიურ 100 პროცენტიანი ფასების შეთავსება სამომხმარებლო ფასების ინდექსთან მათ უწყვეტ მულტიპლიკაციას წარმოშობს. ამის შედეგად ინფლაციური სიტუაცია კიდევ უფრო არასტაბილური ხდება.

რა ჯდება ინფლაციის შემცირება? დავსვათ კითხვა: რა ფასს იხდის საზოგადოება ინფლაციის დონის შესამცირებლად? რაც უფრო დაქანებულია ფილიპსის მრუდი, მით უფრო დაბალია ფასი, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია ინფლაციის ტემპის შემცირება. ინფლაციის ერთი პროცენტით შემცირებისათვის უმუშევრობა წლის მანძილზე თავის ბუნებრივ დონეზე 2 პროცენტით მეტი უნდა იყოს. ოუკენის

კანონის მიხედვით ეს ნიშნავს რეალური ᲔᲔᲐ შემცირებას პოტენციურის ქვევით 4 პროცენტით.

უმუშევრობის ზრდის ხარჯზე ინფლაციის შემცირების პრობლემა ერთმნიშვნელოვნად არ წყდება. ეს დილემაა. ეკონომისტების ნაწილი ამტკიცებს, რომ ასეთი საფასურის რაოდენობა მცირეა. სხვები კი ლაპარაკობენ უმუშევრობის მეტად უმნიშვნელო ზრდის მორალურ-ფსიქოლოგიური მავნებლობის შესახებ და მოცემულ დილემას ჰუმანური პოზიციებიდან აფასებენ. ინფლაციასთან ბრძოლის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს შემოსავლების ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა, რომელიც შეძლებდა ფასების სტაბილიზაციასა და სრულ დასაქმებას შორის კომპრომისის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანას. მსოფლიო გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ასეთი პოლიტიკის ყველა ვარიანტი თავისებურად წარუმატებელია: 60-70-იანი წლების დიდ ბრიტანეთში გატარებული „შეჩერდი — წინ" პოლიტიკა და ეკონომიკის საბაზრო ძალისაგან განთავისუფლების პოლიტიკა. შემოსავლების პოლიტიკის ვერც ერთმა ვარიანტმა ვერ შეუწყო ხელი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას — სრული დასაქმება შეეთავსებინა ფასების სტაბილიზაციის გონივრულ ხარისხთან.

გადასახადებზე დაფუძნებული შემოსავლების პოლიტიკა. უკანასკნელ ხანებში პოპულარული გახდა კიდევ ერთი იდეა— სახელმწიფო სახსრების ხარჯზე იმ ფირმების წახალისება, რომლებიც ნელა ზრდიან ან ფასებს, ან ხელფასს და ამრიგად, სარგებლობენ არა მიკრო, არამედ მაკროეკონომიკური სტიმულირებით. ასეთი პოლიტიკის უპირატესობა ისაა, რომ წარუმატებლობის დროს მისი უარყოფითი შედეგები მთელი ეკონომიკისათვის ძლიერ საგრძნობი არ იქნება, თუმცა სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ ინფლაციასთან ბრძოლის არავითარ ახალ პოლიტიკას არ შეუძლია განვითარების საბაზრო მექანიზმის შეცვლა.

ჯერ-ჯერობით წინანდებურად ინფლაციაზე კონტროლი მოითხოვს მუდმივად მზადყოფნის აუცილებლობას უმკაცრესი ეკონომიკური დილემის გადასაწყვეტად: ინფლაციის ზრდა თუ უმუშევრობის ზრდა. უმუშევრობის დონეს აქვს ზრდის ტენდენცია, ინფლაცაზე კონტროლი წლიდან წლამდე

მოითხოვს დიდი რაოდენობით სამუშაოებიდან განთავისუფლებას. იძულებითი ქრონიკული უმუშევრობა თანამედროვე კაპიტალიზმის მძიმე ავბედითი თავისებურებად იქცა. ახსნას იმაში ვპოულობთ, რომ თავისუფალი კონკურენციის პერიოდისაგან განსხვავებით, ახლა ერი მოსახლეობას სიღატაკისა და ეკონომიკური უბედურებისაგან იცავს. მოძველდა პრინციპი: „ვინც არ მუშაობს ის არ ჭამს". არსებობს დახმარებები უმუშევრებისათვის, საზოგადოებრივი სამუშაოები და სხვ. ამჟამად ფაქტად იქცა ის, რომ მუშები ვერ ითმენენ ხელფასის შემცირებას, კაპიტალისტები კი — ფასებისას. ინფლაციის შეკავების შედეგები ხორციელდება უმუშევრობის დიდი ზრდის ხარჯზე.

ნაწილი III.

მაკროეკონომიკა: ფული, სარგებლის განაკვეთი და დეფიციტი

თავი 14

ფული და კომერციული საბანკო ოპერაციები

ფული ეკონომიკაზე, ფისკალური პოლიტიკისაგან განსხვავებით უპირატესად ირიბად მოქმედებს, ეს მაშინ, როცა სამთავრობო ხარჯებისა და, ერთდროულად, ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას, ჩვეულებრივ თან ახლავს წარმოების მოცულობისა და ფასების ამაღლება.

ცვლილებებს ფულის მიწოდებაში მივყავართ სარგებლის განაკვეთებისა და კრედიტის მოძრაობამდე, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ხარჯების სხვადასხვა კომპონენტებზე (სახლების მშენებლობა, სამრეწველო ინვესტიციები, წმინდა-ექსპორტი და ა. შ.). ზეგავლენა ხარჯებსა და წარმოების მოცულობაზე სარგებლის განაკვეთების მეშვეობით უფრო ძლიერია, ვიდრე შემოსავლით.

ა. ფულისა და განკების ისტორია

საზოგადოებამ ფულის გამოყენებაში რიგი ისტორიული საფეხური განვლო: ნატურალური გაცვლა თანმიმდევრულად შეცვალა საქონელგაცვლამ, ქაღალდის ფულმა, შემდეგ საბანკო ფულმა. ასეთია ფულის ევოლუციის ისტორიული პროცესი.

ფულის ევოლუცია. ნატურალური გაცვლა და ფულის გამოყენება

ნატურალური გაცვლა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი საქონელი სხვა საქონელზე იცვლებოდა პირდაპირ, საერთო სააღრიცხვო საშუალების ან ფულის გამოყენების გარეშე. ნატურალური გაცვლა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გაცვლის ისეთ წესთან შედარებით, რომლის დროსაც პიროვნებას ჰქონდა მხოლოდ ის, რისი წარმოებაც მას შეეძლო. მიუხედავად ამისა, მარტივ ნატურალურ გაცვლას ჰქონდა სერიოზული უარყოფითი მხარეებიც. უმეტესი პრიმიტიული კულტურის დროს ერთ საქონელს უშუალოდ მეორეზე არ ცვლიდნენ. ჯერ ყიდნენ საქონელზე, რომელიც გამოდიოდა გაცვლის საშუალების როლში, ხოლო შემდეგ ამით ყიდულობდნენ საჭირო საქონელს.

საქონელი — ფული. ისტორიულად საქონელთა დიდი რაოდენობა ერთხელ მაინც იყო გაცვლის საშუალება, კერძოდ, რქოსანი პირუტყვი, თამბაქო, ზეთი, ლუდი ან ღვინო, თაფლი, რკინა, ოქრო, ვერცხლი, ბეჭდები, ბრილიანტი და სიგარეტები.

XIX საუკუნეში საქონელ-ფულის როლში გამოდიოდა თითქმის მხოლოდ ლითონები. მაგრამ, ნაკლოვანებებისაგან არცერთი მათგანი არ იყო თავისუფალი: და, შემდეგ კი კარგავდა ამ ბრწყინვალებას, ოქროს გაყალბება ადვილად შეიძლებოდა, ამასთან მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქონელ-ფულის როლში ოქროს სათანადო რაოდენობით უქონლობა მის ღირებულებას იმდენად ზრდიდა, რომ მისგან მონეტის მოჭრაზე ხარჯები ძალიან დიდი იყო.

ქაღალდის ფული საქონელ-ფულის ეპოქამ წარმოშვა ქაღალდის ფულის ერა. გაშიშვლდა ფულის არსი: ფული სა-

ჭირო გახდა არა თავისთავად, არამედ იმ ნივთებისათვის, რომელთა ყიდვაც მისი საშუალებით შეიძლებოდა.

ფული გამოხატავს ხელოვნურ სოციალურ კავშირს. თუ რაღაც მიზეზის გამო ხალხი იწყებს რომელიმე სუბსტანციის გამოყენებას ფულის სახით, ის იძენს ფასეულობის მნიშვნელობას.

ეს ქმნის პარადოქსს: ფულით ვყიდულობთ იმის გამო, რომ ის ფულია.

ქაღალდის ფულის ბრუნვა ფართოდ გავრცელდა, რადგან ის, როგორც გაცვლის საშუალება მოსახერხებელია, ცალკეულ პიროვნებას ფულის კეთება არ შეუძლია, ესეც ფულს ხდის იშვიათობად.

საბანკო ფული. დაბოლოს, საბანკო ფულის ერაც დადგა — ჩეკების გამოწერის საფუძველია ანაბრები ბანკში.

სწრაფი ევოლუცია. ამჟამად ფული უაღრესად სწრაფ ევოლუციას და არსებით განახლებას განიცდის. ფული შეიცვალა — საკრედიტო ბარათებით, ჩეკებით მოგზაურთათვის და ა. შ. ფულის არსია ის, რომ იგი გაცვლის საშუალებაა. სხვადასხვა ეპოქაში მრავალი ნივთი ფულად იყო მიღებული, მაგრამ დღეს ისეთი ქაღალდისა და საბანკო ფულის ერა დადგა, რომელთაც ღირებულება არა აქვთ.

ფულის მიწოდების კომპონენტები. ფულის მასის კომპონენტების მთავარი ერთობლიობა დღეისათვის ცნობილია როგორც M_1, M_2.

ფული გარიგებისათვის, ანუ M_1. ის ნივთების ყიდვისა და გაყიდვის დროს გარიგებისათვის გამოიყენება. M_1 მოიცავს მონეტებს, ბანკისგარეთ არსებულ ნაღდ ფულს, აგრეთვე მიმდინარე ანგარიშებს.

ნაღდი ფული. დღეს მთელი ამერიკული ნაღდი ფული და მონეტები „დეკრეტულ" ფულს წარმოადგენს. ის ფულია იმდენად, რამდენადაც მთავრობამ დაადგინა, რომ ის ფული უნდა იყოს, და რამდენადაც ჩვენ ყველა მას ყიდვა-გაყიდვის დროს ვიყენებთ.

უკანასკნელ წლებში ისმის მოწოდებები დავუბრუნდეთ ოქროს სტანდარტს და ოქროს შემცველ ფულსაც კი. ეს დაკავშირებულია იმის ცდასთან, რომ ზოგიერთს სურს კონგ-

რესის ძალაუფლება ჩამოაცილოს ფედერალურ-სარეზერვო სისტემისაგან (ფსს) ფულად-საკრედიტო სფეროში.

საწინააღმდეგო მოსაზრება ასეთია: ფულის მიწოდების შეზღუდვა აუცილებელია, როდესაც ფულს ფასი აქვს. თუ ნაღდი ფული იმდენად არ არის შეზღუდული თავისი სარგებლიანობით, რომ პრაქტიკულად თავისუფალ საქონლად იქცევა, მაშინ ხალხი მას იმდენად ბევრს დახარჯავს, რომ ფასები, ხელფასი და შემოსავლები ძალიან მაღლა აიწევს. ამ მიზეზის გამო ფულის მიწოდებაზე კონტროლი მთავრობამ უნდა განახორციელოს.

მიმდინარე ანგარიშები. ფულის მესამე სახეა გარიგებისათვის მიმდინარე ანგარიშებში მისი გამოყენება, ანუ საბანკო ფული. ესაა სახსრები დეპონირებული ბანკებში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, რომელთა მიხედვითაც შეიძლება გამოიწეროს ჩეკი. ისინი ცნობილია, როგორც „უვადო ანაბრები და სხვა საჩეკო დეპოზიტები".

დეპოზიტებმა შეიძლება ფულის როლიც შეასრულოს, იმიტომ, რომ ჩეკის გამოწერით შეიძლება ნაყიდი საქონლის საფასურის გადახდა.

ფულის მასის სხვა ფორმები. ფული ფართო გაგებით (M_2). M_2 მოიცავს M_1, აგრეთვე შემნახველ ანგარიშზე არსებულ დეპოზიტებს, სასესხო ფონდებს, რომელთა დახმარებითაც მოქმედებენ თქვენი საბირჟო ბროკერები, კომერციული ბანკების დეპოზიტები „ფულად საბაზრო ვადიან ანაბრებზე". სიმარტივისათვის მათ „შემნახველ ანგარიშებს" უწოდებენ. რატომ არ გამოიყენება ისინი ფულადი გარიგებისათვის? იმიტომ, რომ მათ შეუზღუდავად ვერ გამოიყენებთ, როგორც გაცვლის საშუალებას მცირე და დიდი შესყიდვების დროს.

კრედიტი. ჰარვარდელმა ბენჟუამინ ფრიდმანმა წამოაყენა საერთო კრედიტის შესახებ მეტად საყურადღებო კონცეფცია — საერთო კრედიტი მოიცავს რიგ ფინანსურ ინსტრუმენტს — ფულს, თითქმის — ფულს, ობლიგაციებს, გირავნებას და ა. შ.

საბანკო ოპერაციები, როგორც ბიზნესი. საფინანსო ინსტიტუტები. დღეს კომუნიკაციებში ცვლილებების, საფინანსო ბაზრების დერეგულირების, ინტენსიური კონკურენციის

შედეგად არსებითი განსხვავებანი საფინანსო ინსტიტუტებს შორის ქრება. ძირითადად ყველა ისინი იქცნენ საფინანსო შუამავლებად, ე. ი. ანაბრებს იღებენ ერთი ჯგუფისაგან და სესხად აძლევენ სხვებს. ისინი მოანაბრეებს უზრუნველყოფენ სხვადასხვა საფინანსო ინსტრუმენტებით — მიმდინარე ანგარიშებით, შემნახველი ანგარიშებით, დაზღვევის პოლისებით და ა. შ. საფინანსო შუამავლების უფრო შედარებით მსხვილი წარმომადგენლები არიან კომერციული ბანკები, რომლებზედაც მოდის ყველა საფინანსო ინსტიტუტების აქტივების 34 პროცენტამდე. მაკროეკონომიკის თვალსაზრისით უფრო მეტად მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს საბანკო ფული, ანუ მიმდინარე ანგარიშები, რომლებიც ძირითადად კომერციულ ბანკებს აქვთ.

რისკის ბიზნესი. ბანკის საბალანსო ანგარიშები თითქმის ისეთივეა, როგორც სხვა ნებისმიერი საწარმოსი. მაგრამ არის ერთი თავისებურება — ისინი აქტივებში ფიქსირდებიან, როგორც „რეზერვი". რეზერვი — ესაა ფულადი თანხა, ან აქტივები, რომლებიც ნაღდი ფულის სახით ბანკებში ან დეპოზიტების ფორმით ცენტრალურ ბანკში ინახება. რეზერვების რაღაც ნაწილი უნდა იყოს მიმდინარე საჭიროებისთვის, მისი ძირითადი მასა კი მთავრობის მიერ დადგენილ ფორმებშია.

როგორ განვითარდა ბანკები საიუველირო დუქნიდან თანამედროვე, ნაწილობრივ სარეზერვო საბანკო საქმედ? კომერციული ბანკების ისტორია ინგლისში დაიწყო საიუველირო დუქნებიდან, რომლებიც პირველად შემნახველი საკნების მსგავსნი იყვნენ. მეანაბრენი აქ ოქროს შესანახად ტოვებდნენ, და საბუთად დუქნის მეპატრონისაგან ხელწერილს იღებდნენ. ფული იქცეოდა რაღაც უსახელო რამედ. ამაშივე გამოიხატებოდა უკვე სხვაობა შემნახველ საკანსა და ბანკებს შორის. რეზერვები ნაღდ ფულში დეპოზიტების 100% შეადგენდა. მაგრამ იუვილერ-ბანკირებმა მალე დაინახეს, რომ დეპოზიტები ყველა ერთად არ გადის, უფრო მეტიც: ზოგს გააქვს ზოგს შემოაქვს ანაბარი. ბანკების უმრავლესობას სჭირდება ნაღდი ფულის მხოლოდ 1 პროცენტი ყველა ანაბრის დასაფარავად. ამასთანავე რეზერვებს მოგება არ მოაქვს, მათზე სარგებელი არ გაიცემა. ამიტომ ბანკები მხოლოდ აქ-

ტივების ნაწილს ინახავენ ნაღდ რეზერვებად. ეს მეტად ძვირფასია, რადგან დეპოზიტების საერთო ჯამი შეიძლება გადაამეტოს ოქროს რეზერვის მოცულობას. ამგვარად აკეთებენ ბანკები ფულს.

ოფიციალური სარეზერვო მოთხოვნები. 1980 წლამდე სარეზერვო მოთხოვნები ეხებოდა მხოლოდ ფსს-ის წევრ ბანკებს. მაგრამ 1980 წლის საბანკო აქტის საფუძველზე ყველა საფინანსო შუამავალი ვალდებულია: პირველი ჰქონდეს რეზერვები სხვადასხვა სახის დეპოზიტებთან დამოკიდებულებაში; მეორე, დეპოზიტები იყოფიან ორ სახედ — მიმდინარე და შემნახველად.

სარეზერვო მოთხოვნების მთავარი ფუნქციაა ფსს-ის უნარი გააკონტროლოს მიმდინარე ანაბრების ის თანხა (ანუ საბანკო ფული), რომელთა შექმნაც ბანკებს შეუძლია.

ბ. ბანკის დეპოზიტების შექმნის პროცესი

ბანკებს მართლა შეუძლიათ თუ არა ფული შექმნან? მივმართოთ ფულისა და კრედიტის ყველაზე მისტიკურ ასპექტს — პროცესს, რომელსაც „საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციურ გაფართოებას“ უწოდებენ. აქ შეიძლება დავსვათ: საბანკო სისტემა და მოსახლეობა ქმნის დაახლოებით 10 დოლარ საბანკო დეპოზიტს რეზერვების თითოეულ დოლარზე.

როგორ იქმნება დეპოზიტები? არსებული კანონის მიხედვით ბანკს უნდა ჰქონდეს 3-დან 12 პროცენტამდე დეპოზიტები რეზერვების სახით. ჩვენს მაგალითში სარეზერვო მოთხოვნების სიდიდე უდრის 10%. **დავუშვათ: ბანკმა, რომელსაც აქვს 1000 დ. ანაბრებზე, სესხის სახით გასცა 900 დ** ნაღდ ფულად ან ჩეკების სახით. მსესხებელმა ეს ფული შეიტანა სხვა ბანკში. პირველ ბანკს სესხის გაცემის შემდეგ **1000 დ დეპოზიტების დასაფარავად დასჭირდება 100 დ** ოდენობით. ბანკის საქმიანობის შედეგად გაჩნდა „ახალი“ ფული 900 დ ოდენობით.

მეორე ბანკი, აქვს რა 900 დ ანაბარი, რეზერვად ტოვებს 9 დ, ხოლო 810 დ გასცემს სესხად. ამგვარად, საერთო თანხა (M_1) ახლა უკვე შეადგენს 2710 დ. შეგახსენებთ: პირველსაწყისი ანაბარი უდრიდა 1000 დ.

ფულის მიწოდების მულტიპლიკატორი. როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს რეზერვებზე მულტიპლიკაციურ ზეგავლენას. რეზერვებში დამატებულ თითოეულ დოლარზე ბანკები აწარმოებენ 10 დ დამატებით დეპოზიტებს, ანუ საბანკო ფულს. ახალი დეპოზიტების შეფარდებას რეზერვების ზრდასთან ეწოდება ფულის მიწოდების მულტიპლიკატორი.

დეპოზიტების მსხვრევა. დეპოზიტების შექმნის პროცესმა შეიძლება „იმუშაოს" საპირისპირო მიმართულებითაც, როდესაც რეზერვების ამოწურვა იწვევს საბანკო ფულის შემცირებას. თუ ფსს თავისი მიმდინარე ანგარიშებიდან ყიდის სამთავრობო ფულს მათი გასტუმრებისათვის, მაშინ საბოლოო ანგარიშით 1000 დ რეზერვების ამოღება საბანკო სისტემიდან გაანადგურებს 10 000 დ დეპოზიტებს.

გაუონვა მიმოქცევის დროს „ხელიდან ხელში". თუ ვინმე ჩეკის მიღებისას ფულს ბანკში (ან ქალის წინდაში) მოათავსებს, მაშინ ჩვენს მაგალითში ასეთი ამოღების ეფექტი მარტივი იქნება. თუ საბანკო სისტემიდან 50 დოლარია ამოღებული, ამ შემთხვევაში ახალი რეზერვების მხოლოდ 950 დ დარჩება საბანკო სისტემაში და, მაშასადამე, ახალი მიმდინარე ანაბრები 9500 დ იქნება.

ჭარბი რეზერვები. არავითარი ხელის შემშლელი მიზეზი არ არსებობს, რომ ბანკებს აუცილებლობის შემთხვევაში არ შეეძლოთ ჰქონდეთ რეზერვების დიდი თანხები, ვიდრე ეს ოფიციალურადაა საჭირო. რეზერვების გაზრდა შესაძლებელია მართებული იყოს, თუ რეზერვებზე სარგებლის განაკვეთი დაკავშირებულია ინვესტიციების სარგებლის განაკვეთთან. ასეთი სიტუაცია დიდი დეპრესიის პერიოდში იყო, როცა სარგებლის განაკვეთი გარანტირებულ სამთავრობო ფასიან ქაღალდებზე შეადგენდა მხოლოდ პროცენტის ერთ მერვედს და ბანკირებს ჰქონდათ რეზერვების მნიშვნელოვანი ოდენობა.

ნებისმიერ შემთხვევაში კავშირი რეზერვებსა და ფულად მიწოდებას შორის სუსტდება, ბანკირებს არა აქვთ ჭარბი რეზერვების სწრაფი დაფარვის მისწრაფება. ამ მიზეზის გამო ეკონომისტთა უმრავლესობა ეწინააღმდეგება სარგებლის გადახდას საბანკო რეზერვებზე.

თავი 15

ფედერალური სარეზერვო სისტემა და ცენტრალური ბანკის საკრედიტო ფულადი პოლიტიკა

ამ თავის მთავარი თემაა — ცენტრალური ბანკი. აშშ-ში ცენტრალური ბანკი — ფედერალური სარეზერვო სისტემა (ფსს) — მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფსს ბანკთა ბანკია. მისი ძირითადი ფუნქციაა კონტროლი საბანკო რეზერვებზე, რომლითაც კორდინირდება ფულისა და კრედიტის მიწოდება.

როგორ ხორციელდება კონტროლი ხარჯებზე? რა პროცესია ის, რომლის საშუალებითაც ცენტრალური ბანკი ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნილებაზე და, მაშასადამე, წარმოებისა და ფასების მოცულობაზე? ყურადღება მივაქციოთ მის ხუთ საფეხურს.

1) ფსს-ის პირველი ნაბიჯი, როდესაც ის ებმება ფულადსაკრედიტო ურთიერთობებში, მიმართულია ბანკებში არსებული რეზერვების შემცირებისაკენ; 2) თანხის თითოეული დოლარი, წარმოქმნილი საბანკო რეზერვების შემცირების შედეგად, იწვევს მულტიპლიკაციურ შემცირებას საერთო მიმდინარე დეპოზიტებში. ამგვარად მცირდება ფულის მიწოდება; 3) ფულის მიწოდების შემცირებას თან ახლავს ფულის გაძვირება. სარგებლის განაკვეთის ამაღლება გვევლინება ინვესტიციებისა და ერთობლივი მოთხოვნის სხვა კომპონენტების მალიმიტებელ ფაქტორად; 4) ხდება სარგებლის განაკვეთის ზრდა, საკრედიტო რეზერვების შემცირება, მოსახლეობისა და ფირმების დაგროვების შემცირება. კერძო და სახელმწიფო ხარჯები, განსაკუთრებით ინვესტიციები მცირდება; 5) და, ბოლოს, „ძვირფასი“ ფულის ზემოქმედებით იკვეცება ერთობლივი მოთხოვნა, მცირდება შემოსავლები, წარმოების მოცულობა, დასაქმება და ინფლაცია.

როგორ ფუნქციონირებს ცენტრალური საბანკო სისტემა? ფსს-ის სტრუქტურა. 1907 წლის საბანკო პანიკას, 1913 წელს მოჰყვა ფსს-ის შექმნა. ფორმალურად ფსს შედგება 12 რეგიონალური ბანკისა და ცენტრალური საკოორდინაციო ორ-

ჯანოსაგან, რომლებიც ფუნქციონირებენ ვაშინგტონში. ფსს-ის ვაშლილი რეგიონალური სტრუქტურის შექმნის მიზანია ცენტრალიზაციის მეტად მაღალი დონის აღკვეთა.

ვინაა პასუხისმგებელი? ფსს-ის საბჭო აერთიანებს ფსს-ის 12 რეგიონალური ბანკის ყოველთვიურად სხდომის ჩამტარებელ პრეზიდენტს, რომლებიც მოქმედებენ თავმჯდომარის ხელმძღვანელობით.

მეორე ორგანოა ღია ბაზრის ოპერაციების კომიტეტი, რომელიც შედგება კომიტეტის 72 არჩევითი წევრისაგან, რომელთაგანაც შვიდი მმართველია და 5 — რეგიონალური საბჭოს პრეზიდენტი.

სისტემის სათავეშია მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ასევე ასრულებს კომიტეტის თავმჯდომარის ფუნქციებსაც.

ფსს-ის ოპერაციები. ფსს-ის საბოლოო მიზანი არის ინფლაციისა და უმუშევრობის შემცირება, რეალური ᲔᲔᲐ სწრაფი ზრდა, სტაბილურობის შენარჩუნება საგარეო კავშირებში. შეიძლება გამოვყოთ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის სამი მთავარი ინსტრუმენტი: 1) ოპერაციები ღია ბაზარზე — სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვა ან გაყიდვა; 2) სააღრიცხვო-სარგებლის პოლიტიკა — სარგებლის განაკვეთების დადგენა, რომლითაც ბანკ-წევრებს შეუძლიათ ფსს-დან რეზერვების სესხება; 3) ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების სარეზერვო მოთხოვნის ოფიციალური კურსის შეცვლა.

საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტები. ოპერაციები ღია ბაზარზე. ესენი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ფსს-ს მეტად მნიშვნელოვანი იარაღი ღია ბაზარზე (მეტ წილად ნიუ-იორკის) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვისას. ფსს-ს შეუძლია შეამციროს ან გაზარდოს საბანკო რეზერვები.

ღია ბაზარზე ოპერაციების კომიტეტი ყოველთვიურად იკრიბება იმისთვის, რომ განსაზღვროს: გააჯეროს თუ არა რეზერვებით საბანკო სისტემა სახაზინო თამასუქების ყიდვით, ან პირიქით, ოდნავ „შეავიწროვოს" ამ უკანასკნელთა მოცულობა სამთავრობო ფასიანი ქაღალდების გაყიდვით.

ვის მიეყიდება ობლიგაციები? ღია ბაზარზე — სახელმწიფო ობლიგაციების ლიდერებს, რომლებიც შემდეგ მას თა-

ვის მხრივ მიპყიდიან კომერციულ ბანკებს, მსხვილ კორპორაციებსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებს;

მყიდველები ჩვეულებრივ ობლიგაციებს ყიდულობენ ჩეკების მეშვეობით. შემდეგ ფსს ამ ჩეკებს გასანაღდებლად წარუდგენს მყიდველ-ბანკებს. ჩეკების განაღდებით ბანკები ეკვივალენტურ თანხას კარგავენ რეზერვებში.

რა მოუვა ფულის მიწოდებას? ჩვენი მაგალითით 1 მლრდ დ რეზერვების შემცირებით მივიღებთ დეპოზიტების 10 მილიარდიან შემცირებას.

დისკონტური განაკვეთის პოლიტიკა: საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მეორე ინსტრუმენტი. ფედერალური სარეზერვო ბანკები ასევე აძლევენ სესხს ბანკებს. ამ სესხებს დავარქვათ „სასესხო რეზერვები". თუ იზრდება სასესხო რეზერვები, ბანკები სესხს იღებენ ფსს-დან, რითაც ხელს უწყობენ საბანკო რეზერვების ზრდას. თუ სასესხო რეზერვები მცირდება, ეს ხელს შეუწყობს საერთო საბანკო რეზერვების შემცირებას.

დისკონტური განაკვეთი სარგებლის განაკვეთია, რომელიც ენიშნებათ 12 რეგიონალურ სარეზერვო ბანკს საბანკო სესხებზე. ფსს-ს შეუძლია ელოდოს სესხის ამღებთა გაზრდას დისკონტური განაკვეთის შემცირებისას, და პირიქით. კავშირი დისკონტურ განაკვეთსა და საბანკო სესხებს შორის მოძრავია. ფსს არ აძლევს სრულ თავისუფლებას „დისკონტური ფანჯრის" გამოყენებას (ადგილი, სადაც ფსს ახორციელებს საბანკო სახსრების გაცემას).

სარეზერვო მოთხოვნები. ფსს-ს შეუძლია სარეზერვო მოთხოვნების ვარირება, თუ კი საფინანსო სიტუაცია მკვეთრად შეიცვლება. დავუშვათ, ფსს-ს სურს გააძვიროს ფული ძალიან სწრაფად, მაშინ მას შეუძლია სარეზერვო მოთხოვნების სარგებლის გადიდება მსხვილი ბანკებისათვის, ასევე გაზარდოს სარეზერვო მოთხოვნები ვადიან დეპოზიტებზე.

თავი 16

მონეტარიზმი და ფულზე მოთხოვნა

ა. ფულზე მოთხოვნა

ფულის ფუნქციები. 1. გარიგებისათვის (M_1) ფულის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს გაცვლის უზრუნველყოფა. 2. ფული, აგრეთვე, გამოიყენება როგორც ფასის, გაწეული მომსახურებისა და ეკონომიკური საქმიანობის საანგარიშო ერთეული. 3. ფული ზოგჯერ დაგროვებისათვის გამოიყენება. აქციებთან, ობლიგაციებთან, სახლებთან ან ოქროსთან დამოკიდებულებაში ფული ნაკლებად სარისკო აქტივია.

ფული სასარგებლოა, რადგან ის შესაძლებლობას იძლევა მარტივად და სწრაფად დაიდოს გარიგებანი, განისაზღვროს ფასები, მოხდეს დაგროვება თუ სიმდიდრე აქციებში, ობლიგაციებსა ან შემნახველ ანგარიშებზეა და არა ნაღდი ფულის სახით, მას დიდი სარგებელი მოაქვს. ფულის ღირებულება განისაზღვრება სარგებლით, რადგან ფული ამ აქტივებში ინვესტირებული არ არის.

ფულზე მოთხოვნა. საქმიანი მოთხოვნა, მოთხოვნა აქტივებზე. ფულზე (M_1) მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ იგი მიმოქცევის საშუალებაა. საქმიანი მოთხოვნა M-ზე მერყეობს ჩვენი ავუარების ღირებულების მიხედვით. თუ სარგებლის განაკვეთი ალტერნატიულ აქტივებზე მაღალია ფულის სარგებლის განაკვეთზე, მაშინ მოსახლეობა და ფირმები ზოგავენ თავიანთ ფულად ავუარებს.

ხალხი ხანდახან აგროვებს ფულს, რომელსაც შემოსავალი არ მოაქვს, რაც ნაკარნახევია ეკონომიკური ცხოვრების ცვალებადობის შედეგად თავისი სიმდიდრის ნაწილის შენარჩუნების აუცილებლობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია, „გაექცე სისულელეს, მთელი შენი კვერცხები ჩადო ერთ კალათში“. ეს ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე განშტოების („კარტოფილის თეორია“) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და საშუალებას იძლევა გააანალიზო, უფრო რაციონალურად როგორ მოახდინო სიმდიდრის ინ-

ვესტირება მისი ობლიგაციებად, სესხებად და ფულად დაყოფით. ერთ-ერთი კალათი, რომელიც აუცილებლად გამოიყენება, არის გარანტირებული აქტივები. ისინი შეიძლება იყოს მაღალმომგებიანი მიმდინარე ანგარიშები — M_2-ის ნაწილი, ან თითქმის M_2 — შესაძლოა შემნახველი ანგარიშებიც.

ბ. როგორ ზემოქმედებს ფული წარმოების მოცულობაზე

სცენარი ასეთია: როდესაც ფსს ზრდის ფულის მიწოდებას, სარგებლის განაკვეთს აქვს ტენდენცია დაცემისკენ, ხოლო კრედიტი უფრო მიმზიდველი ხდება, რაც მომგებიანს ხდის ახალ საინვესტიციო პროექტებს. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ასეთი მოძრაობა მარჯვნივ წარმოებისა და ფასების მოცულობის ზრდას იწვევს.

ფულის მიწოდება და მოთხოვნა. ანალიზის პირველ საფეხურს წარმოადგენს ფულის ბაზრის შესწავლა, M-ზე მოთხოვნა და მიწოდება. ფულის ბაზარი შეიძლება წარმოვიდგინოთ გრაფიკის სახით, სადაც ვერტიკალურ ღერძზე ასახულია სარგებლის განაკვეთი, ხოლო ჰორიზონტალურზე — ფული (M_1). მიწოდება გამოსახულია ვერტიკალური სახით, ე. ი. ნავარაუდევია, რომ ფსს აქვს განსაზღვრული თანხა M. მოთხოვნა ფულზე წარმოდგენილია მარცხნიდან ქვევით, მარჯვნისაკენ მიმართული მრუდით, რომელიც ასახავს სიტუაციას: სარგებლის განაკვეთის ზრდის დროს მოსახლეობა და ბიზნესი ზოგავენ თავიანთ თანხას მიმოქცევაზე, მათი გადატანით მაღალმომგებიან აქტივებში. მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდეების გადაკვეთა განსაზღვრავს სარგებლის განაკვეთის წონასწორობას.

მონეტარული პოლიტიკის ზემოქმედება. როგორც უკვე აღინიშნა, ფულზე მოთხოვნის მრუდი წარმოადგენს არა მხოლოდ სარგებლის განაკვეთის, არამედ აგრეთვე შემოსავლის დონის ფუნქციასაც. ფულზე საქმიანი მოთხოვნა იზრდება ნომინალური ეეპ-ის ზრდის კვალობაზე. თუ ნომინალური ეეპ იზრდება, მაშინ: 1) M-ზე მოთხოვნა იზრდება, 2) მოთხოვნის მრუდი მოძრაობს მარჯვნივ; 3) სარგებლის განაკვეთი იზრდება.

ამგვარად, ფულადი სესხის მონეტარული პოლიტიკა ფუ-

ლის მიწოდების მრუდს გადასწევს მარცხნივ და ზრდის საბაზრო სარგებლის განაკვეთს.

საერთო წონასწორობა. როგორ ზემოქმედებს ცვლილებები ფულში ერთობლივ მოთხოვნაზე და როგორ ახდენს ის ზეგავლენას წარმოებისა და ფასების მოცულობაზე? ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მიწოდების დონის შეცვლის შედეგად იწყება პროცესი. M-ის გადიდების დროს სარგებლის განაკვეთი იწვევს ხარჯების ისეთი მუხლების ზრდას, როგორიცაა სამრეწველო ინვესტირება ან სახლების მშენებლობა. ინვესტირების დონის ამაღლებით კი (მულტიპლიკაციური მექანიზმის მეშვეობით) ეეპ-ის შემოსავალი და დასაქმება იზრდება.

ამრიგად, მაკროეკონომიკური მასტაბილიზებელი პოლიტიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი — ფული — ზემოქმედებას ახდენს წარმოების საბოლოო შედეგებზე.

მონეტარული პოლიტიკა ემთ — ემ-ის ჩარჩოებში. ჩვენ სულ ახლახან ვნახეთ, რომ M-ის მიწოდების ზრდამ გამოიწვია ინვესტიციების ზრდა და ერთობლივი მოთხოვნის მულტიპლიკაციური გადიდება. ემთ-ემ-ის გრაფიკის ანალიზის საფუძველზე განვიხილოთ მონეტარული ექსპანსიის ეფექტი რეცესიის პერიოდში, როდესაც ემ მრუდი შედარებით დამრეცია. ამ შემთხვევაში ემთ-ს მრუდი გადაიწევს მარჯვნივ, რეალური ეეპ-ს დონე სწრაფად ამაღლდება მაშინ, როდესაც ფასები უმნიშვნელოდ გაიზრდება. ამგვარად, თვალსაჩინო ხდება თუ მონეტარულ ექსპანსიას როგორი აუცილებლობით შეუძლია ზემოქმედება წარმოების რეალურ მოცულობაზე. მაგრამ თუ ჩვენ განვიხილავთ უფრო ხანგრძლივ სიტუაციას, რომლის დროსაც ემ მრუდი თითქმის ვერტიკალურია, მაშინ შევამჩნევთ, რომ მონეტარული ცვლილებები უმთავრესად ზემოქმედებს ფასებისა და ინფლაციის დონეზე.

რეალური სარგებლის განაკვეთი და მონეტარული პოლიტიკა. თუ ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია ნომინალური სარგებლის განაკვეთზე, მაშინ მოთხოვნა ინვესტიციურ საქონელზე (ნაგებობანი, სატვირთო მანქანები) უპირატესად განისაზღვრება რეალური სარგებლის განაკვეთით.

ხანგრძლივი და ხანმოკლე ზემოქმედება სარგებლის გა-

ნაკვეთზე. მონეტარული პოლიტიკის ხანგრძლივი ეფექტი ხანმოკლეს საპირისპიროა. ფულის ბაზრის შეკვეცა ნომინალური და რეალური სარგებლის განაკვეთს ზრდის, ინვესტიციებს ამცირებს და როგორც შედეგი — წარმოებისა და დასაქმების მოცულობის ზრდას ამცირებს. ასეთია ხანმოკლე ეფექტი. ხანგრძლივი ეფექტი სხვაა: ეკონომიკური დამუხრუჭება იწვევს ინფლაციის შემცირებას. ამ უკანასკნელის შემცირებით ნელდება ნომინალური ეპ-ის ზრდა, ასევე ნელა გაიზრდება მოთხოვნა ფულზე. როდესაც ეკონომიკა უბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას, სარგებლის რეალური განაკვეთი ადრინდელ დონეს აღწევს. ინვესტიციები, რომელიც დამოკიდებულია სარგებლის რეალურ განაკვეთზე, ასევე დაუბრუნდება ადრინდენ დონეს, ხოლო სარგებლის ნომინალური განაკვეთი შემცირდება.

ამ პარადოქსულ დასკვნას ხშირად უსვამენ ხაზს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის მომხრეები. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაბალი სარგებლის განაკვეთი შეიძლება მხოლოდ სარგებლის მაღალი განაკვეთისა და დაცემის პერიოდის შემდეგ დადგინდეს, ე. ი. შეზღუდულმა მონეტარულმა პოლიტიკამ შეიძლება სარგებლის ნომინალური განაკვეთი შეამციროს, მაგრამ მხოლოდ მაღალი უმუშევრობისა და ეკონომიკური დაქვეითების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ.

3. მონეტარიზმი

მონეტარისტების აზრით, ფული არის მაკროეკონომიკური მოვლენების გაგების ცენტრალური კატეგორია. მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს თავისუფალი ბაზრის მოქმედების დაბრკოლებისაგან და განერიდოს „ფასი-ხელფასი-ს" პროგრამას. ეს ფილოსოფია ტეტჩერის მთავრობისა და რეიგანის ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ბერკეტი იყო.

მონეტარიზმის არსი. 1. ფულის მიწოდება ნომინალური ეპ-ის ზრდის ძირითად დეტერმინატს შეადგენს, ე. ი. ემთ-ს მრუდზე ზემოქმედებს მხოლოდ ცვლილებები ფულის მიწოდებაში. ფისკალური პოლიტიკა ზეგავლენას ახდენს ეეპ-ის მხოლოდ ისეთ ნაწილებზე, როგორიცაა თავდაცვა და სა-

ხელმწიფო მოხმარება, ცვალებადობის საფუძველი კი ფულია.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თუ V არ იცვლება, მაშინ მხოლოდ ფული ზემოქმედებს ᲔᲔᲠ-ზე. თუკი M_1-ის ცვლილება იწვევს V-ს ცვლილებას, მაშინ ფასების საშუალო დონის (P) ნამრავლი რეალურ ᲔᲜᲠ-ზე (Q) შეიცვლება M-ისგან დამოუკიდებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, V-ს სტაბილურობის პირობებში ადგილი არა აქვს გადასახადებისა და სამთავრობო ხარჯების ზრდას და პირიქით.

2. ფასები და ხელფასი შედარებით მოქნილნი არიან. მონეტარისტები თვლიან, რომ ფილიპსის მრუდი საკმაოდ ციცაბოა თვით ხანმოკლე ეფექტის პერიოდშიც და ვერტიკალური მდგომარეობა უკავია, თუ ვილაპარაკებთ ხანგრძლივ პერიოდზე. ᲔᲛ მრუდი ასევე ასახავს წარმოების პოტენციური მოცულობისადმი მიახლოებასაც. ამრიგად, თუ მოკლე პერიოდს არ გავითვალისწინებთ, M ზემოქმედებს ფასებზე, ფისკალური პოლიტიკა არაფერზე არ ახდენს ზეგავლენას, Q მრუდი წარმოების პოტენციურ მოცულობას უახლოვდება.

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ IV

ᲛᲘᲙᲠᲝᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ: ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ, ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ

ᲗᲐᲕᲘ 17

ᲤᲘᲡᲙᲐᲚᲣᲠ-ᲛᲝᲜᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ

მიკროეკონომიკის შესახებ ამ დასკვნით თავში ჩვენ შევჩერდებით მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კავშირურთიერთობებზე. სტრუქტურული და ციკლური დეფიციტების ანალიზით დაწყება საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, თუ როგორ გავლენას ახდენს სამთავრობო ხარჯები და თვით დეფიციტი ინვესტიციებზე, დაბოლოს, გავარკვევთ სახელმწიფო ვალი ტვირთად აწევს თუ არა ერს.

ძველი ნიმუშის სახელმწიფო ფინანსები. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი საოჯახო ფინანსების უბრალო გაგრძელებაა. ბიუჯეტი ყოველწლიურად უნდა დაბალანსდეს; ვალი მძიმე ტვირთად დააწვება შვილიშვილებს და მათ შვილებს; ვალი საერთოდ ზნეობრივ დაცემას იწვევს, ხოლო სახელმწიფო ვალი — აბსოლუტურ ზნეობრივ დაცემას.

თანამედროვე სახელმწიფო ფინანსები. წინაპრების მსგავსად, ჩვენც დავინტერესდებით თუ არა ვალისა და დეფიციტის სიდიდით? არა. ჩვენთვის საინტერესოა დეფიციტი დაცემის შედეგია თუ არა, ან ის მთავრობის პოლიტიკის შედეგად თუ აღმოცენდება? როგორაა დაკავშირებული დეფიციტი ფისკალურ-მონეტარულ პოლიტიკასთან? დეფიციტი ამცირებს, თუ ზრდის ინვესტიციებს? სინამდვილეში როგორი მძიმეა სახელმწიფო ვალის ტვირთი?

სტრუქტურული და ციკლური დეფიციტი. თანამედროვე სახელმწიფო ფინანსებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტის დეფიციტის სტრუქტურულ და ციკლურ დეფიციტებად დაყოფას. ბიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტი მთავრობის ფისკალური პოლიტიკის შედეგად წარმოიშობა, ბიუჯეტის ციკლურ დეფიციტს კი სამრეწველო ციკლის ცვლილებები იწვევს.

რეალური ბიუჯეტი განისაზღვრება დოლარებში გამოხატული რეალური ხარჯით, შემოსავლებით და მოცემულ პერიოდში არსებული დეფიციტით.

სტრუქტურული ბიუჯეტი წარმოების პოტენციური მოცულობის საზღვრებში მოქმედი ეკონომიკისათვის ხარჯის, შემოსავლებისა და დეფიციტის რაოდენობაა.

ციკლური ბიუჯეტი ითვალისწინებს სამრეწველო ციკლის ზემოქმედებას შემოსავლებში, ხარჯსა და დეფიციტში ცვლილებების გამოხატვით იმ შემთხვევის დროს, როცა ეკონომიკა წარმოების პოტენციური მოცულობის ფარგლებს მიღმაა.

როგორი უნდა იყოს ბიუჯეტის ოპტიმალური დონე? ამ კითხვას მარტივი პასუხი არა აქვს, არ არსებობს ისეთი მაგიური ფორმულა, რომლითაც მთავრობა ასეთი ოპტი-

მუმის დაწესებას შეძლებდა. ალბათ უფრო მეტად სავარაუდოა გადასახადების, ბიუჯეტის ხარჯის, შემოსავლების, ან დეფიციტის სასურველი დონე დამოკიდებული იყოს: ა) ეკონომიკის ზრდის შეზღუდვის ან სტიმულირების აუცილებლობაზე; ბ) იმ როლზე, რომელსაც ამ პროცესში მონეტარული ან ფისკალური პოლიტიკა ასრულებს. პირველი მიეკუთვნება მოთხოვნის მართვას, მეორე — პოლიტიკის სფეროს.

მოთხოვნის მართვა. დაუშვათ, ჩვენ შევედით სტაგნაციის პერიოდში, რა ღონისძიებებს გაატარებს მთავრობა ეკონომიკის აღსადგენად? ის მეტს დახარჯავს, ან შეამცირებს გადასახადებს. მაშასადამე, თუ მთავრობას სრული დასაქმების დაბრუნება სურს, აუცილებელია სტრუქტურული დეფიციტის გაფართოება და პირიქით.

პოლიტიკების ნარევი. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ოპტიმალური ზომის მიღწევის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ელემენტების სინთეზი. დავუშვათ, მოსახლეობამ პრეზიდენტი აღჭურვა უფლებამოსილებით — დაიწყოს ისეთი დიდი თავდაცვითი მშენებლობა, რომლის დანახარჯები წარმოების მოცულობას არ შეამცირებს, მაგრამ ინვესტიციებს შეამცირებს, ვთქვათ, მშენებლობაში. რას გააკეთებს პრეზიდენტი? იგი გაზრდის თავდაცვის ხარჯს, გადასახადების უცვლელად დატოვებით შეამცირებს ფულის რაოდენობას, ამით გაზრდის სარგებლის განაკვეთს და შეამცირებს ინვესტიციებს. ასეთი პოლიტიკა გამოიწვევს სტრუქტურული ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას. ამ კურსს ახორციელებდა აშშ 1981-1984 წწ. ამ პოლიტიკური ხაზის მიზანი იყო (80-იანი წლების შუა პერიოდში), სარგებლის მაღალი რეალური განაკვეთისა და დიდი ბიუჯეტური დეფიციტის შენარჩუნება, რამაც საშინაო და საგარეო ინვესტიციების შემცირება გამოიწვია მაშინ, როცა მოხმარებამ და სამთავრობო ხარჯებმა გაზარდეს ეეპ.

ფისკალური პოლიტიკის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ იგი მჩაგვრელურად ზემოქმედებს კერძო ინვესტიციებზე და ამიტომ ამ უკანასკნელის ეფექტი მცირდება. მთავრობის ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედებით ინვესტიციების შემცირებას ჩვენ ვთვლით როგორც მათ „გამოდევნას“. ინვესტიციების გამოდევნას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა ფისკალუ-

რი პოლიტიკის ეფექტიანობა ეცემა. სტრუქტურული დეფიციტის ზრდამ გადასახადების შემცირების ან სამთავრობო ხარჯის გადიდების შედეგად შეიძლება სარგებლის განაკვეთის ამაღლება და ინვესტიციების გადიდება გამოიწვიოს. ამიტომ ეეპ შეიძლება გარკვეულად გაიზარდოს ინვესტიციების გამომდევნი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დეფიციტის არსებობის დროს. კლასიკური მონეტარიზმის პირობებში სამთავრობო ხარჯის ზრდის შედეგად ინვესტიციები 100 პროცენტით იდევნება.

ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ კლასიკური მონეტარული მიდგომა გაუმართლებელია (განსაკუთრებით მოკლევადიან პლანში) გამოუყენებელი რესურსების ეკონომიკაში. სხვები კი, პირიქით, აღნიშნავენ, რომ თუ ეკონომიკა რეცესიის სტადიაშია, მაშინ ინვესტიციები ნამდვილად იქნება „შენარჩუნებული" დიდი დეფიციტებით, რადგან ფისკალური პოლიტიკა ხარჯისა და სტრუქტურული დეფიციტის ზრდას იწვევს.

ბ. სახელმწიფო ვალი და თანამედროვე ფისკალური პოლიტიკა

სახელმწიფო ვალი. ბიუჯეტური დეფიციტის წარმოქმნის დროს მთავრობამ დამატებით უნდა დაბეჭდოს ფული, ან ესესხოს მოსახლეობას. დაგროვილ ნასესხებ თანხას სწორედ **მთავრობის** ანუ **სახელმწიფოს** ვალი ეწოდება. უკანასკნელის დიდი ნაწილი წარმოადგენს მოკლევადიან, ფასიან ქაღალდებს, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა ხაზინის თამასუქები.

წლის განმავლობაში მიმდინარე მთავრობის ვალის რაოდენობრივი ცვლილება ბიუჯეტურ დეფიციტს წარმოადგენს.

საშინაო და საგარეო ვალი. საგარეო ვალი — სხვა სახელმწიფოებისაგან და მათი მოქალაქეებისაგან აღებული ვალი — დაკავშირებულია ქვეყნის საგარეო ბალანსის დეფიციტთან. **საშინაო ვალი — მოცემული ქვეყნის მთავრობის მიერ მისი მოქალაქეებისაგან აღებული ვალია.** ცნებები „საშინაო ვალი" და „საგარეო ვალი" არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ შეუძლებელია საშინაო ვალის გაუთვალისწინებლობა მარტო იმ საფუძველზე, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ყველა თავისი თავის მოვალენი ვართ.

საგადასახადო სისტემის მოქმედების შედეგად ინვესტიციების დაკარგული ეფექტიანობა. საშინაო ვალი მჭიდროდაა დაკავშირებული მთავრობის ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის სარგებლის გადახდის აუცილებლობასთან. ასეთი ვალის გასტუმრებისათვის საჭირო სახსრების წყაროა გადასახადები, რომელთა ამოგება ამცირებს ინვესტიციების ეფექტიანობას.

კაპიტალის გადაადგილება. სახელმწიფო ვალის ყველაზე უფრო ხელშესახები შედეგია კაპიტალის გადაადგილება. ამ პროცესის მექანიზმი ასეთია: ადამიანები თავის სიმდიდრეს ინახავენ სხვადასხვა სახის აქტივებში, რომელიც შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: ა) მთავრობის ფასიანი ქაღალდები; ბ) კერძო კაპიტალის საკუთრებაში მყოფი სხვა აქტივები.

სახელმწიფო ვალის ზრდის კვალობაზე სხვა აქტივების მფლობელთა რაოდენობა მცირდება. ამას ჩვენ **კაპიტალის გადაადგილებას** ვუწოდებთ. ამ პროცესის განვითარებასთან ერთად იზრდება სარგებლის განაკვეთი, რაც, თავის მხრივ, აძნელებს მანქანების, კომპიუტერების და ა. შ. ყიდვას, ე. ი. ყიდვისათვის ხარჯის შემცირება უარყოფითად მოქმედებს წარმოების, ხელფასისა და ეროვნული შემოსავლის ძოცულობაზე.

კერძო ინვესტიციებზე ზემოქმედება და ემოციები. კერძო ინვესტიციებზე ემოციებიც ზემოქმედებს, რადგან დიდი დეფიციტის შედეგად მოსახლეობა ზოგჯერ ორიენტაციას იღებს მომავალში სარგებლის განაკვეთის ამაღლებაზე. ასეთმა პესიმიზმმა შეიძლება ხელი შეუწყოს რეალური განაკვეთის ამაღლებას, ისე როგორც ეს იყო 80-იანი წლების შუა პერიოდში.

ამრიგად, დეფიციტისა და ვალის შიში სავსებით დასაბუთებულია. ამასთან ვალის ნამდვილი ტვირთი იგრძნობა საგარეო ვალში, რომელმაც, მართალია, მოქმედი საგადასახადო სისტემის და კაპიტალის გადაადგილების შედეგად ეფექტიანობა დაკარგა, მაგრამ იგი მაინც ანგარიშგასაწევია...

თავი 18

როგორ განსაზღვრავს წარმოებისა და ფასების მოცულობას მოთხოვნა და მიწოდება

წინასწარი შენიშვნები. ეხლა შევეხოთ მიკროეკონომიკას, კერძოდ, შემდეგ საკითხებს: რა განსაზღვრავს სხვადასხვა საქონლის ფასებს? როგორ გამოვავლინოთ ისეთი წარმოების საერთო ეროვნული მოცულობა, რომელიც სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების მასას მოიცავს? ჩვენ ვნახავთ საბაზრო ფასების ზემოქმედებით თუ როგორ ყალიბდება წონასწორობა სამომხმარებლო მოთხოვნაში გამოსახულ ადამიანების მოთხოვნილებებსა და ამ უკანასკნელის დაკმაყოფილებისათვის არსებულ საერთო რესურსების შეზღუდულობას შორის. მოთხოვნისა და მიწოდების მრუდის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ იმას, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს გადასახადები ფასებსა და საზოგადოებისათვის გათვალისწინებულ საქონელსა და მომსახურებაზე, როგორ შეუძლია მთავრობას ხელი შეუწყოს დეფიციტებს და რა მოხდება თუ ბაზარზე მცირე რაოდენობის მწარმოებლები გაბატონდებიან.

ა. მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიკურობა

მოთხოვნის ელასტიკურობა — ფასების ცვლილების საპასუხოდ მოთხოვნის რაოდენობრივი ცვალებადობის ხარისხია. აქ სამი ალტერნატიული ვარიანტია:

1. ფასების შემცირება განსაზღვრული პროცენტით იწვევს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ისეთ არსებით (პროცენტული თანაფარდობით) გადიდებას, რითაც საერთო ხარჯები იზრდება. ეს **ელასტიკური მოთხოვნაა.**

2. ფასების შემცირების პროცენტული სიდიდე გამოშვების მოცულობის ზრდის ასეთსავე პროცენტს იძლევა და საერთო შემოსავალი უცვლელი რჩება. **ეს სიდიდე ელასტიკური მოთხოვნაა.**

3. წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენო-

ბის ზრდის პროცენტი ნაკლებია, ვიდრე ფასების შემცირების პროცენტი. **ეს არაელასტიკური მოთხოვნაა.**

ელასტიკურობის საზომია მისი კოეფიციენტი:

$$E = \frac{\text{მოთხოვნის მოცულობის ზრდა, პროცენტი}}{\text{ფასების შემცირება, პროცენტი}}$$

მოთხოვნის ფასები და მოცულობა საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს.

მიწოდების ელასტიკურობა. ყოველივე ის, რაც ზემოქმედებს მოთხოვნაზე, გასათვალისწინებელია მიწოდების მიმართაც. ეკონომისტებმა შემოიღეს „მიწოდების ელასტიკურობის" მაჩვენებელი, კონკურენციის შედეგად მიღებული ფასების საპასუხოდ მოთხოვნის მოცულობის ცვლილების ხარისხის განსაზღვრისათვის. ეს მაჩვენებელი სასარგებლო როლს ასრულებს. მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნის ელასტიკურობის ცოდნას, რადგან ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა აიხსნას, თუ რა მოსდის საერთო შემოსავალს.

ფასების წონასწორობის დროს მიწოდების ელასტიკურობის მაჩვენებელს გრძელვადიან პერიოდში ზრდის ტენდენცია აქვს და აი რატომ:

წამიერი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი წონასწორობა. მიკროეკონომიკაში კონკურენციული ფასების წონასწორობის გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს ა. მარშალის მიერ შემოღებულ დროის ელემენტებს: წამიერ წონასწორობას, როცა მიწოდება ფიქსირებულია; მოკლევადიან წონასწორობას, როცა ფირმებს შეუძლიათ წარმოების მოცულობა ისე გაადიდონ, რომ საწარმოო ფართობი და მოწყობილობების რაოდენობა უცვლელი დარჩეს; გრძელვადიანი წონასწორობა (ანუ „ნორმალური ფასები"), როცა ფირმებს შეუძლიათ თავიდან მოიშორონ ძველი მოწყობილობები, ანუ ახალი საწარმოები ააშენონ, ხოლო ახალ ფირმებს კი — დაიწყონ საქმე.

განვიხილოთ ახალი თევზის მაგალითი. დავუშვათ, თევზზე მოთხოვნა გაიზარდა. უცვლელი მიწოდების დროს, როცა მოთხოვნისა და მიწოდების გრაფიკზე მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, მოთხოვნის მრუდი ფასების წონასწორობი-

სას მკვეთრად მიემართება ზევით, ახალ „წამიერ“ დონეზე. ფასებმა აიწია ზევით და მეთევზეები მოინდომებენ მეტი თევზის დაჭერას. მაგრამ მოკლე დროში შეუძლებელია დამატებითი გემების აგება, თუმცა შეიძლება დამატებითი მუშების დაქირავება ან სამუშაო დღის გადიდება. უკანასკნელთა გამო მიწოდების მრუდი სხვა სახეს მიიღებს: იგი დაიხრება, ამასთან მოკლევადიანი წონასწორობის წერტილი დაეშვება ქვევით წინა შემთხვევასთან შედარებით; ფასები შემცირდება. ახალი გემების აშენების, კვალიფიციური მეზღვაურების დიდი რაოდენობით მოზიდვის და ა. შ. შედეგად ყალიბდება წონასწორობის გრძელვადიანი დონე ახალი, უფრო დაბალი, ვიდრე ფასების დონის წინა შემთხვევაში. მაგრამ ფასები მაინც უფრო მაღალია თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით. ა. მარშალმა ასეთ შემთხვევას „მზარდი დანახარჯები“ უწოდა. იგი აღნიშნავდა, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა კონკურენციის პირობებში. რატომ? განვითარების დროს ერთი დარგი მეორეს „წაგლეჯს“ საწარმოო სიმძლავრეებს, გაზრდის ფასებს მის პროდუქტზე, გაადიდებს საკუთარ დანახარჯებს. ასეთ შემთხვევაში მიწოდების მრუდი ოდნავ აიწევს, ის უკვე ჰორიზონტალური აღარ იქნება. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა დარგი სხვასთან არ არის დაკავშირებული, ე. წ. **„მუდმივი დანახარჯების“** შემთხვევაში. ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გრძელვადიან პერიოდში ფასების ცვლილებები მიმდინარეობს უფრო მდორედ და მცირე მასშტაბით, მაგრამ წარმოების მოცულობა უფრო არსებითად იცვლება.

ბ. მიწოდებისა და მოთხოვნის თეორიის გამოყენება

მიწოდება და მოთხოვნა წარმოადგენს „ეკონომიკს“-ში ყამოყენებულ მეტად სასარგებლო ინსტრუმენტებს. განვიხილოთ მოთხოვნისა და მიწოდების ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენების მაგალითები.

გადასახადების შემცირების ზემოქმედება. დავუშვათ, გალონი* ბენზინის ფასი ერთი დოლარია, მომხმარებლები კი

* სითხის მოცულობის საზომი ერთეული. ინგლისში იგი უდრის 4,546, აშშ-ში 3,785 ლიტრს.

ყიდულობენ 100 მლრდ გალონს. შემოვიღოთ გადასახადი — გალონზე ერთი დოლარი. რა მოხდება? პასუხს კითხვაზე მივიღებთ მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდის დახმარებით: მოთხოვნის მრუდი უცვლელი დარჩება, ხოლო მიწოდების მრუდი გადაიწევს წინანდელის პარალელურად ზევით და მარცხნივ. დავუშვათ, რომ ახალი გაწონასწორებული ფასი გაიზრდება 1 დოლარიდან 1,9 დოლარამდე, ხოლო წარმოების გაწონასწორებული მოცულობა შემცირდება 100 მლრდ გალონიდან 77 მლრდ გალონამდე. როგორ გადაიხდიან გადასახადებს? ნავთობის მრეწველების გადასახადს შეამცირებენ; ეხლა ხომ ისინი 1 გალონზე 1 დოლარის ნაცვლად 90 ცენტს იღებენ, მაგრამ მომხმარებელი ეხლა კიდევ უფრო მეტს კარგავს, რადგან მათი დანახარჯები ბენზინზე წინანდელი 1 დოლარის ნაცვლად ეხლა 1,9 დოლარია. ეს იმიტომ ხდება, რომ მიწოდება ელასტიკურია და მოთხოვნა კი არაელასტიკური.

გადასახადების შემოღება საბოლოო ჯამში ეკონომიკურ სიძნელეებს იწვევს. წააგებს თუ არა მყიდველი (ან გამყიდველი) საბოლოო ანგარიშით დამოკიდებული იქნება მიწოდებისა და მოთხოვნის შედარებით ელასტიკურობაზე. სახელმწიფო გადასახადებს ჩვეულებრივ გადააკისრებს მომხმარებელს, თუ მოთხოვნა არაელასტიკურია მიწოდებასთან შედარებით. გადასახადი ხელს უწყობს მწარმოებელს, თუ მიწოდება მოთხოვნასთან შედარებით მეტად არაელასტიკურია.

საერთო შეცდომა. როგორ გავიგოთ ისეთი არგუმენტები, რომლებიც განსაზღვრული პოლიტიკური პლატფორმის დროს შემდეგნაირად ჟღერს: „ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ გადასახადების გაზრდა გამოიწვევს ფასების ისეთ ამაღლებას, რაც მომხმარებლებზე იქონიებს გავლენას. მაგრამ შემდეგში ფასები გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას და ეს კვლავ შეამცირებს ფასებს. ამრიგად, იმის მტკიცება, რომ გადასახადები ნამდვილად გამოიწვევს ფასების ზრდას, არასწორი იქნება.“ მოტანილი მოსაზრება ემყარება მოთხოვნის მრუდის მოძრაობისა და ამ უკანასკნელის გასწვრივ მოძრაობის ერთმანეთთან შერევას. გადასახადების ზრდის შედეგად მოთხოვნის მრუდი ძველ მდგომარეობას ინარჩუნებს, მისი რაიმე მოძრაობა შეუძლებელია, მაშასადამე, გადასახადები ნამდვილად ზრდის ფასებს.

მოთხოვნისა და მიწოდების მოქმედების მაგალითები.

დასამუშავებელი ფართობების შეზღუდულობა. ფერმერების შემოსავლების გადიდების სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შეზღუდვას. ასეთი პროგრამა მარცვლეულის მიწოდების მრუდს მარცხნივ გადაადგილებს. რამდენადაც საჭმელსა და საკვებზე მოთხოვნა არაელასტიკურია, ფასები აიწევს, ხოლო ფერმერების შემოსავლები გაიზრდება.

ბაჟი ავტომობილებზე. გაყიდულ იმპორტულ ავტომობილთა რაოდენობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიზარდა ნულიდან გაყიდულობათა მოცულობის ერთ მეოთხედამდე 80-იანი წლებისათვის. საერთო დაცემის ფონზე ამან ქვეყნის შიგნით გამოიწვია ავტომობილების წარმოების შემცირება და მუშების განთავისუფლება სამუშაოდან, იმპორტულ ავტომობილებზე მაღალი ტარიფის (2000 დოლარამდე) შემოღება იმპორტული ავტომობილების მიწოდების მრუდს გადააადგილებს მარცხნივ და ზევით და შეამცირებს მათზე მოთხოვნას. ქვეყნის შიგნით წარმოებულ ავტომობილებზე მოთხოვნა კი გაიზრდება და თუმცა მათზე ფასები აიწევს, მაგრამ იმპორტულ მანქანებზე ფასებთან შედარებით მაინც დაბალი იქნება. ამრიგად, ფასებიც და გაყიდვათა რაოდენობაც გაიზრდება, რადგან მოთხოვნის მრუდი მოძრაობას დაიწყებს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ქვეყნის შიგნით წარმოებული ავტომობილების მიწოდების მრუდის გასწვრივ.

ტექნოლოგიური განვითარება. ერთ-ერთი ურთულესი თანამედროვე დილემა ასეთია: როგორ აღიქვან მუშებმა ტექნოლოგიური ცვლილებები? მიესალმონ როგორც მეშახტეების გაერთიანებას, თუ საბოტაჟი გაუწიონ XIX საუკუნეში ლუდიტების მსგავსად. ამაზე პასუხი დამოკიდებულია გამოშვებული პროდუქციის მოთხოვნის ელასტიკურობაზე. თუ მოთხოვნა ელასტიკურია, მაშინ შემოსავლები გაიზრდება, შემოსავლების მატება გაზრდის ხელფასს, ხელფასის გადიდება კი, თავის მხრივ, გაზრდის შრომაზე მოთხოვნას. თუ დარგის პროდუქციაზე მოთხოვნა არაელასტიკურია, მოთხოვნისა და მიწოდების დახმარებით გაირკვევა ტექნოლოგიური განვითარების ნამდვილ და აუცილებელ დონეს შორის შეუსაბამობა.

ხარჯები და მიწოდება. ფასები მრავალ ფაქტორზეა დამო-

კიდებული, მაგრამ ისინი მარტივად კი არ ემატება მოთხოვნასა და მიწოდებას, არამედ ამ უკანასკნელთა საშუალებით მოქმედებს. მაგალითად, წარმოადგენს თუ არა წარმოების ხარჯები ფასებზე ზემოქმედ მესამე ფაქტორს? რა თქმა უნდა, არა! წარმოების ხარჯები ზემოქმედებს საკონკურენციო ფასებზე მხოლოდ იმ დონით, როგორითაც გავლენას ახდენს მიწოდების მრუდზე.

სამთავრობო ინტეგრაცია ბაზრებზე. ურყევია მოთხოვნისა და მიწოდების კანონი? რა თქმა უნდა, მთავრობას შეუძლია ფასებზე ზემოქმედება მოთხოვნის საშუალებით, მიწოდების საშუალებით, ერთისა და მეორის საშუალებით ერთად. ისეთი ორგანიზაციები როგორიცაა ნავთექო[1], ფასებზე ზემოქმედებენ მიწოდების შეზღუდვის გზით. ასევე იქცევა ბრაზილია ყავაზე ფასების გადიდების დროს. მთავრობების ასეთი მოქმედება ორიენტირებულია მოთხოვნისა და მიწოდების კანონზე და მასთან წინააღმდეგობაში არ ექცევა.

კანონით ფიქსირებული ფასები. ზოგჯერ მთავრობა კანონმდებლობით აწესებს მაქსიმალურ ფასებს და მინიმალურ ხელფასს (1984 წ. ერთი საათისათვის 3,35 დოლარი). ეს ამახინჯებს მოთხოვნისა და მიწოდების კანონის მოქმედებას და არსებითად განსხვავდება მოთხოვნისა და მიწოდების საშუალებით მთავრობის მოქმედებისაგან. რატომ? განვიხილოთ ეს საკითხი.

ფასების შეზღუდვა. დავუშვათ, საშინაო მდგომარეობის გამწვავების, ომებისა და ა. შ. შედეგად ბენზინის ფასი გაიზარდა, მაშინ მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაინაცვლებს. შემდგომში სენატორები დაამძიმებენ სიტუაციას — ნავთობის კომპანიებს „სპეკულანტებს“ დაარქმევენ და მათ გადასახადებს გაუდიდებენ. საბოლოო ანგარიშით კი გაუარესდება ღარიბების მდგომარეობა (ისე, როგორც ეს იყო აშშ-ში 1970 წ.). ამის შედეგად სახელმწიფო შეძლებს ფასებზე კონტროლის დაწესებას. რა მოხდება? ფასების შეზღუდვის დროს მოთხოვნა და მიწოდება არათანაბარია. მომხმარებლები მოითხოვენ მილიარდობით გალონ ბენზინს, იმის საპირისპიროდ, რისი მიწოდებაც შეუძლიათ და სურთ მიმწოდებლებს. დეფიციტი იმდენად დიდი აღმოჩნდება, რომ გამოიწვევს საწ-

[1] ОПЕК — ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია.

ვავის ბაზრის სრულ მოშლას და ისეთი ვიღაცის გამოჩენას, რომელიც შეძლებს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ნორმირება. საბოლოო ანგარიშით, ყალიბდება ფასგარეშე ნორმირების მექანიზმი. გასაკვირი არაა, რომ ასეთ სიტუაციაში ვითარდება შავი ბაზარი. თუ პოლიტიკური ან სოციალური მიზეზების გამო ფერხდება საბაზრო ფასების ზრდა მოთხოვნის მიწოდების დონეზე დაყენების მიზნით, საბოლოოდ მაინც ყალიბდება ფასგარეშე ნორმირება. ჩვეულებრივ მთავრობა ექსტრემალური დეფიციტების პირობებში იყენებს ფორმალურ განაწილებას ანუ ტალონებით ნორმირებას. როგორ მოქმედებს ტალონი მოთხოვნისა და მიწოდების მექანიზმის ფარგლებში? ცხადია, ტალონები უნდა გამოუშვან იმ რაოდენობით, რაც საჭიროა მოთხოვნის მრუდის დაცემისათვის შეზღუდული ფასებით მიწოდების მრუდის გადაკვეთის დონემდე. თუ ტალონების შემოღების შედეგად ფასები დაეცა კანონით დადგენილ დონეზე ქვევით, ეს ფასების ლიბერალიზაციის სიგნალია.

მაქსიმალურად დაბალი და მაქსიმალურად მაღალი ზღვრები. როცა რაღაც კრიტიკული მდგომარეობა წარმოიშვება (ინფლაცია, საერთო დეფიციტი და ა. შ.), მაშინ, როგორც წესი, პოლიტიკური ზემოქმედების ძალით სახელმწიფო აწესებს კონტროლს ხელფასსა და ფასებზე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსგავსი ღონისძიება არ იძლევა გრძელვადიან დადებით ეფექტს. ამავე დროს ფასებსა და ხელფასზე ხანგრძლივი სახელმწიფო კონტროლი იწვევს საბაზრო ურთიერთობის დესტაბილიზაციას და ეკონომისტები მეტად უკიდურესი აუცილებლობის პირობებში მსგავსი ღონისძიებების გამოყენების რეკომენდაციებს იძლევიან.

გავაანალიზოთ სამთავრობო ინვესტიციების სამი სახე, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება თავისი ფუნქციების შესრულებისაგან ბაზრის შეკავების მცდელობა.

1. ხელფასის მინიმალური დონე. თუ ხელფასის მინიმალური დონე ძალზე მაღალია, ხოლო მოთხოვნისა და მიწოდების მრუდეთა წონასწორობის წერტილი მეტად ქვევით იმყოფება, მაშინ ეს გამოიწვევს უმუშევრობას. ამასთან თუ ხელფასის მინიმალური დონე შემცირდება, ე. ი. მოძრაობს ქვევით მოთხოვნის მრუდის გასწვრივ, დასაქმება გაიზრდება. მოთ-

ხოვნის ელასტიკურობის დროს ხელფასის საერთო დონე გაიზრდება, თუმცა საათობრივი განაკვეთები შემცირდება.

2. ბინისათვის გადასახდელზე კონტროლი იწვევს იმას, რომ ადამიანების დიდ მასას არ შეუძლია ბინის შოვნა, რადგან უპირატესად ქირავდება მეტად დიდი აპარტამენტები მაღალ ფასებში. ვითარდება „ჩრდილოვანი ეკონომიკა", ფერხდება ახალი მშენებლობა. ბინებზე ფასების უფრო მაღალი ჭერი იწვევს მოძრაობას მიწოდების მრუდის გასწვრივ ზევით და მარჯვნივ, სულ უფრო ახლოს წონასწორობის წერტილთან, რაც ზრდის ახალი ბინების რაოდენობას და უმჯობესდება ძველი ბინები. დაბომბვის გარდა ვერაფერი დაანგრევს ქალაქებს უფრო ეფექტიანად, ვიდრე ბინის გადასახდელზე კონტროლი.

3. სარგებლის განაკვეთის შეზღუდვა იწვევს სასესხო წყაროების გამოფიტვას. ადამიანები იძულებულნი არიან მიმართონ მევახშეებს. სარგებლის გადიდება მთელ სისტემას გადააადგილებს ზევით და მარჯვნივ, გაიზრდება მიწოდება.

მოთხოვნისა და მიწოდების ფასების მექანიზმის ეფექტიანობა და სამართლიანობა. რატომ ეწინააღმდეგება პოლიტიკა და მოსახლეობა ასეთი ეფექტიანი მექანიზმის მოქმედებას? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ რომ მათი ცხოვრება მხოლოდ ეფექტიანი იყოს. მნიშვნელოვანია გაირკვეს რისთვის და ვისთვისაა საჭირო ეფექტიანობა? უმეტეს შემთხვევაში საბაზრო მექანიზმის დაბრკოლებები აღმოცენდება მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფის ინტერესებისათვის. ამასთან გარდუვალად აღმოჩნდება, რომ დაბალი ანაზღაურების მქონე მუშების ხელფასის დონის ამაღლება შესაძლებელია ზრდის მათ შემოსავალს, მაგრამ იმავდროულად ამცირებს იმათ შემოსავალს, ვისაც არა აქვს სამუშაო და მათ შემოსავალსაც, ვინც ხელფასის გადიდების შედეგად ყიდულობს საქონელს მზარდი ფასებით.

სამთავრობო ინტეგრაციის ევოლუცია. უარვყოთ თუ არა მთავრობის მიერ ეკონომიკის რეგულირება? შესაძლებელია, არა. გულდასმითი ანალიზი დაგვეხმარება განვსაზღვროთ მთავრობის როლი ბაზარზე. მონოპოლიების გავლენის რეგულირება შეუძლია საზოგადოებას, მაგრამ ავტომობილის

ფერს, ჯინსების ფორმას და სხვ. ირჩევს მომხმარებელი, რომელიც დოლარებს ისე ხარჯავს, როგორც მას სურს.

სამართლიანობა — გადასახადების საშუალებით, ეფექტიანობა — ბაზრის საშუალებით. ჩვენს მიერ განხილულმა და სხვა მაგალითებმაც ეკონომისტთა დიდი ნაწილი მთავრობის ჩარევის შესახებ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: კონკურენციის მექანიზმის მოქმედების დაბრკოლება ხშირად შემოსავლების განაწილების კორექტირების ეფექტიანი გზაა. ჩვეულებრივ, განაწილება გადასახადების დახმარებით შეიძლება უფრო ეფექტიანად განხორციელდეს. თუ საზოგადოება ყოველთვის და სათანადო დონეზე გამოიყენებს გადასახადებს შემოსავლის ოპტიმალური გადანაწილებისათვის, ნიველირების მქონე სრულყოფილ კონკურენციას შეუძლია ეფექტიანად გადაჭრას პრობლემები: რა? როგორ? და ვისთვის?

თავი 19

მოთხოვნისა და სარგებლიანობის თეორია

მოთხოვნისა და მიწოდების კონცეფციამ უკვე ბევრი რამ ახსნა ეკონომიკურ მოვლენებში, მაგრამ მოთხოვნის მრუდის მოძრაობაზე მოქმედი ძალების უფრო სიღრმისეული გაგებისათვის ამ თავში განვიხილოთ საერთო სარგებლიანობისა და ზღვრული სარგებლიანობის ეკონომიკური პრინციპები.

საბაზრო მოთხოვნა, როგორც ინდივიდუალურ მოთხოვნათა ჯამი. საქონელზე, დავუშვათ, ჩაიზე, მოთხოვნის მრუდი ინდივიდუალური მომხმარებლების მოთხოვნის მრუდეთა ჯამის შედეგია. ყოველი მათგანისათვის შეიძლება განისაზღვროს მასზე დამოკიდებული მოთხოვნის განსაკუთრებული მრუდი, სწორედ ის, თუ როგორ დამოკიდებულებაშია მისთვის საჭირო ჩაის რაოდენობა მოცემული საქონლის ფასთან. რაც უფრო უზრუნველყოფილია მომხმარებელი, მით უფრო მეტ საქონელს იყიდის ის, მასზე მზარდი ფასების მიუხედავად. ამრიგად, საბაზრო მოთხოვნის განსაზღვრისათვის ჩვენ ვაჯამებთ, სხვადასხვა მომხმარებელი რას იყიდის მოცემული

ფასებით და შემდეგ გამოვავლენთ ერთობლივ საბაზრო მოთხოვნას.

მოთხოვნაში გადახრა, როგორც ცვალებადობათა ფუნქცია შემოსავლებსა და სხვა ფაქტორებში. როგორც წესი, ფულადი შემოსავლების გადიდება ზრდის მოთხოვნას და პირიქით, არსებობს სასიცოცხლოდ აუცილებელი საქონელი, რომელზეც მოთხოვნა ნაკლებმგრძნობიარეა შემოსავლების ცვალებადობათა მიმართ. ჩვენ მათ მხედველობაში არ მივიღებთ, რადგან მთლიანობაში მოთხოვნილი საქონლის რაოდენობის ცვლილება დამოკიდებულია მისი ფასებისა და მომხმარებელის შემოსავლების ზრდაზე (დაცემაზე). მოხმარებული საქონლის მასის ზრდაზე, შემოსავლების ცვლილებების გარდა, მოქმედებს ასევე სხვა ფაქტორებიც: რეკლამა, მოსახლეობის ზრდა, ეკონომიკური ბუმის ლოდინი და სხვ.

ზღვრული სარგებლიანობის შემცირების კანონი. ზღვრული სარგებლიანობის თეორია ჩვენ გვიხსნის, თუ საქონლის ფასებისა და რაოდენობის ზრდასთან ერთად რატომ ეცემა მოთხოვნა ამ უკანასკნელზე. სარგებლიანობა სუბიექტური სიამოვნების აღმნიშვნელი აბსტრაქციაა, პროდუქციის მოხმარებისაგან მიღებული სარგებლიანობაა. სარგებლიანობის გაზომვა შეუძლებელია. ის მხოლოდ იმ სიღრმისეული კონსტრუქციის არსია, რომელიც დანიშნულია იმ სქემის ასახსნელად, რომლის მიხედვითაც მომხმარებლები რაციონალურად ანაწილებენ თავის შეზღუდულ შემოსავალს მათთვის სასარგებლო საქონელს შორის.

ზღვრული სარგებლიანობა და მისი შემცირების კანონი. გავიხსენოთ შემოსავლების შემცირების კანონი: პროდუქციის დამატებითი რაოდენობა მცირდება ფირმის დამატებითი დანახარჯების მოცულობის გადიდების კვალობაზე. იგივე ითქმის ზღვრული სარგებლიანობის შემცირების კანონის მიმართაც: საქონლის მოხმარების ზრდის კვალობაზე მისი მოხმარების ერთობლივი სარგებლიანობა სულ უფრო და უფრო ნელი ტემპით იზრდება, რადგან ზღვრული სარგებლიანობა (მოცემული სიკეთის უკანასკნელი ერთეულის მოხმარებით მიღებული დამატებითი სარგებლიანობა) ეცემა მოხმარებული პროდუქციის მასის გადიდების მიხედვით. ზღვრული სარგებლიანობის დაცემა აიხსნება ამა თუ იმ სიკეთის ერ-

თეულის სუბიექტური ფასეულობის შემცირებით, უკვე მოხმარებული მისი ერთეულის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად.

წონასწორობის მდგომარეობა: ერთი დოლარით ნაყიდ ყველა პროდუქტის ზღვრული სარგებლიანობა თანაბარია. არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც მომხმარებელს შეუძლია ოპტიმალურად გამოიყენოს ფულის განსაზღვრული თანხა აუცილებელი პროდუქტების „კალათის" საყიდლად. ეს ერთ დოლარად ნაყიდი სიკეთის თანაბარი ზღვრული სარგებლიანობის ეგრეთწოდებული კანონია. მისი არსი შემდეგშია: ყოველი საქონელი, კვერცხი იქნება ეს თუ გრამფირფიტა, სარგებლობს მაღალი მოთხოვნით თვით იმ მომენტამდე, როცა ერთ დოლარად ნაყიდი მოცემული საქონლის ზღვრული სარგებლიანობა არ უთანაბრდება ყველა სხვა საქონლის ერთდოლარიან ზღვრულ სარგებლიანობას. ასეთ მომენტს ყველა საქონლის ერთდოლარიანი ზღვრული სარგებლიანობის წონასწორობის მდგომარეობა ეწოდება.

კანონის მოქმედების მექანიზმი ასეთია: თუ სხვებთან შედარებით ერთ-ერთ საქონელს მაინც გააჩნია მაღალი ზღვრული სარგებლიანობა, მაშინ ადგილი ექნება სხვა საქონლებისაგან მისკენ ფულის მიზიდვას. შემდეგ მოცემული საქონლის მიმართ მოქმედებას იწყებს ზღვრული სარგებლიანობის შემცირების კანონი, რაც ამ საქონელს ათანაბრებს ერთ დოლარზე გაანგარიშებით საერთო დონემდე. თუ რომელიმე საქონელს, დოლარზე გაანგარიშებულს, აქვს კლებადი ზღვრული სარგებლიანობა, მისი მოხმარება მცირდება, და შესაბამისად, გაიზრდება და ისევ ამაღლდება საზოგადოებრივ დონემდე ერთ მოცემულ საქონელზე დახარჯული უკანასკნელი დოლარის ზღვრული სარგებლიანობა.

„ეკონომიკს-ი" დროის გამოყენების შესახებ. ზემოთ ნათქვამი გვეხმარება არა მხოლოდ ფულადი სახსრების ეფექტიანი გამოყენების ამოცანის გადაჭრაში. ანალოგიურად შეიძლება განაწილდეს სტუდენტის განკარგულებაში მყოფი დროც. მიზანი — კოლეჯში ყველა შესასწავლი კურსის მიხედვით შეჯამებული მაქსიმალური ბალების რაოდენობის მოგროვება. საშუალება — დისციპლინათა ოპტიმალური ნაკრების არჩევა. ფულის საქონლისათვის გამოყენების ანალო-

გიურად, მიიღწევა წონასწორობის მდგომარეობა სხვადასხვა სასწავლო დისციპლინისათვის დროის გამოყენებაშიც. ზღვრული სარგებლიანობის წონასწორობის პრინციპი მისაღებია დასვენების დროისა და ა. შ. ეფექტიანი გამოყენების ამოცანის გადაწყვეტის დროსაც.

ალტერნატიული მიდგომა: შეცვლის ეფექტი და მიდგომის ეფექტი. უკანასკნელ ათწლეულში დამუშავდა იმ მოთხოვნის მოვლენის ანალიზისადმი ალტერნატიული მიდგომა, რომელიც ზღვრული სარგებლიანობის თეორიას არ ემყარება, რაც დღის წესრიგში აყენებს სხვა ეკონომიკური ინსტრუმენტების, კერძოდ განურჩევლობის მრუდის გამოყენების საკითხს. ქვემოთ გადმოგცემთ საქონლის რაოდენობისა და მისი ფასის ზრდის კვალობაზე მოთხოვნის დაცემის ეფექტის ახსნის ალტერნატიული მეთოდის ძირითად პრინციპებს.

შეცვლის ეფექტი. მაგალითად, თუ ჩაის ფასი გაიზრდება, მაშინ მომხმარებლები მას ცოტას იყიდიან, მაგრამ მეტს იყიდიან შემცვლელ საქონელს: ყავას, კაკაოს. ამრიგად, მომხმარებელი ისევე მოიქცევა, როგორც მწარმოებელი. უკანასკნელნი წარმოების რომელიმე ფაქტორის ფასის ზრდის დროს, ხარჯების ეკონომიის მიზნით, ცვლიან წარმოების მეთოდს (ტექნოლოგიას).

შემოსავლის ეფექტი. შემოსავლის ეფექტის არსია ის, რომ იმ საქონლის გაძვირებით, რომელსაც თქვენ სტაბილურად ყიდულობთ, ეცემა თქვენი მყიდველობითი უნარი (ანუ რეალური შემოსავალი) და თქვენ პრაქტიკულად ნაკლები რაოდენობის ყველა საქონელს ყიდულობთ (გარდა ისეთი საარსებო და არაელასტიკურისა, როგორიცაა მარგარინი, კარტოფილი და ა. შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ აქ წარმოდგენილი ორი ეფექტის (შეცვლისა და შემოსავლის) შედარებითი მნიშვნელობის ვარირება დამოკიდებულია, აგრეთვე, საქონლის სპეციფიკისა და მომხმარებლის თავისებურებებისაგან.

ღირებულების პარადოქსი. ჯერ კიდევ ა. სმიტი აყენებდა ასეთ საკითხს: რატომ აქვს წყალს უფრო მეტად სარგებლიანს, ვიდრე ალმასს, ალმასზე უფრო ნაკლები ფასი? ჩვენ ეს სიტუაცია შეგვეძლო შემდეგნაირად აგვეხსნა: წყალთან დაკავშირებული მოთხოვნის მრუდი და მიწოდების მრუდი იკ-

ვეთებიან დაბალი ფასის წერტილში. ალმასის შემთხვევაში კი პირიქით. მაგრამ მაშინ ისმის შემდეგი კითხვა: ეს მრუდები სწორედ ამგვარად რატომ იკვეთება?

პასუხი რთულია და ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი, ალმასის მოპოვების ხარჯი წყლისაზე მაღალია, წყალიც და ალმასიც მხოლოდ ზღვრული სარგებლიანობით განისაზღვრება (ე. ი. იმ უკანასკნელი ჭიქა წყლის სარგებლიანობით, რომელსაც ჯერ კიდევ ყიდულობენ), ის კი ნულს უახლოვდება. გასაგებია, რომ წყლის საზღვრითი სარგებლიანობა განპირობებულია იმით, რომ წყალი ჯერ კიდევ ძლიერ ბევრი და ხელმისაწვდომია.

მომხმარებლის მოგება. რადგან საქონლის ერთეულის ფასი განპირობებულია უკანასკნელი საქონლის ერთეულის სარგებლიანობით, ხოლო ამ ერთეულამდე ყველა გაყიდულისა — თავისებურად მეტი ზღვრული სარგებლიანობით, ამიტომ აღმოცენდება სხვაობა მათ შორის, რაც მომხმარებლებმა გადაიხადეს საქონლისათვის და რა სარგებლობაც მისგან მიიღეს სანაცვლოდ. მსგავს განსხვავებას **მომხმარებლის მოგებას** უწოდებენ.

წყლის მაგალითის ილუსტრირებით განვიხილოთ მომხმარებლის მოგების მიღების მექანიზმი. დავუშვათ, გალონი წყლის ერთი დოლარის ფასის შემთხვევაში, პირველ გალონს მომხმარებლისათვის ვთქვათ 9 დოლარის სარგებლობა ექნება, მეორეს — 8 დოლარისა, და ასე შემდეგ. მაგრამ, რადგან ფასი მუდმივია (ერთი დოლარი), მომხმარებლის მოგება სახეზეა. განსხვავება საბაზრო ფასსა და ყველა ნაყიდი გალონი წყლის სარგებლიანობას შორის მომხმარებლის საერთო მოგებას შეადგენს.

მომხმარებლის მოგების პრაქტიკული გამოყენების პრინციპი. მოსაზრებანი, რომელიც ეხება მომხმარებლის მოგებას, სასარგებლოა აეროპორტების, არხების, მეტროს, პარკების მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს. დავუშვათ, წყდება გზატკეცილების მშენებლობის საკითხი. ასეთი მშენებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მომგებიანი, თუ მასთან დაკავშირებული ხარჯები მომხმარებლის ერთობლივი მოგების ჯამზე ნაკლებია.

ნათქვამს ამტკიცებს მომხმარებელთა შეშფოთების კანო-

ნიერება, რომელიღაც დოვლათის ფასებისა და ფასეულობის ტოლობის შესახებ. მაგალითად, წყალსა და ჰაერს მცირე ეკონომიკური ფასეულობა აქვს, თუმცა მთლიანად ისინი ალმასზე უფრო სასარგებლოა. მომხმარებელი უდიდეს მოგებას იღებს ჰაერისა და წყლისაგან, ხოლო როცა საქმე ეხება ბეწვეულსა და ძვირფას ქვებს, ეს მოგება მცირეა.

„მომხმარებლის მოგების" ცდების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ მნიშვნელოვანი დასკვნა: წარმოების ეკონომიკური პირობები, რომელთაც ეყრდნობიან მწარმოებლები, ძირითადად მათ მიერ არ არის შექმნილი. საქმე ეხება ისეთ ეკონომიკურ პირობებს, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, მანქანათმშენებლობის განვითარება, კვალიფიცირებული სამუშაო ძალა. მწარმოებლები ამ სიკეთით სარგებლობენ, როგორც მომხმარებლები და მასში იხდიან ასეთი დოვლათის ნამდვილ ფასეულობაზე გაცილებით ნაკლებს. ცდება წარმოების ის ორგანიზატორი, რომელიც თვლის, რომ თავისი თავი თვითონ „გააკეთა" და შექმნა საკუთარი ბიზნესი. სინამდვილეში მან მზად მიიღო მთელი სოციალური სისტემა. იგი მხოლოდ თავისი ინტერესებისათვის იყენებს მილიონობით ადამიანის წარსულ და ახლანდელ შრომას, ექსპლოატაციას უწევს წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს.

თავი 20

ბიზნესის ორგანიზაცია და შემოსავალი

ესა და შემდგომი ოთხი თავი ეძღვნება კაპიტალიზმის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ანალიზს. საზოგადოებაში საქმიანი პრაქტიკის გაგებისათვის ჯერ აუცილებლად უნდა განვიხილოთ (ამას ჩვენ ვაკეთებთ მოცემულ თავში) კორპორაციების ორგანიზაციის და საფინანსო სტრუქტურის, წვრილი საწარმოების ძირითადი ნიშნები.

80-იან წლებში აშშ-ში 16 მილიონზე მეტი საწარმო ითვლებოდა. მათი უმრავლესობა — ძალზე მცირე ზომისანი, ეკუთვნის კერძო პირებს, ე. ი. ერთპიროვნულ საკუთრებაშია. გარდა ამისა, მოქმედებს დიდი მასშტაბების პარტნიორობა (მეპაიეთა ამხანაგობები), აგრეთვე კორპორაციები.

მცირე ფირმები შეიძლება გაკოტრდეს ან ნებაყოფლობით შეწყვიტონ ოპერაციები, ზოგიერთი მათგანი ვითარდება მნიშვნელოვანი ზომის ფირმად. მცირე ბიზნესის საშუალო სასიცოცხლო ციკლი 6 წელია. მაგრამ ახლადშექმნილი საწარმოების რიცხვი ყოველთვის აჭარბებს საქმიანობის შემწყვეტელთა რიცხვს.

უმცირესი საწარმოები. არსებობს 10 მილიონამდე უმცირესი საწარმო — 50 ათას დოლარამდე შემოსავლით წელიწადში. მათ უმრავლესობას ჩვეულებრივ არ ყოფნის პირველსაწყისი კაპიტალი ხანგრძლივი და მომგებიანი მუშაობისათვის. მაგალითად, ყველა საცალო მაღაზიების $^1/_3$-დან $^1/_2$-მღე სამი წლის განმავლობაში წყვეტს არსებობას. სხვადასხვა დარგში საჭიროა არაერთნაირი საფინანსო ინვესტიციები. ბენზინის ჩამომსხმელი სადგურის მშენებლობა 300 ათასი დოლარი ჯდება, მაგრამ ნავთობის კომპანიისაგან მისი იჯარით აღება პირველსაწყის ინვესტიციებს დაახლოებით 20 ათასამდე დოლარით ამცირებს.

ერთპიროვნული საკუთრება. ნებისმიერ მომენტში თითოეულ ადამიანს შეუძლია დაიწყოს ბიზნესი და სამუშაოდ დაიქირაოს ადამიანების განუსაზღვრელი რიცხვი, აგრეთვე აესხად აიღოს ნებისმიერი რაოდენობის ფული. თუ საწარმო მომგებიანია, მაშინ შენთვის შეიძლება ახალი ავტომანქანა შეიძინო, მაგრამ თუ საწარმო წამგებიან მუშაობას დაიწყებს, კრედიტორების გასასტუმრებლად შეიძლება ავტომანქანა, სახლი და სხვა გაგაყიდინონ.

მეწარმე ხშირად იძულებულია ეძებოს სასესხო კაპიტალი, მაგალითად, ახალი ნაწარმის ათვისების პერიოდში ნედლეულის შესასყიდად, მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. მაგრამ 30 დღის განმავლობაში შესყიდვების თანხის გასტუმრების შემთხვევაში ხშირად იძლევიან 2-პროცენტიან ფას-

ჩამოკლებას, ხოლო გასტუმრების შეყოვნების შემთხვევაში სარგებლის წლიური განაკვეთი შეიძლება 24% გაიზარდოს. კომერციული ბანკები, ჩვეულებრივ, სესხს არ აძლევენ მეწარმეებს. საინვესტიციო ბანკს შეუძლია შესთავაზოს სესხი, მაგალითად, 13 პროცენტიანი განაკვეთით და დამატებით პრემია რისკისათვის 5 ან 10%-ის ოდენობით წლიურ-წადში.

მეპაიეთა ამხანაგობები. ნებისმიერ ორ ან მეტ ადამიანს შეუძლია გაერთიანდეს და შექმნას პარტნიორობა. თითოეული თანახმაა შეასრულოს სამუშაო, გაიღოს კაპიტალის რაღაც წილი და გაიყოს როგორც მოგება, ასევე ზარალიც. აშშ-ში 1 მილიონზე მეტი პარტნიორობაა, მაგრამ მათი წილი საქონელთა გაყიდვის საერთო მოცულობაში (იმ საწარმოების გათვალისწინებით, რომლებიც ინდივიდუალურ საკუთრებაში ან კორპორაციებშია) მხოლოდ 8 პროცენტს უდრის.

როგორია ახალი ბიზნესის წარმატებით განვითარების ფაქტორები? ალბათ, შემდეგი: 1) სავაჭრო მარკის კარგი რეკლამა და გაყიდვათა რიცხვის ზრდა; 2) წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდასთან ერთად რეალიზდება მასშტაბის ეფექტი (ხანგრძლივდროიანი წარმოების საშუალო დანახარჯების შემცირება ერთეულ პროდუქციაზე), ფასები კი შეიძლება შემცირდეს, რითაც გაიზრდება გაყიდული საქონლის მოცულობა 3) „ვერტიკალური ინტეგრაციის“ მიზნით იხსნება სხვადასხვა მაღაზიები; 4) „ჰორიზონტალური ინტეგრაციისათვის“ შეიძლება კონკურენტი კომპანიების შესყიდვა; 5) ახალი საქონლის წარმოება, რაც ამცირებს ზედნადებ ხარჯებს; 6) გაყიდვათა მოცულობა შეიძლება გაიზარდოს „კონგლომერატული“ აქტივობის ძალით — ძირითად ბიზნესთან დაუკავშირებელი საქმიანობის სფეროების დამატების შედეგად; 7) ზრდა შესაძლებელია კონკურენტებზე უფრო დაბალი შრომითი დანახარჯებით (პერსონალის ხელფასი); 8) საუკეთესო ვარიანტი — კომპანიის პოზიციის განმტკიცება წარმოებული საქონლის ხარისხის ამაღლებით, დაწესებულზე მეტ დროში სამუშაოს გამოყენებით, ფირმის კარგი მართვითა და პროდუქციის კვალიფიცირებული რეალიზაციით.

კორპორაციების შექმნის პროცესი. კორპორაციის დე-

ბულების დამტკიცებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების დამუშავების შემდეგ შესაძლებელია აქციების გამოშვება. კორპორაციაზე კონტროლისათვის საჭიროა აქციების 51%, დარჩენილი 49% ადგილობრივი საინვესტიციო საბანკო ფირმის მეშვეობით მოსახლეობაში უნდა გავრცელდეს. ეს ფირმა აქციის გამომშვებ პირს მათზე შესთავაზებს ისეთ ფასს, რომელიც ჩვეულებრივ რამდენიმე დოლარით საინვესტიციო ფირმის მიერ სარეალიზაციო აქციის ნამდვილ ფასზე ნაკლები იქნება. კარგი რეპუტაციის მსხვილი კორპორაციის აქციების გავრცელება გაცილებით იოლია. სხვაობა აქციის შესასყიდ და სარეალიზაციო ფასს შორის საინვესტიციო ფირმისათვის ჩვეულებრივად დაახლოებით 0,5-1 დოლარს შეადგენს.

კორპორაციების სტრუქტურა. აქციების გავრცელების შემდეგ მათი მფლობელების სახელები რეგისტრირდება კომპანიის ხელმძღვანელობის ან მისი საბანკო სააგენტოს მიერ. სიები აუცილებელია დივიდენდების გაგზავნის ან აქციონერთა კრებების ჩატარების შეტყობინებისათვის. თითოეული აქცია მის მფლობელს კრებაზე ერთ ხმას აძლევს და აქციებზე დივიდენდის წილის პირდაპირ პროპორციულია.

ოდესღაც არსებული „კაპიტალის გაწყალების“ პრაქტიკა ამჟამად შეზღუდულია. პრაქტიკაში მოქმედი კორპორაციის არსებული ქონებისა და მისი საქმიანი რეპუტაციის განუსაზღვრელად გადიდებული შეფასება ზომაზე მეტი აქციების გამოშვებას იწვევდა. ჩვენს დროში დიდი ოდენობით ახალი აქციების გამოშვების მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟის კომისია.

საწარმოს კორპორაციული ფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. საწარმოს კორპორაციულ ფორმას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები აქვს. პირველი, კოპორაციას აქციების მეოხებით კაპიტალის დიდი ოდენობის შეგროვება შეუძლია. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს კორპორაციების შეზღუდულ პასუხისმგებლობას. ყველაზე უარეს შემთხვევაში (გაკოტრების შემთხვევაში) აქციონერები კარგავენ მხოლოდ თავისი აქციების ღირებულებას. ისინი კორპორაციის ვალდებულებებზე მატერიალურად პასუხს არ აგებენ. მეორე, კორპორაცია არის ბიზნესის მოხერხებული ფორმა. ის

განმტკიცებულია კანონით და სასამართლო განხილვებში თავისი საკუთარი სახელით მონაწილეობა შეუძლია. აქციონერების კრებაზე არჩეული დირექტორთა საბჭო წყვეტს მიმდინარე საკითხებს.

კორპორაციების საქმიანობაში მთავარი წინააღმდეგობაა მათ მოგებაზე მაღალი ფედერალური გადასახადი. მაგალითად, კორპორაციები, რომელთაც 100 ათას დოლარზე მეტი შემოსავალი აქვთ, ფედერალური გადასახადებით იბეგრება (1985 წლის მონაცემებით) 46 პროცენტით. ამის გარდა, მოგება, რომელიც დივიდენდებად ნაწილდება, ერთხელ კიდევ იბეგრება გადასახადით: აქციების მფლობელები, რომლებიც დივიდენდს იღებენ საშემოსავლო გადასახადს იხდიან.

კორპორაციების ეკონომიკური რაციონალობა განპირობებულია მსხვილი მრეწველობის ტექნიკური აქტივობით. მსხვილი კორპორაცია ინვესტორის ინტერესების უზრუნველყოფის საუკეთესო გზაა ბიზნესის გატარების დროს, შეუმცირებადი რისკის პირობებში.

როგორ იზიდავს კორპორაცია კაპიტალს. კორპორაციის მიერ კაპიტალის მიზიდვის გასაგებად აუცილებელია განვიხილოთ მისი საქმიანობის საფინანსო წყაროები. 1983 წელს ამერიკის კორპორაციებმა დიდი ოდენობის სახსრები მიიღეს საშინაო წყაროებიდან: ა) ამორტიზაცია — 69% ინვესტიციებისათვის განკუთვნილი ყველა ფონდიდან 215 მლრდ დოლარი; ბ) გაუნაწილებელი მოგება — 7%, 23 მლრდ დოლარი. დაფინანსების საგარეო წყაროები შემდეგნაირად განაწილდა: ა) ობლიგაციები და გირავნობის ქვითრები — 9% 27 მლრდ დოლარი; ბ) აქციები — 9% 27 მლრდ დოლარი; გ) ბანკის კრედიტი და სხვა მოკლევადიანი სესხები — 6% 18 მლრდ დოლარი.

ობლიგაციების მფლობელები რეგულარულად (მაგალითად, ყოველი 6 თვის შემდეგ) ღებულობენ ფულის გასაზღვრულ რაოდენობას წლების მანძილზე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ კომპანია აქციონერს უხდის ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებას. ბანკის კრედიტები ობლიგაციებისაგან განსხვავებით მოკლევადიანია. მათი ვადა — რამდენიმე თვიდან 3 წლამდეა. სარგებლის განაკვეთი კრედიტებზე კონიუნქტურის მიხედვით იცვლება.

აქციის მფლობელს წილი აქვს მოგებაში, აკონტროლებს საქმიან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებას, მაგრამ ამავე დროს განსაზღვრული ოდენობით მონაწილეობს ზარალის დაფარვაში. აქციები უფრო სარისკოა, ვიდრე ობლიგაციები, რადგან აქციის დივიდენდები მხოლოდ აქციის შემოსავლების განაწილების შემდეგ გაიღება. ობლიგაციის მფლობელს თუმცა შეზღუდული, მაგრამ მუდმივი შემოსავალი აქვს, მაგრამ არ მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გიგანტური კორპორაციების საქმიანობაზე აქციონერთა კონტროლი ფაქტიური ხასიათისაა. რეალური კონტროლისათვის აუცილებელია აქციების 20%, რაც 5-10 მლრდ დოლარს უტოლდება. ცალკეული პირის მიერ ასეთი თანხის ჯიბეში დება უ'ძვიათესი მოვლენაა. მაშასადამე, კომპანია — ურჩხულების საქმიანობაზე ეფექტური კონტროლი — არარეალურია.

აქციებისა და ობლიგაციების თვისებები ერთიანდება პრივილეგირებულ აქციებში, რომელიც როგორც ობლიგაციები, ფიქსირებულ შემოსავალს იძლევა, მაგრამ ასეთი სახის აქციების დივიდენდები შესაძლოა არც იქნეს გადახდილი. არსებობს აგრეთვე ოპციონები, რომელიც გარკვეული პერიოდისათვის დადგენილი კურსის მიხედვით ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის უფლებას იძლევა.

გიგანტური კორპორაციები. ამჟამად ამერიკის ეკონომიკაში დომინირებს 500 უმსხვილესი სამრეწველო კორპორაცია, რომელთა სია ყოველწლიურად ქვეყნდება ჟურნალ „ფორჩუნ"-ში. მუდმივად იზრდება მომსახურების სფეროს როლიც. ამავე ჟურნალში ქვეყნდება ამ სფეროში წამყვანი 500 კომპანიის მონაცემები. სულ 1983 წელს, 1 მლრდ დოლარზე მეტი გაყიდვით, იყო 295 სამრეწველო კომპანია. მსოფლიოს 50 უმსხვილესი კომპანიიდან — 23 ამერიკულია.

მარჯვნივ გადახრის ქანქარა. ბიზნესის საზოგადოებრივი შეფასება მუდმივად იცვლება. უკანასკნელ წლებში გაძლიერდა სკეპტიკური შეხედულებანი სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკაში აქტიური ჩარევის შესახებ. შეიმჩნეოდა მრეწველობის დერეგულიაციის პროცესი, დაქვეითდა დაწოლა ანტიტრესტულ კანონებზე.

თავი 21

დანახარჯების ანალიზი

ფირმები ზრუნავენ დანახარჯებზე, რადგანაც მასში ჩადებული თითოეული დოლარი ამცირებს მოგებას. მაგრამ, ამ ზრუნვის უფრო ღრმა მიზეზი არის პრობლემა: რა რაოდენობის საქონელი უნდა აწარმოო და დღეს რამდენი გაყიდო ფასებსა და მათ წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებზე დამოკიდებულებით?

შეჯამებული დანახარჯები: მუდმივი და ცვალებადი. შეჯამებული დანახარჯები უმცირესი საერთო ფულადი დანახარჯებია, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული რაოდენობის პროდუქციის საწარმოებლად. შეჯამებული დანახარჯები იზრდება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდასთან ერთად. მუდმივი დანახარჯები ისეთი შეჯამებული ფულადი ხარჯებია, რომელსაც ადგილი აქვს მაშინაც კი, როდესაც წარმოება საერთოდ არ არის. ეს უკან დაუბრუნებელი დანახარჯებია, რომელიც არსებობს წარმოების მოცულობის ნებისმიერი ცვლილებებისგან დამოუკიდებლად. მუდმივ დანახარჯებს განეკუთვნება: კონტრაქტული საიჯარო ქირა, დაცვის საზღაური, საწარმოს შენახვის ღირებულება, მმართველთა ხელფასი და ა. შ. ცვალებადი დანახარჯებია ყველა დანახარჯი მუდმივის გარდა — მასალების, ხელფასის, სათბობისა და ა. შ. შეჯამებული დანახარჯები მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამის ტოლია:

რა არის ზღვრული დანახარჯები? გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაზე დამოკიდებული დანახარჯების ცვლილება გამოხატავს ზღვრული დანახარჯების კატეგორიას. ზღვრული დანახარჯები ისეთი დანახარჯებია, რაც საჭიროა განსაზღვრული მოცულობის ზევით დამატებითი ერთეული პროდუქციის საწარმოებლად.

დაკისრებული ანუ ალტერნატიული დანახარჯები. არსებობს განსხვავება საბუღალტრო ანგარიშებში ასახულ დანახარჯებსა და რეალურ ეკონომიკურ დანახარჯებს შორის. თუ ადამიანს სურს იშვიათ საქონელს შორის უკეთესი აირჩიოს, წარმოიქმნება ალტერნატიული ხარჯები. გადაწყვეტილების

ალტერნატიული დანახარჯები არის საუკეთესო ხელსაყრელი შესაძლებლობის ფასი. მაგალითად, წვრილი ფირმის მფლობელს შეეძლო ეპოვნა მსგავსი სამუშაო — დაქირავებულიყო და მის სავარაუდო წლიურ ხელფასს გადაეჭარბებინა მისი კუთვნილი ფირმის წლიური მოგების ოდენობისათვის. მაგრამ, რადგან სინამდვილეში ასეთი ანაზღაურება არ არსებობს, წარმოიქმნება დაკისრებული ხარჯები. როდესაც ფირმის მფლობელი რაღაც თანხას ხარჯავს მოწყობილობის საყიდლად და მშენებლობისათვის, მაშინ გაიანგარიშება ალტერნატიული ხარჯები.

მაგალითად, დამტკიცებულია, რომ არმიის გაზრდა ქვეყანას ის თანხა არ უჯდება, რომლის შესაბამისად სამხედრო ბიუჯეტი დიდდება. მას განსაზღვრავს ეკონომიკის სამოქალაქო სექტორის იმ საქონლის ღირებულება, რომელთა წარმოებაც არ შეიძლება შრომითი რესურსების შემცირების გამო, რაც გამოწვეულია სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვის გაზრდით.

საბაზო ფასსა და ალტერნატიულ დანახარჯებს შორის წინააღმდეგობა არ არის. ბაზარზე კონკურენტ გამყიდველებს შორის წარმოქმნილი ფასი უტოლდება საუკეთესო ხელმისაწვდომ შესაძლებლობას და, მაშასადამე, ალტერნატიულ დანახარჯს, მაგრამ ალტერნატიული დანახარჯების გაანგარიშება უფრო მიზანშეწონილია არა ბაზარზე მიმოქცევადი ნივთებისათვის, არამედ საბაზრო ბრუნვაში ჩაურთველობისათვის.

ამგვარად, დანახარჯები მოიცავს ზუსტად ფიქსირებულ ფულად ხარჯებზე მიმატებულ ისეთ ალტერნატიულ დანახარჯებს, რომლებიც წარმოიქმნება იმ ფაქტორების გამო, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ალტერნატიულ მიმართულებებში. თუ ვისიმე შრომა ან კაპიტალი კომპიუტერების წარმოებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას ნახშირის მოპოვების ან ხორბლის მოყვანისათვის, ან სხვა კომპიუტერული ფირმის საქმიანობაში, ნამდვილი დანახარჯები განსაზღვრული უნდა იქნას საუკეთესო შესაძლო ალტერნატიული დანახარჯების ამ ელემენტების გათვალისწინებით.

თავი 22

კონკურენციული მიწოდება

ამ თავში ლაპარაკი იქნება სრულყოფილი (არამონოპოლისტური,) კონკურენციის დროს ფირმების ქცევებზე.

მიწოდება კონკურენციის პირობებში. სრულყოფილი კონკურენცია ყალიბდება პატარა ფირმების დიდი რაოდენობით არსებობის პირობებში. ეს ფირმები აწარმოებენ იდენტურ საქონლებს და ამასთან იმდენად მცირეს, რომ საბაზრო ფასებს არ განსაზღვრავენ. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში თითოეული მწარმოებელი აწყდება მოთხოვნის სრულყოფილ ჰორიზონტალურ მრუდს.

კონკურენციული მიწოდება და ზღვრული ხარჯები. არსებობს თუ არა მაქსიმალური მოგების მომტანი ფირმის მიერ შეთავაზებული საქონლის ოპტიმალური რაოდენობა? ფირმა მანამდე ზრდის მოგებას, ვიდრე მოცემული საქონლის ბოლო გაყიდული ერთეულიდან მიღებული შემოსავალი ამ უკანასკნელი ერთეულის წარმოებასთან დაკავშირებულ დამატებით ანუ ზღვრულ დანახარჯებზე მეტია. საერთო მოგების მაქსიმიზირება ხდება მაშინ, თუ ფირმა უკვე აღარ იღებს დამატებით მოგებას, რომელიც შესაძლოა პროდუქციის დამატებითი რაოდენობის გაყიდვით მიიღოს. კონკურენტის მიერ წარმოებული და გაყიდული უკანასკნელი მცირე პარტიის საქონლის ფასი ვარირებას იწყებს ერთეული საქონლის ფასსა და ზღვრულ დანახარჯებს შორის საქონლის რეალიზაციის დროს. მაშასადამე, პროდუქციის უფრო მეტად მომგებიანი გამოშვება მიიღწევა მისი წარმოებისა და გაყიდვის ისეთი მოცულობის დროს, როდესაც საბაზრო ფასი ზღვრული დანახარჯების ტოლია.

საერთო დანახარჯები და საწარმოს დახურვის მოკლევადიანი მდგომარეობა. შეიძლება თუ არა საწარმოს დახურვა „მომგებიანი" იყოს და როდისაა ეს აუცილებელი? კრიტიკულად დაბალი საბაზრო ფასის პირობებში, როდესაც ფირმა მხოლოდ თავის ცვალებად დანახარჯებს ფარავს, ის დახურვის პირასაა. ამ წერტილის, დახურვის წერტილის ქვევით, ფირმა საერთოდ არაფერს არ აწარმოებს. უფრო მაღალი, ვიდრე და-

ხურვის წერტილის დროს არსებული ფასის პირობებში, ფირმა საქონელს აწარმოებს ზღვრული დანახარჯების სიდიდის შესაბამისად. თუ ეს უკანასკნელი უდრის საბაზრო ფასს, ფირმა მაინც მიიღებს რაღაცას თავისი მუდმივი დანახარჯების დასაფარავადაც. ის მიიღებს ან მაქსიმალურ დადებით მოგებას, ან, თუ საბაზრო ფასი დაბალია, უბრალო წერტილზე ან წარმოების კრიტიკულ მოცულობაზე (ხარჯების სიდიდე ამონაგების ტოლია). ფირმა, ყოველ შემთხვევაში მინიმუმამდე დაიყვანს თავის ზარალს (და ამ მიზნით მაქსიმუმამდე აიყვანს თავის ალგებრულ მოგებას). უფრო კონკრეტულად დახურვის წერტილს განაპირობებს საბაზრო ფასისა და საშუალო ცვალებადი დანახარჯების ტოლობა, ხოლო წარმოების კრიტიკული მოცულობის წერტილს — საბაზრო ფასისა და საშუალო დანახარჯების ტოლობა.

საერთო დანახარჯები და უზარალო გრძელვადიანი მდგომარეობა. გრძელვადიან ჭრილში უზარალო პირობები ყალიბდება კრიტიკული საბაზრო ფასის პირობებში, როდესაც იდენტური ფირმები მხოლოდ ფარავენ თავიანთ სრულ საკონკურენტო დანახარჯებს. თუ საბაზრო ფასი ამ კრიტიკულ გრძელვადიან ფასზე დაბალია, ფირმები დარგს დატოვებენ მანამდე, სანამ საბაზრო ფასი არ დაუბრუნდება კრიტიკულად თანაბარ დონეს. გრძელვადიან ფასზე აღმატებული ფასის დროს დარგში აღმოცენდება ახალი ფირმები, რაც გამოიწვევს არსებული საბაზრო ფასის შემცირებას გრძელვადიანი წონასწორობის დონემდე და საკონკურენტო ხარჯების დაფარვას. ამგვარად, როდესაც დარგში შეაღწევს იდენტური დანახარჯების მქონე ფირმები (მასში თავისუფლად შესვლისა და გამოსვლის შესაძლებლობის პირობებში). გრძელვადიანი წონასწორობის პირობები მაშინ იქმნება, როდესაც საბაზრო ფასი გაუტოლდება ზღვრულ დანახარჯებს, რაც საშუალო დანახარჯების მინიმუმს წარმოადგენს.

გრძელვადიანი პერიოდის კონკურენციულ კაპიტალიზმსე ლაპარაკის დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფირმები და დარგები მიისწრაფვიან გრძელვადიანი ნულოვანი მოგებისაკენ.

კლებადი დანახარჯები და სრულყოფილი კონკურენციის დანგრევა. რეალურ ცხოვრებაში სრულყოფილ კონკურენციის პირობებში ძირითადად სოფლის მეურნეობა ვითარ-

დება. ბევრი სამრეწველო გადამმუშავებელი დარგისათვის დამახასიათებელია კლებადი საშუალო დანახარჯები. მათი მუდმივი შემცირების პირობებში ერთი ან რამდენიმე ფირმა პროდუქციის გამოშვებას ისეთ დონემდე გააფართოებს, რომ შესაძლებელი იქნება დარგის პროდუქცია ბაზრის არსებით ნაწილად გახდეს. აქ შესაძლებელია სამი ვარიანტი: პირველი, ფირმა — ერთადერთი მონოპოლისტია, რომელიც დარგში დომინირებს; მეორე, რამდენიმე მსხვილი ფირმა — გამყიდველი „ოლიგოპოლისტები" დარგში ერთობლივად დომინირებენ; მესამე, ისეთი სახის კონკურენციის გამოყენება, რომელიც „სრულყოფილი" კონკურენციის ეკონომიკური მოდელიდან გადახრაა და ვითარდება ან სტაბილური სახით, ანდა შენაცვლებადი ფასების პირობებში, როდესაც ადგილი აქვს მეტოქეობას.

ეფექტიანობა და კონკურენციული ბაზრები. იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად აკმაყოფილებს კონკურენციული ბაზრების სისტემა ადამიანთა მოთხოვნილებებს, დიდი დახმარების გაწევა შეუძლია რესურსების ეფექტიანად განაწილების კონცეფციას, რომელმაც პარეტოს ეფექტიანობის სახელწოდება მიიღო. ამ კონცეფციის მიხედვით რესურსების ეფექტიანად განაწილება ყალიბდება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია წარმოების რეორგანიზაცია ისე, რომ ვინმე არ გამდიდრდეს ან არ გაღარიბდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეფექტიანობის პირობებში სარგებლიანობა ერთი პირისათვის შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ სხვისათვის საქონლის წარმოების სარგებლიანობის შემცირების შედეგად. **სრულყოფილი კონკურენციული ბაზარი** — ეს არის იმ „დოლარიანი ხმების" მქონე ადამიანების მზადყოფნის მექანიზმი, რომლებიც ფულს იხდიან ზღვრული დანახარჯების პირობებში დამზადებულ საქონელში. იდეალურ პირობებში შედეგი უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიანად განაწილებას, რომლის დროსაც ერთი მომხმარებლისათვის სარგებლიანობა არ იზრდება მეორის სარგებლიანობის შეუმცირებლად, ხოლო კეთილდღეობის მაქსიმიზაციისათვის და რესურსების ეფექტიანად განაწილებისათვის თითოეულმა დარგმა უნდა გაათანაბროს ზღვრული დანახარჯები და ზღვრული სარგებლიანობა. თუ კინოფილმებს 2-ჯერ მეტი ზღვრული სარგებლი-

ანობა აქვთ, ვიდრე ჰამბურგერებს, მაშინ კინოფილმების საბაზრო ფასი ასევე 2-ჯერ მეტი უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ პირობებში საბაზრო ფასების პროპორციული ზღვრული სარგებლიანობა ტოლი იქნება ზღვრული დანახარჯებისა. ამგვარად, საბაზრო ფასისა და ზღვრული დანახარჯების გათანაბრების მეშვეობით კონკურენცია რესურსების ეფექტიანად განაწილების გარანტიას იძლევა.

ზღვრული დანახარჯების ცენტრალური ადგილი ფასწარმოქმნაში. ეკონომიკას მხოლოდ მაშინ შეუძლია გადალახოს იშვიათი რესურსებითა და ტექნიკური ცოდნის შეზღუდულობით გაპირობებული საზღვრები და მიუახლოვდეს მაქსიმალურ შედეგებს, როდესაც საქონლის ფასები ზღვრული დანახარჯების ტოლი იქნება. ზუსტად ასევე დარგს შეუძლია თავისი პროდუქცია აწარმოოს მინიმალური ჯამობრივი დანახარჯებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი სამრეწველო პროდუქციის თითოეულ ელემენტს თავისი მზარდი ზღვრული დანახარჯები აქვს, რაც თითოეული სხვა წყაროს ზღვრული დანახარჯების ტოლია (ასე იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც თითოეული ზღვრული დანახარჯი საერთო საბაზრო ფასების ტოლად დადგინდება). ტოლი ზღვრული დანახარჯების კონცეფციის გამოყენება შეიძლება ნებისმიერ საზოგადოებაში, მათ შორის როგორც კაპიტალისტურ, ასევე სოციალისტურ საზოგადოებაშიც.

თ ა ვ ი 23

არასრულყოფილი კონკურენცია: მონოპოლია და რეგულირება

ჩვენ აქამდე სრულყოფილ კონკურენციას ვსწავლობდით. მას დიდი ყურადღება ეთმობოდა ორი მიზეზის გამო: პირველი, განსაზღვრული პირობების დროს სრულყოფილი კონკურენციით მიიღწევა რესურსების ეფექტური განაწილება, საზოგადოების შეზღუდული რესურსებიდან „გამოწურვის“ მოთხოვნილებათა უფრო მეტად დაკმაყოფილება. მეორე, კონკურენციული ეკონომიკა შედარებით ადვილად ემორჩილება

ანალიზს, და მაშასადამე, გააზრებასაც. თუმცა რეალურ სამყაროში ჭარბობს „არასრულყოფილი“ კონკურენცია, ე. ი. ისეთი, რომელიც არც სრულყოფილი კონკურენციაა, არც სრულყოფილი მონოპოლია.

ა. არასრულყოფილი კონკურენციის წარმოშობის მიზეზები და ვარიანტები

არასრულყოფილი კონკურენციის ვარიანტები. სრულყოფილი კონკურენცია წარმოიშობა ისეთ პირობებში, როცა მხოლოდ რამდენიმე ფირმას აქვს არსებული ფასებით სპეციფიკური საქონლის მიწოდების შესაძლებლობა. როგორ შეიძლება დარგში კონკურენციის დონის გაზომვა? ამისთვის გამოიყენება „ოთხი უმსხვილესი ფირმის წილის“ მაჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება როგორც პროცენტი დარგში შემავალი ოთხი უმსხვილესი ფირმის წარმოების საერთო მოცულობიდან. 1987 წელს დამმუშავებელი მრეწველობის წარმოების საერთო მოცულობის თითქმის ერთი მეხუთედი გამოშვებული იყო მაღალკონცენტრირებულ დარგებში, სადაც ოთხი უმსხვილესი ფირმის წილი 60 პროცენტზე მეტს შეადგენდა.

კონკურენციის დაბრკოლებები აღმოცენდება მაშინ, როცა საკანონმდებლო, ან ფსიქოლოგიური ფაქტორები ამცირებს კონკურენტების რაოდენობას, ან თვით კონკურენციის ძალა ბუნებრივ დონეზე დაბლა აღმოჩნდება. კონკურენციის ყველაზე დიდი დაბრკოლებებია საკანონმდებლო შეზღუდვა და პროდუქტის დიფერენციაცია. საკანონმდებლო შეზღუდვებს მიეკუთვნება პატენტები, დარგში ახალი ფირმების შექმნის შეზღუდვა და საგარეო სავაჭრო შეზღუდვები. პატენტების დახმარებით, რაც გამომგონებელს ახალი საქონლის ან ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის განსაკუთრებულ (მონოპოლურ) უფლებებს აძლევს, სახელმწიფო ხელს უწყობს საგამომგონებლო საქმიანობას, განსაკუთრებით ისეთს, რაც რეალიზებული არ არის რომელიმე მსხვილმასშტაბურ სიახლეში. მაგალითად, დარგში ახალი ფირმის წახალისება შეიძლება წყლის, ელექტრობის, ბუნებრივი გაზის, სატელეფონო კავშირების გამოყენებაში პრივილეგიების მიცემით. საგარეო

ვაჭრობის შეზღუდვები ემყარება მთავრობის მიერ შემოღებულ მაღალ საბაჟო ტარიფებს, ან ქვოტს საზღვარგარეთული ფირმების პროდუქციაში.

პროდუქტის დიფერენციაცია — ნიშნავს იმას, რომ თითქმის ყოველ საქონელს აქვს შემცვლელი, მისი კონკურენტი საქონელი — სუბსტიტუტი. უფრო ზუსტად, ფირმის განსაზღვრული საქონელი დიფერენცირებულია ამ დარგის სხვა საქონლისაგან, თუ თანაბარი ფასების დროს მყიდველები უპირატესობას სწორედ მოცემულ საქონელს მიანიჭებენ (ან პირიქით, იგნორირებენ მას). დაუშვათ, პეპსი-კოლა და კოკა-კოლა შეიძლება ერთი და იგივე ფასით გაიყიდოს, მაგრამ მყიდველთა განსაზღვრული რაოდენობა უპირატესობას ერთ-ერთ მათგანს მისცემს.

შეიძლება არასრულყოფილი კონკურენციის სამი მოდელი გამოიყოს: მონოპოლია, ოლიგოპოლია და პროდუქტების დიფერენციაცია. მ ო ნ ო პ ო ლ ი ს ტ ი ერთად-ერთი მწარმოებელია თავის დარგში, თანაც მაშინ, როცა არ არსებობს მის საქონელთა მიახლოებული საქონელ-სუბსტიტუტის მწარმოებელი დარგი. ო ლ ი გ ო პ ო ლ ი ა იყოფა ორ ტიპად: პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ხ ი ს ო ლ ი გ ო პ ო ლ ი ა — ესაა სრულიად ერთგვაროვანი პროდუქციის და დიდი რაოდენობით მწარმოებელი საბაზო დარგები. მ ე ო რ ე ს ა ხ ი ს ო ლ ი გ ო პ ო ლ ი ს დროს არის დიფერენცირებული (არა იდენტური) საქონლის რამდენიმე გამყიდველი. პროდუქტების დიფერენციაციის შემთხვევაში მყიდველი უპირატესობას ანიჭებს განსაზღვრული სახის საქონელს, ვთქვათ, იმიტომ, რომ მაღაზია სახლთან (ან სამსახურთან, სკოლასთან) ახლოსაა, ან სორტის, ხარისხის, სავაჭრო მარკის, ან გაფორმების სტილის განსხვავების ან გამყიდველების მიმზიდველობის გამო. თუ უპირატესობამინიჭებული საქონლის ფასი მაღალია საქონელ-სუბსტიტუტების ფასზე, მყიდველი ხშირად ყიდულობს რომელიმე მათგანს.

3. მაქსიმალური მოგების მიმღები მონოპოლიების წონასწორობა

იმ ფირმის საქმიანობის ანალიზისათვის, რომელიც მოგების მაქსიმუმის მიღებისკენ მიისწრაფვის, აუცილებელია ორი შემდეგი მაჩვენებლის შემოღება: ერთობლივი შემოსავალი, რომელიც გაიანგარიშება, როგორც საბაზრო ფასის ნამრავლის შედეგი პროდუქციის რაოდენობაზე და საშუალო შემოსავალი, რომელიც იმ ნაწილის ტოლია, რაც პროდქუციის რაოდენობაზე ერთობლივი შემოსავლის გაყოფით მიიღება და თავისი სიდიდით ემთხვევა საბაზრო ფასს. მაქსიმალური ერთობლივი შემოსავლის პირობებში მოთხოვნა ელასტიურობაში გადადის. მაგრამ გამოკვლევის ძირითადი ინსტრუმენტია ზღვრული დანახარჯი და ზღვრული შემოსავალი — ეს არის ერთობლივი შემოსავლის ნამატი საქონლის ერთეულზე. ზღვრული შემოსავალი დადებითია, თუ მოთხოვნა კვლავ ელასტიურია, ხოლო უარყოფითია, თუ მოთხოვნა არაელასტიურია, ნულს უტოლდება იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნა ელასტიურობიდან არაელასტიურობაში გადადის.

იმ მონოპოლიებისათვის, რომელთა მიზანი მოგების მაქსიმიზაციაა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ერთობლივი მოგება, რაც განისაზღვრება როგორც სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და ერთობლივ დანახარჯს შორის. მოგების მაქსიმიზაციისათვის ფირმამ უნდა იპოვოს წონასწორობის წერტილი იმ პროდუქციის ფასსა და რაოდენობას შორის, რომელიც ყველაზე მეტ სხვაობას ქმნის ერთობლივ შემოსავალსა და ერთობლივ დანახარჯს შორის. თუ საღად ვიმსჯელებთ, მოგების მაქსიმუმი მაშინ მიიღწევა, როცა ფირმის ზღვრული შემოსავალი უტოლდება მის ზღვრულ დანახარჯს. ამრიგად, მაქსიმალური მომგებიანობის წონასწორობის მიღწევა შესაძლებელია ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული დანახარჯის ტოლობის დროს.

მონოპოლისტი ცდილობს უზრუნველყოს თავისი მოგების მაქსიმიზაცია, რისთვისაც აწესებს წარმოებული პროდუქციის ისეთ დონეს, რომელიც შეესაბამება ზღვრული დანახარჯისა და ზღვრული შემოსავლის ტოლობას. მაგრამ უკანასკნელი საქონლის ერთეულის გასაყიდად მონოპოლისტმა ამ საქო-

ნელზე ფასი უნდა შეამციროს წინამავალ საქონელზე ფასების კლებით. მოგების მაქსიმიზაციისათვის მონოპოლისტი ქმნის დეფიციტს, რაც ზღვრულ დანახარჯებზე გარდამეტ ფასს განაპირობებს.

სრულყოფილი კონკურენცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც არასრულყოფილი კონკურენციის პოლარული შემთხვევა. სრულყოფილი კონკურენციის დროს ზღვრული შემოსავალი ემთხვევა ისეთ ფასს, როცა მოთხოვნის მრუდი ჰორიზონტალურია. რადგანაც პროდუქციის ზედმეტი ერთეულის გასაყიდად ფასების შემცირება აუცილებელი არ არის, მზარდი ზღვრული შემოსავალი პროდუქციის უკანასკნელი ერთეულისაგან მიღებული ფასის ტოლია, ამასთან წინა პროდუქციის ერთეულის რეალიზაციისაგან მიღებული ყოველგვარი ზარალის გამოკლების გარეშე. ამრიგად, სრულყოფილი კონკურენტისათვის მაქსიმალური მოგების წერტილში ფასი ზღვრული შემოსავლისა და ზღვრული დანახარჯის ტოლი იქნება.

მონოპოლიის დანახარჯი. არასრულყოფილი კონკურენტი (მონოპოლია) მცირე დეფიციტის დონეზე პროდუქციის გამოშვების მოცულობის შენარჩუნებას ახერხებს. იგი ზღვრული დანახარჯის მაღალ ფასს იმიტომ ინარჩუნებს, რომ ამგვარად მყარდება წონასწორობა ზღვრულ შემოსავალსა და ზღვრულ დანახარჯს შორის, და ამის შედეგად ხდება მოგების მაქსიმიზაცია. როგორია მონოპოლიების გამო საზოგადოების წმინდა ზარალის პრაქტიკული შეფასება? მაგალითად, ფ. შერერს რესურსების მონოპოლისტური არარაციონალური განაწილების ძალით აღმოცენებული „მკვდარი" მოგება აშშ-ის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 0,5—2% ტოლფასად მიაჩნია.

ჩარევის სტრატეგია. მონოპოლიების საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის ხუთი მიმართულებაა. პირველი, მისი მოგება მცირდება მაღალი გადასახადებით, რის შედეგადაც სუსტდება მონოპოლიების სოციალურად უარყოფითი ზემოქმედება; მეორე, წესდება ფასებზე კონტროლი, რომელიც ინფლაციის შესაჩერებლად და მაღალკონცენტრირებულ დარგებში ფასებზე ზემოქმედებისათვის გამოიყენება, მესამე, სახელმწიფო საკუთრება მონოპოლიაზე, რაც ფართოდ გამოი-

ყენება აშშ-ს გარეთ, იშვიათად კი ამ ქვეყანაში. ვფიქრობთ, რომ მრავალ დარგში (სატელეფონო კავშირი, წყლით, ბუნებრივი გაზით, ელექტროენერგიით მომარაგება, რკინიგზები) წარმოება ეფექტური იქნება, თუ ფირმები მონოპოლისტურია, ან მას უახლოვდება; მეოთხე, მრეწველობის სახელმწიფოებრივი რეგულირება, რომელიც აშშ-ში 100 წელზე მეტია ვითარდება. ეკონომიკური რეგულირება სპეციალურ მარეგულირებელ სააგენტოებს უქმნის უფასებზე, წარმოების მოცულობებზე, რეგულირებადი დარგებიდან ფირმების შესვლა-გასვლაზე დაკვირვების შესაძლებლობას; იგი ვრცელდება კომუნალურ საწარმოებზე, ტრანსპორტსა და ფინანსურ ბაზრებზე. ეს არსებითად სახელმწიფო კონტროლია წარმოების საშუალებათა საკუთრების გარეშე; მეხუთე, მონოპოლიების საქმიანობის რეგულირება ხორციელდება მაღალკონცენტრირებულ დარგებში გამოყენებული ანტიტრესტული პოლიტიკის დახმარებით, რადგან ამერიკის ეკონომიკაში ოლიგოპოლია ჭარბობს.

აშშ-თვის დამახასიათებელია ბოლო ორი მიმართულება.

რეგულირების ბუნება. ამ განყოფილებაში ყურადღება კონცენტრირებულია სახელმწიფოს ჩარევის ერთ-ერთ მიმართულებაზე — სახელმწიფო რეგულირებაზე. **რეგულირება გულისხმობს ეკონომიკური ორგანიზაციების ოპერაციების შეცვლისა და მათზე კონტროლისათვის გამოცემულ სახელმწიფო წესებს და კანონებს. გამოიყოფა რეგულირების ორი ფორმა — ეკონომიკური და სოციალური.** ეკონომიკური რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საქონლის ფასებზე, საქონლის ტიპებზე, დარგში შესვლა-გამოსვლის პირობებზე კონტროლი, ან მოცემულ დარგში მომსახურების სტანდარტები. სოციალური რეგულირება წარმოადგენს კორექტირებისაკენ მიმართული ფართო არაძირითადი და საგარეო ეფექტების დადგენას. რეგულირების ცნობილი მაგალითებია — ჰაერისა და წყლის გაწმენდის პროგრამები, ბირთვული ენერგეტიკისა და წამლების, ავტომობილების, სათამაშოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეკონომიკის რეგულირების აქტივობის პიკი იყო 1978 წ., როცა ეროვნული შემოსავლის 15%-ზე მეტი მწარმოებელი დარგები ფასების, ან სხვა სახის ეკონომიკური რეგულირების ზემოქმე-

დებას ემორჩილებოდა. 1978 წლის შემდეგ დაიწყო მოძრაობა ეკონომიკის დერეგულირებისაკენ.

ეკონომიკური რეგულირების აღმოცენების მიზეზებია, ერთი მხრივ, რწმენა ბაზრის ბატონობის შეკავების აუცილებლობის შესახებ, მეორე მხრივ — საზოგადოებრივი შერჩევის თეორიის გამოყენება. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე უპირველესი მიზანია ჯერ ერთი, ბაზარზე წარუმატებლობის, გაკოტრების თავიდან აცილება; მეორეც — იმ პოლიტიკური ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მწარმოებელს შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობას მისცემდა დარგში ახალი ფირმების დანერგვის შეზღუდვით და საბოლოო ანგარიშით მასში კონკურენციის შერბილებით.

თ ა ვ ი 24

არასრულყოფილი კონკურენცია და ანტიტრესტული პოლიტიკა

ამ თავში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია არასრულყოფილი კონკურენციის თეორიაზე, მსხვილი ფირმების განვითარების მოტივებსა და ანტიტრესტულ კანონებზე.

ა. არასრულყოფილი კონკურენციის ვარიანტები

სამრეწველო ორგანიზაციის პლიუსებია მონოპოლია და სრულყოფილი კონკურენცია, როცა მრავალი ფირმა იდენტურ საქონელს აწარმოებს და მათგან არც ერთი არ განსაზღვრავს საბაზრო ფასს. არასრულყოფილი კონკურენციის შუალედური ფორმები ორ პოლუსს შორის იმყოფება. ოლიგოპოლია რამდენიმე ფირმის დომინირებით და მონოპოლისტური კონკურენცია, როცა უმნიშვნელოდ დიფერენცირებული საქონლის მწარმოებელი ფირმების დიდი რაოდენობა არსებობს.

მრავალ დარგში დომინირებული პოზიცია უკავია სამ ან ორ ფირმას. ჩვეულებრივ ასეთ დარგებში ეფექტური წარმოების ოპტიმალური ზომა მეტად მნიშვნელოვანია საერთო საბაზრო მოთხოვნასთან შედარებით. ოლიგოპოლიურ დარგებ-

ში უფრო ეფექტურია მოცემული პროდუქციის საერთო მოცულობის 20, 30 ან 40%-ის მწარმოებელი ფირმები. წინა თავში განხილული კონკურენციის დაბრკოლებები ასევე უწყობს ხელს ოლიგოპოლიური სტრუქტურების წარმოქმნას.

შემდგომ ცენტრშია ოლიგოპოლიური ქცევის სამი მნიშვნელოვანი ტიპის — **საიდუმლო ოლიგოპოლიის, დომინირებული ოლიგოპოლიის და მონოპოლისტური კონკურენციის ანალიზი.** პირველი შემთხვევაა, როცა ოლიგოპოლისტებს მთლიანად შეთანხმება შეუძლიათ, ანუ ისინი ითვალისწინებენ თავის ურთიერთდამოკიდებულებას. საბაზრო ფასი და რეალიზებული საქონლის რაოდენობა შეესაბამება ერთ-ერთი მონოპოლისტის სიტუაციას.

ბაზრებზე, სადაც უმსხვილესი ფირმები კონტროლს უწევენ დარგობრივი მოცულობის რეალიზაციის 60—80 პროცენტს, მრავალი შესაძლებელი სტრატეგია არსებობს. ყველაზე უფრო სასურველია ბაზრის ნაწილი დაეთმოს კონკურენტებს (წვრილ ფირმებს) და შემდეგ ისე მოქცევა, როგორც ამას გააკეთებდა ბაზრის 60—80 პროცენტის მაკონტროლებელი ფირმის მონოპოლისტი. ასეთ ბაზარს **დომინირებული ოლიგოპოლია** ეწოდება.

მონოპოლისტური კონკურენცია აღმოცენდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მსხვილი მაგრამ არაიდენტური საქონლის გამყიდველის არსებობის პირობებში. ეს სტრუქტურა პირველად გაანალიზა ე. ჩემბერლინმა. ისევე როგორც სრულყოფილი კონკურენციის დროს მრავალი გამყიდველი და მყიდველი არსებობს, თავისუფალია დარგში ფირმის შესვლა-გამოსვლა და თითოეული ფირმა უშუალოდ არ ზემოქმედებს სხვა ფირმების ფასებზე. განსხვავება იმაშია, რომ მონოპოლისტური კონკურენციის დროს ადგილი აქვს იმ საქონლის დიფერენციაციას, რომელიც თითოეულ გამყიდველს დაქვეითებად მოთხოვნასთან მიიყვანს. დიფერენციაციის მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ აუცილებელი სტანდარტიზაცია უმნიშვნელოდ განსხვავდება რომელიმე საქონლის ნაირსახეობისაგან. დიფერენციაციის მომხრენი კი ქადაგებენ საქონლის მრავალსახეობას და ეწინააღმდეგებიან მის იდენტურობას.

საუკუნის მანძილზე სახელმწიფო მონოპოლია ცდილობდა წარმოებაში მონოპოლიის შეფერხებას. ასეთ მდგომარეობაში ანტიტრესტული კანონები ორგვარად ათვინიერებენ საბაზრო ბატონობის ბოროტმოქმედებას: საქმიანი ქცევის განსაზღვრული ტიპების აკრძალვის გზით და იმ საბაზრო სტრუქტურების ალაგმვით, რომლებსაც ანტიკონკურენციული ბოროტმოქმედების უნარი აქვთ.

ძირითადი სისტემები. ამერიკის ანტიტრესტული პოლიტიკის საფუძველია შერმანის აქტი (1890 წ.) და კლეიტონის აქტი (1914 წ.), შერმანის აქტმა ვაჭრობის მონოპოლიზაცია არალეგალურად აქცია. კლეიტონის აქტმა აკრძალა იძულებითი ასორტიმენტის საქონლის გაყიდვის კონტრაქტები, ფასების დისკრიმინაცია, გასაღების ორგანიზაციის შემზღუდავი პრაქტიკა, დირექტორატთან გადახლართული ფირმები და კონკურენციის ჩვეულებრივი აქციების შეძენის საშუალებით განხორციელებული შერწყმა. 1914 წ. შექმნილი ფედერალური სავაჭრო კომისია გამიზნული იყო „კონკურენციის უპატიოსნო მეთოდების“ აკრძალვისა და ანტიკონკურენციული შერწყმის წინააღმდეგ საბრძოლველად. სელერა-კეფოვერას აქტმა (1950 წ.) შეავსო აქციების შეძენის საშუალებით კომპანიების ყიდვაზე კლეიტონის აქტის ყადაღა, დამატებითი დებულებით აქტივების შეძენის გზით შერწყმის აკრძალვის შესახებ.

თ ა ვ ი 25

შემოსავლები და ცხოვრების დონე

სახელმძღვანელოს მეოთხე ნაწილში ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია რა გზებით ყალიბდება ფასები საქონელზე და ეს საქონელი სხვადასხვა საბაზრო სტრუქტურებში როგორ ნაწილდება. ეხლა განვიხილავთ, თუ როგორ წარმოიქმნება შემოსავალი ბაზარზე. ამისათვის უპასუხებთ კითხვას: როგორ ნაწილდება შემოსავლები და სიმდიდრე დღეს? ასევე განვიხილავთ განაწილების თეორიას შრომის, მიწის (ბუნებრივი რესურსების ჩათვლით) და კაპიტალის გათვალისწინებით.

ა. შემოსავლებისა და სიმდიდრის უთანაბრობა

მრავალ ტრადიციულ საზოგადოებაში შემოსავლები და სიმდიდრე შედარებით თანაბრად ნაწილდებოდა. სამრეწველო რევოლუციის დროს საზოგადოება დაიყო კაპიტალისტებად და მუშებად, ორ კლასად, რომლებიც ხასიათდებოდა შემოსავლებში არსებითი ეკონომიკური უთანაბრობით. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში". მაგრამ ყველა მათი პროგნოზი ტენდენციის თვალსაზრისით არ დადასტურდა. კერძოდ, დებულება — „მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი უფრო ღარიბდებიან" — ისტორიულმა და სტატისტიკურმა გულმოდგინე გამოკვლევამ არ დაადასტურა: ევროპასა და ამერიკაშიც მინიმალური ცხოვრების დონე მუდმივად მაღლდება.

სამრეწველო რევოლუციის პერიოდში თვალსაჩინო იყო მასების შემაძრწუნებელი სიღარიბე: მაშინ დაკანონებული იყო 84-საათიანი სამუშაო კვირა, ისევე როგორც ის მძიმე პირობები, რომელშიც მუშაობა უხდებოდათ ექვსი წლის ბავშვებსაც კი. ყოველივე ამან ადამიანები დაარწმუნა იმაში, რომ სამრეწველო რევოლუცია მუშათა კლასის მდგომარეობას აუარესებს. ჩვენ დღესაც ვხვდებით სიღარიბეს რიგ სასოფლო რაიონებში, მაგალითად, გარლემის ჯურღმულებში, ბოსტონის სამხრეთ ნაწილში. ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების მიუხედავად განაწილებაში ასეთი უთანაბრობა მაინც შენარჩუნებულია.

ორი სამყარო? დღესაც აზიისა და აფრიკის უმეტეს ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების დონე იმაზე დაბალია, ვიდრე იგი სამრეწველო რევოლუციამდე დასავლეთის ქვეყნებში იყო. 60-იანი წლების შუა პერიოდში ერთობლივი ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ინდოეთში 15-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ამერიკაში. თვით აშშ-ის სამხრეთის შტატებში მცხოვრებთ უფრო ნაკლები შემოსავლები აქვთ, ვიდრე მათ თანამოქალაქეებს ჩრდილოეთის შტატებიდან და დასავლეთის სანაპიროებიდან. მაგრამ შემოსავლების დიფერენციაცია განვითარებულ ქვეყნებში ცვალებადია.

შემოსავლები და სიმდიდრე. ამრიგად, რა არის შემოსავალი და სიმდიდრე? ყველაზე ზოგადი სახით სიმდიდრეს ჩვენ ვუწოდებთ ფულის მარაგს, რომელსაც ღებულობენ, შემოსავალი კი ფულის ნაკადია. უფრო მეტიც, ის წარმოადგენს რაღაც პერიოდის მანძილზე (ჩვეულებრივ წელიწადში) გამომუშავებული ან მიღებული ფულის საერთო ჯამს. მაგალითად, სიმდიდრე წარმოადგენს მოცემულ დროში ოჯახის საკუთრებაში მყოფი ფინანსური სახსრების წმინდა რეალურ მარაგს.

შემოსავლების განაწილება აშშ-ში. სტუდენტთა ყოველი ჯგუფის გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ მათ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საკუთარი ოჯახის შემოსავლებზე. ჩვეულებრივ მათ ჩამოყალიბებული აქვთ რამდენადმე გაზვიადებული წარმოდგენა მშობლების ხელფასის შესახებ. 1984 წ. აშშ-ში მოსახლეობის ერთ სულზე კვირეული შემოსავალი შეადგენდა 205 დოლარს. ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ ეროვნული შემოსავალი არათანაბრადაა განაწილებული. მაგალითად, 1982 წელს ამერიკული ოჯახების 6 პროცენტს 5000 დოლარზე ნაკლები წლიური შემოსავალი ჰქონდა, 10,6 პროცენტს — 5000-დან 9999-მდე; 12,4 პროცენტს — 10000-14999-მდე; 12,1 პროცენტს — 15090-დან 19999-მდე; 14,4 პროცენტს — 20000-დან 24999-მდე; 35,6 პროცენტს — 25000-დან — 49999-მდე; ოჯახების 10,9 პროცენტს წელიწადში 50000 დოლარზე მეტი შემოსავალი ჰქონდა, ეს ციფრები გვიჩვენებს, თუ როგორაა წამახვილებული შემოსავლების პირამიდა და როგორი ფართოა მისი ფუძე. სწორია გამოთქმა: მწვერვალზე ყოველთვისაა ადგილი, მაგრამ სწორია ისიც მწვერვალი იმიტომაა, რომ იქ მოხვედრაა ძნელი.

როგორ გავზომოთ შემოსავლებში უთანასწორობა? შეიძლება თუ არა ვამტკიცო, რომ თუ შემოსავლები აბსოლუტურად თანაბრად განაწილდება, მაშინ მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი 20 პროცენტიანი ჯგუფი მთელი შემოსავლის ზუსტად 20 პროცენტს მიიღებდა, მოსახლეობის 60 % — შემოსავლის 60 პროცენტს, ხოლო უმაღლეს შემოსავლიანი (ასევე 20%) — სწორედ იმავე წილს — 20% სინამდვი-

ლეში ჩვენს მიერ გამოყოფილი ოჯახების ჯგუფებიდან პირველი მიიღებს მთელი შემოსავლის 4,7 პროცენტს, ხოლო უმაღლესი ჯგუფი, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტია, შემოსავლების 16 პროცენტს მიიღებდა, ე. ი. მეტს, ვიდრე ქვედა ჯგუფებს მიკუთვნებული ყველა ოჯახის 40 პროცენტი. ამ უთანაბრობის დიაგრამის დასახაზავად ჩვეულებრივ სარგებლობენ ე. წ. ლორენცის მრუდით, სადაც ჰორიზონტალურ ღერძზე აღნიშნულია მოსახლეობის პროცენტი — უღარიბესიდან უმდიდრეს ფენამდე, ვერტიკალურზე კი — მათ მიერ მიღებული შემოსავლის პროცენტი.

როგორია უთანაბრობის ტენდენციები შემოსავლების განაწილებაში? ლორენცის მრუდისა, სხვა გეომეტრიული მაჩვენებელის მეშვეობით მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ საუკუნის დასაწყისთან შედარებით უთანაბრობა რამდენადმე მცირდება. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან 1982 წლის ჩათვლით მნიშვნელოვნად გაიზარდა მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის წილი და შემცირდა დაბალშემოსავლიანთა ხვედრიწილი. რეალური უთანაბრობის შემცირების მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური სფეროსათვის სახელმწიფო ხარჯი. მცირექონებიანთათვის სხვადასხვა სახის დახმარებები ამცირებს უთანაბრობის დონეს. რა თქმა უნდა, ეს დონე სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირი არაა. მაგალითად, შვეიცარიაში ეს დონე უფრო დაბალია, ვიდრე დიდ ბრიტანეთში, სადაც იგი თავის მხრივ უფრო მცირეა, ვიდრე აშშ-ში. ამის ერთ-ერთი მიზეზია ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ გადასახადების გადანაწილების უფრო ფართოდ გამოყენება. უთანაბრობის ხარისხი გაცილებით მაღალია ღარიბ ქვეყნებში, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

სიმდიდრის განაწილება. შემოსავლების უთანაბრობის ერთ-ერთი წყაროა იმ საკუთრების სიმდიდრეზე ურთიერთობის უთანაბრობა, რომელიც უფრო მეტად უთანაბროდ ნაწილდება, ვიდრე შემოსავალი. მაგალითად, აშშ-ს მთელი ეროვნული სიმდიდრე (1984 წ. ფასებით) შეფასებულია 7800 მლრდ დოლარად, რომელთაგან 1120 მლრდ დოლარი ეკუთვნის მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს. აშშ-ზე უფრო მეტად უთანაბროდ ნაწილდება ეროვნული სიმდიდრე დიდ ბრიტანეთში.

უთანაბრობა ხელფასში. ეჭვგარეშეა თანამედროვე ეკონომიკური სისტემის საბოლოო მიზანია თანასწორად უზრუნველყოს განათლებასა და პოლიტიკურ უფლებებში თავისი შეხედულებების რეალიზაცია. მაგრამ როგორ ავხსნათ შემოსავლებში განსხვავება? საეჭვოა, რომ მხოლოდ ადამიანების უნარის სხვადასხვაობით. მთავარია მათი პროფესიული არაერთგვაროვნება: რომელ პროფესიას მოაქვს ყველაზე მეტი ფული? უკანასკნელ წლებში უეჭველად ლიდერობენ ექიმები, რომლებიც წელიწადში (მაგალითად, 1984 წელს) საშუალოდ 120 ათას დოლარს ღებულობდნენ. რით აიხსნება ეს? ცხადია, ერთდროულად რამდენიმე ფაქტორით; სამედიცინო სასწავლო დაწესებულებები არ ამზადებენ საკმარისი რაოდენობის ექიმებს; მათ პროფესიული მომზადებისათვის მრავალი წელი სჭირდებათ; მათ მომსახურებაზე მოთხოვნა სისტემატურად იზრდება.

ღირს კი კოლეჯებისაკენ სწრაფვა? რა გავლენას ახდენს განათლება და სწავლება მთელი ცხოვრების განმავლობაში მიღებულ შემოსავალზე? ანაზღაურდება კი მასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი? უეჭველად, თუმცა განათლება ძვირი ჯდება. სრული დროით დასაქმებული საშუალო განათლების მამაკაცები (1984 წ.) წელიწადში ღებულობდნენ 19 ათას დოლარს, უმაღლესი განათლების მქონენი კი — 32 ათასს. თუ თქვენ დაეუფლეთ ისეთ პროფესიას, რომლის მიღება მხოლოდ კოლეჯდამთავრებულებს შეუძლიათ, თქვენს მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე მიღებული ხელფასი ალბათ დიდი სარგებლით დაფარავს განათლებაზე გაწეულ ხარჯს, კოლეჯდამთავრებულ პირებს 65 წლის ასაკისათვის დაახლოებით 2,5 მლნ დოლარი აქვს მიღებული, მათ კი, ვისაც საშუალო სკოლა არ დაუმთავრებია — საშუალოდ მხოლოდ 1,2 მლნ დოლარი.

ხელფასზე მოქმედი სხვა ფაქტორები. შედარებით მაღალი ხელფასი დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ვიღაცა სხვაზე უფრო მეტს მუშაობს, ასევე კომპენსაციას იღებს ნაკლებსასიამოვნო სახის საქმიანობისათვის.

შემოსავლების უთანაბრობაში შესამჩნევ როლს ასრუ-

ლებს საკუთრება და სიმდიდრე, რომელიც ან მემკვიდრეობითაა მიღებული, ან სამეწარმეო წარმატების შედეგია (ჭარბობს მემკვიდრეობის უფლება). ამით ნათელი ხდება, თუ ვის ხარჯზე ივსება საზოგადოების ელიტარული ფენა. ამერიკული კომპანიის ტიპური ადმინისტრატორი მუშის ან ფერმერის ოჯახიდან არაა გამოსული; როგორც წესი, მამამისი ბიზნესმენი და სპეციალისტი იყო. თანაბარ უნარსაც კი ყოველთვის არ ახლავს თანაბარი მიღწევა.

თ ა ვ ი 26

წარმოებისა და ზღვრული პროდუქტის თეორია

უთანაბრობის არსებობისა და წყაროების დადგენით ჩვენ ზოგიერთ შეკითხვაზე ჯერ კიდევ ვერ გავეცით პასუხი: რით განისაზღვრება მიწის რენტა, სარგებლის განაკვეთი, მოგების ნორმა, ხელფასის სიდიდე და ა. შ.? ჩვეულებრივ ყველა ეს კითხვა განაწილების თეორიას მიეკუთვნება. შემოსავლების განაწილების პრობლემის ასახსნელად, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ იმ საბაზრო ურთიერთობებზე, რაც დაკავშირებულია წარმოების ფაქტორებზე ფასების დადგენასთან. ასეთი ფასების ფორმირების მექანიზმის გასაღებია წარმოების ეკონომიკური თეორია.

წარმოების თეორია

წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის მთავარი თავისებურება განპირობებულია ტექნოლოგიური პროცესის ცნობილი კანონზომიერებით: ისინი ცალ-ცალკე არ გამოიყენება. წარმოებული საქონლის რაოდენობას განსაზღვრავს წარმოების პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ყველა ფაქტორი. წარმოების ფაქტორების ურთიერთკავშირი განაპირობებს მნიშვნელოვან დასკვნას: თითოეულ მათგანზე მოთხოვნის სიდიდე დამოკიდებულია ყველა დანარჩენის ფასზე. მაგალითად, მოზიდული სამუშაო ძალის რაოდენობა დამოკიდებული იქნება მანქანების ფასსა და ხელფასის განაკვეთზე, მი-

წის, შრომის და წარმოების საშუალებების მწარმოებლურობის ურთიერთკავშირი განაწილების პრობლემას მეტად არ-თულებს.

გამოშვების დანახარჯებთან დამაკავშირებელი ტექნიკური კანონი: „საწარმოო ფუნქცია"

წარმოების თეორია იწყება სპეციფიკური ინკინრულ-ცნობებით. თუ თქვენ წარმოებაში გამოიყენებთ სამუშაო ძალის, მიწის და სხვა წარმოების საშუალებების განსაზღვრულ რაოდენობას, მაშინ პასუხი კითხვაზე — როგორი იქნება კონკრეტული საქონლის გამოშვება — დამოკიდებულია ტექნიკის მდგომარეობაზე. რომელიმე ახალი გამოგონების დანერგვით ან ახალი ტექნოლოგიის შექმნით გაიზრდება იმ პროდუქციის რაოდენობა, რომლის მიღება შესაძლებელია წარმოების არსებული ფაქტორების დროს, მაგრამ ყოველი ცალკეული პერიოდისათვის წარმოების ფაქტორების შესაძლებელი მოცემული დანახარჯებისას არსებობს გამოშვების მოცულობის მაქსიმუმი. დანახარჯებსა და გამოშვებულ პროდუქციას შორის ამსახველი კავშირურთიერთობა არის ტექნიკური კანონი. იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეკონომისტებმა მას განსაკუთრებული სახელწოდება — „საწარმოო ფუნქცია" მისცეს. ის გამოხატავს პროდუქციის შესაძლებელი მაქსიმალური რაოდენობის წარმოებასა და მოცემულ პროდუქციაზე ყველა სპეციფიკურ საწარმოო დანახარჯებს (ანუ წარმოების ფაქტორების დანახარჯებს) შორის ტექნოლოგიურ ურთიერთკავშირს. საწარმოო ფუნქცია განისაზღვრება ტექნიკური ცოდნის დონით.

რა არის ზღვრული პროდუქტი? ეხლა როცა უკვე ვიცით რა არის საწარმოო ფუნქცია, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინიც — „დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი". ამასთან, სიტყვა „დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი" ეკონომიკურ მეცნიერებაში, ჩვეულებრივ, იცვლება სიტყვით „ზ ღ ვ რ უ ლ ი თ". წარმოების ამა თუ იმ ფაქტორის „ზ ღ ვ რ უ ლ ი პ რ ო-დ უ ქ ტ ი" ეწოდება დამატებით პროდუქტს (ან წარმოების მოცულობას), რომელიც წარმოების დანარჩენი ფაქტორების სიდიდის უცვლელობისას მიიღება ერთ დამატებით ერთეულზე მოცემული ფაქტორის გადიდებით.

შრომის ზღვრული პროდუქტი — ეს პროდუქციის დამატებითი გამოშვებაა, რაც თქვენ შეიძლება მიიღოთ შრომის ერთი ერთეულის დამატებით წარმოების დანახარჯების სხვა სახეების უცვლელობის დროს. ანალოგიურად მიწის ზღვრული პროდუქტი წარმოადგენს საერთო პროდუქტის სიდიდის წანამატს, რომელიც მიიღება მხოლოდ მიწის ნაკვეთების ფართობის გადიდებით, ყველა დანარჩენი საწარმოო დანახარჯების პარამეტრების უცვლელობის დროს და ასე შემდეგ — წარმოების ყოველი ფაქტორისათვის.

ჩვენ ვნახეთ, რომ თუ მიწის ნაკვეთის სიდიდე უცვლელია და მხოლოდ შრომის რაოდენობა იზრდება, პროდუქციის საერთო მოცულობა სულ უფრო ნელი ტემპით მატულობს. ამრიგად, „შემოსავლების კლების“ კანონს შეიძლება „ზღვრული პროდუქტის კლების“ კანონი ეწოდოს, რაც სამართლიანია ერთი სახის დანახარჯებისათვის და არანაკლებ სწორია სხვებისათვისაც.

განაწილება ზღვრული პროდუქტების მეშვეობით. მხოლოდ ზღვრული პროდუქტის თეორიის გამოყენებით შეიძლება აიხსნას, თუ როგორ ხდება ბაზარზე ერთი და იგივე ნაკეთობის შესაქმნელად აუცილებელი ორი ან მეტი ურთიერთდაკავშირებული წარმოების ფაქტორის შენაცვლება. ჯ. ბ. კლარკის მიერ აღმოჩენილი ზღვრული პროდუქტის თეორია უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იყო წარმოების სხვადასხვა ფაქტორზე ფასების ფორმირების მექანიზმის ასახსნელად.

მოგების მაქსიმიზირებისათვის მეწარმენი ბაზარზე კონკურენციაში მყოფ საწარმოო ფაქტორებს თავის მოთხოვნას იქიდან გამომდინარე უყენებენ, რომ რომელიმე ფაქტორის ერთეულის პროდუქტზე ზრდამ უნდა მოიტანოს დამატებითი პროდუქტები. ზღვრული (დამატებითი) შრომის პროდუქტს წარმოადგენს ხელფასი, მიწისას — რენტა და ასე ყოველი წარმოების ფაქტორისათვის.

ეხლა განვიხილოთ ამერიკის ეკონომიკის ერთობლივი სურათი: შრომითი დანახარჯების, კაპიტალისა და პროდუქციის საერთო სიდიდე. აგრეგატული საწარმოო ფუნქცია ემპირიულად გამოიკვლიეს 20-იან წლებში, როცა პ. დუგლასმა გააანალიზა მასალები დამმუშავებელი მრეწველობისათვის. 50-იან და 60-იან წლებში ჩატარებული გამოკვლევის მიზანი იყო კაპიტალზე, სამუშაო ძალასა და ტექნიკურ პროგრესზე ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულების ახსნა. გამოკვლევამ აჩვენა: წარმოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამუშაო ძალა. მაგრამ მისი ფუნქციონირების შედეგი კაპიტალის გარეშე არ არსებობს. თუმცა აღმოჩნდა, რომ 1 პროცენტით შრომის დანახარჯების გადიდება წარმოებას სამჯერ და მეტად ზრდის, ვიდრე 1 პროცენტით კაპიტალის ნამატი. ეს ძირითადად შეესაბამება იმ ფართოდ ცნობილ ფაქტს, რომ ხელფასი შეადგენს ეროვნული პროდუქტის $^3/_4$-ს, იმ დროს, როცა საკუთრებიდან შემოსავლის წილი დაახლოებით $^1/_4$-ის ტოლია.

უწევს თუ არა ფირმა ექსპლოატაციას მუშებს? ჯერ კიდევ სამრეწველო რევოლუციის დროიდან კაპიტალიზმის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ შრომას წარმოების ყველა შედეგზე აქვს უფლება, სამუშაო ძალა კი განიცდის ექსპლოატაციას. ექსპლოატაციის კონცეფცია გაჩნდა კ. მარქსის შრომებში და ემყარებოდა შრომითი ღირებულების თეორიას. თავისი თეორიის დასაბუთების დროს (ჯერ კიდევ ზღვრული მწარმოებლურობის თეორიის აღმოცენებამდე) კ. მარქსი ექსპლოატაციას (რაოდენობრივად) განსაზღვრავდა როგორც სხვაობას შექმნილ პროდუქტში მუშის წილსა და ხელფასს შორის. ამიტომაც მოგება, რენტა, სარგებელი მხოლოდ შრომის ექსპლოატაციის შედეგია.

თანამედროვე განაწილების თეორიის შუქზე ტერმინი „ექსპლოატაცია" უფრო მეტად კამათში გამოსაყენებელია, ვიდრე ეკონომიკურ შრომებში. თუმცა ცნობილი პოლონელი ეკონომისტი ო. ლანგე შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ექსპლოატაციის თეორია სასარგებლოა ეკონომისტების მიერ მარქსის ღირებულების თეორიის უარყოფის შემდეგაც. ლანგე ამას

ასაბუთებდა იმით, რომ ეთიკური თვალსაზრისით ცუდია, როცა რამდენიმე მდიდარი კაპიტალისტი ითვისებს ეეპ-ს მნიშვნელოვან ნაწილს.

ზღვრული პროდუქტის თეორია ერთი ფირმისათვის

ზღვრული პროდუქტი, რომელიც მუშას მოაქვს, აღვნიშნოთ MP-თი, ხოლო მის მიერ წარმოებული პროდუქციის საბაზრო ფასი P-თი. თუ MP პროდუქციის 8 ერთეულისაგან შედგება, ხოლო თითოეული შეიძლება 5 დოლარად გაიყიდოს, მაშინ უკანასკნელი დაქირავებული მუშის ღირებულება მეწარმისათვის 40 დოლარის ტოლი იქნება. ჩვეულებრივ თავისუფალი კონკურენციის დროს ყოველ მუშას ფირმისათვის აქვს ფასი, რომელიც გამომდინარეობს მისი ღირებულებიდან (8 დოლარი) და საზღვრითი პროდუქტიდან $P \times MP$.

ზღვრული პროდუქტიდან შემოსავალი განისაზღვრება, როგორც ზღვრული პროდუქტი გამრავლებული ფირმის მიერ მთელი დამატებითი საქონლის გაყიდვით მიღებულ ზღვრულ შემოსავალზე.

სხვა სიტყვებით, ფირმა მოგების მაქსიმიზაციისათვის ყოველთვის ერთმანეთს დაუპირისპირებს დამატებით დანახარჯებს და დამატებით მოგებას, რომელიც მეტნაწილად მიწისაგან ან შრომისაგან მიიღება. დანახარჯებს მიეკუთვნება ასევე ხელფასი, რენტა და სხვ. დამატებითი მოგებაა შემოსავალი ზღვრული პროდუქტიდან. უდიდესი მოგების უზრუნველმყოფელი წონასწორობის პირობები მაშინ მიიღწევა, როცა ხელფასი შრომის მეშვეობთ წარმოებული ზღვრული პროდუქტისაგან მიღებული შემოსავლის ტოლია, რენტა კი მიწის მეშვეობით წარმოებული ზღვრული პროდუქტიდან შემოსავლისა და ა. შ.

ზღვრული პროდუქტი და უმცირესი დანახარჯები. როგორ ამცირებს ფირმა საერთო დანახარჯებს? დაუშვათ, რომ ინჟინრებმა უკარნახეს ფირმას, თუ როგორ შეიძლება აწარმოონ პროდუქციის 9 ერთეული მიწის მეტი და შრომის ნაკლები გამოყენების დროს, ან პირიქით, რომელია უფრო ეფექტური ვარიანტი?

I ვარიანტი. მიწა=10 ერთ. შრომა=2 ერთ.

II ვარიანტი. მიწა=4 ერთ. შრომა=5 ერთ.

ნათელია, რომ ვარიანტების შერჩევა დამოკიდებულია ხელფასის სიდიდესა და რენტაზე. თუ გადასახდელი ერთ აკრზე = 2 დოლარს, ხოლო ხელფასი = 5 დოლარს. მაშინ პირველი ვარიანტი ნაკლებდანახარჯიანი იქნება მეორესთან შედარებით: $(2\times10)+(2\times5)=30$ დოლარს $<(2\times4)+(5\times5)=33$ დოლარს.

საერთო დანახარჯების მინიმიზაციისათვის ფირმამ აუცილებლად უნდა გააწონასწოროს მოცემული ზღვრული პროდუქტი დახარჯული წარმოების ყოველ ფაქტორზე გაანგარიშებულ დოლარებში.

წარმოების ფაქტორების ანაზღაურების წესი: თუ რომელიმე ფაქტორის, მაგალითად, შრომის ფასი იზრდება იმ დროს, როცა სხვა ფაქტორების ფასი უცვლელი რჩება, მაშინ, როგორც წესი, ფირმა შრომას ცვლის მყარი ფასების მქონე წარმოების ფაქტორებით.

თავი 27

წარმოების ფაქტორების ფასი: მიწის რენტა და გადასახდელი სხვა რესურსებისათვის

წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის წარმოებული ხასიათი. წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნის გულმოდგინე ანალიზიდან ჩანს, რომ საბოლოო ჯამში იგი სამომხმარებლო მოთხოვნაზეა დამოკიდებული. როცა ეკონომისტები ამბობენ, რომ საწარმოო ფაქტორებზე მოთხოვნა „დამოკიდებულია", ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ფირმები, რომელნიც მოგების მიღებას ისწრაფიან, წარმოების ფაქტორებს უყენებენ მოთხოვნას, ამას ისინი იმის გამო აკეთებენ, რომ უკანასკნელი იმ საქონლის წარმოების შესაძლებლობას აძლევს, რომლის ყიდვაც მომხმარებელს სურს ამჟამად ან მომავალში. საბოლოოდ, რომელიმე საქონელზე ერთობლივი მოთხოვნა მათზე ინდივიდუალური მოთხოვნების მოცულობის გავლენით ყალიბდება.

მიწის რენტა. მიწის ერთ-ერთი განმასხვავებელი თავისებურებაა ის, რომ მის საერთო მიწოდებას ცოტათ თუ ბევრად

თვით ბუნება ზღუდავს და არ შეიძლება შეიცვალოს ფასების მოძრაობის გავლენით. მიწის რენტის სიდიდე მყარდება მიწაზე მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის წერტილში. მიწა იქნება მოთხოვნაზე ნაკლები, თუ რენტის სიდიდე ჭარბობს წონასწორობის დონეს. ეს ნიშნავს, რომ ზოგ მიწათმფლობელს არ შეუძლია თავისი ნაკვეთის იჯარით გაცემა და უფრო ნაკლები გადასახდელით კმაყოფილდება, ამით კი ამცირებს რენტის საერთო დონეს. ანალოგიური სიტუაციაა იმ შემთხვევაშიც, როცა რენტა წონასწორობის წერტილზე ქვევითაა.

რენტა და ხარჯები. ზოგი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ რენტა არ შედის წარმოების ხარჯების შემადგენლობაში. წინა განყოფილებაში გამოჩნდა, რომ ამაში არის ჭეშმარიტების წილი. მაგრამ ასეთი მტკიცება სახიფათოა იმ ფერმერის პოზიციიდან, რომელიც რენტას უხდის მიწის მესაკუთრეს, უეჭველია საქმე ეხება ხარჯს და თუ იგი ვერ შეძლებს რენტის გადახდას, მაშინ გაკოტრდება. რა დასკვნამდე მიდიან ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ რენტა არ შედის პროდუქციის წარმოებისათვის საზოგადოების ხარჯების შემადგენლობაში? ისინი ასე მსჯელობენ: რამდენადაც რენტა შემოსავალია წარმოების ფაქტორებიდან, რომლის მიწოდება უცვლელი რჩება და ის უნდა გადაეცეს საზოგადოებას მასზე დაბალი ფასებით, ამდენად აქ ყალიბდება შემდეგი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი: საეჭვოა, რომ ფაქტიურად საქონლის ფასი მიწის რენტით განისაზღვრებოდეს, პირიქით, უკანასკნელი უნდა განისაზღვრებოდეს საქონლის ფასებით. აქ დაშვებულია შეცდომა, რაც დაკავშირებულია ცნებების ერთობლიობის ცალკეული თავისებურების გავრცელებასთან: ის, რაც ყოველი ცალკეული ფირმისათვის წარმოების ხარჯია, მთელი საზოგადოებისათვის ალბათ იქნება ფასების სიდიდით განსაზღვრული წარმოებული ხარჯი და არა ფასის განმსაზღვრელი ხარჯი.

თ ა ვ ი 28

ხელფასი და შრომის ბაზარი

ა. ხელფასის განსაზღვრა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში

რადგან ხელფასი შრომის ფასია, იგი საბაზრო ფასების მეტად მნიშვნელოვანი კატეგორიაა. ხელფასი და ჯამაგირი აშშ-ში ეროვნული შემოსავლის თითქმის 80 პროცენტს შეადგენს.

რეალური ხელფასის განსაზღვრა ერთი კლასისათვის. მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი: არსებობს უამრავი აბსოლუტურად ერთგვარი კვალიფიკაციის მუშების ჯგუფი, რომლებიც წარმოებაში ერთნაირ ძალას ხარჯავენ. კონკურენცია გამოიწვევს ხელფასის საათობრივი განაკვეთის სრულ გათანაბრებას ისე, რომ ვერცერთი მუშა თავისი მომსახურებისათვის მეტს ვერ მოითხოვს. თუ ჩვენთვის ცნობილია მოცემული კატეგორიის მუშებზე მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდი, მაშინ ხელფასის გამაწონასწორებელი დონე ჩამოყალიბდება ამ მრუდების გადაკვეთის წერტილზე. თუ ხელფასის დონე წონასწორობის წერტილზე მაღალია, სამუშაო ძალის ბაზარზე მიწოდების სიჭარბე ხელს შეუწყობს ხელფასის შემცირებას.

როცა რეალურ ხელფასზე, როგორც მიწოდებისა და მოთხოვნის ზეგავლენით ჩამოყალიბებულ კატეგორიაზე, ვმსჯელობთ, ჯერ უნდა გავარკვიოთ რა არის მოთხოვნის მიღმა: რესურსები, კაპიტალი, ტექნოლოგია? შრომაზე მოთხოვნა დამოკიდებული სიდიდეა. ის ასახავს ზღვრულ პროდუქტს საბოლოო პროდუქტის წარმოებაში, თავის მხრივ ზღვრული პროდუქტი დამოკიდებულია კაპიტალის რესურსებსა და ტექნოლოგიის დონის კოოპერაციაზე, რადგან თვით ერთნაირი რესურსების დროსაც კი რეალური ხელფასი იქაა მაღალი, სადაც წარმოების ტექნოლოგიური მეთოდები უფრო სრულყოფილია, მაღალია შრომის ნაყოფიერება.

შრომის მიწოდება. თუ სამუშაო ძალის მიწოდება, წარმოების სხვა ფაქტორების მიწოდებასთან შედარებით, შეზ-

ღუდული იქნება, ხელფასი გაიზრდება. მაგალითად, ქვეყანაში უცხოელი მუშების შემოსავლის კანონმდებლობით შეზღუდვა ხელს უწყობს ხელფასის ზრდას.

შრომის მიწოდება განისაზღვრება: 1. მოსახლეობის რიცხოვნობით; 2. მასში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილით; 3. მუშების მიერ წელიწადში ნამუშევარი საათების საშუალო რიცხვით; 4. შრომის ხასიათით და მისი დამსარჯავი მუშების კვალიფიკაციით.

„შენაცვლების ეფექტი" და „შემოსავლის ეფექტი". რატომ შეუძლია მაღალ ხელფასს გაზარდოს ან შეამციროს შრომის მიწოდება? თავი იმ მუშის ადგილას წარმოიდგინეთ, რომელსაც უფრო მაღალი საათობრივი განაკვეთი და თავისი სამუშაოს გახანგრძლივების განსაზღვრის უფლება შესთავაზეს. ასეთ პირობებში თქვენ მეტი გამომუშავებისათვის სამუშაო დროის გაზრდას შეეცდებით. თავისუფალი დროის ყოველი საათი ზარალს ნიშნავს. ამიტომ თქვენთვის მომგებიანია თავისუფალი საათების შენაცვლება ზეგანაკვეთური სამუშაოთი. მაგრამ „შენაცვლების" საწინააღმდეგოდ მოქმედებს უკუპროცესი — „შემოსავლის ეფექტი". ხელფასის მაღალი განაკვეთის დროს თქვენ უფრო გამდიდრდებით, თქვენი მოხმარება რაოდენობრივად და თვისებრივად გაიზრდება და მასთან ერთად გადიდდება თავისუფალი დროით მეტად უზრუნველყოფისაკენ მისწრაფება.

ხელფასის განსხვავება სხვადასხვა ჯგუფებში. ხელფასის განაკვეთები განსხვავდება მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისა და სამუშაოს სახეების მიხედვით. მსხვილ საწარმოებთან შედარებით პატარა საწარმოებში, სადაც არ არის პროფკავშირები, ხელფასის განაკვეთები, როგორც წესი, 2-3-ჯერ მცირეა. განსხვავებას ხელფასში განსაზღვრავს შრომის ხარისხი, აგრეთვე ისიც, მოცემული სამუშაო სასიამოვნო იქნება თუ უსიამოვნო. ამიტომ, თუ საჭიროა მუშების მიზიდვა ნაკლებ სასიამოვნო სამუშაოს შესასრულებლად, ხელფასზე ხარჯი იზრდება. ხელფასში თვით შრომის ხასიათის არამატერიალური კომპენსირების აუცილებლობით განპიროვნებულ განსხვავებას „გამწონასწორებელი განსხვავებანი" ეწოდება. მაგალითად, ღამის ცვლაში მუშაობისათვის არსებობს 5 პროცენტიანი წანამატი.

ნაკლებ სასიამოვნო სამუშაოს შესასრულებლად ადამიანების მისაზიდად საჭიროა მეტის გადახდა. სასიამოვნო სამუშაოს სასეები იზიდავს დიდი რაოდენობის მსურველებს და ამიტომ მათი ხელფასი უფრო დაბალი დონისაა. ამასთან არის სასიამოვნო შრომის მაღალანაზღაურებიანი სახეებიც. როგორ ავხსნათ ეს განსხვავებანი? საქმე ისაა, რომ ადამიანები სხვადასხვა უნარისანი არიან და ამასთან დაკავშირებით ფირმის შემოსავალში განსხვავებული წვლილი შეაქვთ. ხელფასში განსხვავების განმსაზღვრელი ფაქტორებია განათლებისა და პროფესიული მომზადების დონე. ექიმები, იურისტები, ინჟინრები განათლებაზე დიდ სახსრებს და მონდომებას ხარჯავენ, ე. ი. ადამიანურ კაპიტალში აბანდებენ დიდ სახსრებს. ასეთი კაპიტალის ინვესტიციებს მომავალში დიდი მოგება მოაქვს.

ზოგი ადამიანი ნიჭიერია და ამით სხვადასხვა უნარის საშუალო დონის ადამიანებზე მაღლა დგას, მაგალითად, ცნობილი სპორტსმენები, მუსიკოსები, სახელმწიფო მოღვაწენი. მათ ხელფასში შედის ეკონომიკური რენტის ელემენტები უნიკალური ნიჭისათვის.

ხელფასში მრავალი განსხვავება მუშაკების ცალკეულ ჯგუფებს შორის კონკურენციის უქონლობის გამო წარმოიშობა. დავუშვათ, ექიმები და მათემატიკოსები — არაკონკურენციული ჯგუფებია, რამდენადაც მძიმე და ძვირია ერთი პროფესიის თითოეული წარმომადგენლისათვის სხვა ჯგუფში შესვლა, მაშინ როცა მუშებს გარკვეულ საზღვრებში შედარებით ადვილად შეუძლიათ გადაადგილება — მოცემული ჯგუფიდან სხვაში გადასვლა.

ბაზარი მიისწრაფის ხელფასის სიდიდეში ისეთ გაწონასწარმოებულ განსხვავებათა სისტემისაკენ, რომლის დროსაც შრომის ყოველ კატეგორიაზე ერთობლივი მოთხოვნა დაემთხვევა მასზე არსებულ მიწოდებას. მაშინ და მხოლოდ მაშინ დამყარდება საერთო წონასწორობა და ხელფასის სიდიდეში გადიდების ან შემცირების განსხვავების ტენდენციები არ წარმოიშობა.

ბ. დისკრიმინაცია რასობრივი და სქესობრივი ნიშნის მიხედვით

ჩვენი ხელფასის განაკვეთების განსხვავების დროს ვაწყდებით დისკრიმინაციას რასობრივი და სქესობრივი ნიშნის მიხედვით. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ხელფასის განსხვავება ყოველთვის არსებობს. მაგრამ როცა ის აღმოცენდება საქმისაგან დამოუკიდებელი ისეთი პერსონალური მახასიათებლებით, როგორიცაა ეროვნება, სქესი, რელიგია, ჩვენ ვამბობთ: რომ ეს დისკრიმინაციაა. შავი ამერიკელებისათვის, ამერიკელი ინდიელებისათვის, ესპანურენოვანი ამერიკელებისათვის ეს არა მარტო წარსული, არამედ აწმყოცაა. მითითებული ჯგუფები დასაქმებულნი არიან მხოლოდ ნაკლებკვალიფიციურ შრომაში, დაბალანაზღაურებიან თანამდებობებზე. მაღალანაზღაურებიანი თანამდებობები მათთვის დახურულია, რადგან მუშების ამ ჯგუფს არ აქვთ აუცილებელი განათლება და კვალიფიკაცია.

რა მოხდება თუ მონობის მსგავსად დისკრიმინაციაც მოისპობა? ცხადია, შავი მუშის ხელფასი გაიზრდება, ოღონდ არა თეთრების ჯიბის ხარჯზე. შავი მუშებისათვის დამატებითი შემოსავლების მიღება მოხერხდება ᲔᲔᲐ-ს იმ წილიდან, რომელიც შეიქმნება უფრო მაღალი მწარმოებლურობით დისკრიმინაციის არსებობის პირობებთან შედარებით.

ᲗᲐᲕᲘ 29

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ადამიანები თავისი ცხოვრების მესამედს სამსახურში ატარებენ. აშშ-ში ხელფასი ეროვნული შემოსავლის $^4/_5$ შეადგენს. თუ კი შრომის ბაზრის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს ამ გაგებით განვიხილავთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ ეკონომიკა საბოლოო ანგარიშით იმ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ემსახურება, რომლებიც მუშაობენ და ეაჭრობენ.

პროფკავშირების წევრია 23 მილიონზე მეტი ამერიკელი, რაც, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა გარდა, მთელი სამუშაო ძალის 1/4 შეადგენს. თუ მოსამსახურეებს, ოსტატებს, ადმინისტრაციულ პერსონალს გამოვრიცხავთ, ეს წილი უფრო მეტი იქნება. ამასთან, ადამიანთა უმრავლესობას, რომლებიც პროფკავშირების წევრები არ არიან, დადებული აქვთ პროფკავშირული შეთანხმებები ხელფასის, სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და შრომის პირობების თაობაზე. ყოველივე ამის გამო პროფკავშირები ყველასათვის ხელსაყრელია, მაგრამ ისინი პრაქტიკულად არ მოქმედებენ სოფლის მეურნეობაში, საფინანსო სფეროსა და ვაჭრობაში და რამდენადაც გადავინაცვლებთ ჩვენი ქვეყნის სამხრეთისაკენ, მით უფრო მეტად შესამჩნევია, რომ მუშათა ორგანიზებულობის ცდებს სულ უფრო მეტი წინააღმდეგობა ხვდება.

პროფკავშირების ეროვნული, ადგილობრივი გაერთიანებები და აშფ—სპკ.** ამერიკული პროფკავშირების სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი დონე: 1) ადგილობრივი კავშირი, 2) ეროვნული კავშირი, 3) ეროვნული კავშირების ფედერაცია.

ადგილობრივი კავშირი — იუნიონიზმის მოწინავე ხაზია, ის ხელს აწერს კოლექტიურ ხელშეკრულებას, განსაზღვრავს ხელფასს და შრომის პირობებს. ადგილობრივი კავშირი შედის ეროვნულ დარგობრივ პროფცენტრში. პროფკავშირების უმრავლესობა შედის ამერიკის შრომის ფედერაციასა და საწარმოო პროფკავშირების კონგრესში (აშფ—სპკ). აშფ—სპკ თავის წევრებს აწვდის ფართო ინფორმაციას და ახორციელებს მათ პოლიტიკურ დაცვას. ფინანსური ასპექტის მიხედვით ის დამოკიდებულია ეროვნულ კავშირებზე, რომელთაც მოცემული დარგის მუშებთან დამოკიდებულებაში „ვეტოს უფლება“ და „განსაკუთრებული იურისდიქციის უფლება“ აქვთ.

ამერიკის შრომის ფედერაცია. თანამედროვე პროფკავშირულმა მოძრაობამ თავისი ორგანიზაციული ფორმა ჩამოაყალიბა 1881 წ., აშფ-ის წარმოშობასთან ერთად. მისი

** აშფ — ამერიკის შრომის ფედერაცია; სპკ — საწარმოო პროფკავშირების კონგრესი.

ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები უბრალო იყო: 1) ფედერალიზმი, რომლის მიხედვითაც ეროვნულ კავშირს თავის პროფესიაზე განსაკუთრებული იურისდიქცია აქვს, ე. ი. ორი კავშირი არ უნდა შეეცადოს ერთი და იგივე მუშების ჩაბმას, ხოლო ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ მათ მიერ აღიარებული ეროვნული კავშირიდან გასვლა; 2) კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს მთავრობის ჩაურევლობა მოლაპარაკებებში (არც მშრომელების მხარეს, არც მეწარმეთა მხარეს); 3) მთავარი ამოცანა — მუშების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და არა საზოგადოებრივი წყობილების შეცვლისათვის კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობა.

პროფკავშირებში შემავალი მუშების ხელფასი და დამატებითი შეღავათები განისაზღვრება კოლექტიური ხელშეკრულებებით. ამ ხელშეკრულებების დადების დროს მოლაპარაკების მიზანია დასაქმების ურთიერთხელსაყრელი პირობების გამომუშავება. მოლაპარაკებები მიმდინარეობს აშფ-სკპ და შრომითი ურთიერთობების ეროვნული სამმართველოს კონტროლის ქვეშ და მათში მონაწილეობენ, ერთის მხრივ, კომპანიის ვიცეპრეზიდენტი შრომით ურთიერთობებში და ადვოკატები, ხოლო, მეორეს მხრივ, პროფკავშირებისა და მეწარმეების ურთიერთობებში ადგილობრივი შუამავალი და პროფკავშირული მოღვაწეების მცირე კომიტეტი. მოლაპარაკების წარმოება შეუძლია პროფცენტრის შტაბბინის ექსპერტს.

რა შედის კოლექტიურ ხელშეკრულებაში? უპირველეს ყოვლისა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ხელფასის, ზეგანაკვეთური ხელფასის, დასვენების დღეებისა და შესვენებების, საპენსიო ფონდებსა და ჯანმრთელობის დაცვის ფონდებში გადარიცხვების, აგრეთვე ფასების ცვლილებებთან დაკავშირებულ რეგულირების წესებს. შემდეგ განიხილება შრომის პირობების საკითხები; მაგალითად, მფრინავების პროფკავშირები განსაზღვრავენ ეკიპაჟის რაოდენობას, და ბოლოს, წყდება რიგი პროცედურული საკითხები. როგორც წესი, შეთანხმება იდება სამი წლის ვადით.

მთავრობის როლი კოლექტიური ხელშეკრულებების დადებაში. 1947 წლის კანონის თანახმად, გაფიცვები, რომლებიც ეროვნულ კეთილღღეობასა და უსაფრთხოებას ემუქრება, შეიძლება გენერალური არბიტრის მოთხოვნის საფუძველზე მი-

ღებული სასამართლოს დადგენილებით 80 დღით შეჩერდეს. გაფიცვები მეწარმეთათვის საფრთხის შექმნის ერთადერთი რეალური იარაღია, მაგრამ ამ იარაღს მუშებისათვისაც მოაქვს ზარალი. ის უნდა გამოიყენონ ფრთხილად და ემყარებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს.

ბ. არასრულყოფილი შრომის ბაზარი და კოლექტიური ხელშეკრულებები

არასრულყოფილი შრომის ბაზარი. როდესაც უმუშევრობა მნიშვნელოვნად იზრდება (როგორც ეს იყო, მაგალითად, 1982 წ.), სრულყოფილი კონკურენციის დროს ხელფასის განაკვეთები უნდა მცირდებოდეს, მაგრამ ეს არ ხდება. უმუშევრობის ზრდის მიუხედავად, ფულადი ხელფასი გაიზარდა (1982 წ.) 5 პროცენტით, ის, რომ ნებისმიერმა ფირმამ, მისი სიდიდის მიუხედავად, ხელფასის დარგში გარკვეული პოლიტიკა უნდა გაატაროს შრომის ბაზარზე არასრულყოფილი კონკურენციის დამატებითი დამოწმებაა. როდესაც ამ ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციის პირობები ბატონობს, ფირმას ხელფასის განაკვეთების დადგენა არ სჭირდება, რადგან ამ შემთხვევაში ის ერთობლივი მოთხოვნითა და მიწოდებით განისაზღვრება.

პროფკავშირები ხელფასის ასამაღლებლად იყენებენ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: 1) შრომის მიწოდების შემცირება; 2) ხელფასის განაკვეთების პირდაპირი გაზრდისათვის კოლექტიური ხელშეკრულების გამოყენება; 3) მოთხოვნის სტიმულირება სამუშაო ძალაზე; 4) მონოპოლიური პოზიციები. მქონე მეწარმეთა მიმართ კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს წინააღმდეგობა.

თავი 30

სარგებელი, ეკონომია და კაპიტალი

კაპიტალის თეორია მიკროეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი რთული ნაწილია, მაგრამ მისი ძირითადი იდეების გაგება შესაძლოა მიწოდებისა და მოთხოვნის თეორიის ელემენტარული საფუძვლების გამოყენების პირობებში.

კაპიტალის თეორიის ძირითადი ცნებები. ეკონომიკური თეორია იწყება ყველა საწარმოო ფაქტორის სამ კატეგორიად დაყოფით. ესენია: 1) განსაზღვრული ოდენობით არსებული ბუნებრივი რესურსები — მიწა (შემოსავალი რომელიც მოაქვს მოცემულ ფაქტორს, ხასიათდება არა ელასტური მიწოდებით, ჩვენ მას დავარქვით რენტა); 2) არსებული ეკონომიკური პირობების შესაბამისად არაკვლავწარმოებადი ადამიანური შრომის რესურსები. ამ რესურსების მოცულობა განისაზღვრება ფაქტორებით, რომლებიც არ შედის ეკონომისტის განსჯის სფეროში — სოციოლოგიური და ბიოლოგიური პროცესები (ადამიანური ფაქტორის შემოსავალი ხელფასის სახით გამოდის); 3) თვით ეკონომიკური სისტემით წარმოებული კაპიტალი შეიძლება საწარმოო ელემენტების სახით საქონელთა შესაქმნელად და მომსახურების გასაწევად იქნას გამოყენებული (კაპიტალის გამოყენებისათვის გადასახადმა საიჯარო გადასახდელის სახელწოდება მიიღო).

კაპიტალზე შემოსავალი განისაზღვრება მოგების ნორმით, რომელიც ერთ წელიწადში მიღებულ წმინდა შემოსავალს წარმოადგენს (ან წმინდა საიჯარო გადასახდელს გამოსახულს დოლარებში, ინვესტიციების საერთო ჯამთან დამოკიდებულებაში). ესაა ყოველწლიური სარგებელი ან სარგებელი რაღაც დროის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები და სარგებლის განაკვეთი. ზოგჯერ კომპანია მომდევნო დაბანდებისათვის ფულს აგროვებს, ასევე მოსახლეობას სხვადასხვა მიზნების განხორციელებისათვის აქვს დანაზოგი. ამის შედეგად ფინანსური სისტემის მეშვეობით სესხების საფუძველზე ფულადი რესურსებითა და ფონდებით უზრუნველყოფილია ის, ვისაც წარმოების საშუალებების ყიდვა სურს. ამ ფონდების თანხა ან ფინანსურ აქტივებზე შემოსავალი წარმოადგენს სარგებლის განაკვეთს, ანუ ნასესხებ საშუალებებზე ყოველწლიურ შემოსავალს.

აქტივების მიმდინარე ღირებულება. როგორც ცნობილია, წარმოების საშუალებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მათ მომავალში შემოსავლის მოტანა შეუძლიათ. მაგალითად, შენობის მშენებლობისათვის დაბანდებულ თანხაზე თქვენ შეგიძლიათ მთელი სიცოცხლის მანძილზე შემოსავალი მიიღოთ მისი გაქირავებით.

როგორ განვსაზღვროთ კაპიტალური სიკეთის მიმდინარე ღირებულება? დავუშვათ, გვაქვს მიწის ნაკვეთი, რომელსაც ჩვენთვის მუდმივად N რაოდენობის დოლარი მოაქვს, ხოლო სარგებლის განაკვეთი i სიდიდის ტოლია. მაშინ ამ ნაკვეთის მიმდინარე ღირებულება (V) შეიძლება გამოვიანგარიშოთ ფორმულით:

$$v = \frac{N \text{ დოლარი}}{i}$$

სადაც V — მიწის ნაკვეთის მიმდინარე ღირებულებაა, N დოლარი — ყოველწლიურად გადასახდელი მუდმივი შემოსავალი, i — სარგებელი (ათწილადებში).

კაპიტალის თეორია. წარმოების განხორციელებისას ჩვენ ხშირად თავს ვიკავებთ მიმდინარე მოხმარებისაგან, რათა მომავალში გავზარდოთ მოხმარება. საზოგადოება ინვესტიციების განხორციელების დროს ამცირებს მიმდინარე მოხმარებას და მომავალში მისგან შემოსავლის მიღებას უცდის. ინვესტიციები იმისათვის წარმოებს, რომ დღეს, სახსრების დაბანდების რთულ პროცესებში, ეკონომიკამ მოხმარების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა შეძლოს, ხვალ მისი მიმდინარე შემცირების ხარჯზე. ამასთან გასათვალისწინებელია: თუ ჩვენ არ გავატარებთ ტექნოლოგიურ ინოვაციებს, შემოსავლიანობის შემცირების კანონი შემდგომში მოგების ნორმის დაცემას გამოიწვევს. ფაქტიურად უკანასკნელი 150 წლის მანძილზე მოგების ნორმის შესამჩნევი დაცემა არ შეიმჩნეოდა.

სარგებლისა და შემოსავლის განსაზღვრა კაპიტალზე. მოთხოვნა და მიწოდება, საბოლოო ანგარიშით, გაპირობებულია კაპიტალის რაოდენობით, ხოლო შემოსავალი მასზე ასეთი ურთიერთზემოქმედებით განისაზღვრება: ა) ადამიანთა მისწრაფებებია ამჟამად უფრო ბევრი მოიხმარონ, ვიდრე მომავლის მოხმარებისათვის დააგროვონ; ბ) საინვესტიციო შესაძლებლობებს შორის ურთიერთზემოქმედება იმას გამოხატავს, თუ ყოველწლიურად მიღებული შემოსავლები რამდენადაა მეტი ან ნაკლები დაგროვებულ კაპიტალზე.

როგორ იქცევიან ფირმები? მათ ნასესხებ კაპიტალზე სარგებლის საბაზრო განაკვეთი უნდა გადაიხადონ, ამიტომ, თუ ფირმა ცდილობს მოგების მაქსიმიზებას, მან მხოლოდ ისეთი

პროექტი უნდა აირჩიოს, რომელიც უფრო დიდი მოგების ნორმას მისცემს, ვიდრე სარგებლის განაკვეთი. ინვესტიციებსა და პროექტების მომგებიანობაზე ფირმების მოთხოვნის ეს ზემოქმედება კაპიტალსა და კაპიტალის ფასზე მოგების გათანასწორებას იწვევს.

მაშასადამე, რისკის, ინფლაციისა და მონოპოლიების თავისუფალ სამყაროში, რომელიც კონკურენციული ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდა, კაპიტალზე მოგების ნორმა სარგებლის განაკვეთის სიდიდის ტოლი იქნება.

აღვნიშნავთ, რომ საბაზრო სარგებლის განაკვეთი ასრულებს ორ ფუნქციას: 1) მოგების ნორმის ზრდის შეჩერებას წარმოების საშუალებების მიწოდების შეზღუდულობის პირობებში; 2) ადამიანების წახალისების მიმდინარე მოხმარების შეკვეცისა და საფინანსო საშუალებების დაგროვების ხელშესაწყობად.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, კაპიტალის დაგროვებასა და კაპიტალზე შემოსავალს ორი ძალა ამოძრავებს. ჯერ ერთი, წარმოების გაფართოების შედეგად მასზე მოთხოვნა იზრდება, რაც მომავალში მისი გაზრდის მიზნით თავშეკავებას იწვევს. მეორე, ადამიანები თავს იკავებენ მოხმარებაზე და აგროვებენ ფულად სახსრებს, ამ სახსრებს ისინი სესხად აძლევენ ფირმებს, რომლებიც შემდგომ საწარმოო ინვესტიციებს ახორციელებენ. ეს ორი ძალა თავის გამოსახულებას პოულობს სარგებლის განაკვეთში, რაც, თავის მხრივ, მოწმობს, რომ ფირმამ მიითვისა კაპიტალი, რომლის დაგროვებაც ხალხს შეეძლო.

რეალური და ნომინალური სარგებლის განაკვეთები. სარგებლის განაკვეთის განხილვის დროს უნდა გავითვალისწინოთ ინფლაციის დონეც, სხვაგვარად სურათი დამახინჯებულად აისახება. ასე, მაგალითად, 1970 წლიდან 1980 წლამდე სარგებლის განაკვეთები მოკლევადიან კრედიტებზე 16% გაიზარდა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ ათწლეულთან 1—4 პროცენტამდე მათ ზრდასთან შედარებით.

კაპიტალზე მოთხოვნა ასე რატომ გაიზარდა? საქმე ისაა, რომ 70-იან წლებში ინფლაციის დონე 12% უდრიდა. ასეთ პირობებში აუცილებელი გახდა რეალური და ნომინალური სარგებლის განაკვეთის გაანგარიშება. ინფლაციის დროს მნიშვნელოვანია რეალური და არა ნომინალური სარგებლის

განაკვეთის გათვალისწინება. ინვესტიციებიდან შემოსავლის გაანგარიშების დროს რეალური სარგებლის განაკვეთი არის ნომინალური სარგებლის განაკვეთი, რომელიც ინფლაციის დონის გათვალისწინებით არის გაანგარიშებული. დავუშვათ, რომ ნომინალური განაკვეთი უდრის 13%, ხოლო ინფლაცია — 6%, მაშინ რეალური სარგებლის განაკვეთი შეადგენს 13—6-7%, ანუ თუ ჩვენ სესხად 100 ფულადი ერთეული ავიღეთ, მომდევნო წელს უკან უნდა დავაბრუნოთ 107 ერთეული და არა 113.

მოგება. ხელფასის, სარგებლისა და რენტის გარდა, ეკონომისტები ხშირად ლაპარაკობენ შემოსავლის მეოთხე ფორმაზე — მოგებაზე, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ფირმის საერთო შემოსავლებსა და მისი დანახარჯების ჯამს შორის. 1983 წ. ამერიკული კორპორაციების მოგება (გადასახადების გადახდის შემდეგ) 225 მლრდ დოლარს შეადგენდა. კომპანიებმა გადაიხადეს 76 მლრდ დოლარი გადასახადებისა და 3 მლრდ დივიდენდების სახით. ამასთან მოგების საშუალო ნორმა (მოგების შეფარდება დანახარჯებთან) უკანასკნელი 15 წლის მანძილზე თითქმის 8% შეადგენდა.

მოგების განსაზღვრა. მოგება გამოდის, როგორც უეჭველი შემოსავალი წარმოების ფაქტორებიდან. ეკონომისტის თვალსაზრისით, მოგების მაჩვენებელში არეულია სხვადასხვა ელემენტი. ის შეიძლება იყოს ჯილდო მრომის შედეგებისათვის, წარმოების ფაქტორების მიწოდებისათვის, მოგების ნაწილი შეიძლება იყოს საწარმოს მეპატრონის საკუთრებაში მყოფი ბუნებრივი რესურსებისაგან მიღებული რენტა. მაშასადამე, ბევრი რამ იქიდან, რასაც მოგება ეწოდება, სინამდვილეში არის სარგებელი, რენტა, ხელფასი. უეჭველი სარგებელი, უეჭველი რენტა, უეჭველი ხელფასი — მხოლოდ სახელწოდებებია, რომლებსაც ეკონომისტები არქმევენ მოგების ამ ნაწილს, ე. ი. შემოსავლებს უშუალოდ თვით მეწარმეების მიერ გამოყენებული წარმოების ფაქტორებისაგან.

მოგება შეიძლება დაუკავშირდეს დივიდენდის გადაუხდელობის რისკს. კრახისგან არავინ არ არის დაზღვეული, ამიტომ შემოსავალი ინვესტირებულ კაპიტალზე მოიცავს პრემიას რისკისათვის, რომელიც საწარმოს კრახის დროს ზარალის დასაფარავად საკმაო უნდა იყოს. ეს შეიძლება იყოს ობიექტურ სა-

წარმოო პროცესებთან დაკავშირებული წმინდა რისკიც. ინვესტორებს არ უყვართ სარისკო სიტუაციები და უნდა მიიღონ პრემიები რისკისათვის. რისკი შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალშემონაღებთან; მსოფლიო ხომ სავსეა ახალი იდეებით, რაც იწვევს ახალი საქონლების გაჩენას და ხარჯების შემცირებას უკვე არსებული საქონლის გამოშვებაზე. ამიტომ ნოვატორები მოგებას იღებენ, როგორც თავიანთი იდეებისათვის დამატებით შემოსავალს.

თუ ფირმა მნიშვნელოვანი პატენტის ერთადერთი მესაკუთრეა, მან უნდა მოითხოვოს ისეთი ფასი, რომელსაც მოისურვებს. როგორც კი სრულყოფილი კონკურენციიდან შესამჩნევი გადახრა მოხდება, საქონელი ისეთი ფასებით გაიყიდება, რომელიც ზღუდავს მიწოდებას და გაზრდის მოგებას.

თ ა ვ ი 31

ბაზრების საერთო წონასწორობა, საერთო წონასწორობა და უხილავი ხელის თეორია

თვალყური ვადევნოთ ინდივიდუალური ბაზრების ქცევის კანონზომიერებას: 1) კონკურენციაში მყოფი მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავს საქონლის ფასსა და რაოდენობას ცალკეულ ბაზარზე; 2) შეფარდებითი ზღვრული სარგებლიანობა იმყოფება მოთხოვნის შესაბამისი მრუდის ქვევით; 3) ზღვრული დანახარჯები მიწოდების კონკურენციული მრუდის ქვევითაა; 4) გამოშვებისა და დანახარჯების ფაქტორთა შეფარდების განსაზღვრული „ტექნიკური" საწარმოო ფუნქციის მრუდი საერთო და საშუალო ხარჯების მრუდის ქვევითაა. სანამ ზღვრული პროდუქტები ფაქტორთა ფასების პროპორციულია, მანამ ფირმას მათზე მოთხოვნა აქვს და ხარჯები მინიმალურია; 5) ფირმების ჯამობრივი ზღვრული პროდუქტები და ზღვრული შემოსავლიანი პროდუქტები წარმოების ფაქტორებზე საწარმოო მოთხოვნას განსაზღვრავს; 6) საწარმოო მოთხოვნა მიწაზე, შრომასა და კაპიტალურ საქონელზე მათ ბაზარზე მიწოდებასთან ურთიერთქმედებაში განსაზღვრავს წარმოების ფაქტორების ფასს (რენტა, ხელფასი, საარენდო

გადასახადი და ა. შ.); 7) პირველადი რესურსების (შრომისა და მოგების) დახმარებით იწარმოება წარმოების საშუალებები, რომლებიც თავის მხრივ, საზოგადოებრივი წარმოების ზრდისათვის გამოიყენება. შემდეგ, კაპიტალს მოაქვს განსაზღვრული შემოსავალი, რომელიც ადამიანების მოხმარებისაგან თავშეკავებასთან მზადყოფნაში განსაზღვრავს სარგებლის რეალურ განაკვეთს.

ცალკეული ბაზრის, ოჯახის ან ფირმის ქცევისათვის დამახასიათებელი ეს ურთიერთობანი ნაწილობრივი წონასწორობის ანალიზის საგანია.

ერთდროული საერთო წონასწორობა. რეალურ ცხოვრებაში ყველა აღნიშნული პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს. გარდა ამისა, ეს სხვადასხვა პროცესები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ ვითარდებიან. მოთხოვნა და მიწოდება, დანახარჯები და უპირატესობა, ფაქტორების მწარმოებლობა ერთიანი ვრცელის, ურთიერთდამოკიდებული პროცესების სხვადასხვა ასპექტებია. წარმოების ფაქტორებისა და შედეგების მრავალრიცხოვანი ბაზრები წარმოქმნიან ერთიან ურთიერთდამოკიდებულ სისტემას, რომელსაც ეკონომისტები „საერთო წონასწორობას“ უწოდებენ.

ამგვარად, ფასების პოლიტიკისა და მრავალრიცხოვანი საქონლის გამოშვების საფუძველია საერთო ლოგიკა: ოჯახები საქონლებზე ინდივიდუალიზებული მოთხოვნით და წარმოების ფაქტორების მიწოდებით ურთიერთმოქმედებენ მაქსიმალური მოგებისაკენ მიზანსწრაფულ ფირმებზე, აბდენენ ოჯახისაგან ნაყიდი ფაქტორების და ოჯახებში რეალიზებული საქონლის ტრანფორმირებას. ამგვარად, საერთო წონასწორობის სისტემის ლოგიკური სტრუქტურა მთავრდება.

საერთო კონკურენციული წონასწორობის ეფექტიანობა. თანამედროვე ეკონომისტებმა იციან, რომ ადამიანთა დამოუკიდებელი საქმიანობა თითქოსდა უხილავი ძალით მიემართება საბოლოო შედეგების ჰარმონიისაკენ.

სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, როდესაც საქონელთა ფასები ზღვრული დანახარჯების ტოლია, წარმოების ფაქტორების ფასები ზღვრული პროდუქტების ღირებულების ტოლია, ხოლო გარეგანი ზემოქმედება არ არის, საბაზრო მეკანიზმი რესურსების ეფექტიან განაწილებას იწვევს. თითოე-

ული მწარმოებელი ინდივიდუალურად ახდენს მოგების მაქსიმიზაციას, ხოლო თითოეული მომხმარებელი ასევე ინდივიდუალურად აკეთებს მისთვის აუცილებელი სარგებლიანობის მაქსიმიზირებას. სისტემა მთლიანად ეფექტურია პრინციპით: „თქვენ არ შეგიძლიათ გააკეთოთ რაღაც უკეთესად ერთი ადამიანისათვის, ისე რომ ზიანი არ მიაყენოთ სხვას". სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელია იმ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა რეალიზაციაც გააუმჯობესებს ყველასა და თითოეულის კეთილდღეობას ერთდროულად.

ეფექტიანობა, განხილული სარგებლიანობის თვალსაზრისით

ეფექტიანობის კონცეპციიდან რესურსების (პარეტოს ეფექტიანობა) განაწილების თვალსაზრისით შეიძლება დავასკვნათ, რომ შეუძლებელია ერთი ადამიანისათვის გააკეთო უკეთესად, თუ მეორესათვის არ გააკეთე უარესად. ეს ეკონომიკის ერთ-ერთი ცენტრალური იდეაა. კონკურენციული წონასწორობის პირობებში შეუძლებელია შეიქმნას ისეთი წესი, რომლის დროსაც ერთდროულად გაიზარდოს ყველას შემოსავლები ან დაკმაყოფილება.

შესწორებანი „უხილავი ხელის" თეორიისადმი. ბაზრის შეცდომები. რეალურად ბაზრის ორი შეცდომა ამსხვრევს იდეალურ სურათს, „უხილავი ხელის" თეორიის გათვალისწინებით: 1) არასრულყოფილი კონკურენცია; 2) საგარეო ეფექტები. ძირითადი მიზეზი ორივე შემთხვევაში ისაა, რომ ფასები არ ასახავს რეალურ საზოგადოებრივ ზღვრულ დანახარჯებს და საზოგადოებრივ ზღვრულ სარგებლიანობას.

მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ფირმა ფლობს მონოპოლიას, რომელიმე პროდუქტზე, მას შეუძლია ფასების გაზრდა იმ დონემდე, რომელიც აჭარბებს მის ზღვრულ დანახარჯებს. ამით იზარალებს საზოგადოება, რადგან მომხმარებლები ამ საქონელს ჩვეულებრივ პირობებთან შედარებით ნაკლები რაოდენობით იყიდიან. ეს არასრულყოფილი კონკურენციის შედეგად წარმოშობილი დეფორმირებული ბაზრის არაეფექტიანობის ტიპიური მაგალითია. ბაზრის სხვა დარღვევა გარეშე ეფექტებისაგან ხდება.

დოლარიანი ხმების შემთხვევითი განაწილება. აუცილებე-

ლი არ არის თავისუფალი კონკურენციის სისტემამ გამოიწვიოს ის, რომ მყიდველებისა და გამყიდველების დოლარები განაწილდეს მქონებელთა და არამქონებელთა შორის, ადამიანთა რელიგიისა და ეთიკის თვალსაზრისით. კონკურენციულ ეკონომიკაში შემოსავლების განაწილება და მოხმარება დამოკიდებულია ფაქტორების პირველსაწყის წვლილზე.

სრულყოფილ თავისუფალ კონკურენციას მასიური უთანასწორობის გამოწვევა შეუძლია. სიმდიდრის თანასწორი პირველსაწყისი განაწილების შემთხვევაში კი წარმოების უბნების გენეტიკურ თავისებურებებს, მათ წარმოქმნასა და მომზადებას შეუძლია შექმნას საზოგადოება, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაახლოებით თანაბარი ხელფასი, შემოსავლები და საკუთრება.

„უხილავი ხელის" თეორიის თანამედროვე ფორმულირება. პ ი რ ვ ე ლ ი: სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფასწარმოქმნას მხოლოდ უნარის, შემოსავლებისა და კეთილდღეობის ეთიკურად ოპტიმალური განაწილების წესის შემთხვევაში შეეძლება გაითვალისწინოს: ა) საწარმოო შესაძლებლობების მრუდის ეფექტიანი ფორმის უზრუნველყოფა; ბ) ადამიანებისათვის იმის მიცემა, რასაც ისინი მათი დოლარიანი ხმების შესაბამისად თვლიან თავისათვის საუკეთესოდ; გ) თუ თავისუფალი კონკურენცია კეთილდღეობისა და შესაძლებლობების ეთიკურად უფრო სწორი განაწილებით შეიცვლება, მაშინ სრულყოფილი კონკურენცია გამოიყენება ეფექტიანი და სამართლიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მისაღწევად.

მ ე ო რ ე: საერთოდ აღიარებული ფაქტის მიხედვით მოთხოვნა ყოველთვის ვერ ასახავს ადამიანის ნამდვილ კეთილდღეობას. ნარკომანი თავისი თავისა და შვილების კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის ნაცვლად გეროინის მიღებას ამჯობინებს, ე. ი. თავისუფალი. სრულყოფილი კონკურენცია აუცილებლად არ არის იდეალური თითოეული მომხმარებლისათვის.

მ ე ს ა მ ე: თავისუფალი კონკურენციული ფასწარმოქმნა არაეფექტიანია მაშინ, როდესაც არასრულყოფილი კონკურენციის შედეგად ხდება იდეალური დანახარჯებიდან გადახრა (ზემოგება და ზედაბალი დანახარჯები). საკანონმდებლო ხელისუფლება წყვეტს გამოიყენოს თუ არა მონოპოლიების წი-

ნაღმდეგ ანტიტრესტული კანონები, თუ გახადოს ისინი სახელმწიფოებრივი რეგულირების ობიექტად.

მ ე ო თ ხ ე: არაეფექტიანობა თვალსაჩინოა ყველგან, სადაც კი მნიშვნელოვანი გარეშე ეფექტებია (მაგალითად, გარემოს გაჭუჭყიანებასთან ან გამოგონებებთან დაკავშირებული). ა. სმიტი, ალბათ, სახელმწიფოს ჩარევის უარყოფით მხარეებსა და უპირატესობებს შეაფასებდა ეფექტიანობის მაკონტროლებელი კანონების, წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანებისათვის გადასახადების, მეცნიერული კვლევისათვის სუბსიდიების ზემოქმედების მიხედვით.

კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია. ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ეკონომიკის, ან ნორმალური ეკონომიკის საერთო ტერმინია. ის იხილავს საკვანძო საკითხებს: ეკონომიკის საუკეთესო ორგანიზაციას ან შემოსავლების კარგად განაწილებას, კარგ საგადასახადო სისტემას. ნებისმიერ შემთხვევაში ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკური ორგანიზაციის შემოსავლების განაწილებას ან საგადასახადო პოლიტიკის ზუსტად განსაზღვრულ ღირებულებით შეფასებას.

თ ა ვ ი 32

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი: ეკონომიკური საქმიანობის საზოგადოებრივი არჩევა და თანმდევი ეფექტები

ა) სახელმწიფოს მზარდი ზეგავლენა და მისი ფუნქციები

სახელმწიფოს მზარდი ზეგავლენა. ეკონომიკურ აქტივობაზე სახელმწიფოს ზეგავლენის მთავარი ინსტრუმენტებია გადასახადები, რომლებიც კერძო მოხმარების ან ინვესტიციებს შემცირებით ათავისუფლებს რესურსებს საზოგადოებრივი მიზნებისათვის. მათ მიეკუთვნება გადასახადებიც, რომლებიც ფირმებს ან მათ მუშაკებს აგულიანებს აწარმოონ გარკვეული საქონლები და მომსახურება. ეს ხარჯები მოიცავს აგრეთვე ტრანსფერტებს (მაგალითად, სოციალურ უზრუნველყოფას), წესებს, რომელთა მიხედვითაც ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება.

ხარჯები და გადასახადი. პირველი მსოფლიო ომის დაწყების პერიოდამდე ფედერალური და ადგილობრივი ბიუჯეტების, აგრეთვე შტატების ბიუჯეტების ხარჯები შეადგენდა ეროვნული შემოსავლის ერთ მეათედზე ნაკლებს. მეორე მსოფლიო ომის დროს მთავრობა მოიხმარდა წარმოების საერთო მოცულობის თითქმის ნახევარს. სახელმწიფოს ყველა დონის ყოველწლიური ხარჯები აშშ-ში 1913 წლის 3 მლრდ დოლარიდან 80-იანი წლების შუა ხანებამდე 1400 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.

ამჟამად ეს ხარჯები აშშ-ში შეადგენს ერთობლივი ეროვნული პროდუქტების 30%-ზე მეტს, გფრ-ში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში — 50%-მდე, შვეიცარიაში კი — 60%-ზე მეტს. ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში ხარჯების მნიშვნელოვნად ნაკლები წილი აქვთ, მაგალითად, პარაგვაიში 6—8 პროცენტი, ფილიპინებსა და კოლუმბიაში — 10%.

სახელმწიფო კონტროლისა და რეგულირების გაძლიერება. ხარჯისა და გადასახადების სწრაფ ზრდასთან ერთად ფართოდ გავრცელდა ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი კანონები და წესები. XIX საუკუნის ბოლოდან სახელმწიფო ძალაუფლება სულ უფრო მტკიცდებოდა, ის გამოიყენებოდა მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესებისა და ეკონომიკური სისტემის დასაცავად. გაჩნდა ანტიტრესტული კანონები, საბანკო საქმიანობის წესები, რეგულირდებოდა მთელი რიგი დარგების ეკონომიკა, მაგალითად, ტრანსპორტის, აგრეთვე ელექტროენერგიის, სათბობის ხარჯვის, ტელეფონებით სარგებლობისა და ა. შ. ეს ხდებოდა სოციალური რეგულირების გაფართოებით, განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან. შემოღებულ იქნა კანონები ხელფასის მინიმუმის, აუცილებელი კოლექტიური ხელშეკრულებების, აგრეთვე უბედური შემთხვევებისაგან მუშების დაზღვევის, ასაკის გამო პენსიების, საწარმოებში შრომის პირობების რეგულირების შესახებ, ღარიბთა დახმარების სამთავრობო სუბსიდიები და სხვ., ერთი სიტყვით, კაპიტალიზმის ბუნება შეიცვალა: კერძო საკუთრება სულ უფრო ნაკლებად კერძო ხდება, ხოლო თავისუფალი საწარმოები სულ უფრო ნაკლებად თავისუფალნი.

უკანასკნელ ხანს ეკონომისტები ყურადღებას აქცევენ კვლევის ახალ სფეროს, რომელსაც „საზოგადოებრივი არჩევანი" ჰქვია, სადაც შეისწავლება მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პროცესი, ეძებენ პასუხებს კითხვებზე: რას ყიდულობს მთავრობა? ვისთვისაა სამთავრობო ხარჯები და შეღავათები? როგორ უნდა იწარმოებოდეს სამთავრობო საქონელი?

როგორია სახელმწიფოს მთავარი ეკონომიკური ფუნქციები თანამედროვე შერეულ ეკონომიკაში? არის ოთხი ფუნქცია: სამართლებრივი საფუძვლების შექმნა; მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის განსაზღვრა; ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად რესურსების გაადგილებაზე ზემოქმედება; შემოსავლების განაწილებაზე ზემოქმედების პროგრამის შემუშავება.

სამართლებრივი საფუძველი. პირველი ფუნქცია საკუთრივ ეკონომიკის ჩარჩოებიდან გამოდის. სახელმწიფო აწესებს „ეკონომიკური თამაშების" წესებს, რომელშიც მონაწილეობენ ფირმები, მომხმარებელი და თვით სახელმწიფო. ისინი განსაზღვრავენ საკუთრების ფორმებსა და უფლებებს, კონტრაქტების დადებისა და კომერციული საწარმოების ფუნქციონირების პირობებს, პროფკავშირებისა და ადმინისტრაციის ურთიერთმოვალეობებსა და სხვ.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია — მთავრობის, უპირველეს ყოვლისა, ფედერალური მთავრობის, პირველი ეკონომიკური ფუნქციაა. დღეისათვის მთავრობები მიისწრაფიან დააშოშმინონ სამრეწველო ციკლი. არ დაუშვან ქრონიკული უმუშევრობა, სტაგნაციის განვითარება და ცდილობენ ინფლაციური მოთხოვნა „ქარის საწინააღმდეგოდ" წარმართონ. ამისათვის იყენებენ ფულად და ფისკალურ პოლიტიკას.

შეუძლიათ თუ არა მთავრობებს რაღაცა ზომის ნეიტრალური პოლიტიკის გატარება, თუ საერთოდ არა აქვთ ამის შესაძლებლობა? დღეს მთავრობების განცხადება, რომ ისინი არც ფისკალურ, არც ფულად პოლიტიკას არ ატარებენ, სიკვდილის შესახებ განცხადების ტოლფასოვანია. თავისთავად ბიუჯეტები არ ბალანსდება და ფულს თავისთავად არ შეუძლია მეურნეობის მართვა.

ვანაწილება. მთავრობის მეორე ცენტრალური ეკონომიკური ფუნქციაა აქტიური ჩარევა რესურსების სოციალურად სამართლიან განაწილებაში.

სამთავრობო პოლიტიკის ეს მიკროეკონომიკური მხარე ეკონომიკური ცხოვრების რომელ მხარეს ეხება და როგორ? ის მოიცავს სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო პოლიტიკას, დაგეგმვას, ანუ ცენტრალიზებულ განაწილებას, თავისუფალი კონკურენციის პოლიტიკას — ბაზრის ან საკომანდო სისტემის იმ ნებისმიერ კომბინაციას, რომელსაც მოცემულ მომენტში საზოგადოება ირჩევს.

გადანაწილება. ჩვენ ვიცით, რომ „უხილავი ხელი" შეიძლება იყოს როგორც ეფექტიანი, ასევე ბრმაც სამართლიანობისა და თანასწორობის მიმართ, იმის საფუძველიც არ არის, რომ ვიფიქროთ, შემოსავლების განაწილება თავისუფალი კონკურენციის პირობებში ეროვნული ღეზელის სამართლიან და თანასწორ გაყოფას იწვევდეს. რაც უფრო მდიდარი ხდება საზოგადოება, მით მეტ რესურსებს შესწირავს ადამიანს. დღეს განვითარებული ქვეყნები ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს ჯანმრთელობის დასაცავად, კვებისა და შემოსავლების მინიმალური სტანდარტების დასაკმაყოფილებლად გასცემენ. აშშ-ში არის ისეთი უსასყიდლო სოციალური პროგრამები, როგორიცაა სამედიცინო დახმარება, სოციალური უზრუნველყოფა, სასურსათო ტალონები. თანამედროვე ეკონომიკაში უფრო მეტი კეთდება, ვიდრე საჭიროა ღარიბების მინიმალური ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად. ადგილი აქვს მოქალაქეთა შემოსავლების საგადასახადო გადანაწილებას.

3. საზოგადოებრივი არჩევანი

საზოგადოებრივი არჩევანის თეორია ეკონომიკის დარგია, რომელიც სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს შეისწავლის და აანალიზებს: რა? როგორ? და ვისთვის? საბაზრო გადაწყვეტილებების შესაბამისად ზუსტად ისევე, როგორც მიწოდებისა და მოთხოვნის თეორია, აანალიზებს რესურსების განაწილებაზე ფასწარმოქმნის ზეგავლენას. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია რეტროსპექტულად უბრუნდება XVIII და XIX საუკუნეების ტრადიციულ ეკონომი-

კას, როცა ჩვენს საგანს „პოლიტიკური ეკონომია“ ეწოდებოდა.

როგორ ახდენენ არჩევანს მთავრობები? პოლიტიკურ თამაშს, როგორც ბაზარს, აქვს თავისი წესები და ჰყავს თავისი მოთამაშეები. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი კონსტიტუციისა და არჩევითი სისტემის ჩარჩოებში ხორციელდება. მეტად მნიშვნელოვანია არჩევითი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი.

მოთამაშეები, ერთი მხრივ, ამომრჩევლები (ან მომხმარებლები), რომელთაც დემოკრატიის ჩარჩოებში დადგენილი უფლებები აქვთ; ხოლო მეორე მხრივ — მათი წარმომადგენლები, ან პოლიტიკოსები არიან. ისინი საბაზრო ეკონომიკაში ფირმების ფუნქციებს ახორციელებენ. ამუშავებენ ამომრჩეველთა გემოვნებისა და არჩევნების ტექნოლოგიის შესაბამის პროგრამებს.

რა ამოძრავებს პოლიტიკოსებს? საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის ვარაუდით: პოლიტიკოსები ისე იქცევიან, რომ ხელახალი არჩევისათვის მაქსიმალური შანსი მოიპოვონ. ისინი მიისწრაფვიან ხმათა მაქსიმუმი მიიღონ. ზუსტად ისევე, როგორც ფირმები მოგების მაქსიმუმის მიღებისაკენ ისწრაფვიან.

საზოგადოებრივი არჩევანი და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. კოლექტიურმა არჩევანმა შეიძლება შემდეგი სახის შედეგები გამოიღოს: პირველი, როცა ყველას ცუდად ექნება საქმე. ეს მთავრობის შეცდომებია. ისტორიისათვის ბევრი ისეთი შემთხვევაა ცნობილი, როცა საზოგადოებრივი მოქმედება — ომები. გაფიცვები ან ტოტალიტარული რეჟიმების მოქმედება ყველას (ან თითქმის ყველას) უბედურებას იწვევდა.

მეორე, შედეგი შეიძლება სიმდიდრის უბრალო გადანაწილება იყოს. ამ შემთხვევაში საზოგადოებას შეუძლია ერთი ჯგუფი დაბეგროს და მეორეს სუბსიდიები მისცეს; შემოიღოს ბაჟი პროდუქტზე, რაც დადებით გავლენას მოახდენს მრეწველობის მოცემული დარგის წარმოების ფაქტორებზე, მაგრამ დააზარალებს მომხმარებლებს, მაგალითად, კაშხალის აშენება სიკეთეს მოუტანს მოსახლეობის ერთ ჯგუფს, ხოლო სხვებს დააზარალებს.

ხმის მიცემის სხვადასხვა წესი. საზოგადოებრივი არჩევანის

თეორია იკვლევს, თუ როგორ ტრანსფორმირდება ცალკეული მომხმარებლის მიერ უპირატესობის მიცემა პოლიტიკური მექანიზმის გზით კოლექტიურ მოქმედებაში. ხმის მიცემის წესი განაპირობებს კოლექტიური გადაწყვეტილებების გამომუშავების შესაძლებლობას ინდივიდუალური უპირატესობების გაერთიანების გზით, ყოველ საკითხზე შეიძლება მხოლოდ ერთი გადაწყვეტილების მიღება.

ერთსულოვნება. კოლექტიური მოქმედებისადმი საინტერესო მიდგომაა ერთსულოვანი მოწონების მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში თითოეული უნდა დათანხმდეს ნებისმიერ ცვლილებაზე. თითოეულს ჰქონდეს ვეტოს უფლება.

უმრავლესობის წესი

ბევრი კონსტიტუცია უმრავლესობის წესს ეყრდნობა. ამ სისტემის მიხედვით კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას ხმის მიმცემთა ნახევარზე მეტი იწონებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმრავლესობის წესი იწვევს „უმრავლესობის ტირანიას“.

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიიდან ეამოამდინარე დასკვნები

ამერიკული პოლიტიკური სისტემა. აშშ-ში პოლიტიკური თამაში განსაზღვრული წესების სისტემის შესაბამისად ხდება. პოლიტიკა შეერთებულ შტატებში — ეს უმთავრესად ორი პარტიის კონკურსია. სპეციფიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს ამომრჩეველთა წარმომადგენლები და არა თვით ამომრჩევლები.

აღსანიშნავია რომ, მართალია, ქვეყანა აღიარებს პრინციპს „ერთი ადამიანი — ერთი ხმა“, მაგრამ ფულიც თავის როლს თამაშობს. სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში ადგილის მიღება რამდენიმე ასეული ათასი დოლარი ღირს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს მაღალი ბარიერები, რომლებიც მოქალაქეებს საზოგადოებრივი ოფისებისაგან იცავს.

მთავრობის შეცდომები მაშინ გამოვლინდება, როცა მის

მიერ გატარებული პოლიტიკა ან კოლექტიური მოქმედება არ აუმჯობესებენ ეკონომიკურ ეფექტიანობას ან შემოსავლების განაწილებას. რაა უფრო დიდი წარუმატებლობის მიზეზი?

არაწარმომადგენლობითი მთავრობა. საერთოდ, დემოკრატია ნიშნავს „ერთი ადამიანი — ერთი ხმა", მაგრამ სინამდვილეში არჩევნებს დოლარები იგებენ, რადგან პოლიტიკაში „ფული ლაპარაკობს", ხშირად შეიძლება იყოს ისეთი პროგრამები, რომლებიც დიდ შემოსავალს აძლევს პატარა ჯგუფს და სახსრებს ართმევს ამომრჩეველთა დიდ ჯგუფებს.

ბიუროკრატიული იმპერატივი. მთავრობებს აქვთ მიდრეკილება ცდუნებისაკენ, რომ გააძლიერონ თავისი ზეგავლენა. მთავრობის ზეგაფართოებული (ექსპანსიისადმი) უფლებებისადმი სწრაფვის ტენდენციის ერთ-ერთი მიზეზია კონტროლის უქონლობა ცალკეული პროექტით მოსატან მოგებაზე. თუ სახელმწიფო აშენებს ძალიან ბევრ კაშხალს, ბომბდამშენს ან ადმინისტრაციულ შენობას, ეს ნიშნავს, რომ გაანეარიშებული არ არის ასეთი პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობა. ერთადერთი მხარდაჭერა, რაც მათ სჭირდებათ, ესაა კანონმდებლობითი უმრავლესობა. ერთხელ მიღებული პროგრამები ხშირად ქმნის ძლიერ უწყებას, რომელიც ასტიმულებს თვითკვალწარმოებად კერძო ინტერესებს.

მოკლევადიანი ჰორიზონტები. პოლიტიკური ხელმძღვანელები აშშ-ში ხშირად აწყდებიან არჩევნებს — ყოველ 2, 4 ან 6 წელიწადში. ეს პროცესი განსაზღვრული პერიოდით ზღუდავს პოლიტიკური გადაწყვეტილებების ჰორიზონტს. მთავრობები ამჯობინებენ მიიღონ მოკლე პერიოდის უკუგებიანი პროგრამები და გაურბიან ისეთებს, რომლებიც საკმაო გარანტიების გარეშე მოითხოვენ სასწრაფო დაბანდებებს მომავლის შემოსავლებზე.

3. საზოგადოებრივი არჩევა ეკონომიკური საქმიანობის თანმდევი შედეგების შეფასებაში

თანმდევი ეფექტი მჟღავნდება როგორც ერთი აგენტის ეკონომიკური ქცევის ზეგავლენა მეორის კეთილდღეობაზე. ის არც დოლარებით გამოიხატება და არც საბაზრო გარიგებას წარმოადგენს. თანმდევი ეფექტი შეიძლება იყოს დადებითიც

და უარყოფითიც. როცა მე მდინარეში საწამლავს ვასხამ, იღუპება თევზი და მცენარეულობა. რადგან მე მიყენებული ზარალისათვის ფულს არ ვიხდი, აქ ადგილი აქვს უარყოფით ეკონომიკურ ეფექტს ან თანმდევ ეკონომიკურ ზარალს. თუ თქვენ გამოძებნით დაღვრილი ნავთობის აღების საუკეთესო წესს, მას სარგებლობა მოაქვს ბევრი ადამიანისათვის, რომლებიც თქვენ არცერთ ცენტს არ გიხდიან. ეს არის დადებითი გარეშე ეკონომიკური ეფექტი.

საზოგადოებრივი და კერძო კეთილდღეობა. სარგებლობა საზოგადოებრივი სიკეთიდან, კერძოსაგან განსხვავებით, მოიცავს დაუნახავ გარეშე სამომხმარებლო ეფექტს, ერთი ინდივიდისაზე უფრო მეტს. ერთდროულად, თუ საქონელი შეიძლება ნაწილებად დაიყოს და თითოეული მათგანი კონკურენციის პროცესში სხვადასხვა ინდივიდზე გაიყიდება, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს კერძო საქონელთან. საზოგადოებრივი სიკეთისათვის ხშირად საჭიროა კოლექტიური მოქმედება, მაშინ, როდესაც კერძო სიკეთის შექმნა ეფექტურად შეუძლია ბაზარს.

კოლექტიური და საბაზრო სიკეთე. აუცილებელია ერთმეორისაგან განვასხვაოთ საქონელი, რომელიც ბაზარს მოაქვს, იმ საქონლისაგან, რომელიც კოლექტიურად ნაწილდება. საქონელი საბაზრო სიკეთეა, თუ ის დეცენტრალიზებულად ნაწილდება, თუ კი განაწილება გაშუალებულია პოლიტიკური პროცესით და ეს საზოგადოებრივი არჩევის საფუძველზე ხორციელდება, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს კოლექტიურ სიკეთესთან. ამგვარად, საკითხების გადასაწყვეტად რა? როგორ? და ვისთვის? არის ორი გზა: ბაზრის საშუალებით — საბაზრო საქონლისათვის და საზოგადოებრივი არჩევანის საშუალებით — კოლექტიური საქონლისათვის.

კოლექტიური მოქმედება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მთავრობები თანმდევ ეფექტებს კოლექტიური მოქმედების დასმარებით ებრძოდნენ და იყენებდნენ ან პირდაპირ კონტროლს, ან ფინანსურ ჯარიმებს, რათა ფირმებს სხვა უარყოფითი ეფექტებიც შეემცირებინათ.

აქ მთელი რიგი პრობლემები წამოიჭრება. ჯერ ერთი, მთავრობა განსაზღვრავს გაჭუჭყიანების სტანდარტებს, რაზედაც დამოკიდებულია ხარჯიც და შედეგიც. ის ანგარიშობს საზოგადოებრივი ზარალის ყველა სახეს და მათი შემცირების ხარ-

ჯებს, შემდგომ ადგენს გაჭუჭყიანების დონეს, მინიმუმამდე დაჰყავს ერთობლივი ხარჯი. მაგრამ პრაქტიკაში ასეთი გაანგარიშებები ხშირად როდი ხორციელდება.

მეორე, ხშირად იძულება უსისტემო ხასიათისაა. გაცილებით ეფექტური იქნებოდა გაჭუჭიანების სტანდარტების გადამეტებისათვის დასჯის ღონისძიებების გამკაცრება. პროგრამების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მინიმალური დასჯა ფირმების დაუთმობლობისათვის (რამდენიმე ათასი დოლარი პლუს სასამართლო ხარჯები). სხვათაშორის, ნათელია, რომ მხოლოდ ჯარიმებს და ასეულობით მილიონ დოლარს შეუძლია გადაწყვიტოს ეკოლოგიურად სუფთა პროგრამების სტიმულირების პრობლემა.

დაბოლოს, სტანდარტები არსებითად მეტად უხეში მეთოდია. ისინი ერთნაირია ყველასათვის და ამიტომ არაეფექტური სხვადასხვა ფირმების მიმართ.

ბევრი გამოკვლევის მონაცემებით, სტანდარტების მოუქნელობის გამო ერთი დაახლოებით ორჯერ იმაზე მეტს იხდის, ვიდრე უნდა გადაეხადა გაჭუჭყიანების იმავე დონისათვის, მაგრამ საქმის უფრო ეფექტიანად ორგანიზაციის შემთხვევაში.

ბევრი ეკონომისტი გვთავაზობს ახალ ინსტრუმენტებს: გადასახადებს გარემოს გაჭუჭყიანებისათვის. გადასახადი შეიძლება ეფექტური გახდეს, თუ კი მათ მიერ გაჭუჭყიანების თანმდევი ზარალის ტოლფას თანხას გადაიხდიან.

თ ა ვ ი 33

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი: ხარჯები და დაბეგვრა

ა) სახელმწიფო ხარჯები. ფედერალური მთავრობის შტატებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციები

XX საუკუნემდე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხარჯებს სახელმწიფო ხარჯში წამყვანი ადგილი ეკავა. ფედერალური მთავრობა იხდიდა იმას, რაც ეროვნული თავდაც-

ვისათვის, პენსიებისა და წარსული ომების სესხებზე სარგებლის გასაცემად, საზოგადოებრივი სამუშაოების დასაფინანსებლად და სახელმწიფო მოხელეების ხელფასისათვის მიდის. საგადასახადო შემოსულობების დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იყო აქციზებით თამბაქოზე, სპირტიან სასმელებზე, იმპორტულ საქონელზე ბაჟით. მუნიციპალიტეტები, რომლებიც თავს უყრიდნენ საგადასახადო შემოსულობების მნიშვნელოვან ნაწილს, ახორციელებდნენ ფუნქციებს ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამერიკაში ფისკალური ფედერალიზმის პოლიტიკა ტარდება. ფედერალურ მთავრობას აქვს სრული დამოუკიდებლობა იმ საქმეებში, რომლებიც მთლიანად ერს შეეხება: თავდაცვის, კოსმოსისა და უცხოეთის საქმეებისათვის საჭირო ხარჯების განკარგვაში. ადგილობრივი ორგანოები აფინანსებენ ბავშვების სწავლებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ქუჩების დასუფთავებას. შტატის ბიუჯეტის ხარჯზე შენდება დამჩქარებელი გზები და ხორციელდება ცხოვრების დონის დასაცავი პროგრამები.

ფედერალური ხარჯები. შეერთებული შტატების მთავრობა მსოფლიოში ყველაზე დიდი საწარმოა: ის ყველაზე მეტ საწერ მანქანებს და ცემენტს ყიდულობს, გასცემს ხელფასს, ბრუნვაში ყველაზე მეტი ფული აქვს. ფედერალური ბიუჯეტის ძირითადი მუხლებია დანახარჯები ეროვნულ უშიშროებაზე, ვეტერანების პენსიებზე და უცხოეთის საქმეების წარმოებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სახელმწიფო ვალის სარგებლის გადახდაზე, მოსახლეობის შემოსავლების დონის შენარჩუნებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ტრანსპორტზე, ვაჭრობაზე, განათლებაზე კადრების მომზადებასა და დასაქმებაზე, სოფლის მეურნეობაზე, სახელმწიფო აპარატზე, მეცნიერებაზე, კოსმოსზე, ტექნოლოგიის განვითარებაზე. ფედერალური ბიუჯეტი დეფიციტურია. უკანასკნელ ათწლეულებში ფედერალური მთავრობის ხარჯები გაიზარდა, რაც დაკავშირებულია სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების რეალიზაციასთან და მოსახლეობის შემოსავლების დონეზე ზემოქმედებასთან, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებასთან.

შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების ხელისუფლების ხარჯები. შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების ხელისუფლების ბიუჯეტებში ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლია დანახარ-

ჯები განათლებაზე (სკოლები). ამ ბიუჯეტიდან ასევე ფინანსირდება სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა (საავადმყოფოების შენახვით); იფარება პოლიციის, სახანძრო სამსახურის, გზატკეცილების სამუშაო მდგომარეობაში ყოფნისათვის სამსახურის და ა. შ. დანახარჯები.

ბ. დაბეგვრის ეკონომიკური ასპექტები

სახელმწიფომ მხოლოდ რეალური ხარჯები უნდა დააფინანსოს. მთავრობა ამ მიზნებისათვის საჭირებს უმთავრესად გადასახადების თანხიდან იღებს. მაგრამ თვითმფრინავის ან სკოლის ასაშენებლად საჭიროა არა იმდენად ფული, როგორც ასეთი, არამედ რეალური ეკონომიკური რესურსები: შრომა, მიწა, კაპიტალი, რომელნიც ყოველთვის შეზღუდულია.

დაბეგვრის საკითხის გადაწყვეტის დროს ადამიანები განსაზღვრავენ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელ რესურსებს სხვადასხვა ოჯახიდან (მათ რიცხვში შემოსავლებსაც მათი კუთვნილი საწარმოებიდან) რა გზებით გადაახდევინებენ და სამომხმარებლო საქონლებისა და მომსახურების წარმოების მიზნით როგორ წარმართავენ ამ რესურსებს.

დაბეგვრის პრინციპები. დაბეგვრის მრავალი პრინციპიდან ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის გამოყოფა შეიძლება. პირველი — მოქალაქეებმა გადასახადები უნდა გადაიხადონ სახელმწიფოს საქმიანობისგან მათ მიერ მიღებული სიკეთის პროპორციულად; ჯერ ერთი, ეს არის სარგებლიანობის პოზიციებიდან მიდგომა. მეორე, გადასახადები დამოკიდებული უნდა იყოს შემოსავლის ზომაზე, გადასახადის გადამხდელის კეთილდღეობის დონეზე, ან, რაც იგივეა; გადასახადების ისეთი სტრუქტურა უნდა იყოს, რომ მისი დახმარებით ბაზრის მექანიზმით განსაზღვრული შემოსავლები საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ნაწილდებოდეს. ეს შემოსავალია გადახდის უნარის თვალსაზრისით.

როგორია ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საზოგადოების თვალსაზრისით გადასახადების სასურველი სტრუქტურა. ანსხვავებენ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ტოლობებს. ვერტიკალური ტოლობის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: თუ ერთნაირი ცხოვრების დონის მქონე ადამიანები თანაბარი გა-

დასახადებით უნდა დაიბეგროს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით არათანაბარ პირობებში მყოფნი სხვადასხვა მოცულობის გადასახადით უნდა დაიბეგრონ. მაგრამ ვერცერთი აქ მითითებული პრინციპი ვერ გადაწყვეტს ძირითად პოლიტიკურ საკითხს: რა ზომითაა დაშვებული უთანასწორობა, ან როგორ მიიღწევა თანასწორობა?

პრაგმატისტული კომპრომისები და დაბეგვრა. როგორ წყვეტს სახელმწიფო ამ რთულ საკითხს? თუ საზოგადოებრივი მომსახურება უზრუნველყოფილია ადგილობრივი ან ეროვნული ხელისუფლების დონეზე, უპირატესად განსაზღვრული ჯგუფის ინტერესებისათვის და თუ მათი საშუალო შემოსავლები და სხვა მახასიათებლები მათ განსაკუთრებულ საფუძველს არ აძლევს პრეტენზია ჰქონდეთ ხელშეწყობის მეტ ან ნაკლებ რეჟიმზე, ჩვეულებრივ სახელმწიფო მიმართავს დაბეგვრას მიღებული სარგებლიანობის პროპორციულად. მაგალითად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ექსპლუატაციისათვის დანახარჯი ჩვეულებრივ იფარება ადგილობრივი მოსახლეობის ნარჯზე: საგადასახადო მოსაკრებლები ბენზინის რეალიზაციიდან შეიძლება მთლიანად გზების მშენებლობას მოხმარდეს.

გადასახადები შეიძლება იყოს პროგრესული და რეგრესული. თუ ის, ვინც მეტ შემოსავალს იღებს, იხდის არა მარტო გადასახადების მეტ თანხას, არამედ აგრეთვე თავისი შემოსავლის დიდ ნაწილსაც, მაშინ ადგილი აქვს პროგრესულ დაბეგვრას. გადასახადების პროპორციულობის პრინციპის თანახმად. თითოეული ადამიანი ყოველთვის იხდის შემოსავლის ზუსტად ერთი და იგივე ნაწილს. ასეთი მიდგომის დროს გადასახადი შედარებით ნაკლები პროპორციით იზრდება, ვიდრე ის შემოსავალი, რომელიც მაღალი შემოსავლის დაბალ და მცირე ნაწილის დიდ წილს შეადგენს.

განასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს. არაპირდაპირია გადასახადები განსაზღვოულ საქონელსა და მომსახურებაზე, მაგალითად, გადასახადები სიგარეტებზე, ბენზინზე, ტარიფები იმპორტზე და ა. შ..

პირდაპირი გადასახადები. პირდაპირი გადასახადების, მაგალითად გამოდგება საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი კორპორაციაზე, დაზღვევის ფონდების გადასახადი.

ფედერალური გადასახადები. არსებობს მრავალი ფედერა-

ლური გადასახადი. პირად შემოსავლებსა და მემკვიდრეობაზე გადასახადებს ჩვენ მივაკუთვნებთ პროგრესულ გადასახადებს, რადგან მათ უმეტესად მაღალი შემოსავლის მქონე პირები იხდიან. გადასახადი ხელფასზე და გადასახადი რეალიზებულ საქონელსა და შომსახურებაზე რეგრესულია, რადგან მათი გადახდის შედეგად მოსახლეობის მცირეშემოსავლიანი ფენები კარგავენ შემოსავლების უფრო მეტ ნაწილს, ვიდრე მდიდრები. კორპორაციის მოგებაზე გადასახადს შუალედური ადგილი უკავია. ერთი მხრივ, ის შეიძლება მიეკუთვნოს პროგრესულ გადასახადთა ჯგუფს, რადგან დივიდენდების ძირითად ნაწილს ღებულობენ მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანები. მეორე მხრივ, გადასახადები, რომელზეც აქ ლაპარაკია, რეგრესულია, რადგან კორპორაციებს შეუძლიათ ის მომხმარებლებს ფასების მექანიზმის მეშვეობით გადაახდევინოს.

გადასახადების ძირითადი ტიპები. გადასახადები გაყიდვაზე და სააქციზო მოსაკრებლები. თუ რეგრესულობის ხარისხიდან გამოვალთ, მაშინ გადასახადები გაყიდვაზე და სააქციზო მოსაკრებლები პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. ფედერალურ ფინანსებში საერთო გადასახადი გაყიდვაზე არ არსებობს, ის მხოლოდ ზოგიერთი საქონლის მიმართ გამოიყენება. სააქციზო მოსაკრებლები გადაიხდევინება სიგარეტების, სპირტიანი სასმელების და სხვ. გაყიდვის დროს.

გადასახადები და სოციალური უზრუნველყოფის ფონდი; გადასახადები და უმუშევრობისათვის დაზღვევის ფონდი. ამჟამად ფაქტობრივად ყველა დარგი სოციალური უზრუნველყოფის კანონის მოქმედებას დაექვემდებარება: მომუშავეებს უფლება აქვთ მოხუცებულობისათვის დახმარება მიიღონ, რომლის სიდიდე ადრე გამომუშავებაზეა დამოკიდებული. სოციალური უზრუნველყოფის ფონდში წლიურად 14,1% გადაირიცხება 40000 დოლარზე ნაკლები ხელფასიდან. ამ წესით დაქვითული გადასახადი არსებითად რეგრესულს მიეკუთვნება, თუ მხედველობაში მივიღებთ მის გავლენას დაბალ და საშუალო უზრუნველყოფილებაზე. მაგრამ სოციალური უზრუნველყოფის ფონდიდან მიღებულთან შედარებით მისი რეგრესულობის ხარისხი მნიშვნელოვნად კლებულობს.

გადასახადები კორპორაციის შემოსავლებზე. ყველა გადასახადის გასტუმრების შემდეგ კორპორაცია განსაზღვრავს თა-

ვის წლიურ შემოსავალს. მან ნაწილი უნდა გადასცეს ფედერალურ მთავრობას. მცირე კორპორაცია (1985 წ.) შემოსავლის ყოველი დოლარიდან 15 ცენტს იხდიდა. თუ კორპორაციის მოგება 100 ათას დოლარზე მეტია, მაშინ ყოველი დოლარი შემოსავლიდან იგი იხდის 46 ცენტს. კორპორაციის შემოსავლებზე გადასახადს ბევრი უსამართლოდ მიიჩნევს, რადგან ადგილი აქვს ორმაგ დაბეგვრას: ჯერ აიკრიფება გადასახადი კორპორაციის შემოსავლებიდან და შემდეგ აქციის მფლობელები იხდიან საშემოსავლო გადასახადს და გადასახადს დივიდენდებზე. სხვები თვლიან, რომ კორპორაციაზე გადასახადი უნდა გაიზარდოს და ამას შემდეგით ხსნიან: თუ სახელმწიფო საჭიროებს მსხვილ ფინანსურ საშუალებებს, ხოლო გადასახადების გაზრდა პირად შემოსავლებზე უკვე შეუძლებელია, ამ შემთხვევაში კორპორაციაზე გადასახადი ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს. უკანასკნელის წილი ფედერალურ ბიუჯეტში 1951 წ. 33%-დან 1984 წ. 10%-მდე შემცირდა.

გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე ფართოდ გამოიყენება საერთო ბაზრის ქვეყნებში. იგი ჯამობრივია და წარმოების ყველა სტადიას მოიცავს. ეს გადასახადი უნდა განვასხვავოთ, ე. წ. ბრუნვის გადასახადისაგან, რომელიც გადასახადია ყველა დადებულ გარიგებაზე: ხორბლის, ფქვილის, ცომის, პურის გაყიდვაზე. გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე გამორიცხავს „ორმაგ ანგარიშს" და გადაიხდევინება მხოლოდ ახლადშექმნილი ღირებულებიდან: ხელფასიდან, რენტიდან და სარგებლიდან. უნდა გვახსოვდეს, რომ გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე არაპირდაპირია და დგება გაყიდულზე და არა შემოსავალზე.

პროგრესული საშემოსავლო გადასახადი. ადრე აპრილს უბედურ თვედ მიიჩნევდნენ, რადგან ამ თვეში უნდა გადაეხადათ წინა წლის შემოსავალზე გადასახადი, ფული კი ხშირად ამ დროისათვის უკვე აღარ ჰქონდათ. ამჟამად მეწარმე ავტომატურად უკავებს ხელფასის გადახდისას მთელი წლის მანძილზე გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც მთავრობას უნდა გადაუხადოს.

რა გავლენას ახდენს ფედერალური გადასახადები პირად შემოსავალზე? თუ ოჯახის წლიური შემოსავალი 8750 დოლარზე ნაკლებია, მაშინ მთავრობა სუბსიდიებს აძლევს მას.

ოჯახი, რომლის შემოსავალი 8750 დოლარია, არ იხდის საშემოსავლო გადასახადს და არც სუბსიდიებს ღებულობს. შემდეგ გადასახადი შემოსავლის მიხედვით სწრაფად იზრდება. ამჟამად გადასახადის ზედა ზღვარი შემოსავლის 50 პროცენტს შეადგენს.

ერთიანი განაკვეთით გადახდევინებული გადასახადი. შემოსავლის ნაწილის დამალვის მისწრაფების ხელისშეშლის მიზნით სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მთლიან შემოსავალზე შემოიღეს ერთიანი გადასახადი. გადასახადი გადაიხდევინება დაუბეგრავი მინიმუმის ზევით მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან იმ განაკვეთით, რომელიც თითქმის 20 პროცენტის დონეზე მერყეობს.

დაბეგვრის ეფექტიანობა და პროგრესულობა. ლაფერის მრუდი. პროგრესული დაბეგვრის შესახებ მსჯელობისას ხშირად გამოთქვამენ ეჭვს: მაღალი საშემოსავლო გადასახადი საქმიანი აქტივობის, დაზოგვისაკენ სწრაფვის და რისკზე წასვლის უნარის შემცირებას ხომ არ გამოიწვევს? აქ ერთმნიშვნელიანი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ერთნი პროგრესული დაბეგვრის დროს უპირატესობას ანიჭებენ ნაკლებ მუშაობას, სხვებს კი ამგვარი დაბეგვრა აიძულებს თავისი მილიონის მისაღებად მეტი იმუშაოს. მრავალი ექიმი, მეცნიერი, მსახიობი და ბიზნესმენი, რომელთაც თავისი საქმე უყვართ და მისგან კმაყოფილების გრძნობა ეუფლებათ, 80 ათასი და 100 ათასი დოლარისათვის ერთნაირად კარგად მუშაობენ. სარისკო ინვესტიციებზე პროგრესული გადასახადის გავლენის შეფასება იოლია. თუ კაპიტალის დაბანდება რომელიმე დარგში გადასახადის მაღალი განაკვეთით იბეგრება, მაშინ რესურსები საქმიანობის სხვა სფეროში მიედინება.

აღნიშნულის საფუძველზე ლაფერი ასკვნის, რომ გადასახადის მაღალი განაკვეთების ბრალია ერის მრავალი დაავადება: დაზოგვის დაბალი დონე, წარმოების სტაგნაცია, მაღალი ინფლაცია. ამგვარი დასკვნის მომხრენი თვლიან, რომ 50%-ს გადამეტებული გადასახადის განაკვეთის დროს ადამიანები ცდილობენ ნაკლები იმუშაონ და ნაკლები დაზოგონ, ან თავიანთი საქმიანობა ჩრდილოვან ეკონომიკაში გადაიტანონ.

შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების ხელისუფლების გადასახადები. შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების ხე-

ლისუფლების ძირითადი გადასახადები რეგრესული ხასიათისაა, მათგან უმნიშვნელოვანესია გადასახადები ქონებაზე, გაყიდვაზე, ბენზინზე, პირად შემოსავალზე, კორპორაციის მოგებაზე და სხვ. ქონებაზე გადასახადი შტატებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ერთობლივი შემოსავლების 30 პროცენტს იძლევა. ასეთი გადასახადით ძირითადად უძრავი ქონება (მიწა, ნაგებობები) იბეგრება. ყოველ მხარეში დგება ამ გადასახადის შესაბამისი განაკვეთი, რომელიც ძალიან იშვიათად იცვლება. უძრავი ქონების ღირებულების დაცემის დროს გადასახადი მეტად მძიმე ტვირთად იქცევა და ხელს უწყობს გაკოტრების ზრდას. გაყიდვაზე გადასახადი შტატებს სულ უფრო მეტ შემოსავალს აძლევს. ყოველ ყიდვას თან სდევს საქონლის ღირებულებიდან განსაზღვრული პროცენტით გაანგარიშებული გადასახადის გადახდა. ფედერალური არაპირდაპირი გადასახადების გარდა, ჩვეულებრივ, შტატებში შემოღებულია საკუთარი გადასახადები სპირტიან სასმელებზე და თამბაქოზე. რადგანაც მოსახლეობის ყველა ფენა ერთნაირ გადასახადს იხდის ყოველ დახარჯულ დოლარზე (ხოლო მცირექონებიანთათვის ეს შემოსავლების დიდ ნაწილს შეადგენს), გადასახადი გაყიდვაზე რეგრესულ ხასიათს ატარებს.

შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების ხელისუფლება ახდენენს სხვადასხვა გადასახადებსაც, რაც გზების მშენებლობისა და რემონტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს.

ფედერალური ბიუჯეტიდან შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების ხელისუფლების ბიუჯეტში გადარიცხვა შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების ხელისუფლების ბიუჯეტების შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა. ასეთი დახმარება ღარიბ და მდიდარ შტატებსა და მუნიციპალიტეტებს შორის შემოსავლების განსხვავების შერბილების შესაძლებლობას იძლევა.

როცა ამომრჩეველები გადასახადების ტვირთის გადანაწილების საკითხს წყვეტენ, ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა: ვინ უნდა გადაიხადოს ესა თუ ის გადასახადი? ჩვეულებრივ გულისხმობენ, რომ პიროვნება, რომელმაც კანონიერად უნდა გადაიხადოს გადასახადი, ნამდვილად იხდის მას, რადგან ადამიანს შეუძლია მოძებნოს მრავალი თავღასაძვრენი: გადასახადი გადააკისროს ან თავისი სა-

ქონლის მყიდველს გადასახადის სიდიდის ფასების ამაღლებით, ან მათ, ვისგანაც იგი ყიდულობს იმაზე ნაკლების გადახდით, ვიდრე იხდიდა გადასახადის შემოღებამდე.

ფედერალური გადასახადებისა და უსასყიდლო სოციალური გასაცემელის ზემოქმედება შემოსავლების განაწილებაზე. ფედერალური საგადასახადო სისტემა რეგრესულია მცირე შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის, ხოლო შემოსავლების ზრდის შესაბამისად მეტად პროგრესულად იზრდება. მაგრამ გადასახადები შემოსავლების სამთავრობო პროგრამის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენს, მისი მეორე ნაწილია ტრანსფერტები, რომლებიც ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს განასახიერებს. ამიტომ მთლიანად ტრანსფერტებისა და გადასახადების მხედველობაში მიღებით სამთავრობო პროგრამა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პროგრესული.

თ ა ვ ი 34

სიღარიბე, თანასწორობა და ეფექტიანობა

სიღარიბის გაზომვა და მისი ტენდენციები

ჩვენი ეკონომიკა წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, ჩვენ საჯაროდ ვაცხადებთ შესაძლებლობების თანასწორობას, ხოლო მეორე მხრივ — ვამბობთ: „ან იმუშავე, ან მშიერმა იარე". საბაზრო ეკონომიკის ნაყოფი მას ეკუთვნის, ვისაც აქვს მეტკვიდრეობის უფლება, თეთრი ფერის კანი, ან ვინც იღბლიანია. ხელფასების განაკვეთები, რენტა, სარგებელი განისაზღვრება ეკონომიკური კანონებით და არა პოლიტიკური ხელისუფლებით. თუ პროფკავშირები ან პოლიტიკოსები ეკონომიკური კანონების მოდიფიცირებას ცდილობენ, ეს საბოლოოდ შეიძლება უეფექტო აღმოჩნდეს და წარმოების მოცულობის დაცემა გამოიწვიოს. ასეთია კლასიკური მიდგომა.

სიღარიბის განსაზღვრა. როგორ ზომავენ სიღარიბეს? ეკონომისტები ცდილობენ საარსებო მინიმუმი ორი წესით გაიანგარიშონ. პირველი, ისინი იყენებენ მომუშავეთა ოჯახების ბიუჯეტების შესახებ მონაცემებს. მეორე, მხედველობაში იღე-

ბენ იმას, რომ, როგორც სპეციალისტები შენიშნავენ, ღარიბი ოჯახები თავისი შემოსავლის 1/3-ს კვებისათვის ხარჯავენ. კვების ძირითადი პროდუქტების ღირებულების შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების გამოყენების საფუძველზე შეიძლება საარსებო მინიმუმის გაანგარიშება. მისი სიდიდე უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე 3100 (1963 წ.) დოლარიდან 10600 (1984 წ.) დოლარამდე გაიზარდა. მაგრამ ყოველივე ეს შეფარდებითია. რაც სიღარიბედ ითვლება ამერიკაში, ის სიუხვეა აზიისათვის.

ვინ არიან ღარიბები? სიღარიბე არათანაბრად ვრცელდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე. აშშ-ში საშუალოდ (1982 წ.) მოსახლეობის 15% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ამასთან თეთრებს შორის ეს 12 პროცენტს უდრიდა, შავებს შორის კი — 35,6; ყოველი მეხუთე ოჯახი, რომელსაც ქალი თაობდა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა. მრავალ მათგანს, ვინც ასეთ მდგომარეობაში იმყოფება, არა აქვს პროფესიული მომზადება, სამუშაო, ცხოვრობს გეტოში, ესაა კანის ფერისა და სქესის მიხედვით დისკრიმინაციული პოლიტიკის გაშოვლინების ერთ-ერთი ფორმა.

სიღარიბის მიზეზები. განსხვავებანი საკუთრებაში. შემოსაცლებში მერყეობა უმეტესად დაკავშირებულია საკუთრებაში განსხვავებასთან. მემკვიდრეობით შესაძლებელია სიმდიდრისა და ხელისუფლების პირამიდის მწვერვალზე ასვლა. შრომის ანაზღაურებისა და პირად თვისებებში განსხვავება თავისი მნიშვნელობით არსებითად საკუთრებასთან შედარებით წინ დგას. აღსანიშნავია, რომ უმდიდრესთა უმეტესობამ ამ სტატუსს გაბედული გამოკვლევებისა და ეფექტიანი დაბანდებების შედეგად მიაღწია და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა — მემკვიდრეობის წყალობით.

განსხვავებანი პირად ნიჭიერებაში. ნიჭიერება შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცეს. გენეტიკა გვასწავლის, რომ იგი თაობიდან თაობაში გადაიცემა. ხასიათის ნიშნები უმეტესად ყალიბდება როგორც გარემომცველი პირობებით, ასევე გენებით. ღარიბი ოჯახის შვილები ცხოვრების ანბანს ეცნობიან ეზოს კომპანიებში, ისინი ცუდ სკოლებში სწავლობენ.

განსხვავებანი განათლებასა და მომზადებაში. წლების მიხედვით განათლება თანასწორობის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ

ბარიერად იქცევა. XX საუკუნემდე უფსკრული იყო განათლებულ უმაღლეს კლასსა და უწიგნურ მასას შორის. ქალიშვილები მოკლებულნი იყვნენ მრავალი სპეციალობის დაუფლების შესაძლებლობას. ამჟამად ასეთი მკვეთრი განსხვავება აღარ არის. მაგრამ მუშათა ოჯახებს არც ამჟამად შეუძლიათ თავიანთი შვილების გაგზავნა ბიზნესმენებისა და ექიმების მოსამზადებელ სკოლებში. მაშასადამე, მათი ბავშვებისათვის მიუღწეველია მთელი რიგი მაღალანაზღაურებიანი სპეციალობები. თანასწორობის შესაქმნელად უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო განათლების სისტემის შექმნას. სოციალიზმი ამსხვრევს მდიდრების პრივილეგიას კარგი განათლების მიღებაში.

უთანასწორობისა და ხიღარიბის ტენდენციები. XX საუკუნეში აშშ-ში მოხდა არსებითი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები. გაფართოვდა განათლების სფერო, ბოლო მოეღო უთანასწორობას კანის ფერისა და სქესის მიხედვით, გაჩნდა სამთავრობო ტრანსფერტული პროგრამები, დაინერგა პროგრესული დაბეგვრა. რა გავლენა იქონია ამან სიღარიბეზე?

სიღარიბის მდგომარეობის გაზომვა შეიძლება სამი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორით. მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის საშუალო რეალური შემოსავალი მკვეთრად გაიზარდა 1920 წლიდან. ღარიბი ოჯახების პროცენტი არსებითად 1950 წლიდან 1970 წლამდე პერიოდში შემცირდა. თუმცა 1980 წლიდან ღარიბი ოჯასების ხვედრიწილი იზრდება, რაც უმუშევრობის მატებასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, შემოსავლის ჩვედრიწილი, რომელიც მოსახლეობის (**უღარიბესი**) **1,5**-ზე მოდიოდა. ერთობლივ შემოსავალში პრაქტიკულად უცვლელია 1940 წლიდან. ვარაუდობდნენ, რომ ამერიკა 1976 წლისათვის ბოლოს მოუღებდა სიღარიბეს, მაგრამ 80-იან წლებშიც კვლავ მუშავდება მასთან ბრძოლის პროგრამა.

თანასწორობის დანახარჯები. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უღარიბესმა ნაწილმა უდიდესი ნახტომი გააკეთა ცხოვრების დონის ამაღლებაში, იგი იღებს ერთობლივი შემოსავლების მხოლოდ 1/20 ნაწილზე ნაკლებს. ეს კარგია თუ ცუდი? რეალური ხელფასი მუდმივად იზრდებოდა XX საუკუნე-

ში. თვით კომუნისტებიც კი არ კამათობენ პროგნოზებზე, რომლის თანახმადაც დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის შერეულ ეკონომიკაში რეალური ხელფასი 1999 წლისათვის 20—30 %-ით გაიზრდება 80-იან წლებთან შედარებით.

თანასწორობა ეფექტიანობის საპირისპიროდ. უთანასწორობის შემცირება ეთნიკური თვალსაზრისით სიკეთეა, მაგრამ ამისათვის საფასური უნდა გაიღო. ოუკენი შრომაში „თანასწორობა და ეფექტიანობა“ „მიმდინარე კალათის“ ექსპერიმენტის შესახებ წერდა, „თუ ჩვენ გვინდა, რომ საზოგადოებაში ნაკლები უთანასწორობა იყოს, ჩვენ უმდიდრესთა კალათიდან ვიღებთ დოლარს და მას უღარიბესთ ვაძლევთ“. მაგრამ დავუშვათ, რომ გადასანაწილებელი დაბეგვრის კალათაში გაქონვაა, რომ ხვრელი პატარაა და მდიდრების მიერ დაკარგული თითოეული დოლარის მხოლოდ 2/3 ხვდება ღარიბებს. მაშინ ნათელია, რომ თანასწორობისათვის გადანაწილება ეფექტიანობას ხელს შეუშლიდა. რაც უფრო მეტია საზოგადოებაში ის სოციალური პროგრამები, რომლებიც ზრდიან თანასწორობას, მით უფრო ღრმაა კონფლიქტი თანასწორობასა და ეფექტიანობას შორის. გადანაწილება პროგრესული დაბეგვრის გზით რამდენადმე ამცირებს პროდუქციის შესაძლებელი გამოშვების მოცულობას. გადანაწილების ოპტიმალური ზომა ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზომის შემცირების დასაშვები ხარისხით განისაზღვრება.

სინამდვილეში გადამანაწილებელი პროგრამები აქვეითებენ ეფექტიანობას. თუ საზოგადოება შემოიღებს პროგრესულ დაბეგვრას, ადამიანებმა შეიძლება სწორი ორიენტირები დაკარგონ: დასუსტდება სარისკო ტექნოლოგიებში დაბანდებების დაინტერესება. თუ მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილ ნაწილში შემოსავლები სათანადოდ მაღალი იქნება, ღარიბები დაჟინებით არ დაიწყებენ სამუშაოს ძებნას. დასახელებული მიზეზებით გამანაწილებელი პროგრამები შეამცირებენ ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ერთი სოციალური ჯგუფისათვის მეორე ჯგუფის ხარჯზე დახმარების გაწევის ცდას ორივესათვის უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა.

გავაანალიზოთ პროგრესული დაბეგვრის და შემოსავლების

გადანაწილების შედეგები. აღსანიშნავია: პირველი, ასეთი ღონისძიებების შედეგად მცირდება სამუშაოსადმი ინტერესი; თუ გადასახადები გაიზრდება სულ უფრო მეტად, მაშინ მექნება თუ არა სამუშაოსადმი სტიმული? მეორე, პროგრამამ უნდა აანაზღაუროს საფინანსო ინსპექტორების შრომა დახარჯული აღნიშნული ღონისძიების ჩასატარებლად; მესამე, მცირდება ინვესტიციებისა და დაზოგვისადმი ინტერესი; მეოთხე, არ შეიძლება სოციალური დანახარჯების (ან სარგებლობის) დავიწყება. სიღარიბის ფესვები თვით მასშივეა ჩაფლული. წარმოიქმნება მანკიერი წრე. მისი გარღვევით ჩვენ ვზრდით მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფი ფენების დაოსტატებას და ადამიანურ კაპიტალს, რაც გაადიდებს მათი შრომის ეფექტიანობას მომავალში. დაბანდება ადამიანებში, ისე როგორც ყველა დაბანდება, უკვე ხვალ მწარმოებლურობას ზრდის. ტრაგიკული შეცდომა იქნებოდა ღარიბების დახმარების პროგრამა ისე განგვეხილა, როგორც დაქვითვა ეროვნული საწარმოო რესურსებიდან.

დანაკარგების ჯამი. ახლა შევაჯამოთ გადანაწილების კალათაში დანაკარგები. ოუკენი თვლის, რომ დანაკარგები ცოტაა. სხვები ფიქრობენ, რომ ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებისადმი დახმარების პროგრამები მომავალში ეროვნულ შემოსავალს გაზრდის. მესამენი, უპირატესად პროგრესულ დაბეგვრაში ეფექტიანობის დამანგრეველ ძალას ხედავენ.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს წარმოშობა. კლასიკური ეკონომიკური სკოლების წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ შემოსავლის განაწილება არ ემორჩილება ცვლილებებს. მათ სწამდათ, რომ სახელმწიფოს ყოველი ცდა ღარიბების მხარდასაჭერად კრახით დამთავრდება. მაგრამ როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, მთავრობის გადასახადების, ტრანსფერტებისა და სხვა პროგრამების დახმარებით შეიძლება ღარიბი ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლება.

შემოსავლების დონის დაცვის პროგრამები და სოციალური უზრუნველყოფა

სასურსათო ტალონები. მას შემდეგ რაც 60-იან წლებში აშშ შეეჯახა შიმშილს, სახელმწიფომ შეიმუშავა სასურსათო ტალონების პროგრამა. მცირეშემოსავლიანი ოჯახები იღებენ ტალონებს, რომლითაც მათ შეუძლიათ კვების პროდუქტების გარკვეული რაოდენობის შეძენა.

კეთილდღეობის დაცვა. ეს პროგრამები მოიცავს მიზნობრივი დახმარების ზოგიერთ ელემენტს — საკვებზე, ჩასაცმელზე ან ბინაზე, ასევე ტრანსფერტების შედეგად შემოსავლის პირდაპირ გადიდებას. ამ პროგრამების საშუალებების უფრო მნიშვნლოვანი ნაწილი ეძლევა მრავალშვილიან ოჯახებს, მოხუცებს, ინვალიდებს და სხვა გაჭირვებულ ადამიანებს.

სამედიცინო დახმარება. ყველაზე სწრაფად იზრდება სამედიცინო დახმარების პროგრამაში დაბანდებები მატერიალურად დაბალუზრუნველყოფილი ოჯახებისათვის.

ღარიბების დაბეგვრის პრობლემა. უცნაურია, მაგრამ ხდება რომ ყველაზე დიდ გადასახადს ღარიბები იხდიან. ეს შემდეგი მიზეზებით ხდება: დავუშვათ, რომ ოჯახის უფროსმა იპოვა სამუშაო წლიურად 10 ათასი დოლარის ანაზღაურებით. ამით ის კარგავს 1400 დოლარის სასურსათო ტალონებს და დახმარებას სხვა მიმდინარე საცხოვრებელი საჭიროებისათვის 6200 დოლარს, ბინისათვის 800 დოლარს და ა. შ. საერთოდ დახმარების დაკარგვა შეიძლება განვიხილოთ, როგორც გადასახადის სახესხვაობა. თუ ასე ჩავთვლით აღმოჩნდება, რომ მომუშავე ღატაკის გადასახადი გამომუშავების 95%-ს უდრის, ე. ი. ბევრად ჭარბობს თვით ღარიბების დაბეგვრის პროცენტს. დახმარების მოქმედი სისტემის შედეგად ღარიბებს მუშაობაში ექმნებათ ანტისტიმულები, რადგან ადამიანმა, რომელმაც სამუშაო მიიღო, შეიძლება დაკარგოს თავისი ხელფასის 90-დან 100 პროცენტამდე წინათ მიღებული დახმარების მხედველობაში მიღებით. ზოგი თვლის, რომ ასეთი სისტემა სიღარიბის შეკრულ ციკლს წარმოშობს.

უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი. ღარიბების დახმარების არსებული პროგრამის ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების

მეცნიერები თელიან, რომ დახმარების სისტემა არსებით რეფორმებს მოითხოვს. კონსერვატორები და ლიბერალები შეთანხმდნენ უარყოფით საშემოსავლო გადასახადზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ. როგორია ამ სახის გადასახადის ფუნქციონირების მექანიზმი? ოჯახი მცირე წლიური შემოსავლით (მაგალითად, 6000 დოლარი) თავისუფლდება გადასახადებისაგან და იღებს „უარყოფით საშემოსავლო გადასახადად" წოდებულ მატერიალურ დახმარებას. უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი მხოლოდ უმნიშვნელოდ ამცირებს ღარიბი ოჯახის ინტერესებს სამუშაოსადმი.

თავი 35

ცვლილებების დრო: ეკონომიკური ალტერნატივები

ჩვენი ყურადღება კონცენტრირებულია თანამედროვე შერეულ ეკონომიკაზე, კაპიტალისტურ დემოკრატიაზე. შეცდომა იქნებოდა მისი როლის შეუფასებლობა: ეს მსოფლიო წარმოების მოცულობის 60 პროცენტია. ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია ფაქტების უგულებელყოფა და ვაანალიზებთ როგორიც არის ისეთ რეალურ სამყაროს: იდეოლოგიების ბრძოლებით და ეკონომიკური სისტემის ალტერნატივებით. მარქსიზმი აზიასა და ევროპაში 1,5 მილიარდი ადამიანის მხარდაჭერით სარგებლობს. სოციალიზმი არსებობს ევროპაში და უმეტესი განვითარებადი ქვეყნების მოდელს წარმოადგენს.

ა. დიკენსიანის ევოლუცია

ეკონომიკის ძირითადი მიმართულებების განვითარება. ა. სმიტის მიერ „ხალხთა სიმდიდრის" (1776 წ.) პუბლიკაცია ჩვენ შეგვიძლია იმ ეკონომიკის დაბადების წლად მივიჩნიოთ, რომელსაც ამჟამად ვსწავლობთ.

კლასიკური ეკონომიკა. ა. სმიტი — თავისუფალი კონკურენციის წინასწარმეტყველი. ეკონომისტებს, რომლებიც ადამ სმიტამდე წერდნენ, ეკონომიკური პოლიტიკა აინტერესებდათ.

ა. სმიტის უდიდესი დამსახურება, რითაც ნათელი მოჰფინა სოციალურ სამყაროს ფიზიკის სამყაროში ი. ნიუტონის მსგავსად, თვითრეგულირებადი ბუნებრივი წესრიგის აღმოჩენა იყო. „თქვენ ფიქრობთ, რომ დაეხმარებით ეკონომიკურ სისტემას კარგად გააზრებული თქვენი კანონებით და უკუქმედებით. ცდებით... ხელები შორს! თვითდაინტერესების საცხი ზეთი ეკონომიკურ მექანიზმს საეცხოოდ მომუშავე მდგომარეობაში ამყოფებს. არავის სჭირდება გეგმა“ — წერდა ა. სმიტი. ფართო განათლების მქონე ა. სმიტს უფლება ჰქონდა წამოეყენებინა ცნობილი თეზისი „უხილავი ხელის“ შესახებ: „ყოველ ინდივიდს... განზრახული არა აქვს საზოგადოებრივი ინტერესებით იმოქმედოს... ის ირჯება მხოლოდ საკუთარი სარგებლობისათვის, მაგრამ ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, უხილავ ხელს იმ შედეგამდე მიჰყავს, რაც მისი განზრახვის ნაწილი არ არის“.

ეს წიგნი შედევრია, სადაც მან ჩამოთვალა მთავრობის მიერ ჩადენილ სისულელეთა უთვალავი შემთხვევა, მაგრამ ასევე უჩვენა თუ როგორ უნდა იმართებოდეს უკეთესად ᲔᲔᲙ-ის ზრდა. ამ წიგნმა საფუძველი ჩაუყარა მიწოდებისა და მოთხოვნის თანამედროვე საერთო გაწონასწორებულ ანალიზს. მაგრამ ეს არ კმარა იმის ასასსნელად, თუ „ხალხთა სიმდიდრემ“ რატომ იქონია ასეთი დრამატული გავლენა მომდევნო საუკუნეებზე. საქმე ისაა, რომ ბიზნესმენების მზარდ კლასს სჭირდება თავისი ინტერესების გამომხატველი. ა. სმიტმა მათ მისცა თავისუფალი კონკურენციის იდეოლოგია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ის ბიზნესმენების კლასის ლაქია იყო. ა. სმიტი ესმოდათ უბრალო ადამიანებს, ხოლო მის მიერ თავისუფალი კონკურენციის დაცვა იმ რწმენას ემყარებოდა, რომ გზა ეკონომიკური ჯოჯოხეთისაკენ კეთილი სურვილებითაა მოკირწყლული. ა. სმიტს მიაჩნდა, რომ მონოპოლისტური ბიზნესი და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება სიტუაციას გაუმჯობესების ნაცვლად გააუარესებს.

კლასიკური ეკონომიკა: მალთუსი და რიკარდო. „ხალხთა სიმდიდრის“ გამოსვლიდან 50 წლის მანძილზე აღმოაჩინეს კლებადი შემოსავლიანობის კანონი. ისტორიის ირონია იყო ის, რომ როგორც კი სამრეწველო რევოლუციამ ამ პირქუში კანონის საშინელი შედეგები დასძლია ბერმა თ. მალთუსმა

(1766—1834 წწ.) დაადგინა თეორია, რომელიც მოსახლეობის ზრდას უკავშირებდა, მუშების ხელფასის დაყვანას საარსებო საშუალებათა მინიმუმამდე.

მაგრამ მაინც დ. რიგარდო (1772—1823 წწ.) იყო ეპოქის უმნიშვნელოვანესი ფიგურა. მას თავის ინტელექტუალურ წინაპრად თელიან როგორც კლასიკური, ისე ნეოკლასიკური მიმართულების ეკონომისტები. ა. სმიტის ნაშრომის კითხვით მოხიბლული რიკარდო მაინც ამტკიცებს, რომ ა. სმიტის გამოკვლევებში შეცდომაა, ხოლო მისი მაკროეკონომიკური ანალიზი ლოგიკურად არათანამიმდევრულია და რომ არა ჯონ სტიუარტ მილის მამის — ჯეიმს მილის დაჟინებული რჩევები, რიკარდო მხოლოდ პამფლეტების ავტორი და პარლამენტის წევრი იქნებოდა. სწორედ ჯეიმს მილის გავლენით რიკარდომ დაწერა წიგნი — „პოლიტეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები“ (1817 წ.) მსოფლიომ იგი ამ წიგნით გაიცნო.

დ. რიკარდოს ერთ-ერთი მიღწევაა მიწის რენტის ბუნების ამომწურავი ანალიზი. ეს თეორია ჩვენთან თითქმის გაუშუქებელია. მან დაამუშავა შრომითი ღირებულების თეორია. სახელმწიფო ვალის სიმძიმის შესახებ მისი გამოკვლევა 80-იანი წლების მთავრობებისათვის კარგი გაფრთხილებაა. რიკარდოს მთავარი მიღწევაა კაპიტალისტურ ეკონომიკაში შემოსავლების განაწილების კანონის ანალიზი.

წინასწარმეტყველება ხელფასის სტაგნაციის შესახებ და ოპოზიციის კლასი. ნახევარი საუკუნე 1820-დან 1870 წლამდე რიკარდოს მონუსხული ჰყავდა ეკონომისტები და სახელმწიფო მოღვაწეები. მალთუსის მსგავსად, მან ის ცხენი აირჩია, რომელიც წარმატებას ვერ მოუტანდა, სახელდობრ კი, კლებადი შემოსავლიანობა და ეს სწორედ იმ დროს, როცა ტექნოლოგიურმა განვითარებამ ეს კანონი ეჭვქვეშ დააყენა.

რიკარდოს აზრით, მზარდი რენტა ეკონომიკის განვითარებას დაქვეითებით ემუქრება. მართლაც, პრაქტიკულად მიწის მესაკუთრეების როლი მკვეთრად დაეცა. ამჟამად მიწის რენტის წილი ᲔᲘᲐ-ში 5 პროცენტზე დაბალია.

ვინც რიკარდოს კითხულობდა, ყველა იზიარებდა იმ აზრს, რომ ეკონომიკის განვითარებას თან სდევს ადამიანთა უმეტესობის გაღარიბება. იგი უმნიშვნელოვანესად თვლიდა საზოგადოების ძირითად კლასებს შორის ეროვნული პროდუქტის გა-

ნაწილების კანონს, რომლის ძალითაც ხელფასი მუშებს, მოგება კაპიტალისტებს, ხოლო რენტა მიწის მესაკუთრეებს უნაწილდება. ის ფიქრობდა, რომ სოციალური ნამცხვრის შეზღუდული ზრდის დროს ერთ სოციალურ კლასს უნარი აქვს თავისი მოხმარება მხოლოდ სხვების ხარჯზე გააფართოოს.

გასაკვირი როდია, რომ კაპიტალისტები მეტად აფასებენ რიკარდოს, მის შეხედულებებში მოძებნეს იმის დამამტკიცებელი თეორიული დებულება, რომ რეფორმებს არა აქვს მშრომელი მასების მდგომარეობის გაუმჯობესების უნარი. გასაკვირი არც ისაა, რომ სოციალისტები ეთაყვანებოდნენ რიკარდოს. ისინი რიკარდოს შრომებში პოულობდნენ თავის იმ იდეების მხარდაჭერას, რომელთა მიხედვითაც კაპიტალიზმი დაემხობა, თუ მუშები ეროვნულ პროდუქტში ღირსეული ადამიანური წილისათვის ბრძოლას მოიგებენ.

დეკადანსი კლასიკურ ეკონომიკაში. მეცნიერი ისტორიკოსები მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება მეცნიერება, როგორ აღმოცენდება აზრის ახალი სკოლები, როგორ იკაფავენ ისინი გზას სკეპტიკოსების დარწმუნებით. მაგრამ ადამიანების მსგავსად სკოლების შებოჭვაც შეიძლება. სტუდენტები წიგნებში არსებულ დაუბალზამებელ სიმართლეს სწავლობენ. ამასთან ორთოდოქსალური დოქტრინების არასრულყოფილება იგნორირებული ან ნაკლებმნიშვნელოვანია. დგება ახალი სისხლის გადასხმის ჟამი.

ნეოკლასიკური ეკონომიკსი. საუკუნის წინ ეკონომიკსის ხე დაიტოტა. ერთი ტოტი კ. მარქსის „კაპიტალიდან" გაიზარდა. ის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის ანალიზისათვის და მას ამ თავის ცალკე ნაწილში გამოვიკვლევთ.

მეორე ტოტია ნეოკლასიკური და კეინსური ეკონომიკსი. კლასიკოსი მწერლები ყურადღებას ამახვილებდნენ დანახარჯებზე, უარყოფდნენ სარგებლიანობასა და მოთხოვნას. იმის შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ისინი მუშაობდნენ მიწოდების ჰორიზონტალური მრუდით, იგნორირებდნენ მოთხოვნის ყველა მრუდს.

დაახლოებით 1870 წ. სამმა მეცნიერმა ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საფუძველი ჩაუყარა მეტად შეწონილ ანალიზს, რომელშიც სინთეზირებულია როგორც

სარგებლიანობა, ასევე დანახარჯების ელემენტებიც, ეს მეცნიერები იყვნენ: ვ. ჯევონსი (1835—1882 წწ.) ინგლისში, კ. მენგერი (1840—1921 წწ.) ავსტრიაში და ვ. ვალრასი (1834—1910 წწ.) შვეიცარიაში.

სარგებლიანობა, მარჟინალიზმი, საერთო წონასწორობა. ნეოკლასიკური რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი იყო პროდუქტებზე მოთხოვნასთან სარგებლიანობის კავშირის გაგება. ზღვრული სარგებლიანობის აპარატმა ფასებსა და პროდუქციის რაოდენობაზე სარგებლიანობის ზემოქმედების ანალიზთან ერთად სავაჭრო მექანიზმის დასრულებულ თეორიაში უკმარისი რგოლი წარმოშვა.

და ბოლოს, ლ. ვალრასმა დაამუშავა საერთო კონკურენციული წონასწორობის თეორია. მოგვიანებით ი. შუმპეტერმა (1883—1950 წწ.) აღნიშნა, რომ ყველა დიდ ეკონომისტთაგან ვალრასი უდიდესი იყო, რადგან მან წამოაყენა საერთო წონასწორობის იდეა.

მათემატიკური ეკონომიკა და ეკონომეტრიკა. ჯევონსმა, პარეტომ და ვალრასმა XIX ს. ბოლოს ეკონომიკაში შეიტანეს მათემატიკა, 1930 წ. შემდეგ აღორძინდა მათემატიკური მეთოდების გამოყენება ეკონომიკაში.

ეკონომიკური ინსტრუმენტები ეყრდნობა ალბათობის თეორიასა და სტატისტიკის გამოყენებას ეკონომიკის სფეროში და წარმოადგენს ჩვენი დროის ღირსშესანიშნავ მიღწევას.

კეთილდღეობის ეკონომიკა. ნეოკლასიკოსები, ადრეული პერიოდის ეკონომისტების მსგავსად, პოლიტიკასთან იყვნენ დაკავშირებულნი. მაგრამ ისინი მიხვდნენ, რომ საჭირო არ არის პოზიტიურ გამოკვლევებთან ნორმატიული საკითხების არევა. მათ გაანალიზეს შემოსავლების უთანაბრობის შემცირების სხვადასხვა ტექნიკა, დაამუშავეს სპეციფიკური ინსტრუმენტები — სამომხმარებლო მოგება, სახელმწიფოს ჩარევით გამოწვეული ზარალი და სხვ.

ნეოკლასიკური ეკონომისტები უმეტეს შემთხვევაში არ იცავდნენ თავისუფალი კონკურენციის იდეას. სამრეწველო რევოლუციის დასაწყისში დიდი ეკონომისტები საერთოდ აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმის დროს უთანაბრობას. კემბრიჯელი ეკონომისტი ა. ს. პიგუ ამტკიცებდა, რომ მთავრობამ უნდა შეარბილოს უთანაბრობა, აწარმოოს მონოპოლიების მოქმე-

დების კომპენსირება და მოახდინოს მკვეთრი ნახტომების კორექტირება.

დღეს საზოგადოებრივი შერჩევის ახალ მიმართულებებში, წინ წამოიწია კეთილდღეობის ეკონომიკის ანალიზი.

პოლიტიკური ინტერესები. პოლიტიკური ეკონომიკის მეცნიერულ საფუძველზე დამკვიდრების შემდეგ არასოდეს არ იყო იგნორირებული პოლიტიკური საკითხების დამუშავება. ზოგიერთი დიდი ეკონომისტი არსებული წესრიგის აუცილებელი შეცვლის რწმენის მამამთავარი იყო, მაგრამ უმეტესობას მხოლოდ დიდი ეკონომიკური წესრიგი უნდოდა.

ამ მხრივ საინტერესოა დიდი სკანდინავიელი ეკონომისტის კ. ვიკსელის (1851—1926 წწ.) ბიოგრაფია. ის არასოდეს არ ერიდებოდა არაპოპულარული იდეების მხარდაჭერას. მაგალითად, როცა მეფის არმია შვედების საზღვარზე იდგა, ვიკსელი ეროვნული არმიის განიარაღებას ურჩევდა. საზოგადოების შესახებ თავისი რეკომენდაციებით მხარს უჭერდა კეთილდღეობის სახელმწიფოს გაჩენას მისთვის დამახასიათებელი შემოსავლის გადანაწილებით და ტრანსფერტული გადასახდელებით. ვიკსელმა ეკონომიკური ანალიზით უარყო უპერსპექტივო სოციალიზმი, როგორც მოძრაობის გზა.

თანამედროვე ეკონომიკის იდეოლოგები უკიდურესად დაინტერესებულნი არიან იმით, რომ მათი თეორია გამოიყენონ ეკონომიკური პოლიტიკის დასამუშავებლად, მათ სურთ ეკონომიკური პროგრესის საუკეთესო გზების პოვნა.

კეინსური რევოლუცია. ნეოკლასიკურ ეკონომიკას კარგად განვითარებული მაკროეკონომიკის და მიკროეკონომიკის გაერთიანება სჭირდებოდა. და აი დიდი დეპრესიის დროს გამოჩნდა ჯ. მ. კეინსის „დასაქმების, სარგებლის და ფულის საერთო თეორია". წარსულს ჩაბარდა სეის გულუბრყვილო რწმენა და კანონი „პარბწარმოებაზ შესაძლებლობის უარყოფის შესახებ. ა. მარშალის (1842—1924 წწ.) და ი. ფიშერის (1867—1947 წწ.) მიერ დასაბუთებული ფულისა და ფასების დონის ნეოკლასიკური თეორიაც კი კეინსური კონცეფციის ტერმინებით გამოსაცემელი უფრო შედეგიანი აღმოჩნდა.

ეკონომიკის მთავარი მიმართულება. კეინსის იდეების გამოკვლევით ჩვენ მივედით ეკონომიკის თანამედროვე მთავარ მიმართულებასთან, რომელიც დომინირებს ამერიკაში, ევროპაში, იაპონიაში.

მიუხედავად ამისა, ჩვენი მიზანი არაა უკანასკნელთა მიღწევებით სახელის მოხვეჭა. როგორც უკვე ვთქვით, განვითარებულმა ქვეყნებმა ვერ მიაღწიეს ეკონომიკურ ნირვანას.* მათ ვერ იპოვეს ღონისძიებათა ისეთი კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფდა სრულ დასაქმებას, სტაბილურ ფასებს და თავისუფალ ბაზრებს.

თუ ფხიზელი თვალით შევხედავთ შერეული ეკონომიკის ნაკლს, ამით ჩვენ ავითვისებთ ეკონომიკისის მთავარი მიმართულების კრიტიკას, რომელიც ჭარბობდა წარსულში, ჭარბობს ამჟამად და აყვავდება მომავალში.

თანამედროვე კრიტიკა. აქ ჩვენი ყურადღება კონცენტრირებულია ეკონომიკისის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე.

ჩიკაგოს სკოლა. რადგან ჩვენ ვიწყებთ სპექტრის მარჯვენა ფლანგიდან, ვიხილავთ იმათ მოსაზრებებს, ვინც აქცენტს აკეთებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში პირად თავისუფლებაზე. ესენი თავისუფალი ბაზრის თანამედროვე მოციქულები არიან. „მინიმუმი სახელმწიფოს" მათ თეორიას განსაკუთრებით აქტიურად უწევენ პროპაგანდას ფ. ნაიტმი, გ. სეიმონსმი, ფ. ხაიეკმი, მ. ფრიდმანი. როგორც ისინი შეგვახსენებენ, საბაზრო ფასწარმოქმნა სრულყოფილია, რომ საზოგადოება თანდათან შორდება ბაზრის მიერ განხორციელებული ნაროვის იდეას.

ყველა პოლიტიკური რწმენის ადამიანმა უნდა წაიკითხოს ფრიდმანის „კაპიტალი და მსოფლიო". ეს გარკვეული თვალსაზრისით ლოგიკურად კარგად აგებული და დამაჯერებელი ახსნა-განმარტებაა. კითხვის დაწყებისას თქვენ უნდა შეეკითხოთ საკუთარ თავს: შეგიძლიათ თუ არა თქვენ იყოთ სოციალური დაზღვევის და წყალდიდობის დროს დახმარების წინააღმდეგი, მინიმალური ხელფასის, ხელფასებსა და ფასებზე კონტროლის, ციკლის საწინააღმდეგო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის, აუცილებელი და თავისუფალი სახელმწიფო სწავლების წინააღმდეგი? ფრიდმანი დარწმუნებით ამტკიცებს, რომ ეს პროგრამები არაა საჭირო, რადგანაც ის ხელს უშლის პიროვნულ თავისუფლებას.

---

* ნირვანა — ბუდისტების მისტიკური მოძღვრების მიხედვით: უდიდესი ნეტარება, რომელსაც ადამიანური ზრუნვისა და მისწრაფებებისაგან სრული განთავისუფლებით აღწევენ (მთარგმნელი).

რაციონალური ლოდინის მაკროეკონომიკა. მიკროეკონომიკის ჩიკაგოს სკოლის ლიბერალური შეხედულებების დამატებით არსებობს მაკროეკონომიკის ანალოგიური სკოლა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს რ. ლუკასმა ჩიკაგოდან და ტ. სარჯენტმა მინესოტიდან. ეს მაკროეკონომისტები ასევე თვლიან, რომ მთავრობის პოლიტიკა შეიძლება საზიანოც იყოს. რაციონალური ლოდინის სკოლების თეორიის თანახმად, მოქნილი ფასებისა და რაციონალური ლოდინის სამყაროში მთავრობის მონეტარული პოლიტიკა წარმოების მოცულობაზე გავლენას არ ახდენს. თუ ასეთი პოლიტიკის შედეგი წინასწარ არ არის ცნობილი, მაშინ ის სამრეწველო ციკლის დათრგუნვის ნაცვლად უფრო დესტაბილიზაციას გამოიწვევს.

თანამედროვე კაპიტალიზმის კრიტიკა. ა. სმიტის შემდეგ ორი საუკუნის მანძილზე კაპიტალიზმის კრიტიკის ცეცხლი მარცხნიდან არ ცხრებოდა. მაგრამ სად არიან დღევანდელი ბარქსი, ენგელსი, პრუდონი, გრამში, ბარანი, სიუზი? რა, განა არავინაა, ვინც ჩვენი შერეული ეკონომიკის რევოლუციური ან თუნდაც ევოლუციური შეცვლის საქმეში ლიდერის მანტიას მოისხავს? მარცხნიდან კრიტიკოსები დღეს რამდენიმეა. უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ერთ-ერთი მათგანი იყო ჯ. გელბრეიტი. მისი მთავარი დასკვნებია: უმეტესი — არ არის უცუდესი. მსხვილი კორპორაციები — უმეტესად ტექნიკური მიღწევის წყაროა, მაგრამ მათ წარმოშვეს ტექნოკრატია — ელიტა, რომელიც ულტიმატუმურად ღებულობს გადაწყვეტილებებს და ხელმძღვანელობს ფირმებს, მთავრობებს და უნივერსიტეტებს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, მომხმარებლებს არა აქვთ საკუთარი თავისუფალი შეხედულებები. რეკლამა აყალიბებს ჩვენს უპირატესობებს. ჩვენ ვართ საზოგადოება, სადაც სახელმწიფო სექტორი გამოფიტვისაგან კვდება, ხოლო კერძო სექტორი სრული სიცოცხლით ცხოვრობს.

ჩვენ ვხედავთ, რომ დიდი ბიზნესი ადრე შუმპეტერის იდეებში იყო განდიდებული, ხოლო ისეთი გამოთქმა როგორიცაა, მაგალითად, „სიუხვის საზოგადოება" წარმოებულია ტაუნის „მოხმარების საზოგადოებიდან".

მაგრამ საერთოდ ბიზნესის კრიტიკაში გამოტოვებულია ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ტექნოლოგიაში პრინციპულ

ძვრებს ხშირად ადგილი აქვს არა გამომგონებლების, არამედ ნოვატორების მოქმედების შედეგად, ხოლო ისტორიაში წამყვან როლს ასრულებს ახალი იდეის წამომყენებელი მეცნიერი.

რადიკალური ეკონომიკსი. ჩვენ მივედით სპექტრის რადიკალურ ფლანგთან, მეცნიერებთან, რომელთაც დღევანდელი შეიეული კაპიტალისტური რეჟიმის მთლიანი შეცვლა სურთ.

ახალი მემარცხენეების აღმოცენება. ორი ათეული წლის წინ, ვიეტნამთან ომის დროს აღმოცენდა „ახალი მემარცხენეების" სკოლა და მისი დამფუძნებელი ჯგუფი — რადიკალური პოლიტეკონომიის კავშირის სახელწოდებით. ამ კრიტიკის ხასიათს წარმოგიდგენთ ჯგუფის ერთ-ერთი გამოჩენილი წევრის სტენფორდელი ჯ. გელის სიტყვებით: „ამერიკული იმპერიალიზმის რადიკალურ გამოკვლევებში გაანალიზებულია თუ როგორ იქმნება მოგება აშშ-ში, მისი წამყვანი როლიდან გამომდინარე... ინტერნაციონალურ კაპიტალისტურ სისტემაში. სხვა რადიკალურ გამოკვლევებში განხილულია, თუ როგორ ღებულობენ მოგებას აშშ-ში გარკვეული ჯგუფები, რომლებიც იერარქიულ კლასობრივ სტრუქტურაში ექსპლოატაციას იყენებენ..."

რადიკალური კრიტიკა დღეს. ენთუზიაზმის პირველი ტალღის გადავლის შემდეგ მემარცხენეები იატაკქვეშ გადადიოდნენ. მყუდროება 70-იან წლებამდე გაგრძელდა. მხოლოდ კონსერვატორული პოლიტიკის შემოღებამ გააქტიურა მარცხენა ფრთა. რა არის მათ კრიტიკაში ძირითადი.

ბაზრების უარყოფა. გელბრეიტის მსგავსად, ისინი გრძნობენ, რომ ჩვენი გემოვნების მანიპულირებას ახდენენ რეკლამის დახმარებით. როგორ შეიძლება ერმა გიგანტური სახსრები დახარჯოს სამშვენისებზე, მაშინ როდესაც მილიონობით ადამიანი შიმშილობს, თავშესაფარი არა აქვს? რადიკალები დემოკრატიული დაგეგმვისაკენ, ბაზრის კანონების სხვებით შეცვლისაკენ მოუწოდებენ.

თანამედროვე მაკროეკონომიკის უარყოფა. რადიკალები უეულებელყოფენ მოსაზრებას, რომ ფასები და ხელფასი შეიძლება თავისუფლად მოძრაობდეს. ისინი ხელფასსა და ფასებზე კონტროლს ინფლაციის შეჩერების საშუალებად თვლიან.

სამრეწველო პოლიტიკა. რადიკალების უმეტესობის აზრით, კაპიტალიზმის უხეშ და რეპრესიულ რეჟიმს მუშები მძიმე მდგომარეობაში ყავს და ნაყოფიერების გაზრდას აიძულებს, ზოგიერთი დაგეგმვის აპარატის აღდგენას მოუწოდებს. მაგრამ ლეონდელი რადიკალები მთავრობის ბიუროკრატიასაც კი არ ენდობიან. ისინი აშკარად ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კომუნიზმის რეპრესიულ რეჟიმს, როგორც ინდივიდუალური თავისუფლების დამანგრეველს.

სამართლიანობის შექმნა. თანამედროვე რადიკალები, უფროს თაობასთან ერთად, ნერგავენ სიძულვილს ბაზრის მიერ შექმნილი უთანაბრობისადმი. მაგრამ წინა თაობებისაგან განსხვავებით, ისინი ვერ ბედავენ კონფისკაციური ხასიათის საგადასახადო პროცენტის შემოღების რჩევის მიცემას.

როგორ შევაფასოთ ახალი მემარცხენეების შეხედულებები? შესაძლებელია ამ ოვალსაზრისით უფრო ღრმა გამოკვლევები ეკუთვნის შვედ ეკონომისტს ა. ლინდბეკს, რომელმაც 1971 წ. ამერიკაში გამოსცა წიგნი „ახალი მემარცხენეების პოლიტიკური ეკონომია — მიუკერძოებელი შეხედულება". მან აღნიშნა, რომ მემარცხენეები აკრიტიკებენ როგორც ბაზარს, ასევე ბიუროკრატიულ სახელმწიფოს. მაგრამ მხოლოდ უარყოფა ჯერ კიდევ არ კმარა, ბიუროკრატია და ბაზარი ხომ ცნობილი მექანიზმია, რომლის მეოხებით თანამედროვე ეკონომიკას შეუძლია გადაწყვიტოს საკითხები: რ ა? რ ო გ ო რ? ვ ი ს თ ვ ი ს? სარგებლობისათვის თუ უბედურებისათვის, ახალ მეცნიერებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ დაარწმუნონ თავისი პროფესიული დები და ძმები იმაში, რომ თანამედროვე შერეული ეკონომიკის გადაუჭრელ პრობლემებზე შეტევისათვის რადიკალური მიდგომა უფრო პროდუქტიულია.

ბ. მარქსიზმი და ალტერნატიული ეკონომიკური სისტემები

კაპიტალიზმის კრიზისები. სამრეწველო რევოლუციიდან მოყოლებული კაპიტალიზმი კრიზისებსა და დეპრესიებს განიცდიდა. ყოველ ასეთ ეტაპზე ეკონომისტები და ფილოსოფოსები წინასწარმეტყველებდნენ ამ სისტემის სიკვდილს, ხატავდნენ. საზოგადოებრივი წყობილების განვითარების სქემებს საზოგადოების პირველყოფილ-თემური წყობილებიდან ფეო-

დალიზმისაკენ, შემდეგ კაპიტალიზმისაკენ, ხოლო შემდეგ სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ. XX ს. ამ სქემებმა მნიშვნელობა დაკარგა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში დემოკრატიული მთავრობა დამკვიდრდა და კაპიტალიზმის მომაყალი მშვიდი და მყარი გახდა. მაგრამ ათი წლის შემდეგ ტოტალიტარულმა ფაშიზმმა თანდათან დაფარა ევროპის რუკა, შეავიწროვა საბაზრო ეკონომიკა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კაპიტალიზმის კრიტიკოსები კვლავ ჩიხში აღმოჩნდნენ: დასავლეთისა და იაპონიის შერეულმა ეკონომიკამ წარმოებისა და მის საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი განვითარების მაგალითი უჩვენა.

მაგრამ ამ მიღწევაში უკვე იყო დაქვეითების ჩანასახები: ინფლაცია, 70-იანი წლების ნავთობის კრიზისი, უმუშევრობის ზრდა და ღარიბი ქვეყნების საგარეო ვალის გადიდება, კრიზისული მოვლენები საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში და ისევ, მარჯვნიდან და მარცხნიდან კაპიტალიზმს თავს დაატყდა კრიტიკა.

„იზმების" თაიგული. კაცობრიობა ყოველთვის ისწრაფოდა უფრო სრულყოფილი საზოგადოებისაკენ. ფინანსისტები თავის შრომებს ხშირად საზოგადოების კონკრეტული ავადმყოფობის აღწერით იწყებდნენ, შემდეგ იდეალური სტრუქტურების სურათს ხატავდნენ და მას საზოგადოებრივი ყოფის გარდაქმნის უტოპიური რეკომენდაციებით ამთავრებდნენ. აქ უკიდურესია ანარქიზმისა და კოლექტივიზებული ტოტალიტარული კომუნიზმის კონცეფციები. სწორედ ამ უკიდურეს კონცეფციებს შორისაა კონცეფცია შერეული ეკონომიკის შესახებ.

ძირითადი კატეგორიები. დღევანდელი სამყაროს შესაცნობად საჭირო არ არის ათას ერთი „იზმის" განხილვა. საკმარისია ავხსნათ შერეული ეკონომიკის წარმომშობი თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმის არსი; მარქსიზმი; სოციალიზმი; საბჭოთა კომუნიზმი.

თავისუფალი კონკურენცია არასოდეს არ არსებობდა წმიდა სახით, ამიტომ დავახასიათოთ სამი დანარჩენი „იზმი".

მარქსიზმი. რა დასკვნებამდე მივალთ, თუ კაპიტალისტურ ეკონომიკას კ. მარქსის მოძღვრების პრიზმში განვიხილავთ. გულმოდგინე შესწავლა გვიჩვენებს, რომ ფასების მარქსისტუ-

ლი თეორია რაღაცით ჰგავს რიკარდოს თეორიას. კ. მარქსის მიზანი იყო აეხსნა მოგების, როგორც კაპიტალისტების „უშრომელი შემოსავლის“, ბუნება. თავის თეორიაზე დაყრდნობით მარქსმა აღწერა საზოგადოების გადასვლა სოციალიზმზე, საზოგადოებაზე, სადაც „ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციით“ მუშები თვით ითვისებენ ზედმეტ ღირებულებას.

წინასწარმეტყველება. კ. მარქსის დროინდელი კაპიტალისტების მიზანი დაგროვება იყო. თუმცა კაპიტალის დაგროვების ზრდის კვალობაზე მოგების დონე მცირდება; ზედმეტი ღირებულების მიღებისაკენ სულ უფრო მეტ მისწრაფებას მუშათა კლასი მიჰყავს გაღატაკებამდე, წარმოშობს შრომისადმი ზიზღს, „შრომის სარეზერვო არმიის“ ზრდა ხელს შეუშლის ხელფასის ზრდას და მას საშუალებას არ მისცემს გადააჭარბოს საარსებო საშუალებათა მინიმუმს. შემდეგ, ინვესტიციებიდან შემოსავლების შემცირება საკუთარ „სახლში“, კაპიტალისტებს გაიყვანს კოლონიებში, და როგორც შემდგომ ლენინმა დაასაბუთა, განვითარდება იმპერიალიზმის სტადია. ბოლოს და ბოლოს დეპრესიის კატაკლიზმები კაპიტალიზმს სიკვდილამდე მიიყვანს, საზოგადოებრივი წარმოება მონოპოლიზებული იქნება ერთადერთ ტრესტად, მუშები რევოლუციას მოახდენენ.

გავიდა ათეული წლები და თვალნათელი გახდა, რომ დრამა მარქსის მიერ დაწერილი სცენარის მიხედვით არ გათამაშდა. მუშები ხარობდნენ მზარდი რეალური შემოსავლებით და შემცირებული სამუშაო დღით, ხოლო მუშათა კლასის წილი ეროვნულ შემოსავალში იზრდებოდა. შემოსავლების დონეს არ ჰქონდა შემცირების ტენდენცია, რადგან ტექნიკური სიახლეები ინარჩუნებენ შინაგანი ინვესტიციების დონეს.

რაც შეეხება სამრეწველო ციკლებს, აქ მარქსის წინასწარმეტყველება თითქოს მტკიცდება წარმოშობილი ღრმა დეპრესიებით. მაგრამ შეეძლო კი მარქსს განეპვრიტა, რომ კეინსის „საერთო თეორია“ დასახავდა მაკროეკონომიკისა და დასაქმების წარმატებულ გზას?

მარქსისეული ეკონომიკის მოკლე ნარკვევს მხოლოდ მიახლოებითი წარმოდგენა შეუძლია მოგვცეს მისი შემოქმედის წინააღმდეგობრივი ფიგურის შესახებ.

სოციალიზმი. სოციალიზმი როგორც დოქტრინა, სათავეს

ილებს მარქსისა და XIX საუკ. რადიკალურად მოაზროვნეთა გამოკვლევებიდან. სოციალიზმი — **საზოგადოების შუალედური** მდგომარეობაა წმინდა კაპიტალიზმსა და საბჭოთა კომუნიზმს შორის. სოციალისტური თეორიების უმეტესობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: საწარმოო რესურსებზე სახელმწიფო საკუთრება, კერძო საკუთრება შეზღუდულია.

დაგეგმვა. ამ უკანასკნელის მექანიზმი გამოიყენება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების კორდინაციისათვის, მუშებისა და საზოგადოების მიერ განხორციელებული „სამრეწველო პოლიტიკის" საფუძველზე.

შემოსავლების განაწილება. საგადასახადო ბერკეტების* დახმარებით შემოსავლების განაწილებამ ზოგიერთ ქვეყანაში 98 პროცენტს მიაღწია.

მუვიდლიანი და დეპოკრატიული პლურალიზმი

კონვერგენცია კაპიტალიზმთან? თუ თანამედროვე სოციალიზმის მრავალი პრინციპი შეესაბამება ამერიკულს, ამაში გასაკვირი არაფერია. მცირედი გადაჭარბებით ჯ. გელბრეიტი და იან ტინბერგენი თანამედროვე სამრეწველო სახელმწიფოებს კონვერგენციულს უწოდებენ. ახალი სამყარო არ არის კაპიტალისტური, მასში ჭარბობს შერეული ეკონომიკები.

საბჭოთა კომუნიზმი. კ. მარქსი თვლიდა, რომ კაპიტალიზმი სოციალიზმში ტრანსფორმირდება და ეს გადასვლა თავდაპირველად უფრო განვითარებულ ქვეყნებში მოხდება. გარდამავალი ფაზის შემდეგ სოციალიზმი კომუნიზმად იქცევა.

ფაქტობრივად ეს უდიდესი ექსპერიმენტი ბოლშევიკებმა დაიწყეს ეკონომიკურად ჩამორჩენილ რუსეთში ხელისუფლების ხელში ჩაგდებით. 1917 წლიდან საბჭოთა „კავშირში" შეიქმნა უზარმაზარი სამხედრო და ეკონომიკური ძალა.

რატომ ვსწავლობთ საბჭოთა ეკონომიკას? იმიტომ, რომ თანამედროვე სამყაროში ძლიერდება იდეოლოგიური და სამხედრო მეტოქეობა. დასავლეთის ქვეყნების მიღწევები დამოკიდებულია სსრ კავშირში ეკონომიკურ მოვლენებზე. საბჭოთა სისტემის შესწავლით ჩვენ ვიკვლევთ ასევე თუ რამდენად წარმატებით უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას საბჭოთა კომუნიზმი. იზრდებოდა თუ არა საბჭოთა ეკონომიკა უფრო სწრა-

* აქ და მომდევნო გვერდებზე იგულისხმება ყოფილი საბჭოთა კავშირი (რედ.).

ფად, ვიდრე დასავლეთის შერეული ეკონომიკა? გამოდგება თუ არა საბჭოთა სისტემა სხვა განვითარებული ქვეყნების მოდელად. გახდება თუ არა თავდაცვაზე დახარჯული ᲔᲔᲐ-ის უდიდესი ნაწილი საბჭოთა ეკონომიკის განვითარების დაუძლეველ მუხრუჭად?

საბჭოთა ეკონომიკა დღეს. სამეურნეო ასპექტში ყველაზე მნიშვნელოვანია ის გაკვეთილი, რომ მბრძანებლურ ეკონომიკას ფუნქციონირების უნარი აქვს. წარმოების საშუალებათა სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებულ, მოგების როგორც ძირითადი სტიმულის მოტივის არარსებობის დროს, ადმინისტრაციული დიქტატის პირობებში — ასეთმა ეკონომიკამ შეიძლება კარგად „იტრიალოს" დიდი ხნის მანძილზე. განვითარების მიმართულებების უმეტესობის წარმატება უდავოა, კრიტიკა კი შეეხო სოფლის მეურნეობის არაეფექტიანობასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, უკანასკნელ წლებში ეკონომიკური ზრდის შენელებას, სამომხმარებლო საქონლის დაბალ ხარისხს და შესაძლებელია ყველაზე მთავარის — მიღწეული წარმატებებისათვის ადამიანების სიცოცხლით ანგარიშსწორებას და პოლიტიკურ რეპრესიებს.

ეკონომიკური ზრდის შედარებითი ანალიზი. ომისშემდგომ პერიოდში აშშ და სსრკ მეტოქეობდნენ საერთაშორისო სარბიელზე მოკავშირეების საზოგადოებრივი შეხედულებებისათვის იარაღისა და რაკეტების წარმოების საკითხებზე, ასევე ეკონომიკის დარგში. 1958 წ. საბჭოთა პრემიერი ხრუშჩოვი იკვეხნიდა, რომ სსრ კავშირი ეკონომიკურად დაასამარებს აშშ-ს. ამერიკული ეკონომიკის სტაგნაციის პერიოდში, როცა საბჭოთა გეგმები ხორციელდებოდა და საბჭოთა თანამგზავრის პირველმა გაშვებამ საბჭოთა კავშირი გადააქცია მოწინავე ტექნოლოგიურ სახელმწიფოდ, ეს საესებით შესაძლებლად მოსჩანდა. სსრ კავშირს შეეძლო გაესწრო აშშ-ის შერეული ეკონომიკისათვის. როგორ ფუნქციონირებდა მსოფლიოს უმსხვილესი მბრძანებლური ეკონომიკა? ამ კითხვაზე პასუხის დროს აღვნიშნავთ ეკონომიკის უმთავრეს მიზნებს: სწრაფი ეკონომიკური ზრდა, თანასწორობა, უმუშევრობისა და ინფლაციის არარსებობა. 20-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა ლიდერების მთავარი მიზანი — ინდუსტრიალიზაცია — ნამდვილად შთამბეჭდავად ხორციელდებოდა. თანაც ბევრად უფრო

სწრაფი ტემპებით, ვიდრე ამას შეძლებდა რომელიმე საბაზრო ეკონომიკა. როგორია მათი წყაროები?

უკანასკნელ ხუთწლეულში (1981-1985 წწ.) სსრ კავშირის ეეპ წელიწადში გაიზარდა 2,5%-ით, რაც ხუთწლედებთან შედარებით ორსებით დაცემას ნიშნავდა. რა არის ამ დაცემის მიზეზები? მათგან უმნიშვნელოვანესია ტექნიკურ სიახლეთა სუსტი ათვისება, რამდენიმე ცუდი მოსავალი ზედიზედ, დანახარჯების ზრდა ელექტროენერგიის მისაღებად, მართვის გეგმიანი აპარატის სიდიდე და მოუქნელობა.

რეფორმები და ალტერნატიული სოციალისტური მოდელები

დიდი თუ მცირე ცენტრალიზაცია? ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განსჯის ერთ-ერთი საგანია. ზოგს უნდა ცენტრალიზებული დაგეგმვა შეინარჩუნოს, ზოგს — გადაწყვეტილებების მიღების დეცენტრალიზებული პროცესი და მიზნებისა და მოგებისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება. ცენტრალიზაციის მომხრენი გვთავაზობენ მხოლოდ იმით შემოფარგვლას, რომ დაგეგმვის პროცესს მიუერთოთ მათემატიკური მეცნიერებანი, მაგალითად რუსეთიდან გადმოსახლებულ ვ. ლეონტიევის მიერ დამუშავებული მოდელი: „დანახარჯები-გამოშვება". სხვანი (ნობელის პრემიის ლაურეატი — კანტოროვიჩი და აკადემიკოსი ნოვოჟილოვი) გვთავაზობენ წრფივ პროგრამირებას დეფიციტური რესურსების შეფასებისათვის და დაგეგმვის ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მბრძანებლური ეკონომიკის შენარჩუნებისათვის. მეორე მხარეს დგანან დეცენტრალიზაციის მომხრენი. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ წარმოების მოცულობის ზოგადი მაჩვენებლების გამოყენება იწვევს გაყალბებას, რაც ძლიერდება იმ ფასების გამოყენებით, რომელშიც სუსტადაა ასახული ეკონომიკური იშვიათობა და რესურსების დეფიციტი. ეს ჯგუფი ცნობილია ე. ლიბერმანის ნაშრომებით.

ე. ლიბერმანის იდეებზე დაყრდნობილი 60-იანი წლების რეფორმა საკმაოდ რადიკალური იყო, თუმცა არ ითვალისწინებდა, რომ მისი განვითარება ლანგეს გზით, ე. ი. საბაზრო სოციალიზმის გზით, უნდა წასულიყო.

რეფორმის შესახებ საკმაოდ ხმაურიანი პაექრობა გაიმარ-

თა, მაგრამ საბჭოთა ეკონომიკის ფუნქციონირებაში ამან საგრძნობი ცვლილებები ვერ შეიტანა. ერთ-ერთი უმსხვილესი ცვლილება იყო სარგებლის დაწესება კაპიტალზე, რომლის განაკვეთები გადაიხდევინება ისევე, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში, ნაკლებად პრიორიტეტული ინვესტიციების გაცრილვის მიზნით.

ნაწილი VII
ეკონომიკური ზრდა და საერთაშორისო ვაჭრობა

თავი 36

ეკონომიკური ზრდა: თეორია და პრაქტიკა

ა. ეკონომიკური ზრდის თეორია

ეკონომიკური ზრდა ყველა ერის ცენტრალური ამოცანაა. ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აშშ-ში იმართება საპრეზიდენტო არჩევნები, საბჭოთა კავშირში ქვეყნის დაჩქარებულმა ინდუსტრიალიზაციამ ბევრი სიცოცხლე შეიწირა.

მოცემულ თავში ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკური ზრდის საკვანძო საკითხებს. როგორ უზრუნველვყოთ ცხოვრების დონე და კაპიტალის დაგროვება? არის თუ არა სხვაობა სამრეწველო ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მოდელებში? რა არის ეკონომიკური ზრდის წყარო? და რისი გაკეთება შეუძლია ერს თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ისტორიის საფეხურები. ას წელზე მეტი ხნის წინ ფ. ლისტმა (1841) ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა“ საზოგადოების ისტორია სტადიებად დაჰყო. ფ. ლისტის, კ. მარქსის და სხვა ეკონომისტების თეორიების შესაბამისად, საზოგადოების ევოლუცია ერთი მიმართულებით ხდება და თანდათანობით განიცდის პროგრესს.

პრიმიტიული კულტურები, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენდა ნადირობა და მიწათმოქმედება, შეიცვალა ფეოდალიზმით. შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა მიწის საკუთრებაზე დამყარებული ბრძანებლური მმართველობა. რენესანსმა და რე-

ფორმიზმმა მოამზადა სამრეწველო რევოლუცია და ფეოდალიზმი შეიცვალა კაპიტალიზმით. მარქსიზმის მომხრეები თვლიდნენ, რომ კაპიტალიზმმაც უნდა დატოვოს არენა და ადგილი დაუთმოს სოციალიზმს ან კომუნიზმს.

ფაქტები და ფიქციები. მოვლენები ყოველთვის ვერ ერწყმება ისტორიკოსებისა და ეკონომისტების მიერ შემუშავებულ სქემებს. ვიქტორიანული კაპიტალიზმი შეიცვალა კეთილდღეობის სახელმწიფოთი. რევოლუციები საფრანგეთსა და გერმანიაში, რაც იწინასწარმეტყველეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, არ მოხდა. მარქსის ვარაუდის საპირისპიროდ ხელფასი არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევაც. კაპიტალიზმი ვერ დააქცია 30-იანი წლების დიდმა დეპრესიამაც, რადგანაც ვერავინ იწინასწარმეტყველა კეინსისა და მისი საბაზრო ეკონომიკის რეგულირების თეორიის გამოჩენა.

XX საუკუნის მეორე ნახევრის უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა იაპონიის, გერმანიის, იტალიის, სკანდინავიის ქვეყნების, ჩრდილო ამერიკის ეკონომიკური ზრდის ტემპები. მათ უკუაგდეს შუმპეტერის, ტოინბის და სხვათა სოციალური წინასწარმეტყველება, რომლებიც თვლიდნენ, რომ კაპიტალიზმი „ჟანგბადის ბალიშის შემწეობით დგას ფეხზე". XX საუკუნის მესამე მეოთხედის რეალიები მოწმობს, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა უკეთ ფუნქციონირებს, ვიდრე წინა წლებში ან კომუნისტური ეკონომიკის პირობებში.

ამასთან ერთად 70-იან წლებში წარმოიშვა სტაგფლაცია, რომელიც ვერც ერთმა სწავლულმა ვერ იწინასწარმეტყველა. ჩვენ ვცხოვრობთ იდუმალებით აღსავსე მსოფლიოში.

ეკონომიკური თეორიები. რას ვგულისხმობთ ეკონომიკურ ზრდაში? ეს არის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის პოტენციური და რეალური გადიდება, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ზრდა. ეკონომიკური ზრდის თეორიები აანალიზებენ ფაქტორებს ან პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთ ზრდას, იმ ძალებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის ძლიერების სწრაფ განვითარებას, ან პირიქით.

სმიტისა და მალთუსის „შესანიშნავი დინამიკა" — ესაა ჰიპოთეზური სიტუაცია, რომლის დროსაც განვითარების ამოსავალი ფაქტორები (ე. ი. ეკონომიკური ზრდის, მისი შენელების ან საერთოდ შეჩერების) იყო შრომა, კაპიტალი და მოსახლე-

ობა. მაგრამ სმიტსა და მალთუსს დაავიწყდათ, ან ვერ შეაფასეს ადამიანური გონებისა და ტექნოლოგიის მნიშვნელობა. გამოგონებები ეკონომიკური ზრდისა და ეროვნული შემოსავლის გადიდების განსაკუთრებული ფაქტორია.

იმის გასაგებად, თუ კაპიტალის დაგროვება როგორ წარმართავს ეკონომიკას, განვიხილავთ ეკონომიკური ზრდის ორ-ფაქტორიან მოდელს. ის ითვალისწინებს ეკონომიკას, სადაც წარმოება უზრუნველყოფილია კაპიტალისა და შრომის დანახარჯებით. მალთუსიანური მიდგომისაგან განსხვავებით, მოსახლეობა და შრომა აქ აღებულია, როგორც ეკონომიკურის გარეშე ცვლადები. ისინი იზრდებიან სოციალური პირობების ცვლილებების საპასუხოდ, მაგრამ არ რეაგირებენ ეკონომიკაზე. აქ ეკონომიკური ცვლადებია ძირითადი კაპიტალი და ტექნიკური ცოდნის დონე.

კაპიტალის გაზომვა. სმიტსა და მალთუსთან შრომის რაოდენობა იზრდებოდა მიწასთან მიმართებაში. თანამედროვე მოდელებში კაპიტალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შრომა. რას ვგულისხმობთ ჩვენ კაპიტალში? ესაა მრავალფეროვანი მატერიალური სიკეთით წარმოდგენილი ინვესტიციური საქონელი, რომელიც სხვა საქონლების საწარმოებლად გამოიყენება. მაგალითად ტრაქტორები, კომპიუტერები, მეტალურგიული ქარხნები, ჩარხები და ა. შ. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ (თავი 30), კაპიტალის გაზომვა — სერიოზული ოპერაციაა. ჩვენი მიზნებისათვის გავამარტივებთ სიტუაციას და გამოვიყენებთ მხოლოდ ერთობლივი ძირითადი კაპიტალის **ცნებას.** ეს უკანასკნელი ხასიათდება წარმოების საშუალებათა საერთო ღირებულებით. კაპიტალზე შემოსავალი წარმოადგენს მოგების ნორმას. თუ არ არის რისკი და მონოპოლია, შემოსავალი კაპიტალზე უდრის ობლიგაციებსა და ნასესხებ საშუალებებს, სარგებლის რეალურ დონეს.

კაპიტალის ან კაპიტალშეიარაღების შეფარდებითი გადიდების შედეგები. რა ხდება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით პროდუქციის გამოშვების დროს თუ კაპიტალი შრომასთან შეფარდებით იზრდება? შედეგები იმის ანალოგიურია, როგორც მაშინ, როცა იზრდება შრომის დანახარჯები, ხოლო მიწის რაოდენობა უცვლელი რჩება. კაპიტალთან დამოკიდებულებაში კლებადი შემოსავლიანობის კანონი ამოქმედდება, თუ

კაპიტალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შრომა სიახლეთა დანერგვის გარეშე.

ამგვარად, კაპიტალი შეფარდებით იზრდება მოსახლეობასა და შრომასთან შედარებით მისი უფრო სწრაფი გადიდების კვალობაზე. თუ ადგილი არა აქვს ტექნიკურ გაუმჯობესებას, ეს იწვევს პროდუქციის გამოშვების გაზრდას, თუმცა უფრო ნელა, ვიდრე კაპიტალის ზრდა. უფრო მეტიც, რეალური ხელფასი გაიზდება, ხოლო რეალური შემოსავალი კაპიტალზე და რეალური სარგებლის განაკვეთი შემცირდება.

ხანგრძლივი სტაბილურობის მდგომარეობა კაპიტალის დაგროვების მოდელში (მდგომარეობა, რომლის დროსაც რეალური ხელფასისა და სარგებლის დონეები მუდმივია) შესაძლოა შემოსავლების უფრო მაღალი დონეების დროს, იმ პირობით, თუ დაგროვილია საწარმოო შენობებისა და მოწყობილობის დიდი რაოდენობა. თუმცა ეს ვერსია არ ითვალისწინებს მუდმივ პროგრესს, მაგრამ უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე ამ პრობლემაზე მალთუსისა და რიკარდოს გულგატეხილი შეხედულება.

ტექნიკური სიახლეები და მზარდი მოთხოვნა. ფაქტიურად არც მალთუსიანელების გულგატეხილი შეხედულებები, არც სტაბილური ხელფასისა და მოგების მომხრეების სტაგნაციონისტური შეხედულებები არ დაადასტურა ისტორიამ. დასავლეთის ქვეყნები არასდროს არ ყოფილან აგრარული ჭარბი მოსახლეობის ქვეყნები, ისევე როგორც რეალური ხელფასი არასდროს არ აღმოჩენილა სტაგნაციის მდგომარეობაში, თუ ჩერდებოდა კაპიტალის დაგროვების პროცესი.

მართლაც, მეცნიერებაში ინვესტიციების სწრაფმა ზრდამ, ახალი ტექნოლოგიების გაჩენამ, მართვის სისტემის სრულყოფამ ევროპის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ ამერიკის საწარმოო შესაძლებლობების სწრაფი ზრდა გამოიწვია. ეს ისტორიის ადრინდელ პერიოდთან შედარებით უფრო ბედნიერი პერიოდია. კაპიტალი და შრომა უფრო პროდუქტიულები გახდა, შემოსავლის მრუდი კაპიტალზე და ფასის ფაქტორის საზღვრები ზევით მიიწევს. დიდი შემოსავლის მიღება შეიძლება კაპიტალისა და შრომის იმავე დანახარჯების პირობებში, თუ ხდება ტექნოლოგიის სრულყოფა, ე. ი. შემოსავლის, ხელფასისა და სარგებლის უცვლელი დონეების მყარ მდგომარეობამდე მოძ-

რაობის მაგივრად იზრდება შემოსავალი საწარმოო დანახარჯების თითოეულ ერთეულზე. ინვესტიციები რომ არ ხორციელდებოდეს, მაშინ კ. მარქსის მოგების ნორმის დაცემის თეორია შეიძლება მართალი გამომდგარიყო. მაგრამ ინვესტიციებმა გაზარდა კაპიტალის პროდუქტიულობა და გააქრო მოგების ნორმის დაცემის კანონი.

ინვესტიციების მიმართულებანი. ყველა ინვესტიცია არაინდიფერენტულია ერთიმეორესთან მიმართებაში: ერთისათვის ფავორიტია კაპიტალი, სხვებისათვის — შრომა. მაგალითად, მანქანები და ტრაქტორები ამცირებენ მოთხოვნილებებს შრომაზე და ზრდიან მოთხოვნილებას კაპიტალზე. ასეთი სახის დაბანდებებს შრომადამზოგველი ინვესტიციები ეწოდებათ. ისინი იწვევენ მოგების გაზრდას ხელფასთან შედარებით. ინვესტიციები, რომლებიც ამცირებენ კაპიტალის გამოყენებას უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე შრომის გამოყენებას, ეწოდებათ კაპიტალდამზოგველნი. ისინი ზრდიან ხელფასს მოგებასთან შედარებით. შუალედური მდგომარეობა უკავიათ „ნეიტრალურ ინვესტიციებს". სამრეწველო რევოლუციის დაწყების დროიდან ინვესტიციებს შრომადაზოგვითი ხასიათი აქვთ.

3. ეკონომიკური ზრდის ტენდენციები და ციკლები

ეკონომიკური განვითარების შვიდი ძირითადი ტენდენცია. ზემოთ მოხსენიებული რეგიონების, ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები შეიძლება განვაზოგადოთ დებულებებში:

1. მოსახლეობა იზრდებოდა სწრაფად, მაგრამ უფრო დაბალი ტემპებით, ვიდრე კაპიტალის დაგროვება, რის შედეგადაც ამაღლდა კაპიტალშეიარაღება.

2. თვალნათლივ შეინიშნებოდა რეალური ხელფასის ზრდის ტენდენცია.

3. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელფასის დამოკიდებულება საკუთრებაზე საერთო შემოსავალთან უმნიშვნელოდ იცვლებოდა.

4. კაპიტალზე შემოსავლის დონის დაცემის ნაცვლად (სარგებლის რეალური დონე) ფაქტიურად შეინიშნებოდა მისი მერყეობა საქმიან ციკლში, არსებითი დაცემის ან მნიშვნელო-

ვანი ზრდის ტენდენციები ამ საუკუნეში არ შეინიშნებოდა.

5. მოგების დონე მუდმივი ნელი ზრდის ნაცვლად ფაქტიურად 1900 წლიდან ეცემოდა, რადგანაც კაპიტალშეიარაღება დაკავშირებულია კლებადი შემოსავლების კანონთან, აქ მხოლოდ 1950 წლიდან შეინიშნება ზოგიერთი ცვლილება.

6. ეროვნული დანაზოგების დონე ეროვნული წარმოების მოცულობის მიმართ ხანგრძლივი დროის განმავლობაში პრაქტიკულად არ შეცვლილა; რადგანაც წმინდა საზღვარგარეთული ინვესტიციები უმნიშვნელო იყო, ცვალებად საქმიან ციკლშიაც კი ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში ინვესტიციების დონე ასევე უცვლელი რჩებოდა.

7. უკანასკნელი 85 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც საქმიან ციკლში ცვლილებები მოხდა, ეროვნული პროდუქტი მეტნაკლებად მუდმივი ტემპებით იზრდებოდა. მატება რამდენადმე მაღალი იყო კაპიტალის, შრომისა და რესურსდაბანდებების ზრდის საშუალო მაჩვენებლებზე მხოლოდდამხოლოდ ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის წყალობით.

შეუძლებელია აბსოლუტური სიზუსტით დადგინდეს დიდი ხნით დარჩება თუ არა ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ლოგიკურად ვერ დაამტკიცებ მომავალი ასწლეული მკვეთრად განსხვავებული იქნება თუ არა XX საუკუნის პირველი შვიდი ან რვა ათწლეულისაგან.

შერეული ეკონომიკის მოძრაობის კანონების ანალიზი. თუმცა ზემო აღნიშნული შვიდი ტენდენცია ფიზიკის კანონები არ არის, ისინი ასახავენ ეკონომიკური ზრდის რეალობას. როგორ ერწყმიან ისინი ეკონომიკურ თეორიას?

პირველი და მეორე ტენდენცია სავსებით შეესაბამება წარმოებისა და განაწილების კლასიკურ და ნეოკლასიკურ თეორიებს. მესამე ტენდენცია წარმოების, შრომისა და კაპიტალის სწრაფად ცვალებადი ფუნქციების შეხამების შედეგია.

მეოთხე და მეხუთე ტენდენციები გვარწმუნებს, რომ ნეოკლასიკური თეორიები არ მოიცავს სტატიკურ ფორმებს, მოგების მუდმივი დონე კაპიტალზე და შემოსავლების დონის სტაგნაცია არ შეიძლება არსებობდეს კაპიტალი-შრომის მაჩვენებლის დონის ამაღლების დროს, ტექნოლოგიის უცვლელობის პირობებში; ისინი ერთად აღებულნი ეწინააღმდეგებიან კაპიტალის დაგროვების დროს კლებადი შემოსავლების ძირითად კანონს.

დინამიკის სურათის წარმოსაჩენად ჩვენ შევეცადეთ ტექნიკური ახალშემოღებულებები ნეოკლასიკოსების სტატიკურ ანალიზში ჩაგვერთო. მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების წელილის იგნორირება ეკონომიკაში მეტად ძნელი იქნებოდა. კლებადი შემოსავლიანობის ტენდენცია მტკიცდება ტექნიკური ცვლილებებითაც ერთდროული, თუმცა რეალური სარგებლის დონის ნელი ზრდით და ხელფასის უფრო სწრაფი მატების პირობებში, ვიდრე შემოსავლების ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე.

ეკონომიკური ზრდის ნყაროები

რ. სოლოუს, ჯ. კენდრიკის, ე. დენისონის თავმჯდომარეობით ეკონომიკურმა არქეოლოგებმა ეკონომიკური ზრდის წყაროების საძიებლად გათხრები დაიწყეს.

ზრდის გაანგარიშების მეთოდი. ჩვენს უმარტივეს მოდელში შემოსავლის ზრდა შეიძლება სამ ცალკეულ კონპონენტად დაიყოს: შრომის ზრდად, კაპიტალის ზრდად და საკუთრივ ტექნიკურ ახალშემოღებულებებად. თუ გამოვრიცხავთ ტექნიკურ ცვლილებებს და უცვლელ შემოსავლიანობას დავუშვებთ, მაშინ შრომის 1% მატება კაპიტალის 1%-ით ზრდასთან ერთად გამოიწვევს წარმოების მოცულობის 1%-ით გაზრდას.

დავუშვათ, რომ შრომის დანახარჯები 1%-ით გაიზარდა, კაპიტალისა კი — 5%.-ით, შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ წარმოების მოცულობა გაიზრდება 3%-ით, როგორც მარტივი საშუალო შენაკრები 1+5-დან გამომდინარე. მაგრამ ეს არასწორი იქნება. რატომ? იმიტომ, რომ ეს ფაქტორები პროდუქტის სხვადასხვა წილს ქმნის. მთელი პროდუქტის 3/4 ეკუთვნის შრომას და ხორციელდება ხელფასში, ხოლო გამოშვების 1/4 მიდის კაპიტალის ანაზღაურებაზე. ეს ნიშნავს, რომ პროდუქტის ნამატი შრომის ხარჯზე 3-ჯერ ჭარბობს მის ზრდას კაპიტალის ხარჯზე. აქედან გამომდინარე სწორი პასუხი ასეთია: პროდუქტი წელიწადში 2%-ით გაიზრდება. (3/4 1%-დან + 1/4 5%-დან). წარმოების ფაქტორებს დავუმატებთ ასევე ტექნიკურ ცვლილებებს, ამით ჩავრთავთ ზრდის ყველა წყაროს.

აქედან შეიძლება დავასკვნათ: წარმოების ზრდის მატება ტოლია შრომის მატების 3/4 + კაპიტალის მატების 1/4 + ტექნიკური ცვლილებები. ტექნიკურ ცვლილებებში აქ იგულისხმება შრომის ნაყოფიერება და გაიანგარიშება გამოკლების გზით:

ტექნიკური ცვლილებები = გამოშვების ნამატს — 3/4 შრომის ნამატი — 1/4 კაპიტალის ნამატი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1900 წლიდან 1984 წლამდე შრომა ყოველწლიურად 1%-ით იზრდებოდა, კაპიტალი — 3%, ხოლო გამოშვება — 3,2%-ით ჩვენ შეიძლება განვსაზღვროთ, თუ კაპიტალის შეფარდებითმა ზრდამ როგორ იმოქმედა წარმოების მოცულობის ზრდაზე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, შემდეგი ფორმულის დახმარებით: გამოშვების ნამატი (შრომის = 1/4 კაპიტალის ნამატი) შრომა + ტექნიკური სრულყოფა ანუ

$$2{,}2 = 1/4\ (2) + 0{,}5 + 1{,}7.$$

ამგვარად, 2,2 — გამოშვების პროცენტული ზრდა ერთ მუშაზე მიღწეულია კაპიტალის 0,5%-ით გაზრდის ხარჯზე, ხოლო 1,7% — ტექნიკურ სიახლეთა ხარჯზე.

დეტალური გამოკვლევები. დენისონმა გულმოდგინედ ჩაატარა გამოკვლევები, იგი სწავლობდა 1948 წლიდან 1961 წლამდე ზრდის რესურსებს, რამაც გვიჩვენა, რომ ერთობლივი ეროვნული პროდუქტი საშუალოდ წელიწადში 3,2%-ით მატულობდა. დაბანდებები (კაპიტალის, შრომისა და მიწის) ყოველწლიურად 1,-%-ით იზრდებოდა, დანარჩენი ფაქტორები — 2,1%-ით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოირკვა, რომ მიღებული მატების 2/3 მუშაკების განათლების დონის ამაღლების, ტექნიკური სიახლეების და „საერთო მწარმოებლურობის" სხვა ფაქტორების შედეგი იყო.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ტექნიკურმა სიახლეებმა ჩრდილოეთის ქვეყნებს მალთუსისა და მარქსის პირქუში წინასწარმეტყველების თავიდან აცილების შესაძლებლობა მისცა. თუმცა ისტორიაში განმეორება და მოულოდნელი ზიგზაგებიც გვხვდება, რაზეც მეტყველებს ცხოვრების დონისა და ხელფასის საოცარი ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მაგრამ საზოგადოების განვითარების კანონები, რომლებიც ახასიათებს ჩრდილოეთის ქვეყნებს, ყოველთვის არ მოქმედებენ სამხრეთის ქვეყნებში, რომელთა ხვედრი ხშირად სიღარი-

ბის დახშულ წრეში ყოფნაა. შემდგომ თავში ჩვენ ვაჩვენებთ რომ მალთუსი წინასწარმეტყველი აღმოჩნდა თავისი სამშობლოს გარეთ.

თავი 37

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა

ზემოაღნიშნული ეკონომიკური პრინციპები დაკავშირებულია ჩვენი საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის კიდევ ერთ საჭირბოროტო პრობლემასთან: განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობასთან. პლანეტაზე მცხოვრები 5 მილიარდი ადამიანიდან, ერთი მილიარდი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს, ძლივსძლივობით შოულობს საზრდოს მეორე დღისათვის. ეს ხალხი თავმოყრილია განვითარებად ქვეყნებში. ისინი იბრძვიან სიღარიბიდან გამოსავლისათვის, სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ მოსახლეობის შემდგომი ზრდის შეზღუდვას და იფიქრაფვიან საკვები პროდუქტების წარმოების გადიდებისაკენ.

ასეთი მდგომარეობა ბადებს მრავალ საკითხს, უპირველეს ყოვლისა, რამ გამოიწვია ეროვნებათა კეთილდღეობაში განსხვავება? როგორ გაუმჯობესდეს მოსახლეობის მდგომარეობა ამ ქვეყნებში? და სხვ.

განვითარებადი ეკონომიკის განსაზღვრა. განვითარებად, ან ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში აშშ-თან, იაპონიასთან, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით მოსახლეობის ერთ სულზე დაბალი შემოსავლებია. ამგვარად, არის ქვეყნების ჯგუფები, რომლებიც გამოირჩევიან ამ შემოსავლის დონით: დაბალით, საშუალოთი და მაღალით. განსაკუთრებული ჯგუფები, რომელთაც დიდი შემოსავლები აქვთ ნავთობის ექსპორტის ქვეყნების სახით (მაგალითად, საუდის არაბეთი) და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ჯგუფი არასაბაზრო ეკონომიკით. ანალიზი გვიჩვენებს, რამდენად არაერთგვაროვანია განვითარებადი ქვეყნები. ზოგიერთი მათგანი (ჩადი, ბანგლადეში, ეთიოპია) სიღარიბის ზღვარზე იმყოფება; სხვებია იპოვეს „ინგრედიენტული“ განვითარების ისეთი შეხამება, რომელმაც შესაძლებელი გახადა მათი გადაწევა საშუალოშე-

მოსავლიან რანგში. უფრო მეტად წარმატებიანს (სამხრეთ კორეა, მექსიკა, სინგაპური) „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს“ უწოდებენ. ისინი იმდენად წარმატებით ვითარდებიან, რომ ბევრი უკვე იწყებს ძველი ინდუსტრიული ქვეყნების შევიწროებას მათსავე ტრადიციულ ბაზრებზე.

ა. მოსახლეობისა და ეკონომიკის მდგომარეობა

ზოგიერთი ერი მოსახლეობის სიმცირით გამოირჩევა, ზოგიერთი პირიქით, დიდი რიცხოვნობით, თანაც მისი მაღალი სიმჭიდროვით. ამ გარემოებათა ახსნას უკავშირდება ხალხთმოსახლეობის თეორია.

მალთუსის მემკვიდრეობა. მოსახლეობის ეკონომიკასთან კავშირის უფრო ადრინდელ მკვლევართა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო თ. მალთუსი. მისი წიგნი „ესე ხალხთმოსახლეობის პრინციპების შესახებ“ (1798 წ.) ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა, რადგან დიდი გავლენა მოახდინა ხალხთმოსახლეობის თეორიის განვითარებაზე. მალთუსმა პირველმა გამოიყენა ბ. ფრანკლინის დასკვნები ამერიკულ კოლონიებში მოსახლეობის დაახლოებით ყოველ 25 წელიწადში გაორკეცების შესახებ და დაასკვნა, რომ მოსახლეობის ზრდა გეომეტრიული პროგრესიით უნივერსალური ტენდენციაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეული თაობის ზრდა შემდეგნაირად მიმდინარეობს: 1, 2, 4, 8, 16, 32, 64, 128, 256, 512, 1024... მოსახლეობა იმდენად სწრაფად იზრდება, რომ ადამიანები დედამიწაზე მეტად შეზღუდულად გრძნობენ თავს. მალთუსი ასევე ამტკიცებდა: რადგან შრომის დანახარჯები იზრდება, ხოლო მიწის ფართობი ფიქსირებულია, პროდუქტების წარმოება მოსახლეობის რაოდენობისაგან განსხვავებით შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით: 1, 2, 3, 4...

შევნიშნავთ: მალთუსი არ ამტკიცებდა იმას, რომ მოსახლეობა ყოველთვის და ყველგან სწორედ ასეთი ტემპებით გაიზრდება. აქ ლაპარაკია მხოლოდ ტენდენციაზე, იმაზე, რომ მოსახლეობის მატებაზე კონტროლს და მისი შეზღუდვის ღონისძიებებს შეუძლია შეამციროს დაშორება, ერთის მხრივ, ადამიანთა რიცხვის ზრდის ტემპებსა და მეორე მხრივ, მათი არსებობის საშუალებებით უზრუნველყოფის შესაძლებლობებს

შორის. თავის უფრო გვიანდელ, ნაკლებად ცნობილ შრომებში მალთუსი დასცილდა თავის დოქტრინას და იმედს გამოთქვამდა, რომ მოსახლეობის ზრდა უფრო მეტად, შენელდება შობადობის შემცირებით, ვიდრე ეპიდემიების, ომებისა და ა. შ. შედეგად.

მალთუსი საერთოდ არ უარყოფდა სამრეწველო რევოლუციის იდეებს, ასევე იმის ვარაუდს, რომ 1870 წლის შემდეგ დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ცხოვრების დონისა და რეალური ხელფასის ერთდროული ამაღლების პირობებში მოსახლეობის ზრდა შენელებას დაიწყებს (დემოგრაფიული მოძრაობის ეს ფენომენი განსაკუთრებით განიხილება).

ახალმა მალთუსიანელებმა ტრანსფორმირება გაუკეთეს ძველ იდეებს და 60-იანი წლების მოვლენებს მიუსადაგეს, როდესაც ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობის პრობლემებისადმი ყურადღება გამახვილდა.

მომავლის წინასწარმეტყველების ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ცდა გააკეთა სწავლულთა ჯგუფმა, რომელიც ევროპაში ცნობილია როგორც რომის კლუბი. ჯ. ფორესტერმა შრომაში „მსოფლიოს დინამიკა“ (1971 წ.,) ჯ. მედოუსმა და მისმა თანაავტორებმა „ზრდის საზღვრები“ (1972 წ.) შექმნეს მსოფლიო ეკონომიკის კომპიუტერიზირებული მოდელი. მასში მოსახლეობის ზრდა განხილულია მალთუსის მიხედვით, იქედან გამომდინარე, რომ ბუნებრივი რესურსები იფიტება, ხოლო ტექნიკური პროგრესი — დამანგრეველი მოვლენაა. მსოფლიოს მომავალი, რომის კლუბის მტკიცებით ძალზე უღიმღამოა.

ეკონომიკური ზრდის შესახებ ბევრი სწავლულის შეხედულებები ნეომალთუსიანელების მძლავრი გავლენის ქვეშ მოექცა, „შიგნიდან და გარედან“ პესიმისტების იარლიყი მიიღო.

გლობალური ეკონომიკის კომპიუტერული მოდელი „წინასწარმეტყველებდა“ ეკონომიკური ზრდის ზღვარს, ანუ გარემოს ნგრევის, მიწისა და მისი რესურსების შეზღუდულობის, მოსახლეობის რიცხვის ზრდის შედეგად მიღებულ თავისებურ კოლაფსს[1]. ერთი ეკონომისტის სიტყვებით, ნეომალთუსიანელების კომპიუტერი „მგელივით ყმუოდა“.

---

[1] კ ო ლ ა ფ ს ი — გადატანითი მნიშვნელობით დაქვეითება (მთარგმნელი).

თანამედროვე შეხედულებები მოსახლეობაზე. მალთუსი და რიგი სხვა სწავლულები თვლიდნენ, რომ თუ შობადობა უკონტროლოდ დარჩება, მოსახლეობა შეუჩერებლივ იმატებს. მაგრამ სხვადასხვა (შესაძლოა მომავალში განვითარებადი) ქვეყნის ისტორია სხვა გზით მიდის, მოსახლეობის რაოდენობა აქ სტაბილურია. ინდუსტრიალიზაციამდელ პერიოდში შობადობის და სიკვდილიანობის დონეც მაღალი იყო, დღეს ორივე მაჩვენებელი დაქვეითდა.

კონტროლი მოსახლეობის ზრდაზე. მალთუსიანელების „რეცეპტების" მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში აქტიურად გამოიყენებოდა შობადობაზე კონტროლის სხვადასხვა ღონისძიებები: საგანმანათლებლო კომპანიებიდან სტერილიზაციამდე. მოქმედებაში იყო ყველაფერი; არცთუ იშვიათად უგულებელყოფდნენ რელიგიის პოსტულატებსაც კი. კლასიკურ მაგალითად გამოდგებოდა ჩინეთი — 1 მლრდ-ზე მეტი მოსახლეობით, შედეგებმაც თუმცა ნელა, მაგრამ თავი მაინც იჩინა — მოსახლეობის ზრდა სტაბილური გახდა. მსოფლიოს მოსახლეობის 2/3 ბრძოლა სიღარიბესთან ჯერ კიდევ შობადობის შემცირების ღონისძიებებით იფარგლება.

3. ეკონომიკური განვითარების პროცესი

ცხოვრება დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის კონტრასტის სიცხადისათვის წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ 21 წლის, ერთ-ერთი ტიპიური დაბალგანვითარებული ქვეყნის, ეს იქნება გაიტის, ინდოეთის თუ ბანგლადეშის მცხოვრები. თქვენ ღარიბი ხართ. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ თქვენ გაყიდეთ თქვენს მიერვე წარმოებული მთელი პროდუქცია, რამაც არაუმეტეს 300 დოლარის შემოსავალი მოგიტანათ, აშშ-ში თქვენივე თანატოლის 1400 დოლარის ნაცვლად, თუმცა, თქვენ შეიძლება უფრო თავისუფლად იგრძნოთ თავი იმის გამო, რომ მსოფლიოს ოთხი მცხოვრებიდან მხოლოდ ერთს აქვს 3000 დოლარზე მეტი შემოსავალი. თქვენ უწიგნური ხართ და თქვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა განვითარებულ ქვეყანაში თქვენივე თანატოლის სიცოცხლის ხანგრძლივობის მხოლოდ 3/4 შეადგენს.

თქვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა შრომობს

ფერმებში, მხოლოდ ზოგიერთს შეუძლია თავის გამოსაკვებად სახსრები სამრეწველო საწარმოებში იშოვოს. თქვენი შრომის ნაყოფიერება ძლივს აღწევს 1/16 ცხენის ძალას. თქვენ ცოტა იცით მეცნიერების შესახებ და ბევრი ხალხური გამოცდილება შეითვისეთ. როგორც აფრიკის ან აზიის ერთ-ერთი რამდენადმე ნაკლებად განვითარებული ქვეყნის მოქალაქე, თქვენს მეგობრებთან და სხვებთან ერთად ვინც თქვენს გვერდითაა, შეადგენთ მსოფლიო მოსახლეობის 50 პროცენტს, მაგრამ თქვენ უნდა დაკმაყოფილდეთ მსოფლიო შემოსავლის 5 პროცენტით. შეადარეთ: ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო მოსახლეობის 6 პროცენტი ამ შემოსავლის 25 პროცენტს იღებს.

განვითარების ოთხი ელემენტი. ზრდის ინგრედიენტები[1] დაბალ განვითარებულ ქვეყნებში იგივეა, რაც მაღალგანვითარებულებში:

1) ადამიანთა რესურსები (შრომის პირობები, განათლება. დისციპლინა და ა. შ.) 2) ბუნებრივი რესურსები (მიწა, წიაღისეული, სათბობი, კლიმატი და ა. შ.); 3) კაპიტალი (მოწყობილობა, საწარმოები, გზები და ა. შ.); 4) ტექნოლოგია (მეცნიერება, მართვა და ა შ.).

ადამიანთა რესურსები. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ახლა განვიხილოთ ადამიანთა რესურსების ხარისხი. როდესაც ეკონომისტები ადგენენ ეკონომიკური განვითარების გეგმებს, ისინი ამუშავებენ: დაავადებათა კონტროლის პროგრამას არა იმიტომ, რომ ადამიანები ბედნიერები იყვნენ, არამედ იმისათვის, რომ ისინი უფრო შრომისუნარიანები გახდნენ; განათლების განვითარების პროგრამას, რამდენადაც განათლებული ადამიანები უფრო პროდუქტიულნი არიან. ინვესტირება სასკოლო განათლებაში უნდა წარიმართოს არა მარტო იქითკენ, რომ ადამიანებმა იცოდნენ წერა-კითხვა, არამედ მათ მიიღონ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ტექნიკის საჭირო ჩვევები. მეცნიერებაში უფრო ნიჭიერი ადამიანები აუცილებლად უნდა გაიგზავნონ საზღვარგარეთ, რათა იქ შეისწავლონ ინჟინერინგისა და ბიზნესის გამოცდილება (ერთდროულად ბრძოლა უნდა გამოეცხადოს „გონებათა გაჟონვას").

---

[1] ინგრედიენტი — რაიმეს შემადგენელი ნაწილი (მთარგმნელები).

ქრონიკული უმუშევრობა — ერთ-ერთი მწვავე პრობლემა-თაგანი, რომელიც შრომის უკეთ გამოყენებას მოითხოვს. შრომის ნაყოფიერება დაბალია არა იმიტომ, რომ ადამიანებს მუშაობა არ უნდათ, არამედ, იმიტომაც, რომ შრომის ეფექტიანი გამოყენებისათვის აკლიათ ან კაპიტალდაბანდებები, ან მიწა.

ბუნებრივი რესურსები. აზიის და აფრიკის ზოგიერთი ღარიბი ქვეყანა დაჩაგრულია ბუნებითაც. თავისი რესურსები ძლივს ჰყოფნის მინიმალური უზრუნველყოფისათვის, მაშინაც კი თუ ნავთობი იპოვეს (ყოველწლიურად 100 მლნ ბარელის მოპოვებით ადამიანები დაბალგანვითარებულ ქვეყანაში შეიძლება შეძლებული გახდეს), მაგრამ ესეც ცოტაა იმისათვის, რომ ქვეყანა ინდუსტრიულ სახელმწიფოდ იქცეს. ალბათ, განვითარებადი ქვეყნების მთავარი რესურსია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიის სრულყოფაში საკმაო ოდენობის ინვესტიციებით შესაძლოა მიწის უკუგების ამაღლება.

კაპიტალის დაგროვება. ადამიანების ხელები და გონება მთელ მსოფლიოში ერთნაირია, მაგრამ განვითარებული ქვეყნების მუშებს „ხელთ უპყრიათ" დიდი კაპიტალი და ამიტომ მათი შრომაც უფრო ნაყოფიერია. განვითარებული სახელმწიფოების შემოსავლების 15—20 პროცენტამდე დაგროვებაზე მიდის, მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ კაპიტალური საჭიროებებისათვის ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 5 პროცენტი გამონახონ. აღსანიშნავია, რომ კაპიტალების სიმცირე საყოველთაო არ არის. მიბაძვის მოდელად გამოდგება ისეთი საშუალოდ განვითარებული ქვეყნები, როგორიცაა სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, სადაც დაგროვების დონე 20—30 პროცენტს აღწევს.

წარმატებების მიღწევაში დახმარების გაწევა ასევე შეუძლია გარედან შემოტანილ კაპიტალს, რასაც მოწმობს ბრიტანეთისა და აშშ-ის ისტორიიდან მრავალი მაგალითი. მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიას ჩაბარდა XIX საუკუნის ის ხანა, როდესაც კაპიტალს ისე შეეძლო ერთი ქვეყნიდან მეორეში თავისუფალი გადაადგილება, რომ არ დაჯახებოდა ქვოტის, ტარიფებისა და კონფისკაციის პრობლემებს. მდიდარი ქვეყნების ინვესტატორებს აკავებს ღარიბი ქვეყნების ნაციონალიზმი და სხვა პრობლემები.

ვალი და სავალო კრიზისი. განვითარებადი ქვეყნების ვალი 70-იან წლებში განუწყვეტლივ იზრდებოდა. 1972-დან 1983 წლამდე ის 19 პროცენტით გაიზარდა და ბევრი ქვეყანა, მაგალითად, ლათინური ამერიკა, შეეჯახა ფინანსურ კრიზისს. ზოგიერთ მათგანში სიტუაცია შეამსუბუქა გადასახდელების გადავადებამ, ზოგიერთ განვითარებულ სახელმწიფოში მთელი ექსპორტი საგარეო ვალებით შთაინთქა.

ტექნოლოგიური ინოვაციები[1] და ცვლილებები. განვითარებადი ქვეყნებისათვის სულაც არ არის აუცილებელი გრავიტაციის კანონის აღმოსაჩენად ჯერ არ დაბადებული ნიუტონები ეძებოს. მის შესახებ შეიძლება წაკითხვა ფიზიკის ნებისმიერ წიგნში. ასევე არ არის აუცილებელი სამრეწველო რევოლუციის ნელი და მტანჯველი პროცესის გავლა: ნებისმიერ კატალოგში შეიძლება იპოვო წარსულში გაკეთებული საჭირო გამოგონებებისა და აღმოჩენების აღწერა. ამისი ნათელი ილუსტრაციაა იაპონია, რომელმაც სტუდენტები გააგზავნა ევროპის ქვეყნებში და მათი დახმარებით მიიღო დასავლეთის საუკეთესო ტექნოლოგია.

იაპონიისა და აშშ-ის ისტორია იმის ყალბ წარმოდგენას ქმნის, თითქოს იმპორტული ტექნოლოგიის ადაპტაცია მეტად მარტივია: გადაიღე ეფექტიანი მეთოდების ასლი და დანერგე ისინი შენთან. რეალურად კი კულტურული და ეკონომიკური ხასიათის მრავალი ბარიერი არსებობს. სინამდვილეში განვითარებული ტექნოლოგიის გამოყენება შესაბამის პირობებს მოითხოვს — მაღალ ხელფასს, კვალიფიციური ინჟინრების დიდ ოდენობას და ა. შ.

ეკონომიკური განვითარების თეორია. შევეცადოთ ვუპასუხოთ ასეთ კითხვებს: რატომ ვითარდება ზოგი ქვეყანა სხვებთან შედარებით უფრო სწრაფად? რის გამო შეუძლიათ განვითარებულ ქვეყნებს ნაკლები დანახარჯებით (ღარიბ ქვეყნებთან შედარებით) ასე ბევრი პროდუქცია აწარმოონ.

ადრინდელი თეორიები. ზოგიერთი ადრინდელი თეორია ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემისას ემყარებოდა კლიმატურ პირობებს, უღრო ადრინდელ კულტურას, რელიგიას.

განვითარებისადმი თანამედროვე მიდგომა. ბევრი მეცნიე-

---

[1] ინოვაცია — ახალშემონაღები (მთარგმნელები).

რი ბოლო ათწლეულების მანძილზე ინტენსიურად იკვლევდა ეკონომიკურ განვითარებას. თითოეული მათგანი თავისებურად აყალიბებს სიღარიბიდან ქვეყნების გამოსვლის გზებს, იძლევა საკუთარ რეკომენდაციებს განვითარების „ოთხი ვეშაპის“: სამუშაო ძალის, რესურსების, კაპიტალებისა და ტექნოლოგიების ვარიანტებისა და მობილიზაციის თაობაზე.

ნახტომი. უ. როსტოუს დასკვნებთან ახლომდგომი თეორიები იმას ეყრდნობა, რომ თითოეულ ქვეყანას ჰქონდა თავისი ნახტომი (თვითმფრინავის ანალოგიურად, რომელიც დედამიწას მოწყდება მხოლოდ კრიტიკული სიჩქარის გამო). ქვეყნები ამ წერტილს სხვადასხვა დროს აღწევენ: ინგლისი — XVIII ს, აშშ — 1850 წელს, მექსიკა — 1940 წელს. ნახტომი შეიძლება განხორციელდეს ეკონომიკის ერთ-ერთი სექტორის ხარჯზე: მრეწველობის, საგარეო ვაჭრობის ან სხვა რომელიმეს ხარჯზე. ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, ა. გერშენკრონი ჰარვარდიდან) თვლის, რომ ჩამორჩენილობის გარკვეული დონე — დადებითი ფაქტორია, რადგანაც ის უკვე დამუშავებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ნობელის პრემიის ლაურეატის ს. კუზნეცის (კემბრიჯი) ერთ-ერთი უფრო საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგები. ეყრდნობა ამჟამად წარმატების მქონე 13 ქვეყნის განვითარების ისტორიას და გვიჩვენებს, რომ საუკეთესო გზაა დაბალანსებული ზრდა.

აქ დასახელებულ მიდგომებს შორის სხვაობა შემდეგში მდგომარეობს: ნახტომის თეორია ამტკიცებს მზარდ სხვაობას ქვეყნების განვითარების დონეებში; „ჩამორჩენის“ ჰიპოთეზა ითვალისწინებს კონვერგენციას; ს. კუზნეცი იძლევა მუდმივი მძაფრი ცვლილებების ვარიანტს. ვერ ვიტყვით, რომ ყველა ეს თეორია სწორია, მაგრამ შეუძლებელია იმის მტკიცებაც, რომ ისინი საერთოდ მცდარნი არიან. თითოეულ ქვეყანას თავისი განვითარების განსაკუთრებული გზა აქვს, რომლის დროსაც მიზანშეწონილია თითოეული ამ თეორიის ელემენტების გამოყენება.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. იმის აღნიშვნა, რომ თუ ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის რომელი ფაქტორია ხელისშემწყობი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს წარმატების მიღწევას. განვითარების ფაქტორთა შორის აუცილებელია

გამოიყოს: შეფარდება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის, ექსპორტსა და იმპორტს შორის, ზესპეციალიზაციის რისკი.

უმეტეს ქვეყანაში მრეწველობიდან შემოსავლები ორჯერ აჭარბებს სოფლის მეურნეობის შემოსავლებს. თქვენ ალბათ გაიგებდით, რომ მდიდარი ადამიანები ეწევიან ძვირადღირებულ სიგარეტებს, მაგრამ მისი მოწევის ჩვევა თქვენ მდიდრად ვერ გაქცევთ. მართლაც, პატარა ქვეყანაში აუცილებელი არ არის საკუთარი „ფოლადის კორპორაციის" ან თავისი ავიახაზის არსებობა. ეს ეკონომიკური ზრდის მხოლოდ მდიდრული მოკაზმვაა. მაგალითად, ბანგლადეში, სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის 20 პროცენტის გაზრდით მიაღწევს რესურსების უკეთ გამოყენებას და, როგორც შედეგი, შეძლებს მრეწველობის წარმატებით განვითარებას.

მეცნიერები დიდი ხნის მანძილზე სწავლობდნენ აგრეთვე ექსპორტისა და იმპორტის პრობლემებს და დაასკვნეს: რიგ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩილი, ბრაზილია, სამხრეთ კორეა და სხვები, დიდ შედეგებს მიაღწიეს მათ, ვინც იცავდა იმპორტზე ექსპორტის პრიმატს. მაგრამ დაუშვებენ კი განვითარებული ქვეყნები დაბალი განვითარების ქვეყნების წინ გასწრებას, თუ ქვოტებისა და ტარიფების დახმარებით თავდაცვის პოზიციას დაიკავებენ? ამ პრობლემებს შემდგომ თავებში განვიხილავთ.

მონოსპეციალიზაციის საშიშროებანი. მესამე თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სპეციალიზაციას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. შემდგომში ჩვენ ვაჩვენებთ შრომის დანაწილება როგორ იწვევს ცხოვრების დონის საერთო ამაღლებას. მაგრამ ადამიანის მსგავსად ერს ხომ არ შეუძლია ცალმხრივი განვითარება?

„სპეციალისტ" ქვეყნებში აუცილებელია დივერსიფიკაციის განსაკუთრებული ღონისძიებები. „არ შეიძლება ერთ ტომარაში ყველა მარცვლის ჩაყრა" — ეს ძველი ჭეშმარიტება ისევე კარგია მთელი ქვეყნისათვის, როგორც ცალკეული ადამიანისათვის.

თავი 38

საერთაშორისო ვაჭრობა და შედარებითი უპირატესობების თეორია

საერთაშორისო ვაჭრობა რიგი მნიშვნელოვანი მიზეზების გამო სასიცოცხლოდ აუცილებელია. ის ერისათვის ხელმისაწ-ვდომს ხდის საქონლის დიდ მასებსა და მრავალფეროვნებას, ვიდრე ეს შესაძლებელია საკუთარი წარმოების ჩარჩოებში. საერთაშორისო ვაჭრობას საფუძვლად უდევს რესურსებში, გემოვნებასა და ტექნოლოგიაში ქვეყნებს შორის სხვადასხვა-ობა.

შედარებითი უპირატესობის საფუძველი

ტენდენციები ამერიკის საგარეო ვაჭრობაში. ექსპორტისა და იმპორტის წილი ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში ეკო-ნომიკის „თავისუფლების" ხარისხს გამოხატავს. უკანასკნელ ათწლეულში აშშ-ში ამ წილმა 10 პროცენტს გადააჭარბა, მიუ-ხედავად ამისა, ის ერთ-ერთი უფრო „დახურული" ქვეყანაა. სხვა ერების (განსაკუთრებით ევროპაში) უმრავლესობას ექს-პორტის ან იმპორტის დაახლოებით 30 პროცენტიანი წილი აქვს ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში.

აშშ-ის საგარეო ვაჭრობისათვის დაახასიათებელია ორი არსებითი თავისებურება; „პირველადი" საქონლის (ისეთის როგორიც ხორბალია) მნიშვნელოვანი ჰაერის ექსპორტი და იმ სამრეწველო საქონლის დიდი რაოდენობის იმპორტი, რომლის წარმოებაც მეტი ოდენობით კაპიტალდაბანდებას მოითხოვს. მეორე, მნიშვნელოვნად განვითარდა შრომის საერთაშორისო შიგადარგობრივი დანაწილება, განსაკუთრებით საავტომობი-ლო და საფეიქრო დარგებში.

ვაჭრობიდან მიღებული სარფიანობა და შედარებითი უპი-რატესობის კანონი. საერთაშორისო საქონელგაცვლისა და სპეციალიზაციის სწრაფმა ზრდამ საგარეო ვაჭრობის ეკონომი-

კური სარფიანობის საკითხი კანონზომიერი გახდა. რატომ ახდენს აშშ-ი ყავის: იმპორტს და ხორბლის ექსპორტს? რატომ ახდენს იაპონია სამრეწველო საქონლის ექსპორტს და მხოლოდ ნედლეულის იმპორტს? რატომ განსხვავდება აშშ-ის სოფლის მეურნეობა ნიდერლანდების სოფლის მეურნეობისაგან? და, რაც მთავარია — ქვეყნები იგებენ თუ აგებენ იმით, რომ ხსნიან საერთაშორისო ვაჭრობის საზღვრებს?

ამ საკითხების პასუხის გასაღებს იძლევა შედარებითი უპირატესობის თეორია, რომელიც ხსნის, თუ როგორ ხდება, რომ ერს (ან ცალკე პიროვნებას) შეუძლია თავისი ცხოვრების დონის და რეალური შემოსავლის ამაღლება წარმოებაში ისეთი საქონლის სპეციალიზაციის გზით, რომლისგანაც მიღწეულია უმაღლესი მწარმოებლურობა. მაგალითად, აშშ-ში უფრო პროდუქტიულია კომპიუტერების წარმოება, ხოლო ბრაზილიაში — ყავისა. ამიტომ აშშ-ი მიიღებს სარგებელს კომპიუტერების წარმოებითა და ექსპორტით, ყავის იმპორტით, ხოლო ბრაზილია — ყავის წარმოების სპეციალიზაციითა და კომპიუტერების შემოტანით. ქვეყანას ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს მისთვის არახელსაყრელ ექსპორტს. ორ ქვეყანას შეუძლია ერთიდაიგივე საქონელი აწარმოოს, მაგრამ თითოეული მათგანი თვითონ გადაწყვეტს, რომლის წარმოებაა მისთვის სარფიანი სხვა საქონელზე გაცვლის მეშვეობით. ნებისმიერ ქვეყანას აქვს გარკვეული ბუნებრივი სიმდიდრე, წარმოების ფაქტორები, სამუშაო ძალა და ტექნოლოგიური ცოდნა. განა კანადისათვის უკეთესი არ იქნება ყავის იმპორტზე დაამყაროს იმედი, ვიდრე იმაზე, რომ მისი მკაცრი კლიმატის პირობებში გაიზრდება ყავის ხეები?

წარმოების პირობების სხვადასხვაობის გამო რაიონებს შორის წარმოშობილი ვაჭრობა. შედარებით უპირატესობის თეორიის მნიშვნელოვან არგუმენტებს მიეკუთვნება ქვეყნებს შორის წარმოების პირობებში განსხვავება, რაც მათ შესაძლებლობებს ამ შემთხვევაში არაერთგვაროვნად ხდის. ნებისმიერ ერს შეუძლია მცირე ოდენობით აბსოლუტურად ყველა საქონელი აწარმოოს, მაგრამ, ამისათვის დიდი ოდენობის წარმოების ხარჯებია საჭირო და ბევრი საქონლის ღირებულება განუზომლად მაღალი იქნება, რის გამოც მათი გამოშვება მიზანშეუწონელია.

საერთაშორისო ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქვეყანას, სხვა ქვეყანასთან შედარებით, შეუძლია ყველა სახის საქონელი იაფად, ნაკლები დანახარჯებით აწარმოოს. ასეთი სიტუაციის დროსაც სარფიანობაში სხვაობა საქონელთა ჯგუფების მიხედვით მაინც იქნება, და ერთ ერს ექნება შედარებით უკეთესი პირობები, და მაშასადამე, მოიგებს შეფარდებით ეფექტიანობაში. სრულიად გასაგებია, რომ ეს უკანასკნელი მოსაზრება ესადაგება ცალკეულ საქონლებს და ყოველმხრივ ღარიბ ქვეყნებსაც ეხება.

შედარებითი უპირატესობა. ევროპისა და აფრიკის მაგალითი. საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი პრინციპების ილუსტრირება შეიძლება ევროპისა და აფრიკის მაგალითით, რომლებიც ერთიმეორეს უცვლიან საქონელთა რომელიღაც ორ ჯგუფს, მაგალითად საკვებსა და ტანსაცმელს. ამერიკას დიდი მიწის ფართობები აქვს, უფრო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ სამუშაო ძალისა და კაპიტალის უკმარისობას განიცდის. ევროპაში, პირიქით, კაპიტალი და ხალხი ჭარბადაა, ხოლო მიწის სავარგულები არ ყოფნით. ასეთ სიტუაციაში რა უფრო მიზანშეწონილია? ამერიკამ რაიმე უნდა შეიტანოს, თუ კი მისი სამუშაო ძალა უფრო მწარმოებლურია და ევროპამ თავისთან უნდა შემოიღოს პროტექციონისტული ტარიფები?

რიკარდოს მიდგომა, რომელმაც ამ კითხვებს 1817 წელს გასცა პასუხი, დაკავშირებულია საერთაშორისო სპეციალიზაციის სარგებლიანობის დასაბუთებებთან. სწორედ ეს იყო შედარებით უპირატესობის ანუ შესადარი წარმოების ხარჯების თეორია. პრობლემების გადაწყვეტის გასამარტივებლად რიკარდომ აიღო ორი მხარე და მხოლოდ ორი პირობითი საქონელი — სურსათი და ტანსაცმელი, მთელი წარმოების ხარჯები მან პირობითად მხოლოდ სამუშაო დროში ასახა, მაგრამ ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა აუცილებელი შესწორებები. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ამერიკასა და ევროპას შორის ვაჭრობის ურთიერთხელსაყრელობის დამაჯერებელი დამტკიცება.

ვაჭრობიდან მიღებული სარფიანობა შეიძლება გამომჟღავნდეს როგორც ევროპის, ასევე ამერიკელი მუშის რეალური ხელფასის ამაღლებაში; ამკრძალავი ტარიფების შემოღება კი

ვნებას მოუტანს ორივე მხარეს, რეალურ ხელფასს შეამცირებს ამერიკაშიც და ევროპაშიც.

საბაჟო ტარიფებისა და ქვოტის გავლენა იმაში მდგომარეობს, რომ მათ შეუძლია საერთაშორისო ვაჭრობის განადგურება, თუ ისინი ამკრძალავ ხასიათს ატარებს. კონკურენციის პირობებში, რაც ორივე კონტინენტზეა, სურსათის ფასებსა და ტანსაცმლის ფასებს შორის შეფარდება თითოეულ ქვეყანაში ერთნაირი იქნება სამუშაო ძალის ღირებულებაში სხვაობის გამო. ამერიკაში ტანსაცმელი უფრო ძვირი იქნება, ვიდრე სურსათი, რადგანაც მასზე აქ მეტი შრომა იხარჯება, ვიდრე ევროპაში. სწორედ ეს სხვაობა უნდა „დაიჭიროს" საერთაშორისო ვაჭრობამ, ეს მისი განვითარების სტიმული უნდა იყოს, ხელი უნდა შეეწყოს მფარველობითი ტარიფების გაუქმებას და თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას. ფასებს შორის შეფარდება დადგინდება ურთიერთმოქმედი მხარეებისათვის ზიარი ჭურჭლის პრინციპის მსგავსად.

რიგით ევროპელს შეუძლია თქვას: „ღმერთო ჩემო, ამ ამერიკელებთან ვაჭრობა ჩვენ სიკეთეს არ მოგვიტანს, მაღალი მწარმოებლურობა ამერიკელს შესაძლებლობას მისცემს ევროპაზე დაბალი ფასებით გაყიდოს სურსათიც და ტანსაცმელიც ჩვენ აუცილებლად ბაჟი უნდა დავაწესოთ იმპორტზე, რათა პატიოსანი ევროპელი მუშა დავიცვათ"... ამერიკაში უბრალო ხალხს და ცალკეულ კონგრესმენს ალბათ, ასევე შეუძლია იმსჯელოს: „ხელფასის დონე ევროპაში უფრო დაბალია, ვიდრე აყვავებულ ამერიკაში. თუ ამერიკელი მუშები კონკურენციაშიც უნდა ჩაებან ევროპასთან, სადაც მუშები ნაკლებს იღებენ, მაშინ უნდა შემცირდეს ამერიკელი მუშის ხელფასიც. ამერიკული ცხოვრების დონის შენარჩუნებისათვის მეტად საჭიროა მფარველობითი ტარიფები იაფი იმპორტული საქონლის საწინააღმდეგოდ". მსგავსი შეხედულებები მხოლოდ ერთს დაამტკიცებდა: მისმა მონაწილეებმა ვერ აითვისეს შედარებითი უპირატესობის თეორია.

საერთაშორისო ვაჭრობის სხვა წყაროები დაკავშირებულია მასიურ წარმოებაში ხარჯების შემცირებასთან, მის გაფართოებასა და სპეციალიზაციასთან. ამ შემთხვევაში მიღებული

ეკონომია შედარებით უპირატესობას იძლევა და საერთაშორისო საქონელგაცვლის განვითარების ფაქტორს წარმოადგენს.

აღსანიშნავია საერთაშორისო ვაჭრობის კიდევ ერთი ფაქტორი — განსხვავება გემოვნებაში. ის მოთხოვნაზე ზემოქმედებს მაშინაც, როდესაც ხარჯები ერთნაირია ან უფრო მაღალიც კი ექსპორტიორ ქვეყანაში. ასეთი ვაჭრობის მოგება — ადამიანური ბედნიერების სისრულეა.

შენიშვნები და დასკვნები. 1. სპეციალიზაცია და გაცვლა ხელსაყრელი ხდება მწარმოებლურობაში განსხვავების გამო. საერთაშორისო გაცვლა დიდ ეფექტს იძლევა იმ პირობებთან შედარებით, რომლის დროსაც ქვეყანას მხოლოდ თავის შინაგან წარმოებაზე დაყრდნობის იმედი აქვს; 2. საერთაშორისო ვაჭრობის ურთიერთხელსაყრელობა ნათელია, მაგრამ მხოლოდ შედარებითი უპირატესობის თეორია იძლევა სხვადასხვა ქვეყანაში წარმოების ეფექტიანობის შედარებისა და შეფასების შესაძლებლობას; 3. შედარებითი უპირატესობის კანონი სპეციალიზაციის მიმართულებასა და წარმოების გეოგრაფიას განაპირობებს და ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებას; 4. შედარებითი უპირატესობის კანონის გამოყენების დროს შეტანილ უნდა იქნას კორექტივები, თუ არაშორსგამიზნული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად საერთაშორისო ვაჭრობა იწვევს უმუშევრობას. ამ შემთხვევაში უნდა დარეგულირდეს ხელფასის, ფისკალური და ფულადი პოლიტიკა.

თავი 39

პროტექციონისტული ტარიფები, ქვოტები და თავისუფალი ვაჭრობა

შედარებითი უპირატესობის თეორიის ათვისებამ შესაძლებლობა მოგვცა ვუპასუხოთ კითხვას: ქვეყანამ უნდა დაიცვას თუ არა თავისი მრეწველობა იმპორტისაგან ტარიფების, ქვოტების და სხვა სავაჭრო ბარიერების გზით?

ბუნებრივია, ეკონომისტის პირველი რეაქცია უარყოფითი პასუხი უნდა იყოს. მან იცის, რომ ვაჭრობა ხელს უწყობს ერებს შორის ურთიერთგაცვლას, წარმოებისა და სამომხმარებლო შესაძლებლობების გაფართოებას, ამით კი მსოფლიოში ცხოვრების საერთო დონე იზრდება. მაგრამ, ასეთი რეაქცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეალურად არსებულ შეფასებას და გადაწყვეტას. მრავალთა სურვილია მრეწველობის ირგვლივ სატარიფო კედლის აგება და ისინი არ ეწინააღმდეგებიან საგარეო ვაჭრობისაგან მის დაცვას.

პრობლემების ანალიზი დავიწყოთ იმით, თუ როგორ მოქმედებს ტარიფები ფასებზე და შემდეგ განვიხილოთ ეკონომიკაში პროტექციონიზმის „მომხრე“ და „მოწინააღმდეგე“ არგუმენტები.

მოთხოვნისა და მიწოდების თეორიის დახმარებით ვაჭრობისა და ტარიფების ანალიზი. წინა თავში განხილული იყო სიტუაცია, როცა ევროპას აქვს შედარებითი უპირატესობა ტანსაცმლის დამზადებაში, ამერიკას კი—საკვები პროდუქტების წარმოებაში. ეხლა მოთხოვნისა და მიწოდების თეორიის დახმარებით ჩვენ გავაანალიზებთ, თუ როგორ განსაზღვრავენ ფასებს და გაყიდვის მოცულობას საგარეო ვაჭრობაში და აგრეთვე როგორია ტარიფების გავლენა. ავიღოთ ამერიკის ტანსაცმლის ბაზარი და უბრალოდ დავუშვათ, რომ მას არ შეუძლია ტანსაცმლის ბაზარზე ზემოქმედება. თუ ტრანსპორტზე დანახარჯები და ტარიფები ძალიან დიდია, მაშინ არასავაჭრო წონასწორობის წერტილი იქნება საშინაო ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების გადაკვეთის პუნქტში.

თავისუფალი ვაჭრობა. სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ არ

არის არც ტარიფები, არც ქვოტი, არც სატრანსპორტო დანახარჯები. ასეთი სიტუაციის დროს ტანსაცმელზე ფასები ამერიკაში მსოფლიო ფასის ტოლი იქნება. რატომ? იმიტომ, რომ თუ ამერიკაში ფასი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ევროპაში, მაშინ ბიზნესმენები იყიდიან იქ, სადაც იაფია და გაყიდიან იქ, სადაც ძვირია. ასე, რომ ბოლოს და ბოლოს, ტანსაცმელი ამერიკაში იმავე ფასით გაიყიდება, როგორც მთელ მსოფლიოში. საშინაო ფასის შემცირებით მიწოდება შემცირდება, მოხმარება კი გაიზრდება. განსხვავება იმპორტით დაიფარება.

დაიმახსოვრეთ: თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობით საქონელი იქით მიედინება, სადაც ფასი მაღალია.

ტარიფებისა და ქვოტების გავლენა. ტარიფი — ეს იმპორტზე შეწერილი ტაქსაა. მაგალითად, აშშ-ში ავტომობილებზე ტარიფი 1,7 პროცენტს უდრის. თუ უცხოური მანქანა 10000 დოლარი ღირს, მაშინ მას ამერიკელი ტარიფშეწერილი ფასით, ე. ი. 10170 დოლარად ყიდულობს. ქვოტი იმპორტის მოცულობის ზღვარია. აშშ-ში ქვოტი ისეთ საქონელზე არსებობს, როგორიცაა ყველი, ტექსტილი, ძროხის ხორცი.

ამკრძალავი ტარიფები — ისეთი მაღალი ტარიფია, რომელიც მთლიანად გადაფარავს ყოველგვარ იმპორტს. ტარიფის ეს სახე ახშობს ვაჭრობას.

არაამკრძალავი ტარიფები უფრო ზომიერია. ის კი არ ჩაკლავს, არამედ ამუხრუჭებს ვაჭრობას. ტარიფი წარმოშობს ფასის ამაღლების, იმპორტის რაოდენობის შემცირების და ეროვნული წარმოების ზრდის ტენდენციას.

ქვოტებს იგივე გავლენა აქვს, რაც ტარიფებს. ამკრძალავი ქვოტი იგივე შედეგებს იწვევს, რასაც ამკრძალავი ტარიფი. ფასი და საქონლის რაოდენობა ყალიბდება არა სავაჭრო წონასწორობის დონეზე.

ტარიფებსა და ქვოტებს შორის არსებითი სხვაობა არ არის, მაგრამ ზოგიერთი განსხვავება მაინც არსებობს. არაამკრძალავი ტარიფი, უკიდურეს შემთხვევაში, მთავრობას რაღაც ისეთ შემოსავალს არც კი აძლევს, რომელიც სხვა გადასახადების შემცირების შესაძლებლობასაც კი ქმნის. მეორე მხრივ, ქვოტი შემაჯამებელ ფასში რეალიზაციიდან მთელი მოგების

სხვაობას იმ იმპორტიორის ჯიბეში გადაიტანს, რომელიც თავს იღბლიანად ჩათვლის, თუ მიიღებს ლიცენზიას იმპორტზე, და შესძლებს ამ ლიცენზიის გამცემს ასვას, აჭამოს და ქრთამიც კი მისცეს. ამიტომ ეკონომისტები ტარიფებს, ქვოტთან შედარებით, ნაკლებ ბოროტებად მიიჩნევენ.

ტარიფების ეკონომიკური დანახარჯები. რა მოხდება თუ კი ამერიკა ტანსაცმელზე ტარიფებს შემოიღებს? შედეგი ასეთი იქნება: ა. ეროვნული მწარმოებლები ტარიფით დაწესებული „ქოლგისებური" ფასების გამოყენებით შეძლებენ პროდუქციის გამოშვების გაფართოებას; ბ. მომხმარებლები წააწყდებიან მაღალ ფასებს და ამის გამო შეამცირებენ მოხმარებას; გ. მთავრობა მიიღებს შემოსავლებს ტარიფებიდან. როგორი იქნება წმინდა ეფექტი? იგი ასე ჩამოყალიბდება: შემოსავალში მთავრობის მოგება და მწარმოებლების სარგებლიანობა ნაკლებ თანხას შეადგენს, ვიდრე მომხმარებლების ეკონომიკური დანაკარგები.

ტარიფების ეკონომიკური არსის ანალიზი ასახავს მის გავლენას სამ ეფექტში და გამოავლენს იმ წარმოების არასარგებლიანობას, რომელიც გადიდდა ამაღლებული ეროვნული ფასებით. გარდა ამისა, ცხადია, არახელსაყრელი იქნება მაღალი ფასებით გამოწვეული მომხმარებელთა დანაკარგები.

ამრიგად, ტარიფების შემოღება წაახალისებს არაეფექტურ ეროვნულ წარმოებას; მომხმარებლებს აიძულებს ნაკლები იყიდონ ის საქონელი, რომელზეც ტარიფებია შეწერილი; უზრუნველყოფს მთავრობის შემოსავლების შემცირებას.

ტარიფების მაგალითი ტექსტილზე. ცნობილია, რომ ტარიფები ამჟამად მაღალია, მათი ანალიზი გამოავლენს ყველა ნეგატიურ ეფექტს, რომელთა შესახებ ზევით ითქვა. ტექსტილის დარგში დახარჯული რესურსების გამოყენება უფრო ეფექტიანად შეიძლებოდა კომპიუტერების, მარცვლეულის, ავტომობილების წარმოებაში. ეროვნული საწარმოო პოტენციალი შემცირდება, რადგან რესურსები იმყოფებიან იმ დარგებში, სადაც შედარებითი უპირატესობა დაიხარჯა.

პროტექციონიზმის ეკონომიკა. ტარიფებისა და ქვოტების დახმარებით იმპორტის კონკურენციისაგან დაცვის სასარგებ-

ლოდ არგუმენტები მრავალმხრივია. ამათგან ძირითადია: ა. სხვა ეროვნული საჭიროების სუბსიდირებისათვის მატერიალური კეთილდღეობის შეუწირაობის სურვილთან დაკავშირებული არაეკონომიკური ინსტრუმენტები; ბ. ამასთან არის დაუფარავი ცრუ არგუმენტები, რაც რიგ შემთხვევაში მხოლოდ ხანგრძლივი ეკონომიკური გამოკვლევებით შეიძლება დავამტკიცოთ. გ. ზოგიერთი არგუმენტი არასწორ მსჯელობას მოიცავს კონკურენციის სამყაროს შესახებ, მაგრამ ერისადმი დამოკიდებულებაში ჭეშმარიტების მარცვალს ატარებს და საგარეო ვაჭრობის ფასებისა და უმუშევრობისაგან მის დაცვას ცდილობს.

ნავთობის მაგალითის მიხედვით არაეკონომიკურ მიზნებს ადვილად დააკვირდებიან. ნავთობის მრეწველობის დამცველი არგუმენტების გულდასმითი ანალიზის დროს შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი საჭირო რაოდენობით მიღების უფრო ბევრი უკეთესი გზა არსებობს, ვიდრე ტარიფებისა და ქვოტების ამაღლება. ომის შემთხვევაში ან სხვა მძიმე განსაცდელის დროს ნავთობის, კობალტის და სხვ. რესურსების ნამდვილად ქონების უფრო სანდო გზაა მათი ყიდვა და მარაგების შექმნა.

ცხოვრების ეროვნული სტილი — ეს ეკონომიკის დაცვის მომხრეების მიერ გამოყენებული კიდევ ერთი მეთოდია. ზოგჯერ იყენებენ იმ ფაქტს, რომ ეროვნული მეცნიერული რესურსები ამოიწურება, თუ არ იქნება საზღვარგარეთის კონკურენციული „შეფუცხუნება“ (კერძოდ, ბირთვულ ენერგეტიკაში, ავიამშენებლობაში, მიკროელექტროტექნიკაში და სხვ.). ზოგჯერ ტარიფი განიხილება როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი ახალი ინგლისის, ნიუ-იორკის კულტურისა და ტრადიციების, ან შვეიცარიის საათების მრეწველობის მრავალსაუკუნოვანი ფირმის დასაცავად.

ობიექტური მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ასეთ არგუმენტებს, მაგრამ ახლო განხილვის დროს აღმოჩნდება, რომ ამ მიზნებისათვის ტარიფებთან შედარებით სუბსიდიები უფრო დიდ ეფექტს იძლევა ტრადიციებისა და ცხოვრების ეროვნული სტილის შენარჩუნებისას. გარდა ამისა, სუბსიდიები საქმეში უფრო შესამჩნევია და შეიძლება მათი ღია განხილვა; ისინი ყველაფერზე არ ზრდიან ფასებს, არამედ მხოლოდ სუბსიდი-

რებულ საქონელზე და თანაც ასეთი საქონლის წარმოებაში დასაქმებული მუშების ინტერესების დაცვით. და ბოლოს, სუბსიდიები კანონმდებლობის პერიოდული გამოკვლევების ობიექტს წარმოადგენს.

საზოგადოებაში მრავალი არაეკონომიკური მიზანი არსებობს, მაგრამ მათი მიღწევა ეკონომიკური პროტექციონიზმის დახმარებით სულაც არ არის მიბაძვის საუკეთესო მაგალითი.

საბაჟო ტარიფების შესახებ მცდარი დასკვნები მომდინარეობს ჯერ კიდევ XVII და XVIII ს. ს. „მერკანტილისტებიდან" და მცდარ წარმოდგენას ქმნის იმის თაობაზე, რომ უკეთეს მდგომარეობაში ის ქვეყანა იმყოფება, რომელსაც უფრო მეტი საქონელი გააქვს, ვიდრე შემოაქვს. ზოგჯერ ტარიფებისადმი ასეთ მიდგომას ა. ლინკოლნს მიაწერენ. იგი თითქოს ამბობდა: „მე ცოტა რამ ვიცი საბაჟო ტარიფების შესახებ. მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ინგლისში კოსტუმის ყიდვის დროს მე ვიღებ კოსტუმს, ინგლისი კი — ფულს. მაგრამ თუ მე კოსტუმს ჩემ ქვეყანაში ვყიდულობ, მაშინ კოსტუმსაც და ფულსაც ამერიკა იღებს", თუმცა ზუსტად ცნობილი არაა ა. ლინკოლნმა მართლა თქვა თუ არა ეს. მაგრამ ჩვენს დროში საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ერთი ადამიანის ფულის რაოდენობის გადიდება იწვევს მხოლოდ ამ ერთის გამდიდრებას, ხოლო ფულის მასის გადიდება საზოგადოებაში — მხოლოდ ფასების ზრდას.

მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისათვის შემოღებული საბაჟო ტარიფები — ეს ტარიფების დაცვის კარგად ცნობილი წესია. ბიზნესმაც და შრომამაც კარგად იცის, რომ მათ პროდუქციაზე ტარიფის დაწესება მათთვის სასარგებლოა, თუ მხედველობაში არაა მიღებული წარმოებასა და მოხმარებაზე ზემოქმედების მისი უფრო ზოგადი ეფექტი.

თუმცა თავისუფალ ვაჭრობას მცირე სარგებლობა მოაქვს, მაგრამ არა ყველასათვის, პროტექციონიზმი კი უკიდურესად მომგებიანია მხოლოდ მცირეთათვის.

კონკურენცია იაფი უცხოური შრომით. თუ დავუშვებთ, რომ საქონელი იწარმოება ჩინეთის, სამხრეთ კორეიის იაფი სამუშაო ძალით, მაშინ მუშების ამერიკული ცხოვრების დონე

ვერ იქნება შენარჩუნებული. მაგრამ ვაჭრობა მაინც ყოველთვის ურთიერთმომგებიანი იქნება. იაფი სამუშაო ძალის წინააღმდეგ ძირითადი არგუმენტია შედარებითი უპირატესობის ანალიზი. ამერიკული ხელფასის მაღალი დონე განისაზღვრება მაღალი ეფექტიანობით და არა სატარიფო დაცვით.

„შურისძიების ტარიფები“. თუ სხვა ქვეყნები ამერიკასაც და თავისთავსაც ზიანს საბაჟო ტარიფების შემოღებით მიაყენებენ, ამის გამო საჭირო არაა ამერიკელებმაც გაზარდონ მათგან მიყენებული ზიანი თავის მხრივ ტარიფების დაწესებით. საღი აზროვნება იმაში გამოიხატება, რომ თუ რომელიმე ქვეყანა გაზრდის ტარიფებს, აშშ-მა უნდა მიიღოს საპასუხო ღონისძიებები. ეს იმაში მდგომარეობს, რომ „შურისძიების“ ტარიფების მუქარამ ანუ საპასუხო ღონისძიებებმა შეიძლება სხვა ქვეყნებში შეაჩეროს ტარიფების ზრდა.

ურთიერთ შემცირებულ ტარიფებზე უარის თქმისათვის შესწორებები. გასულ წლებში თითქმის ყველა სავაჭრო-სატარიფო ბარიერი გაიზარდა, რაც მოხდა 1974 წ. სავაჭრო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესწორებებით. ამ შესწორებების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ უცხოური კონკურენცია აზიანებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. ეს „ზიანი“ კი მაშინ ვლინდება, როცა შემოსავალი, დასაქმება და სარგებლობა ეროვნულ ინდუსტრიაში იმპორტის ზრდასთან ერთად მცირდებოდა. მსგავსი შესწორებების შედეგები ჩვენ უკვე ვნახეთ ტელევიზორების, ფეხსაცმლის, ფოლადის და სპირტიანი სასმელების მაგალითის მიხედვითაც კი.

ტარიფების დაცვის არგუმენტები სწრაფად ცვალებად პირობებში. ტარიფებს შეუძლია ვაჭრობის საზღვრების რეგულირება ქვეყნის ინტერესებისათვის; განსაზღვრულ პირობებში ტარიფი ხელს შეუწყობს უმუშევრობის შემცირებას; შეუძლია იმ ახალი დარგის საბაჟოს დაცვა მოითხოვოს, რომელსაც განსაკუთრებული, მხოლოდ პერსპექტივაში დასახული ზრდის შესაძლებლობები აქვს.

ვაჭრობის სხვა დაბრკოლებები. თუმცა ამ თავში ძირითადად ვეხებით ტარიფებს, მაგრამ ჩვენი მსჯელობა მიესადაგება

ყველაფერს, რაც კი ვაჭრობას აბრკოლებს. მაგალითად, ქვოტებს უფრო მეტი უარყოფითი ეფექტი აქვს, ვიდრე ტარიფებს. განვითარების ახალი ბიძგები საზღვარგარეთის ქვეყნებს აიძულებს დააწესოს იმპორტის შემზღუდველი სავალუტო ქვოტები ან საბაზრო შეთანხმებანი. სწორედ ეს გამოიყენეს ტელევიზორების, ფეხსაცმელების და იაპონური ავტომობილების მიმართ. არც თუ ისე დიდი ხნის წინ პრეზიდენტმა რეიგანმა აშშ-ში იმპორტირებულ ფოლადზე სავალუტო ქვოტის დაწესებით, იმპორტისაგან „გაანთავისუფლა" ფოლადის მრეწველობა. ამ ღონისძიებამ საგრძნობლად შეამცირა აშშ-ში იაპონიიდან, კორეიიდან, ბრაზილიიდან და ევროპიდან შემოტანილი ფოლადის მოხმარების დონე.

დასკვნა არასატარიფო ბარიერების შესახებ. ეს დასკვნა შეეხება ინფორმაციის დაფარვას, ან მის ისეთ გავრცელებას, რომელიც უკიდურესად ართულებს საზღვარგარეთის ბაზრებზე საქონლის გაყიდვას. არასატარიფო ბარიერების ზრდა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომელსაც 80-იან წლებში „ნეგოციანტები" წააწყდნენ.

ტარიფებისა და გშტვ-ს (გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე) ისტორია. ყველა დროში ამერიკა მაღალი ტარიფების ქვეყანა იყო. ტარიფებმა პიკს მიაღწია ტარიფების შესახებ ცნობილი სამწუხარო ბრძანებულების (1930 წ.) შემდეგ. მას ეწინააღმდეგებოდა ყველა ამერიკელი ეკონომისტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ბრძანებულება კონგრესმა მიიღო.

სავაჭრო ბარიერები გაიზარდა დეპრესიის დროს და ხელი შეუწყო ფასების ზრდას. ამის გამო 1934 წ. დაიდო მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების სერია. ამ ისტორიის გაგრძელებაა ტოკიოში 1980 წ. დადებული ხელშეკრულება ტარიფების შემცირების შესახებ. სავაჭრო ხელშეკრულებების მონაწილეებმა თავისი ადგილები დაიკავეს გშტვ-ში. ამ საერთაშორისო ორგანიზაციას დიდი მიღწევები აქვს საერთაშორისო ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი პირობების უზრუნველყოფაში, ე. ი. სავაჭრო ბარიერების შემცირებასა და მათი დაბალ დონეზე შენარჩუნებაში. უკანასკნელ წლებში მრავალმხრივ სავაჭრო ხელშეკრულებებში განსაკუთრებული ყურადღება

ექცეოდა ურთულეს ამოცანას — არასავაჭრო ბარიერების მოსპობას, თავისუფალი ვაჭრობის დამაბრკოლებელი მომსახურების აღმოფხვრას.

რამდენიმე წარმატებული სატარიფო ღონისძიებების შედეგად აშშ-მა დიდი ხნით მოიპოვა მაღალტარიფიანი ქვეყნის რეპუტაცია. იგივე მართალი იქნება სხვა ინდუსტრიული ქვეყნებისათვისაც. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სატარიფო დაცვის მომხრეებს ჯერ კიდევ აქვთ ძალა და ოცნებობენ 30-იანი წლების გარდასულ დროზე. მაგრამ თუ მათი ოცნება აღსრულდა, მაშინ ისინი შეძლებენ თანამედროვე სავაჭრო სისტემის საგრძნობლად დაბრკოლებას.

თავი 40

საგალუტო კურსი და საერთაშორისო ფინანსური სისტემა

მოცემულ (დასკვნით) თავში განხილულია საერთაშორისო ფინანსური სისტემის, ოქროსი და სხვა სტანდარტების ძირითადი პრობლემები. ამ სისტემის ისტორია გვეხმარება თანამედროვე ეკონომიკის განვითარებასა და საერთაშორისო სავალუტო კურსის გაძლიერებისაკენ მიმართულ სამთავრობო ღონისძიებებზე დაკვირვების საქმეში.

ა. საგალუტო ოპერაციებისა და საერთაშორისო ვაჭრობის მექანიზმი

სავალუტო კურსი — ეს არის ეროვნულ ფულად ერთეულებში გამოხატული უცხოური ფულის ფასი. გაცვლითი კურსი წარმოადგენს ეროვნული ვალუტის ფასს. როგორია ვალუტის კურსის განმსაზღვრელი ეკონომიკური პრინციპები? რა განაპირობებს მათ დინამიკას?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გავაანალიზოთ შემდეგი ძირითადი სისტემები: ოქროს სტანდარტი; მოთხოვნასა და მიწოდებაზე მერყეევი ვალუტების წმინდა მცოცავი კურსები; თანამედროვე მართვადი ვალუტის მცოცავი კურსები. ეს უკანასკნელი სისტემა გულისხმობს ცალკეული

ვალუტების თავისუფალი მერყეობის ურთიერთშეხამებას, სხვებთან შედარებით მათი დოლარებზე დამოკიდებულების პირობებში, რის შედეგადაც ისინი სხვებთან ერთად იცვლებიან.

კლასიკური ოქროს სტანდარტის პირობებში ფიქსირებული სავალუტო კურსები. პირველ რიგში ყურადღებას მივაქცევთ თავისებურ ლექსიკონს, რომლითაც აქ უნდა ვისარგებლოთ. მაგალითად, გირვანქის ფასის გაორმაგება დოლარის ფასის ორჯერ შემცირების თანაბარია; ერთ-ერთი ვალუტის ფასის დაცემას მეორესთან შედარებით დ ე ვ ა ლ ვ ა ც ი ა ეწოდება; ამ უკანასკნელის ზრდას კი — რ ე ვ ა ლ ვ ა ც ი ა. მაგალითად, დოლარებში გამოხატული გირვანქა სტერლინგის ფასის ზრდა ნიშნავს, რომ გირვანქა რევალვირებულია, ხოლო დოლარი დევალვირებული.

მყიდველობითი უნარის პარიტეტი. ჩვენ დავადგინეთ, რომ გაცვლითი კურსები მერყეობს. რა იფარება მის მიღმა? ამ კითხვას პასუხობს მყიდველობითი უნარის პარიტეტი, ანუ მცოცავი კურსის პირობებში სხვადასხვა საკონლის შედარებითი ფასების თეორია, რომელიც დააფუძნა დ. რიკარდომ (1817 წ.) და შემდგომ განავითარა გ. კასელმა (1926 წ.). ამ თეორიის თანახმად, აუცილებელია სამომხმარებლო საკონლის „კალათის" პირობითი ფასების დაპირისპირება გრძელვადიან პლანში. თუ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ასეთი „კალათა" 25 მარკა ღირს, აშშ-ში კი — 10 დოლარი, მაშინ 25-ის 10-ზე გაყოფით მივიღებთ 1 დოლარის ფასს — 2,5 გფრ მარკის ტოლს.

მყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის გამოყენება შეიძლება, კერძოდ, შოკურ ეკონომიკურ სიტუაციაზე გაცვლითი კურსების გავლენის პროგნოზირებისათვის. მაგალითად, აშშ-ს და გფრ-ს ეკონომიკური საქმიანობა გაწონასწორებულია შემდეგი თანაფარდობის დროს: 2,5 მარკა 1 დოლარისათვის. თუ აშშ ფასებს გაორმაგებს მიმოქცევაში ფულის მასის გაზრდით, ხოლო გფრ-ში ფულის მასა და ფასები უცვლელი დარჩება, მაშინ სხვა თანაბარი პირობების დროს დოლარის გაცვლითი კურსი მარკასთან შედარებით შეიცვლება და იქნება 1,25 მარკა 1 დოლარისათვის. ლოგიკა ასეთია: თუ დოლარისა და ფასების შეჯამებული მასა გაორმაგდება, გაიზრდება მიმოქცე-

ვაში ფულის რაოდენობა, ე. ი. მივალთ ექსპორტის ფიზიკური მოცულობის ფასების გაორმაგებამდე. ახალი გაცვლითი კურსის დროს, რაც ასახავს ერთ ქვეყანაში ფასებსა და დანახარჯებს სხვების ფასებსა და დანახარჯებთან შედარებით, წინანდელი ამერიკული ერთი დოლარი თითქოს ორ დოლარად იქცევა. უკანასკნელი წლების სინამდვილე ამტკიცებს, რომ ფასების შეცვლის მკვეთრ პერიოდებში (განსაკუთრებით მკვეთრი ინფლაციისა და ჰიპერინფლაციის პირობებში) გაცვლითი კურსები მოძრაობს მყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის დასკვნების შესაბამისად. მეორე მხრივ, უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე გაცვლითი კურსები ხშირად „ირყევა" ერთმანეთზე დამოკიდებულებით. გაცვლითი კურსების „შოკური მდგომარეობის" წყაროები მეტად სხვადასხვანაირი იყო, ინფლაცია კი — ზომიერი. ასეთ პირობებშიც კი პარიტეტის თეორია პროდუქტიული აღმოჩნდა.

3. ლია ეკონომიკის მაკროეკონომიკა

საერთაშორისო ფინანსებისა და ვაჭრობის პრობლემების განხილვის დროს ჩვენ გავარკვიეთ, თუ როგორ მოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობა წარმოებისა და მოხმარების ეროვნულ მოცულობაზე, ვალუტის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ზემოქმედებით როგორ ყალიბდება ვალუტის კურსები. რაში მდგომარეობს ვაჭრობისა და ფინანსების მაკროეკონომიკური მნიშვნელობა? შეიძლება თუ არა ისე მოხდეს, რომ ვალუტის კურსი მაღალი ან დაბალი იყოს, ხოლო მზარდი ფასებისა და ხელფასების სამყაროში აღმოცენდეს უმუშევრობა? შევეცადოთ ეს საკითხები გავარკვიოთ *საგარეო ვაჭრობის მულტიპლიკატორის დახმარებით.*

დ. ხიუმომის მიერ დამუშავებული კლასიკური მაგალითი ემყარებოდა შესადარ ფასებს და აქედან გამომდინარე ვარაუდობდა, რომ დასაქმება ყოველთვის სრულია. მაგრამ ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ თავისუფალი მეწარმეობის სისტემა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას. მოქნილი ხელფასისა და ფასების სისტემის გარეშე, დასაბუთებული საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის გარეშე სრული დასაქმება გარანტირებული არ არის.

როგორ მოქმედებს გარეშე ძალები მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დამატებითი ექსპორტი და უცხოური ინვესტიციები ისევე გააფართოებს შინაგან წარმოებასა და დასაქმებას, როგორც დამატებითი საშინაო ინვესტიციები. ასეთი ვარაუდი სწორია. ექსპორტი გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას. მულტიპლიკატორის მარტივ მოდელში (თავი 8 და 9) ექსპორტმა ისეთივე გავლენა იქონია (ე. ი. გადიდების მიმართულებით) გამოშვებასა და ფასებზე, როგორც აქვს მზარდ ინვესტიციას და სამთავრობო ხარჯებს მომსახურებაზე. გარდა ამისა, ექსპორტმა წარმოშვა მოვლენათა ჯაჭვი, რომელსაც მოჰყვა დამატებითი ხარჯების ზრდა. საგარეო ვაჭრობის მულტიპლიკატორის მექანიზმი შეიძლება აიხსნას რიცხობრივი მაგალითის მიხედვით

$$1 + \frac{2}{3} + \left(\frac{2}{3}\right)^2 + \dots = \frac{1}{\left(1 - \frac{2}{3}\right)} = 3.$$

მზარდი ექსპორტი ადიდებს საშინაო წარმოებასა და შემოსავალს, მაგრამ ეს ხდება მულტიპლიკატორის დახმარებით, რომელიც ჩვენს შემთხვევაში მცირდება იმპორტის წყალობით. ამრიგად, საშინაო პოლიტიკა ეროვნულ ფარგლებს სცილდება საგარეო ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული იმ საქმიანობის მეოხებით, რომელსაც გავლენა აქვს წარმოების მოცულობასა და დასაქმების დონეზე.

ეკონომიკური პოლიტიკა, სავალუტო კურსი და უმუშევრობა გარკვეულად ერთმანეთთან არის დაკავშირებული: ეკონომიკური პოლიტიკა გავლენას ახდენს სავალუტო კურსზე, ხოლო ამ უკანასკნელის აწევამ შეიძლება უმუშევრობა გამოიწვიოს. მაგალითად, 70-იანი წლების დასაწყისისა და 80-იანი წლების საკრედიტო-ფულადმა პოლიტიკამ, მოქნილი სავალუტო კურსის პირობებში გავლენა იქონია ეკონომიკაზე მანამდე უცნობი ფორმებით. დავაკვირდეთ ამ გავლენას აშშ-ს მაგალითზე.

1. ქვეყნის ცენტრალური ბანკი ამკაცრებს თავის საკრედიტო-ფულად პოლიტიკას, რის გამოც ზღუდავს ფულადი მასის ზრდას მიმოქცევაში და ამგვარად ზრდის სარგებლის განაკვეთებს.

2. სარგებლის განაკვეთების ზრდის შედეგად ინვესტიციები აშშ-ში უფრო მიმზიდველი გახდა სხვა ქვეყნებში ინვესტიციებთან შედარებით. ძლიერდება უცხოური კაპიტალის ნაკადი. იზრდება დოლარებზე მოთხოვნა და მისი გაცვლითი კურსი.

3. დოლარის მაღალი გაცვლითი კურსი შედარებით ზრდის აშშ საექსპორტო ფასებს, რითაც ამცირებს ამერიკის ექსპორტის კონკურენტუნარიანობას და ამაღლებს იმპორტის კონკურენტუნარიანობას. როგორია ამ ცვლილებების წმინდა ეფექტი? ბუნებრივია, აშშ-ს იმპორტი მკვეთრად გაიზრდება როგორც დოლარებში, ისე ფიზიკურ გამოხატულებაში. ექსპორტი კი ან შემცირდება, ან სტაბილური გახდება. ამ პროცესების შედეგი ჰგავს დ. ხიუმის ოქროს ნაკადის მექანიზმს, რომლის დროსაც ექსპორტის მოცულობა მცირდება, იმპორტისა კი იზრდება, რის შედეგადაც კლებულობს რეალური, წმინდა ექსპორტი.

4. მაგრამ მულტიპლიკატორის მექანიზმის საშუალებით რეალური წმინდა ექსპორტის შემცირება, ე. ი. აშშ-ს სავაჭრო ბალანსის გაუარესება, მოქმედებს ინვესტიციების ან სამთავრობო ხარჯის შემცირების მსგავსად და კანონზომიერად იწვევს ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და დასაქმების შემცირებას.

აღწერილი პროცესი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ზემოქმედებით წარმოშობს მაკროეკონომიკის მძლავრ ტრანსფორმაციას. ამ პროცესის „მუშაობისათვის" აუცილებელია ორი პირობა: 1. ღია ეკონომიკა, ე. ი. ეკონომიკა, სადაც წარმოების ფაქტორები განიცდის მსოფლიო ფასების ძლიერ გავლენას; 2. მცოცავი სავალუტო კურსი.

ვალუტის წამატებული კურსი. მიმდინარე გაანგარიშებით, ამჟამად აშშ დეფიციტს განიცდის, დანარჩენ მსოფლიოს კი, ბუნებრივია, ამის მიხედვით აშშ-თან შედარებით მსხვილი დადებითი ნაშთი აქვს. ასეთი სიტუაცია უფლებას გვაძლევს ვთქვათ: დოლარის სავალუტო კურსი ამაღლებულია. წინათ, როცა 200 იენი 1 დოლარად ფასობდა მიღწეული იყო დაბალანსება, მაგრამ საკრედიტო-ფულად პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების გამო, სარგებლის განაკვეთის ზრდამ დოლარის

ფასი 220-240-დან 260 იენამდე გაზარდა. მიმდინარე ოპერაციების გამო ქრონიკული დეფიციტის მდგომარეობა ამ დონეზე იქნება. იაპონიაში კი პირიქით, ასეთი ოპერაციების გამო წარმოიქმნება ნამეტი. ამაღლებული სავალუტო კურსის შედეგები შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: პირველი, თუ ა ქვეყანაში სრული დასაქმება იყო, ივარაუდება საექსპორტო წარმოების დანაკარგების (მისი იაფი იმპორტით შეცვლისას) გადიდება, ხოლო დასაქმებისა და რეალური ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მულტიფიცირებული შემცირება; ესაა 1981-1982 წწ. აშშ-ს დაცემის ერთი მიზეზი. მეორე, თუ კონკრეტული სიტუაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, იაპონიაში, სადაც ამჟამად, სრულ დასაქმებას აქვს ადგილი და სამუშაო ადგილებზე დამატებით მოთხოვნას, ქვეყანაში გაძლიერდება ინფლაცია, რომელსაც ამერიკიდან იმპორტირებულად განიხილავენ. ასე იქნება მანამ, ვიდრე გაბერილ საექსპორტო დარგებში მოქმედი ბიზნესი არ შეეცდება დაბალანსოს იაპონური ვალუტის არაჯანსაღი მდგომარეობა აშშ-ს ვალუტასთან შეფარდებით. ვიდრე იაპონია თავის ფასებს აფიქსირებს აშშ-ს ფასების დაბალ დონესთან შეფარდებით, ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობა აშშ-ს სასარგებლოდ გადაწყდება.

„კლასიკური სისტემის „აქილევსის ქუსლი“. განსაკუთრებით საყურადღებოა წამატებული კურსის ეკონომიკა. მერკანტილისტების მადისკრედიტირებულ ყველა ინსტრუმენტს (იმპორტის შესყიდვაზე დაყრდნობა, საექსპორტო სუბსიდიები, უმუშევრობის საზღვარგარეთ ექსპორტირების სურვილი, იაფად გაყიდვა და სხვ.) აქვს ზოგიერთი მსგავსი ტენდენცია ამაღლებული კურსისაკენ. ამ გარემოებაში იფურჩქნება პროტექციონიზმი და სმიტის, ჰიუმის, სამუელსონის კლასიკური და ნეოკლასიკური არგუმენტები უკვე თითქოს აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

3. საერთაშორისო სისტემის დაღუპვა და გარდაქმნა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ინსტრუმენტები იყო: მარშალის გეგმა, ბრეტონ-ვუდის სისტემა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონს-

ტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი. ამჟამად ორიენტაცია მართვად სავალუტო კურსებზეა აღებული. ძველი სისტემა დაინგრა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სრულიად ახალი სისტემის წარმოშობას. 70-იან წლებში შედგა რამდენიმე კონფერენცია, სადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნები ახალი სისტემის შესახებ მოლაპარაკებას ცდილობდნენ, რათა მოეხდინათ ბრეტონ-ვუდის სისტემის შეცვლა. თუ ვილაპარაკებთ საერთოდ სიტუაციის შესახებ, მაშინ ფრანგებს შეეძლოთ თავისი თავის უზრუნველყოფა ცოტად თუ ბევრად სტაბილური სავალუტო კურსით, აშშ და სხვა ქვეყნები ეწინააღმდეგებოდნენ ფრანგების განზრახვას — დაბრუნებოდნენ ძველ სავალუტო სისტემებს. არავითარი ყოვლისმომცველი შეთანხმებები არ იყო შესაძლებელი და არსებითად მსოფლიომ აღიქვა მართვადი მცოცავი კურსის სისტემა.

როგორ „მუშაობს" ეს სისტემა?

აშშ-ს მაგალითი: რეიგანის დროს ქვეყანა თავს იკავებდა სხვა სახელმწიფოების სავალუტო ბაზრების განვითარებაში ჩარევისაგან. დიდი ქვეყნების უმეტესობა (დიდი ბრიტანეთი, კანადა, იაპონია, ევროპის ქვეყნები) მაინც ცდილობდა თავისი მცოცავი კურსით მართვას. ასეთ მართვას აქვს ეროვნული ან უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაში ჩარევის ფორმა და სავალუტო კურსების სხვაობათა შესამცირებლად გამოიყენება, მაშინ როცა გვეჩვენება თითქოს ფასი არ შეესაბამება ამა თუ იმ ქვეყნის ოპტიმალურ დონეს. მრავალმა, ძირითადად, პატარა სახელმწიფომ (ავსტრია, ნიდერლანდები, დანია) თავისი ვალუტა მიაბა უმსხვილეს ვალუტებს. ყველაზე უფრო პოპულარული ორიენტირი ამერიკული დოლარი იყო. მცოცავ პარიტეტს დოლართან შეფარდებით ინარჩუნებს ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყანაც. ამიტომ ისინი დოლარის ნაწილს წარმოადგენენ.

ზოგიერთი ქვეყანა გაერთიანდა ეგრეთწოდებულ ს ა ვ ა ლ უ ტ ო ბ ლ ო კ შ ი, რათა ერთმანეთს შორის სავალუტო კურსის სტაბილიზაცია მოახდინონ, ამავე დროს ამ სახელმწიფოების სავალუტო კურსი დანარჩენი მსოფლიოს ვალუტასთან შედარებით მერყეობს.

სავალუტო ბლოკის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია „ს ა ვ ა ლ უ ტ ო გ ვ ე ლ ი ს“ სახელით ცნობილი (დოლართან და ასევე იენთან შედარებით მისი სავალუტო კურსის ზევით და ქვევით განსაკუთრებით მოძრაობის გამო) ევროპის მონეტარული სისტემა გერმანიის, საფრანგეთის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მონაწილეობით. მაგრამ თითოეულმა ვალუტამ უნდა შეცვალოს თავისი კურსი ამ სისტემის სხვა ვალუტასთან შეფარდებით. ფრანგები და გერმანელები მხოლოდ მეტად ვიწრო ფარგლებში გაძლიერებულად ურთიერთზემოქმედებენ სრულად ნაწინასწარმეტყველებ სავალუტო საფუძველზე. ამავე დროს მსოფლიო ფასებში ყოველი ფუნდამენტური ცვლილება შეიძლება ნიველირდებოდეს ამ სისტემის ვალუტის კურსების თავისუფალი ცვლილებების გზით, ზევით და ქვევით დოლართან შეფარდებით.

ევროპის მონეტარულ სავალუტო სიაუტემას შეიძლება ეწოდოს ზომიერად ამაღლებული, ევროპაში სავალუტო კურსების მოკლევადიანი მერყეობის შემცირების ცდის თვალსაზრისით, მაგრამ ეს ვერ აიცილებს პერიოდულ ეკონომიკურ კრიზისებს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია საფრანგეთში მიტერანის დროს. მიტერანი ატარებს კეინსური სოციალიზმის პოლიტიკას და ამით ამცირებს ფრანკის კურსს, ძვრება გველის „ტყავიდან“ ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით.

მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური პროგლემები

როგორია ოქროს როლი? ის ვინც ოქროს არქაიზმად მიიჩნევს, მაინც ვერ ჩამოაშორებს მას სავალუტო სისტემას, მაგრამ მათმა ოპონენტებმაც, რომლებიც ოქროს ვალუტის ავტომატური სტაბილიზატორის როლს აკუთვნებენ, ვერ მიაღწიეს საწადელს.

1979—1984 წწ. დოლარის მზარდი კურსი რიგი მიზეზით იყო განპირობებული, მაგალითად, დეინდუსტრიალიზაციით. დოლარის მაღალმა გაცვლითმა კურსმა გამოიწვია რიგი ეკონომიკური სიძნელე, რომელიც განსაკუთრებით გამოვლინდა უცხოური კონკურენციისათვის სუსტ ამერიკულ დარგებში (საავტომობილო, ფოლადის, ტექსტილის.) ძლიერ დოლარზე

შინაგან რეაქციას და ამერიკის სავაჭრო ბალანსის შესუსტებას მრავალგვარი ფორმა ჰქონდა. ზოგიერთმა ეკონომისტმა აღიარა, რომ ამის მიზეზია „მაგარი ფული" და მოითხოვდნენ სარგებლის განაკვეთების შემცირებას. სხვები მიუთითებენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურაში ცვლილებებზე უფრო მკაცრი საბიუჯეტო ღონისძიებების და ნაკლებად მკაცრი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის სასარგებლოდ. ამერიკულ სავაჭრო პრობლემებს მიიჩნევდნენ, აგრეთვე აშშ-ის ღრმა ეკონომიკური სისუსტის დასტურად. გამოითქმებოდა პროტექციონისტულ ღონისძიებათა მოთხოვნები, განსაკუთრებით კონკურენციისაგან სუსტად დაცული დარგებისათვის. წამოყენებული იყო აგრეთვე მოსაზრებები ამ დარგებისათვის ფისკალური დახმარების სისტემის შექმნის შესახებ ამერიკის დეინდუსტრიალიზაციის თავიდან ასაშორებლად (ძლიერ სუსტი და უკიდურესად ნაკლებკონკურენტუნარიანი დარგების გამოფიტვასთან დაკავშირებით.).

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მთავარი გაკვეთილი ნათელი წარმოსადგენია: სამყაროში, სადაც ეკონომიკა ასე ძლიერ კავშირშია საერთაშორისო ვაჭრობასთან და ფულად კაპიტალთან, შეუძლებელია საშინაო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროების ურთიერთდამოკიდებულების თავიდან აშორება.

კარგად იმუშავეს თუ არა მცოცავმა კურსებმა? ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: მოქნილი სავალუტო კურსები ნამდვილად გამორიცხავს ოქროს, ანუ ოქროს სტანდარტის კატეგორიას. მაგრამ არაფერს არ შეუძლია აიცილოს შრომის ნაყოფიერების ზრდის შენარჩუნებული შეზღუდვები. მცოცავი კურსები არ წარმოადგენს რეალური შემოსავლების ზრდის შემცირების ან სტაბილიზაციის პანაცეას. მცოცავი კურსები მრავალი შეზღუდვიდან (ოქრო) მაშინვე მხოლოდ ერთ ელემენტს იცილებს და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის სხვა შეზღუდვები შემოაქვს.

ეკონომიკა და ნაციონალიზმი. მსოფლიო მასშტაბით მეურნეობის შესწავლა საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ აშშ-ს უდიდეს წარმატებებზე, რითაც შესაძლებელი გახდა ჯერ ეკონომიკის, შემდეგ კი პოლიტიკური კავშირების ფორმირება. ღმერთმა ჩვენ გვიბოძა ერთი ვალუტა, თავისუფალი ფულადი

სახსრები და წარმოების ფაქტორები, თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნებსა და ქალაქებს შორის. ამ მიზეზის გამო ადამიანებს არ უნდა აწუხებდეთ ნიუ-იორკი, რომელსაც შეუძლია ტარიფების დაწესება მიჩიგანიდან ავტომობილების წინააღმდეგ, ან ნიუ-ჯერსი, რომელიც თავს დაიცავს კალიფორნიული სურსათისაგან. ალბათ აშშ-შია მონოპოლიზაციის ყველაზე დაბალი დონე და ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე. ზოგი ოცნებობს, რომ ამერიკული წარმატება გავრცელდეს სხვა ქვეყნებზეც. მაგრამ ვინ ამბობს რომ ეს არ შეიძლება?

ეპილოგი

ჩვენ გავიარეთ მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის შემეცნების ვრცელი გზა. ის ძნელი იყო და ისეთ რთულ პრობლემებს მოიცავდა, რომლებიც ჩვენგან შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს.

ეკონომიკა ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც ჯიუტად აწყდება უმუშევრობას, პერიოდულ ინფლაციას და მყარ სიღარიბეს. იმის წარმოდგენას, რომ დასახელებული პრობლემები მარტივად გადაიჭრება, აქარწყლებს სტატისტიკური მონაცემები და ანალიტიკური დასკვნების შემოტევა.

ზოგჯერ როცა ეკონომიკურ თეორიაში ფილოსოფიური ქვის ძებნისას მონოლიტის ნაცვლად მტკიცებათა ღორღს ვღებულობთ, ჩვენ სიმწრის გრძნობა და უიმედობა გვეუფლება, რომ „ყოველივე ეს არც ისე მარტივია". ამჟამინდელი უბედურებები გვარწმუნებენ, რომ მდიდარი ქვეყნები ყოველთვის დაიტანჯებიან უმუშევრობით, ხოლო ღარიბი ქვეყნები იქნებიან საგარეო ვალების უღელქვეშ.

ასეთი შავბნელი აზრებისათვის მართლაც არსებობს საფუძველი. გავიხსენოთ: გასულ საუკუნეში მალთუსმა ადამიანთა მოდგმას მუდმივი სიღარიბის განაჩენი გამოუტანა იმით, რომ ამტკიცებდა მწარმოებლურობის ზრდას მოსახლეობის აულაგმავი ზრდა ჩაახშობსო. უკვე ჩვენს დროში თომას კარლაილმა ეკონომიკსს „შავბნელი მეცნიერება" უწოდა,

მაგრამ, ეკონომიკური ისტორიის ფაქტებმა გამოამჟღავნეს მალთუსისა და კარლაილის მტკიცებათა მცდარობა. იმ დროს, რომელსაც ეხება ამ ავტორების დასკვნები, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები იმყოფებოდნენ ხელფასის, სიცოცხლის ხანგრძლივობის და სასიცოცხლო სტანდარტების მძლავრი ზრდის ან დასაწყისში, ან შუა-გზაზე. გოდების ნაცვლად მივმართოთ ჯ. მ. კეინსის მიერ 1930 წ. დასახულ ცნობილ წინასწარმეტყველებას. კეინსმა შეძლო დიდი დეპრესიის მღვრიე ტალღების მიღმა გამჭრიახულად დაენახა ადამიანთა მოდგმის ეკონომიკური მომავალი. ის წერდა: „ვთვლი, რომ ასი წლის შემდეგ ჩვენ ვიქნებით... 8-ჯერ მდიდარი... ვიდრე ამჟამად... წარმოვიდგინოთ, რომ არ არის მნიშვნელოვანი ომები და არ არის პოპულაციის[1] მნიშვნელოვანი ზრდა, რომ შე-

საძლებელია ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური პრობლემები, თუ ჩვენ განვეკვრეტთ მომავალს, არ წარმოადგენს ადამიანთა [1] რასის პერმანენტულ პრობლემებს.

ამრიგად, ჩვენ მთელი ჩვენი იმპულსებით და ღრმა ინსტიქტებით ბუნების მიერ ჩართული ვართ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. თუ ეკონომიკური პრობლემები გადაჭრილია, კაცობრიობას ერთმევა თავისი ტრადიციული მიზნები... მაშასადამე, თავისი შექმნიდანვე პირველად ადამიანი აწყდება რეალურ, მისთვის შინაგანად დამახასიათებელ პრობლემას — როგორ გამოიყენოს ეკონომიკური ზრუნვისაგან განთავისუფლების შედეგად ბოძებული თავისუფლება, როგორ გამოიყენოს მეცნიერებისა და ინტერესთა დაწყნარების შედეგად მიღებული დასვენება ჭკვიანი, სასიამოვნო და კარგი ცხოვრებისათვის... როცა სოციალურ პლანში დაგროვილ სიმდიდრეს უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება, მოხდება დიადი ცვლილებები მორალურ კოდექსში. ჩვენ უნარი გვექნება თავიდან მოვიშოროთ ფსევდომორალური პრინციპები, რომლებიც გვაბეჩავებდნენ ორი ასწლეულის მანძილზე და გვითრევდნენ მეტად არასასიამოვნო ადამიანურ თვისებებში უმაღლესი სათნოების დონემდე...“

რა თქმა უნდა, მომავალი ჩვენგან უფრო შორსაა, ვიდრე აწმყო. დღევანდელი პრობლემები მალე ისტორიის ნაწილი იქნება, მაგრამ აღმოჩენდება ახალი და გაუთვალისწინებელი. შემცირებად შემოსავლიანობისა და მეცნიერული აღმოჩენების ძალებს შორის ბრძოლის პრობლემა რჩება. მაგრამ ისტორია მომავლის მეგზურია, ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გაგრძელებას მომავალ ათწლეულებში. თუ კი ეკონომიკური პროგრესი გაგრძელდება, მაშინ მალე კეინსური უტოპიური შეხედულება წამოაყენებს მდიდარი ერების ცხოვრების გადამწყვეტ ეკონომიკურ საკითხებს: რისთვისაა სიმდიდრე? როგორ გამოვიყენებთ ეკონომიკური პროგრესით გამოთავისუფლებულ რესურსებსა და დროს? იარაღისათვის? ღარიბი ქვეყნებისათვის მარცვლეულისა და ტრაქტორების შესაძენად? სკოლებისათვის? პოეზი-

---

1 მოსახლეობის (მთარგმნელები).

ისა და ბალეტისათვის? ბეწვეულისა და სტერეოტელევიზი-ისათვის? ერისათვის, რომლის სასიცოცხლო სტანდარტებმა დაგლიჯეს აუცილებლობის კვანძები, მეტად არსებით ეკონომიკურ საკითხს წარმოადგენს. არა „როგორ?“, „რა?“, „ვისთვის?“, არამედ „რატომ?“

მაგრამ, ჯერ კიდევ არ დამდგარა საუკუნე, რომლის დროსაც რესურსების შეზღუდულობის პრობლემა ქვაკუთხედური აღარ იქნება. ჯერ ჩვენ აწმყოთი უნდა ვიცხოვროთ და მძიმე შრომით მოვიპოვოთ ჩვენი პური. არ უნდა ვუცადოთ როდის იქნება სიუხვის სამყარო და ჩვენი პირადი ინტელექტის და იშვიათად წილადხვდომილი წარმატებების დახმარებით უზრუნველვყოთ სასიცოცხლო სტანდარტების არსებობა ყველასთვის და აღმოვფხვრათ მეტად თვალშისაცემი უთანაბრობა.

მ. ლ. კინგის მსგავსად დასასრულს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოცნება მაინც შეგვიძლია. ეს ოცნებაა ბაზრის მნიშვნელოვანი ეფექტიანობა, რომელიც ჰუმანური საზოგადოების ინტერესებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

შემოკლებათა განმარტება 3
წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის 4
წინასიტყვაობა 5

ნაწილი I. ზოგადი დებულებები

თ ა ვ ი 1 — შესავალი 9
თ ა ვ ი 2 — ეკონომიკის ორგანიზაციის ძირითადი პრობლემები 13
თ ა ვ ი 3 — ფასების მექანიზმი შერეულ ეკონომიკაში 13
თ ა ვ ი 4 — მოთხოვნისა და მიწოდების ელემენტარული საფუძვლები. საბაზრო მექანიზმი 27

ნაწილი II. მაკროეკონომიკა: წარმოებისა და ფასების მერყეობა

თ ა ვ ი 5 — მაკროეკონომიკის მიმოხილვა: ერთობლივი მიწოდება და ერთობლივი მოთხოვნა 32
თ ა ვ ი 6 — ეროვნული პროდუქტის გაზომვა. ეკონომიკური დაბანდებების კრიტერიუმები 39
თ ა ვ ი 7 — მოხმარება და ინვესტიციები 44
თ ა ვ ი 8 — წარმოების მოცულობის განსაზღვრის თეორია 50
თ ა ვ ი 9 — ფისკალური პოლიტიკა, თეორიასა და პრაქტიკაში 56
თ ა ვ ი 10 — ერთობლივი მიწოდება და სამრეწველო ციკლი 61
თ ა ვ ი 11 — უმუშევრობა 65
თ ა ვ ი 12 — ინფლაცია: დეფლაცია და დანახარჯი 70
თ ა ვ ი 13 — ინფლაცია: მიზეზები და მკურნალობის საშუალებები. ინფლაციის ალტერნატიული წყაროები 74

ნაწილი III. მაკროეკონომიკა: ფული, სარგებლის განაკვეთი და დეფიციტი

თ ა ვ ი 14 — ფული და კომერციული საბანკო ოპერაციები 78

თ ა ვ ი 15 — ფედერალური სარეზერვო სისტემა და ცენტრალური ბანკის საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა 85
თ ა ვ ი 16 — მონეტარიზმი და ფულზე მოთხოვნა 88

ნაწილი IV. მიკროეკონომიკა: მიწოდება, მოთხოვნა და საქონლის ბაზარი

თ ა ვ ი 17 — ფისკალურ-მონეტარული ნარევი და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 92
თ ა ვ ი 18 — როგორ განსაზღვრავს წარმოებისა და ფასების მოცულობას მოთხოვნა და მიწოდება 97
თ ა ვ ი 19 — მოთხოვნისა და სარგებლიანობის თეორია 105
თ ა ვ ი 20 — ბიზნესის ორგანიზაცია და შემოსავალი 110
თ ა ვ ი 21 — დანახარჯების ანალიზი 116
თ ა ვ ი 22 — კონკურენციული მიწოდება 118
თ ა ვ ი 23 — არასრულყოფილი კონკურენცია: მონოპოლია და რეგულირება 121
თ ა ვ ი 24 — არასრულყოფილი კონკურენცია და ანტიტრასტული პოლიტიკა 127
თ ა ვ ი 25 — შემოსავლები და ცხოვრების დონე 129
თ ა ვ ი 26 — წარმოებისა და ზღვრული პროდუქტის თეორია 134
თ ა ვ ი 27 — წარმოების ფაქტორების ფასი: მიწის რენტა და გადასახდელი სხვა რესურსებისათვის 139
თ ა ვ ი 28 — ხელფასი და შრომის ბაზარი 141
თ ა ვ ი 29 — პროფკავშირები და კოლექტიური ხელშეკრულებები 144
თ ა ვ ი 30 — სარგებელი, მოგება და კაპიტალი 147
თ ა ვ ი 31 — ბაზრების საერთო წონასწორობა. საერთო წონასწორობა და უხილავი ხელის თეორია 152
თ ა ვ ი 32 — სახელმწიფოს ეკონომიკური როლი: ეკონომიკური საქმიანობის საზოგადოებრივი არჩევა და თანმდევი ეფექტები 156
თ ა ვ ი 33 — სახელმწიფოს ეკონომიკური როლი: ხარჯები და დაბეგვრა 164
თ ა ვ ი 34 — სიღარიბე, თანასწორობა და ეფექტიანობა 172
თ ა ვ ი 35 — ცვლილებების დრო: ეკონომიკური ალტერნატივები 178

ნაწილი V. ეკონომიკური ზრდა და საერთაშორისო ვაჭრობა

თ ა ვ ი 36 — ეკონომიკური ზრდა: თეორია და პრაქტიკა 193
თ ა ვ ი 37 — განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა 201

თავი 38 — საერთაშორისო ვაჭრობა და შედარებითი უპირატესობების თეორია . . . 210
თავი 39 — პროტექციონისტული ტარიფები, ქვოტი და თავისუფალი ვაჭრობა . . . 214
თავი 40 — საგალუტო კურსი და საერთაშორისო ფინანსური სისტემა 221
ეპილოგი 230

გამომცემლობის რედაქტორი ი. გ ო ლ ე თ ი ა ნ ი
სამხატვრო რედაქტორი ნ. ლ ა ფ ა ჩ ი
ტექნიკური რედაქტორი ს. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი
უფროსი კორექტორი ბ. ჯ ო ბ ა ვ ა
კორექტორი ლ. ლ ი პ ა რ ტ ე ლ ი ა ნ ი
გამომშვები ა. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

სბ № 4930 Учебное издание

გადაეცა ასაწყობად 30.10.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.92. ქაღალდის ზომა 60×90 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 15. პირ. ნაბეჭდი თაბახი 12,6. პირ. საღებავგატარება 12, 71. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 11,03.
ტირაჟი 25 00 შეკვეთა № 587.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ეკონომიკა და სამართალი", თბილისი,
მ. წინამძღვრიშვილის ქუჩა № 123.
1992

САМУЕЛЬСОН П., НОРДХАУЗ В.

ЭКОНОМИКС

(На грузинском языке)

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
თბილისის მოიჯარე ორგანიზაცია „პოლიგრაფისტი“
სურამის ქ. № 13.